კურსის სახელმძღვანელო

მწყემსების გლობალური სკოლა

ქრისტეზე ორიენტირებული. სწავლება. ყველგან.

დოქტორი რანდალ მაკელვაინის

მიერ მომზადებული

©2014

სარჩევი

ახალი აღთქმის სამყარო ..... გაკვეთილი 1
ისტორიისა და გეოგრაფიის მნიშვნელობა ახალი აღთქმისთვის
ახალი აღთქმის გეოგრაფიული გარემო
ახალი აღთქმის ისტორიული გარემო
ახალი აღთქმის კულტურული გარემო
ახალი აღთქმის სამყაროს წეს-ჩვეულებები

სინოპტიკური სახარებები: ქრისტეს ცხოვრება..... გაკვეთილი 2
სინოპტიკური სახარებები
მათე: მეფის სახარება
მარკოზი: მსახურის სახარება
ლუკა: ძე კაცისას სახარება

იოანე: რწმენის სახარება ..... გაკვეთილი 3
იოანეს სახარების ფონი (წინაპირობა)
იოანეს სახარების შინაარსი
იოანეს სახარება დღევანდელ ეკლესიაში

მოციქულთა საქმეები და ადრეული ეკლესია..... გაკვეთილი 4
ადრეული ეკლესიის სამყარო
საქმეების წიგნის ფონი (წინაპირობა)
საქმეების წიგნის შინაარსი
საქმეების წიგნი დღევანდელ ეკლესიაში

რომაელთა: ღვთის სიმართლე..... გაკვეთილი 5
რომაელთა მიმართ წერილის ფონი (წინაპირობა)
რომაელთა მიმართ წერილის შინაარსი
რომაელთა მიმართ წერილი დღევანდელ ეკლესიაში

კორინთელები და გალატელები: წერილები პრობლემურ ეკლესიებს..... გაკვეთილი 6
1 კორინთელთა
2 კორინთელთა
გალატელთა
კორინთელთა და გალატელთა წერილები დღევანდელ ეკლესიაში

ეფესელთა, ფილიპელთა, კოლოსელთა და ფილიმონის წერილები ციხიდან (ციხის ეპისტოლეები). გაკვეთილი 7
ეფესელთა
ფილიპელთა

კოლასელთა
ფილიმონის
ეპისტოლეები ციხიდან დღევანდელ ეკლესიაში

1 და 2 თესალონიკელთა: ქრისტეს დაბრუნება (მეორედ მოსვლა)..... გაკვეთილი 8
1 და 2 თესალონიკელთა ფონი (წინაპირობა)
1 თესალონიკელთა: ქრისტე დაბრუნდება
2 თესალონიკელთა: გაუგებრობები ქრისტეს დაბრუნების შესახებ
1 და 2 თესალონიკელთა წერილი დღევანდელ ეკლესიაში

ტიმოთე და ტიტე: წერილები პასტორებს (მწყემსებს), ანუ პასტორალური ეპისტოლეები
..... გაკვეთილი 9
პასტორალურ ეპისტოლეთა ავტორი და მათი დაწერის თარიღი
1 ტიმოთეს
ტიტეს
2 ტიმოთეს
პასტორთა მიმართ ეპისტოლეები დღევანდელ ეკლესიაში

ებრაელთა და იაკობის წერილები: ზოგადი ეპისტოლეები, ნაწილი 1..... გაკვეთილი 10
წერილი ებრაელთა მიმართ: უკეთესი გზა
იაკობის: რწმენა, რომელიც მოქმედებს

პეტრეს, იოანეს, და იუდას: ზოგადი ეპისტოლეები, ნაწილი 2 ..... გაკვეთილი 11
პეტრეს წერილი: ერთგულება რთულ დროს
იოანეს წერილი: მოზიარეობა ღმერთთან
იუდას წერილი: გაფრთხილება ცრუ სწავლებების წინააღმდეგ
ზოგადი ეპისტოლეები დღევანდელ ეკლესიაში

გამოცხადება: იესო უფალია..... გაკვეთილი 12
გამოცხადების ფონი (წინაპირობა)
გამოცხადების წიგნის წაკითხვა
გამოცხადება დღევანდელ ეკლესიაში

ახალი აღთქმის საკითხები დღევანდელ ეკლესიაში ..... გაკვეთილი 13
კანონიკის (კანონის) ფორმირება
აპოკრიფული წიგნები
ახალი აღთქმის ტექსტის მთლიანობა
რას ნიშნავს ეს ჩვენთვის?

მითითებები კლასის ლიდერებისთვის

(1) გაკვეთილების უმეტესობა იწყება დავალებით: წაიკითხეთ წიგნი ან წიგნები ბიბლიიდან, რომლებიც ისწავლება გაკვეთილზე. ეს უნდა გაკეთდეს წინასწარ, გაკვეთილის ჯგუფში შესწავლამდე. ყოველი გაკვეთილის ბოლოს, გთხოვთ შეახსენოთ სტუდენტებს, რომ წაიკითხონ დავალება შემდეგი გაკვეთილისთვის. ეს უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა სწავლის დაწყებამდე იცოდნენ წიგნის ძირითადი შინაარსი.

(2) თითოეული გაკვეთილი დაიწყება მოკლე დავალებით: მუხლების დაზეპირება წმინდა წერილიდან. ეს დავალება შეიცავს ძირითად საზეპირო მუხლებს, კონკრეტულ გაკვეთილზე შესასწავლი წიგნებიდან.

(3) თუ სწავლა ხდება ჯგუფურად, შესაძლოა მასალის რიგრიგობით წაიკითხვა. თქვენ დროდადრო უნდა შეჩერდეთ, კლასთან განხილვისთვის. როგორც კლასის ხელმძღვანელი, თქვენ ხართ პასუხისმგებელი, რომ დისკუსიის დროს არ მოხდეს გადახვევა შესასწავლი მასალიდან. უმჯობესია, თუ დროის ლიმიტს დააწესებთ განხილვისთვის.

(4) როდესაც ასეთ ნიშანს ◆ დაინახავთ, დასვით კითხვა და მიეცით სტუდენტებს საშუალება, იმსჯელონ პასუხის შესახებ.

(5) ბევრი შენიშვნა (სქოლიო), ანუ ქვემოთ მიწერილი კომენტარები, საღვთო წერილის მუხლებს ეხება. სთხოვეთ სტუდენტებს, იპოვონ ეს მუხლები და წაუკითხონ ჯგუფს.

(6) ყოველი გაკვეთილი მოიცავს დავალებას. ჯგუფური პრეზენტაციების შემთხვევაში, გამოყავით დრო შემდეგი გაკვეთილის დაწყებამდე, პრეზენტაციის ჩასატარებლად.

(7) თითოეული გაკვეთილი მოიცავს ტესტის კითხვებს. ყოველი გაკვეთილის ბოლოს ლიდერს (ჯგუფის ხელმძღვანელს) შეუძლია ამ საკითხების განხილვა სტუდენტებთან. შემდეგი საკლასო სესია უნდა დაიწყოს ამ კითხვების შემცველი მოკლე ტესტით. ამ ტესტის ჩატარება შესაძლებელია როგორც ზეპირად, ასევე წერილობით.

გაკვეთილი 1

ახალი აღთქმის სამყარო

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

(1) იცოდეს პალესტინის გეოგრაფია და მისი მნიშვნელობა ახალი აღთქმისთვის.
(2) ესმოდეს როგორი იყო ახალი აღთქმის ისტორიული გარემო.
(3) სცნობდეს რომაულ, ბერძნულ და ებრაულ გავლენას ახალ აღთქმაზე.
(4) აფასებდეს ახალი აღთქმის უძველეს წეს-ჩვეულებებს.

გაკვეთილი

წაიკითხეთ: მათეს 1:1-7; ლუკას 1:1-5; 2:1-5
დაიზეპირეთ: გალატელთა 4:4-5

ისტორიისა და გეოგრაფიის მნიშვნელობა ახალი აღთქმისთვის

- *მნიშვნელოვანია თუ არა ბიბლიის ისტორიული ჭეშმარიტება ქრისტიანული რწმენისთვის? რატომ?*

ქრისტიანული რწმენა ემყარება ისტორიულ ფაქტებს. ჩვენი რწმენა ეფუძნება ღმერთის მოქმედებებს, რომელიც აქტიურად არის ჩართული კაცობრიობის ისტორიაში, ისევე როგორც იესოს ცხოვრებას, რომელიც „გახდა ხორცი და დამკვიდრდა ჩვენ შორის...”[1] ამის გამო ქრისტიანობის ისტორიული გარემო მნიშვნელოვანია ახალი აღთქმისთვის. ამონარიდები მათეს და ლუკას სახარებებიდან ამ გაკვეთილის დასაწყისში, გვაჩვენებს ავტორების ხაზგასმას იესოს ცხოვრების ისტორიულ გარემოზე.

ქრისტიანობა დიდად განსხვავდება მრავალი სხვა მსოფლიო რელიგიისგან. აღმოსავლური რელიგიების მიმდევრბი გვაჩვენებენ, რომ ბუდიზმი არსებითად არ იცვლება ბუდას გარეშეც; ინდუიზმი მეტწილად იგივეა, მისი მრავალი ღმერთის გარეშე. თუმცა, ქრისტიანობა ცარიელია, იესო ნაზარეველის სიცოცხლის, სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის გარეშე. “ხოლო თუ ქრისტე არ აღმდგარა, ჩვენი ქადაგება ფუჭი ყოფილა და ფუჭი ყოფილა თქვენი რწმენაც.”[2]

ქრისტიანობა ისტორიული რწმენაა; ბიბლია კი ისტორიული წიგნი. ის კავშირში არ არის ლეგენდებთან და მითებთან; ის ისტორიული მოვლენების მატიანეა. ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი ამტკიცებს, რომ ბიბლია არის ეთიკური სწავლებების დიდი კრებული, რომელიც ილუსტრირებულია წინა-სამეცნიერო

[1] ინ. 1:14
[2] 1 კორ. 15:14

მითებით. თუმცა, ბიბლია არ გვაძლევს ამ შესაძლებლობას; წმინდა წერილი მკაფიოდ აცხადებს, რომ ისტორიულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს.

ახალი აღთქმა ემყარება კონკრეტულ დროს, ადგილსა და კულტურას. დრო - ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნე; ადგილი - პალესტინა და რომაული სამყარო; კულტურა - ებრაული, ბერძნული და რომაული. ამ ისტორიული და გეოგრაფიული მდგომარეობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ჩვენ დავიწყებთ ჩვენს სწავლებას იესოს დროინდელი სამყაროს და ადრეული ეკლესიის მიმოხილვით და კვლევით.

ახალი აღთქმის გეოგრაფიული გარემო

პალესტინის მიწა ისრაელის ისტორიისა და იესოს მიწიერი მსახურების ცენტრშია. თუნდაც სახელიც კი "იესო ნაზარეველი" მიანიშნებს მის ცხოვრებაში გარკვეული ადგილის მნიშვნელობაზე.

პალესტინის ტერიტორია დაახლოებით 75 კილომეტრია სიგანეში და 235 კილომეტრი სიგრძეში.[3] მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერიტორია მცირე იყო, ის ანტიკური ისტორიული მოვლენებისთვის სტრატეგიულ ადგილას მდებარებოდა. მისმა მდებარეობამ, ეგვიპტის სამხრეთ-დასავლეთით, სირიის ჩრდილოეთით, ასურეთის ჩრდილო – აღმოსავლეთით და ბაბილონის აღმოსავლეთით, ის სავაჭრო გზაჯვარედინად აქცია და მას სტრატეგიული სამხედრო მნიშვნელობა შესძინა.

დასავლეთი-აღმოსავლეთის მიწის თვისებები

დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ (ხმელთაშუა ზღვიდან მდინარე იორდანემდე) მგზავრობისას, ადამიანი, რომელიც პალესტინის გავლით მოგზაურობდა, სამ განსხვავებულ ლანდშაფტს წააწყდებოდა. ხმელთაშუა ზღვის გასწვრივ მდებარე სანაპირო დაბლობიდან, მიწის მონაკვეთი ცენტრალური მაღალმთიანეთზე გავლით, უმაღლეს წერტილამდე ვრცელდება, დაახლოებით 800 მეტრის[4] სიმაღლეზე ზღვის დონიდან. იერუსალიმი ისრაელის მაღალი წერტილი იყო, როგორც სულიერი, ისე გეოგრაფიული თვალსაზრისით.

აღმოსავლეთით მდებარეობს იუდეის უდაბნო. უკაცრიელი ტერიტორია მთებითა და უხეში რელიეფით, ეს რეგიონი საშიში იყო მოგზაურთათვის და პირქუში -ადგილობრივების მიმართ.

ამ მთიანი რაიონიდან, იორდანეს ხეობა, ზღვის დონიდან 415 მეტრზე[5] ჩამოდის, რაც ჩვენს დედამიწაზე ყველაზე დაბალი სახმელეთო წერტილია. მდინარე იორდანე 100 კილომეტრის მანძილზე[6] მიედინება, გალილეის ზღვის ჩრდილოეთით მდებარე მთებიდან, სამხრეთით მკვდარ ზღვამდე. ებრაულმა სექტამ, რომელსაც იესეველები (ესეები) ეწოდა, თავისი ბიბლიოთეკა დამალა მკვდარი ზღვის მიმდებარე გამოქვაბულებში, როდესაც რომაელები თავს დაესხნენ იუდეას ახ. წ. 66

[3] 45 მილი სიგანის/145 მილი სიგრძე
[4] 2600 ფუტი
[5] 1370 ფუტი
[6] 65 მილი

წელს. ეს მკვდარი ზღვის გრაგნილები აღმოაჩინეს 1946 წელს და წარმოადგენს ძველი აღთქმის უძველეს ხელნაწერებს.

მსახურების პერიოდში, მდინარე იორდანე მეტწილად იყო იესოს მოგზაურობის უკიდურესი აღმოსავლეთ-საზღვარი. თუმცა დროდადრო ის კვეთავდა გალილეის ზღვას, რათა იორდანეს გადაღმა ემოგზაურა. ამ რეგიონში შედიოდა დეკაპოლისი ("ათი ქალაქი" დაარსებული ბერძნული ბატონობის პერიოდში) და პერეა. მისი მიმდევრების გასაკვირად, იესო მზად იყო ემსახურა ამ მხარეში მცოვრებ წარმართთა მიმართ. დეკაპოლისსა და პერეაში იესოს მოწაფეებმა დაინახეს მინიშნებები და წინაპირობა მოგვიანებით მისი დიადი დავალების შესახებ, რომ ექადაგათ იერუსალიმში, მთელ იუდეასა და სამარიაში და დედამიწის კიდემდე".[7]

ჩრდილო-სამხრეთის მიწის მახასიათებლები

ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიმავალი მოგზაური გალილეიდან სამარიის გავლით იუდეაში, პალესტინის რელიგიურ და პოლიტიკურ ცენტრში ხვდებოდა. გალილეა იყო კომერციული რეგიონი, გალილეის ზღვის, მტკნარი წყლის ტბის, მიმდებარე ტერიტორია. ნაზარეთი იყო ერთ – ერთი პატარა სოფელი ამ მშვენიერ მხარეში. გალილეას თევზი უხვად ჰქონდა გალილეის ზღვიდან, ისევე როგორც ხილი და ბოსტნეული, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მოდიოდა გენესარეთის დაბლობში, გალილეის ზღვის ჩრდილო-დასავლეთით რბილი კლიმატის მქონე რეგიონში.

სამარიის მხარემ, ჩრდილოეთის ებრაელები განაცალკევა იერუსალიმის ტაძრისგან. სამარიტელები იყვნენ ებრაელთა შთამომავლები, რომლებიც შეერივნენ (უცხოტომელებთან ქორწინებაში შედიოდნენ) ასურეთის შეჭრის შემდეგ, ძვ. წ. 722 წელს. სამარიტელები მისდევდნენ ძველი აღთქმის კანონს, იცავდნენ წინადაცვეთას, ზეიმობდნენ დღესასწაულებს და ელოდებოდნენ მესიის მოსვლას. ამის მიუხედავად, სამარიელებს საკუთარი თაყვანისცემის ადგილი ჰქონდათ გერიზიმის მთაზე და მათ ებრაელები უწმინდურად თვლიდნენ. ბევრ ებრაელს ერჩივნა მდინარე იორდანე გადაეკვეთა, რომ იორდანეს აღმოსავლეთ სანაპიროს გავლით ემოგზაურათ, ვიდრე სამარიის გავლით. ხოლო, იესომ სამარიის გავლით გადაადგილდებოდა, რათა ჭასთან მყოფი ქალისთვის ემსახურა. ამ სამარიელმა ქალმა იესოს პირველი პირდაპირი განცხადება მოისმინა, რომ ის მესია იყო.[8]

იუდეა და მისი ცენტრალური ქალაქი, იერუსალიმი, სამხრეთით მდებარეობდა. სიონის მთა, ებრაული რწმენის რელიგიური ცენტრი, ჩანდა მრავალი მილის მანძილიდან. ყოველ წელს პასექის დღესასწაულზე ებრაული ოჯახები სტუმრობდნენ ტაძარს. იესოს ოჯახმა ეს მოგზაურობა მაშინ განახორციელა, როდესაც ის ბავშვი იყო და სწორედ მისი „მამის სახლში“ იპოვნეს იესო მასწავლებლებს შორის მჯდომი.[9]

---

[7] საქმ. 1:8
[8] ინ. 4:26
[9] ლუკ. 2:41-52

ახალი აღთქმის ისტორიული გარემო

586 წელს იერუსალიმის ბაბილონის მიერ დამარცხებიდან დაწყებული, პალესტინის ისტორია არეულობისა და გადატრიალებების ამბავია. იუდეას აღარასდროს დაუბრუნებია თავისი უწინდელი დიდება.

ბაბილობის იმპერია აკონტროლებდა პალესტინას, ვიდრე ბაბილონი არ დაამარცხა სპარსეთის იმპერატორმა კიროს II დიდმა ძვ.წ. 539 წელს. კიროსმა საშუალება მისცა ებრაელებს დაბრუნებულიყვნენ იერუსალიმში. მომდევნო საუკუნის განმავლობაში ქალაქი აღადგინეს ეზრას, ზერუბაბელისა და ნეემიას ხელმძღვანელობით. თუმცა, იერუსალიმი კვლავ სპარსელთა კონტროლის ქვეშ იყო. ამ სპარსული გავლენის გამო, იესოს დროს უბრალო ხალხი, სპარსეთის იმპერიის ენაზე, არამეულად საუბრობდა.

ძვ. წ. 334 წელს ალექსანდრე დიდმა დაამარცხა სპარსეთი. პალესტინა გახდა საბერძნეთის იმპერიის ნაწილი. მას შემდეგ, რაც ალექსანდრე გარდაიცვალა ძვ. წ. 323 წელს, მისი იმპერია გაიყო ოთხ გენერალს შორის. პალესტინა ბრძოლის ველი გახდა ამ ორ გენერალსა და მათ მიმდევრებს, პტოლემეელებსა და სელევკიდებს შორის. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ბნელი პერიოდი ებრაელების ისტორიაში. ამ პერიოდში ანტიოქე ეპიფანემ (ბერძენი სელევკიდების მმართველმა) ტაძარი შებილწა, როდესაც მან ტაძარში ბერძნული ღმერთის, ზევსის საკურთხეველი ააგო.

ანტიოქე ეპიფანეს ტირანიამ მაკაბელთა აჯანყება გამოიწვია. მაკაბელთა ოჯახმა აღადგინა კონტროლი იუდეაზე და დააარსა ხეშმონის დინასტია. 166-63 წლებში პალესტინას მართავდა მაკაბელთა ოჯახი და მათი მემკვიდრეები. სამწუხაროდ, ეს იყო ეროვნული არასტაბილურობის პერიოდი ოჯახური დაპირისპირებისა და რელიგიური განდგომის გამო. 67 წლისთვის ოჯახი სამოქალაქო ომში დამარცხდა.

რომმა სწრაფად ისარგებლა ებრაელ ლიდერებს შორის განხეთქილებით პალესტინაზე ძალაუფლების მოსაპოვებლად. 63 წელს რომაელმა გენერალმა პომპეუსმა დაიპყრო იერუსალიმი. პომპეუსმა თავისი წარმომადგენელი ჰირკანე II მღვდელმთავრად დანიშნა და იგი იუდეის ფაქტობრივი მმართველი გახადა. ქრისტეს დროს პალესტინა რომის მიერ იმართებოდა.

ძვ.წ. 37 წელს რომის სენატმა ჰეროდე დიდი დანიშნა იუდეის მეფედ. ჰეროდე ედომაელი იყო, ედომიტთა შთამომავალი. ედომიტები უძველესი დროიდან ისრაელის მტრები იყვნენ. მათ უარი უთხრეს ისრაელიანებს და უფლება არ მისცეს ქანაანისკენ მიმავალ გზაზე მათი მიწით გაევლოთ.[10] ედომის თანამზრახველობამ ბაბილონთან იერუსალიმის განადგურებისას გამოიწვია აბდიას წინასწარმეტყველება მისი განკითხვის შესახებ.[11]

---

[10] რიცხ. 20:14-21.

[11] აბდ. 1:1-21

ძვ. წ. 30 წლისთვის ჰეროდემ დაამარცხა თავისი მტრები და გახდა იუდეის ერთადერთი მმართველი, ჰეროდე იყო დადებითი და უარყოფითი თვისებების რთული ნაზავი. ერთის მხრივ, ის პატივს სცემდა ებრაელებს - ტაძრის აღდგენა იყო ეს, თუ მათი კვებითი კანონების დაცვა. მეორეს მხრივ, ის სიგიჟემდე ეჭვიანი იყო და რამდენიმე საკუთარი ვაჟი დახოცა, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მიაღწიეს ასაკს, როდესაც მის მეტოქეები გახდებოდნენ ტახტის მოსაპოვებლად. ჰეროდესთვის ბეთლემის ხოცვა მცირე ფასი იყო მისი მეფობის დასაცავად. იესო გადარჩა, რადგან ანგელოზმა გააფრთხილა იოსები, რომ ეგვიპტეში გაქცეულიყვნენ.

ძვ. წ. 4 წელს ჰეროდე დიდის გარდაცვალების შემდეგ, მისი სამეფო მის სამ ვაჟს შორის გაიყო. ეს მმართველები პირდაპირ გავლენას ახდენენ ახალი აღთქმის ისტორიასა და იესოს მსახურებაზე.

<u>ჰეროდე არქელაუსმა</u> კონტროლი მოიპოვა იუდეაზე. არქელაოსის სისასტიკის გამო, იოსება და მარიამმა ნაზარეთში დაბრუნება ამჯობინეს, ბეთლემში დაბრუნებას.[12] არქელაუსის სისასტიკემ აიძულა ებრაელთა დელეგაცია დახმარებისთვის რომში მიემართა. არქელაუსი გააძევეს და იუდეა რომის მიერ დანიშნული პროკურატორების მმართველობაში მოექცა.

იესოს გასამართლების დროს პონტიუს პილატე იყო რომაელი პროკურატორი, რომელიც ცხოვრობდა კესარიაში და მიემგზავრებოდა იერუსალიმში მნიშვნელოვანი დღესასწაულების დროს.[13] პროკურატორის წინაშე არც თუ შესაშური ამოცანა იდგა, შუამავლობა გაეწია რომსა და ებრაელთა ხელმძღვანელობას შორის. პილატეს უნდა შეძლებოდა რომის მოთხოვნების დაცვა ისე, რომ არ გამოეწვია ებრაელების აჯანყება. ამ მიზნის მისაღწევად მან სინედრიონს დიდი თავისუფლება მისცა ერისთვის რელიგიური და კულტურული გადაწყვეტილებების მიღებაში. კაიაფას, მღვდელმთავარს ეშინოდა, რომ ამ თავისუფლებას წაართმევდნენ, თუ იესოს მოქმედებები რომის რისხვას გამოიწვევდა.[14]

<u>ჰეროდე ფილიპე</u> ჰეროდეს ვაჟებიდან ყველაზე გულუხვი იყო. ის მართავდა გალილეის ჩრდილო – აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიას. იესო ამ რეგიონში ატარებდა დროს, რათა იერუსალიმში ებრაელი რელიგიური ლიდერების მიერ დაპატიმრების საშიშროება აეცილებინა თავიდან. მას ჩვენი ცოდვისთვის მსხვერპლი ღმერთის გრაფიკის მიხედვით უნდა გაეღო და არა ტაძრის მმართველების გრაფიკით.

ჰეროდე ფილიპემ აღადგინა ქალაქი პანიასი და ფილიპეს კესარია დაარქვა. სწორედ აქ გააკეთა პეტრემ დიდი აღიარება: ”შენ ხარ ქრისტე, ცოცხალი ღმერთის ძე”.[15]

---

[12] მათ. 2:22-23. ბეთლემი იმყოფებოდა არქელაუსის კონტროლის ქვეშ; გალილეის ნაზარეთი ჰეროდე ანტიპას კონტროლის ქვეშ იყო.
[13] პილატე მართავდა ახ. წ. 26-36წწ.
[14] ინ 11:49.
[15] მათ. 16:16.

ჰეროდე ანტიპა იყო გალილეისა და პერეას მმართველი, ძვ. წ. 4 წლიდან. ახ.წ. 39 წლამდე. ანტიპამ დააპატიმრა და მოკლა იოანე ნათლისმცემელი.[16] იმის გამო, რომ ჰეროდე ანტიპას ჰქონდა ძალაუფლება გალილეაზე, პილატე შეეცადა თავიდან აეცილებინა პასუხისმგებლობა იესოს ბედზე და გაგზავნა იგი ანტიპასთან გასასამართლებლად.[17] თუმცა, ჰეროდემ უარი თქვა განაჩენის გამოტანაზე და იესო პილატეს დაუბრუნა სასჯელისთვის.

ახალი აღთქმის კულტურული გარემო

ახალი აღთქმის კულტურული გარემო ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ისტორიული. ღმერთმა გამოგზავნა იესო სამყაროში, რომელიც სამი განსხვავებული კულტურის ზეგავლენას განიცდიდა. თითოეულმა ამ კულტურამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ახალი აღთქმის სამყაროზე.

ახალი აღთქმის ბერძნული გარემო

ალექსანდრე მაკედონელის გავლენა დიდხანს გაგრძელდა მისი ძვ. წ. 323 წელს გარდაცვალების შემდგომაც. ალბათ, მისი ყველაზე ხანგრძლივად მოქმედი წვლილი ახალი აღთქმისთვის თვითონ ბერძნული ენა იყო. ბერძნულმა ენამ განაპირობა სახარების გავრცელება, რადგან ის ყველასათვის გასაგები ენა გახლდათ.

ახალი აღთქმა დაიწერა კოინე ბერძნულ (ანუ ელინურ) ენაზე, „საერთო ბერძნულ ენაზე“, რომელზეც მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში საუბრობდნენ პირველ საუკუნეში. იმ დროს როცა არამეული (პალესტინის სასაუბრო ენა) და ებრაული (ძველი აღთქმის ენა) მხოლოდ ებრაელი ხალხით შემოიფარგლებოდა, მთელს რომის იმპერიაში ბერძნულ ენაზე ლაპარაკობდნენ. მოციქულთა ქადაგება გასაგები იყო ყველგან, სადაც არ უნდა ექადაგათ.

ბერძნული ენის სიზუსტე შეესაბამება პავლეს წერილების ღრმა საღვთისმეტყველო ცნებებს. ებრაული ლამაზი პოეტური ენაა, რომელიც შეეფერება ძველი აღთქმის პოეტებისა და წინასწარმეტყველების მდიდარი ხატოვანების და რიტორიკული ფიგურების გადმოსაცემად. ბერძნული ენა უფრო ზუსტია და საშუალებას აძლევდა პავლეს, შეეგონებინა ახალმოქცეულები თავისი ღრმა დოქტრინებით (სწავლებებით) გამართლებისა და განწმენდის შესახებ.

სეპტუაგინტა არის ძველი აღთქმის ბერძნული თარგმანი. ეს თარგმანი ძვ. წ III საუკუნიდან აძლევდა ბერძნულენოვან ებრაელებს საშუალებას საღვთო წერილი წაეკითხათ. გარდა ამისა, სეპტუაგინტამ გახადა ძველი აღთქმა (ადრეული ეკლესიის ბიბლია) ადვილად ხელმისაწვდომი წარმართობიდან მოქცეულთათვის.

[16] მარ. 6:17-29.
[17] ლუკ. 23:6-12.

ახალი აღთქმის რომაული გარემო

ახალი აღთქმის თითქმის ყველა წიგნი გვიჩვენებს რომაული გარემს გავლენას. იესო და მოციქულები რომაულ სამყაროში ცხოვრობდნენ.

- სახარებები

რომაული გავლენა იესოს ცხოვრებაში მისი დაბადებიდან ჩანს. ღმერთმა გამოიყენა აღწერა, რომელიც წარმართმა იმპერატორმა ჩაატარა, მიქას წინასწარმეტყველების აღსასრულებლად, რომ მესია ბეთლემში დაიბადებოდა.[18] როგორც სპარსეთის მმართველი კიროსი გახდა ღვთის იარაღი თავისი ხალხის გადასახლებიდან დასაბრუნებლად, კეისარ ავგუსტუსი გახდა ღვთის იარაღი იოსების და მარიამის ნაზარეთიდან ბეთლემში ჩასაყვანად.

აღწერის ჩასატარებლად ორი მეთოდი იყო ხელმისაწვდომი. რომაელები ამჯობინებდნენ თითოეული ადამიანის რეგისტრაციას იმ ქალაქში, სადაც ის ცხოვრობდა. თუმცა, ებრაელები ამჯობინებდნენ შეენარჩუნებინათ ტომობრივი ჩანაწერები თითოეული ოჯახის საგვარეულო სახლში. შესაძლოა ებრაელთა კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად, რომმა იუდეას მისცა უფლება აღწერა მათი ტრადიციის წესით ჩაეტარებინათ. ამისათვის იოსებს და მარიამს მოუწიათ გაევლოთ 100 მილი[19] თავიანთი მშობლიური ქალაქ ნაზარეთიდან.

სახარებებში ნაჩვენებია იესოსა და რომის მმართველებს შორის დაპირისპირება, რომლებიც საფრთხეს ხედავდნენ მის გზავნილში ახალი სამეფოს შესახებ. ჰეროდეს ჩვილ ბავშვთა ხოცვა-ჟლეტიდან, პილატეს მიერ ჯვარზე გაკეთებული წარწერით ("ებრაელთა მეფე") დამთავრებული, ღმერთის სამეფოსა და კეისრის სამეფოს შორის კონფლიქტი ჩანს იესოს მთელი მიწიერი მსახურების განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ იესომ ცოტა რამ თქვა რომისა და მისი პოლიტიკის შესახებ, ღვთის სამეფოს გზავნილი (უწყება) იყო გამოწვევა ამ სამყაროს სამეფოების მიმართ.

მოციქულთა საქმეების წიგნი

საქმეების წიგნი გვაჩვენებს, როგორ იყენებს ღმერთი რომაულ იმპერიას სახარების გასავრცელებლად. ტერმინი „pax Romana“(პაქს რომანა) აღნიშნავს რომის იმპერიის მიერ სისასტიკით აღსრულებულ იძულებით "მშვიდობას".[20] მიუხედავად იმისა, რომ რომის ძალაუფლებას ხშირად უსამართლოდ იყენებდნენ (როგორც იესოს ჯვარცმისას), რომის ძალაუფლება ასევე იცავდა მოგზაურებს ბარბაროსებისგან, გააერთიანა იმპერია და შესაძლებელი გახადა მოციქულთა მისიონერული მოგზაურობა. რომმა ააშენა 85,000 კილომეტრიანი გზა[21], მდინარე ევფრატიდან აღმოსავლეთით, შოტლანდიამდე დასავლეთით და შექმნა საზღვაო გზები ხმელთაშუა ზღვაში. პავლეს მისიონერული

[18] მიქა 5:2; ლუკ. 2:1-5.
[19] 65 მილი.
[20] “რომაული მშვიდობა”
[21] 53,000 მილი

მოგზაურობა ძირითადად რომის მიერ გაყვანილი სახმელეთო და დადგენილი საზღვაო გზების გამო იყო შესაძლებელი.

განსხვავებით ტრადიციული ებრაული კულტურისა, რომელიც პატარა ქალაქებსა და სოფლებში ვითარდებოდა, რომი დიდი ქალაქების იმპერია იყო. ამ ქალაქებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ სახარების გავრცელებისათვის. პავლეს მოგზაურობის კვალდაკვალ მიყოლა შეიძლება რომის იმპერიის ძირითადი ქალაქების აღნიშვნით. თითოეულ რეგიონში პავლემ იქადაგა სახარება წამყვან ქალაქებში, რათა ხალხის უდიდესი რაოდენობისთვის მიეწვდინა ხმა. პავლე სახარებას ქადაგებდა რომის იმპერიის მთავარ ქალაქებში და აგრძელებდა ქადაგებას თავად რომში, პირველი საუკუნის სამყაროს ცენტრში.[22]

პავლემ სახარების გასავრცელებლად სრულად გამოიყენა უფლებები, რომელსაც რომის მოქალაქეობა ანიჭებდა. ფილიპეში სამართლებრივი დაცვის მოთხოვნიდან დაწყებული[23] კეისრის სამსჯავროს მოთხოვნით დამთავრებული,[24] პავლემ გამოიყენა თავისი მოქალაქეობა ქრისტეს საქმისთვის.

პავლეს წერილები

პავლეს წერილები გულისხმობს რომაული სამყაროს ცოდნას. ფილიპელთა მიმართ წერილში იყენებს მოქალაქეობის ენას, რათა შეახსენოს მკითხველს, რომ მათი „მოქალაქეობა სამოთხეშია.“[25] პავლემ ფილიმონს მიმართვა (შუამდგომლობა) მისწერა, რადგან იცოდა, რომ რომაული კანონი ითვალისწინებდა გაქცეული მონის სიკვდილით დასჯას და ონესიმეს, პავლეს მიერ მოქცეულ გაქცეულ მონას, სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა. რომაელთა, გალატელთა და ეფესელეთა წერილებში, პავლე რომაულ იურიდიულ ენას იყენებს იმ თეოლოგიური ცნებების ასახსნელად, როგორიცაა გამართლება და პატიება.

პავლეს შვილად აყვანის ხატოვანი განმარტებაც რომაელებისათვის უფრო გასაგები იყო, ვიდრე ებრაელებისათვის.[26] შვილად აყვანა ძალიან გავრცელებული იყო რომაულ საზოგადოებაში. რომაელებს ესმოდათ, რომ შვილად აყვანა მოიცავს ძველი ვალების გაუქმებას, მემკვიდრეობის უფლებებს ახალი ვაჟისთვის და ახალი ცხოვრების დაწყებას. პავლემ გამოიყენა რომაული იურიდიული ცნებები, რათა აეხსნა ცვლილება, როდესაც ახალ მორწმუნეს იღებენ ღვთის ოჯახში.

გამოცხადების წიგნი

რომი ამაყობდა თავისი ტოლერანტობით სხვა რელიგიური მრწამსისადმი; თუმცა ყველა ადამიანი ვალდებული იყო ეღიარებინა იმპერატორის ღვთაებრიობა. რომი უშვებდა ებრაულ ან ქრისტიანულ სწავლებას, სანამ მრევლი ამტკიცებდა, რომ „კეისარი უფალია.“ თუმცა, რომის მთავრობისთვის მიუღებელი იყო ქრისტიანული სწავლება იმის შესახებ, რომ ”იესო ქრისტე არის უფალი.”[27] ცოტა ხანში ეკლესიასა და რომს შორის განხეთქილება მოხდა.

---

[22] რომ. 1:-15.
[23] საქ. 16.
[24] საქ. 25:11.
[25] ფლპ. 3:20.
[26] გალ. 4:5; ეფ. 1:5.
[27] ფლპ. 2:11.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანმა ბოროტი განიზრახა, „ ღმერთმა სიკეთედ ჩათვალა.“[28] დევნა გახდა ძირითადი საშუალება, რომელიც ღმერთმა გამოიყენა დიადი დავალებისთვის. დევნის გამო, ქრისტიანები „იუდეისა და სამარიის სხვადასხვა მხარეს მიმოიფანტნენ." ღვთის გეგმის თანახმად, „მიმოფანტულნი დადიოდნენ და ახარებდნენ სიტყვას."[29]

გამოცხადების წიგნი დაიწერა ამ რომაული დევნის კონტექსტში. იოანეს ხილვები არწმუნებდა ტანჯულ ქრისტიანებს, რომ რომი (ან ნებისმიერი სხვა ძალაუფლება, რომელიც ღმერთს ეწინააღმდეგებოდა) დამარცხდებოდა. ღმერთი და არა კეისარი აკონტროლებს კაცობრიობის ისტორიას.

ახალი აღთქმის ებრაული გარემო

➡ მესიანისტური მოლოდინები

“ქრისტე” ბერძნული სიტყვაა და შეესაბამება ებრაულ სიტყვას „მესია “. ბრბო, რომელიც იესოს დაყვებოდა მესიას ეძებდა. პავლემ განაცხადა „ეს ქრისტე სწორედ იესოა, მე რომ გახარებთ.“[30] მათმა მოლოდინმა, რომ მესია უნდა მოსულიყო, ხალხს ყური გაუხსნა, რომ იესოს ქადაგებისთვის მოესმინათ.

➡ სინაგოგები

ტაძრის განადგურების შემდეგ ძვ. წ. 586 წელს, სინაგოგები ებრაელი ხალხისთვის გახდა ადგილი, სადაც მათ თაყვანისცემა შეეძლოთ. ნებისმიერ თემს, სადაც ათი კაცი იყო, ჰქონდა სინაგოგა. სინაგოგა იყო ღვთისმსახურების ადგილი, სკოლა, რელიგიური და სამოქალაქო სასამართლო და სოციალური საქმიანობის ცენტრი. იესომ თავის პირველი დაწერილი ქადაგება სინაგოგაში იქადაგა, განკურნა სინაგოგაში და ასწავლიდა სინაგოგებში.[31]

მას შემდეგაც, რაც კიროსმა ებრაელებს სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცა, მრავალი ებრაელი დარჩა ბაბილონში, ალექსანდრიის ეგვიპტეში და სხვა ქალაქებში, სადაც იერუსალიმის დაცემის შემდეგ გაიქცნენ. ეს მნიშვნელოვანი გახდა სახარების გავრცელებისათვის. თითქმის ყველა ქალაქში, სადაც მოციქულები ქადაგებდნენ, მათ უნდა მოეძებნათ სინაგოგაში შეკრებილი ებრაული თემი.

ახალ ქალაქში სტუმრობისას, პავლე იწყებდა ქადაგებით სინაგოგაში, სადაც შეეძლო ღვთისმსახური თაყვანისმცემლების - ღვთისმოშიში ებრაელების, ისევე როგორც ჭეშმარიტების მაძიებელი წარმართებს პოვნა.[32] ეს წარმართები გახსნილნი იყვნენ სახარების სიტყვის მისაღებად.

---

[28] დაბ. 50:20.
[29] საქ. 8:1,4.
[30] საქ.17:3.
[31] ლუკ. 4:16-30; მარ. 3:1-5; ინ. 18:20.
[32] მაგ. საქ. 13:5.

ებრაული რელიგიური ჯგუფები

ფარისევლები იესოს დროს ყველაზე ცნობილი რელიგიური ხალხი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მათი რაოდენობა მცირე იყო (დაახლოებით 6000), ისინი პოპულარული იყვნენ უბრალო ხალხში. ამ „განცალკევებულებს“ პატივს სცემდნენ მოსეს რჯულის ზედმიწევნით დაცვისთვის. ფარისევლებს ბევრი საერთო ჰქონდათ რწმენის თვალსაზრისით ქრისტიანებთან: აღდგომა, ანგელოზები, ლოცვა და ძველი აღთქმის პატივისცემა. ამასთან, მათ მოსეს კანონს მრავალი ზეპირი ტრადიცია დაამატეს. საბოლოოდ, ფარისევლების უმეტესობამ უარი თქვა იესოს მესიად აღიარებაზე.

სადუკეველები პოლიტიკურ ძალაუფლებას ფლობდნენ იესოს დროს. რომთან თანამშრომლობით სადუკეველებმა მოიპოვეს ძალაუფლება და კონტროლი მღვდელმთავრებზე და სინედრიონზე. სადუკეველთათვის მხოლოდ თორა იყო ავტორიტეტული.[33] მათ უარყვეს წინასწარმეტყველური წიგნები და ზეპირი ტრადიციები. შედეგად, მათ უარყვეს ანგელოზების, სულების და აღდგომის რწმენა. იმის გამო, რომ მათი ძალაუფლება ტაძრის პოლიტიკაზე იყო ორიენტირებული, სადუკეველობა გაქრა მას შემდეგ, რაც ტაძარი განადგურდა ჩვ. წ. 70 წელს.

ახალი აღთქმის სამყაროს წეს-ჩვეულებები

რაც უკეთ გავიგებთ ახალი აღთქმის სამყაროს ჩვეულებებს, მით უკეთ გავიგებთ ახალი აღთქმის გზავნილის აზრს, მის არსს. ბოლო წლებში მეცნიერებმა შეისწავლეს ძველი იუდეის ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებები. რამდენიმე მაგალითი წარმოაჩენს ახალი აღთქმის წეს-ჩვეულებების შესწავლის მნიშვნელობას.

- ებრაული ოჯახების უმეტესობა ცხოვრობდა სახლებში, რომელიც ერთი ოთახისგან შედგებოდა. ცხოველებს ხშირად ათავსებდნენ სახლის გარე ოთახში, ცხოველების საკვებად მოწყობილი ბაგებით. როდესაც მარიამი და იოსები ბეთლემში ჩავიდნენ, მათ შესაძლოა ამ გარე ოთახში დარჩენის უფლება მისცეს, მიუხედავად იმისა, რომ აღწერის გამო მთავარი სასტუმრო ოთახი (სასტუმრო) სავსე იყო. სასტუმროს მეპატრონე არათავაზიანობის და უთანაგრძნობობის გამო კი არ მოექცა მათ ასე, არამედ საუკეთესო სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა, რაც კი შეეძლო ამ გადატვირთულ პერიოდში.[34]

- ებრაელი მწყემსები ხშირად აძლევდნენ უფლებას ცხვრის რამდენიმე ფარას, რომ შერეულიყვნენ. როდესაც ცხვრის გამოყოფის დრო დგებოდა, თითოეული მწყემსი დაუძახებდა და მათი ცხვარი იკრიბებოდა. ცხვრებმა იცოდნენ თავიანთი მწყემსის ხმა. იესომ

[33] *თორა* ნიშნავს “კანონს.”(რჯულს) ეს არის ებრაული ტერმინი, რომლითაც მოსეს ხუთ წიგნს მოიხსენიებენ.
[34] www.ancientsandals.com

თქვა, რომ მისი ცხვარი „მისდევს მას, რადგან მათ მისი ხმა იციან. ისინი უცხოს არ გაჰყვებიან და გაექცევიან მას, რადგან არ იციან უცხოს ხმა.”[35]

- იესოს პასუხი იუდასთვის ბოლო ვახშამზე ხშირად გაუგებარია. როდესაც პეტრემ იესოს ჰკითხა, ვინ უღალატებდა მას, იესომ უპასუხა: "ისაა, ვისაც ლუკმას ამოვუწობ და მივაწვდი”.[36] იოანე ამბობს, რომ შემდეგ იესომ ღვინოში ამოწობილი ლუკმა იუდა ისკარიოტელს მიაწოდა. ბევრი მკითხველის ვარაუდით, იესო მიუთითებდა იუდაზე, როგორც მოღალატეზე. თუმცა, იოანე წერს, რომ სხვა მოწაფეებმა არ იცოდნენ, რომ იუდა იყო მოღალატე. ახალ აღთქმის სამყაროში ყველა ერთი და იმავე ჭურჭლიდან/თეფშიდან შეჭამდა. იესოს გზავნილი კი უბრალოდ ეს იყო: ”ადამიანი, ვინც ამ საღამოს, აქ ჭამს, იქნება მოღალატე.” ამ განსაცდელის დროსაც იესო სიყვარულით ეპყრობოდა იუდას.

ახალი აღთქმის სამყაროს ადათ-წესების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ წაიკითხოთ ბიბლიის ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებები, რომლებიც ხელმისაწვდომია ინტერნეტით.[37]

როცა მოვიდა სისრულე დროისა...

> და როცა მოვიდა სისრულე დროისა, მოავლინა ღმერთმა თავისი ძე, რომელიც დედაკაცისგან იშვა და დაემორჩილა რჯულს..... (გალ 4:4)

პავლეს ეს ფრაზა გვაფიქრებინებს ორსულ დედაზე, რომელიც ელოდება დაბადების მომენტს. ზუსტ და სწორ მომენტში ღმერთმა თავისი ძე გამოგზავნა ღვთისმიერვე მომზადებულ სამყაროში. სამყარო მზად იყო...

გეოგრაფიულად. პალესტინა პატარა მხარე გახლდათ ძველი კულტურების გზაჯვარედინზე. ამან უზრუნველყო, რომ ის გამშვებ პლატფორმად და ტრამპლინად ქცეულიყო სახარების გასავრცელებლად დედამიწის ყველა კუთხეში.

ისტორიულად. რომის იმპერიამ უზრუნველყო სახარების გავრცელების საშუალება.

კულტურულად. ბერძნული ენის, რომაული პოლიტიკური სისტემისა და ებრაული რელიგიური ტრადიციების უნიკალური სინთეზი ქმნიდა ღვთივგანვითარებულ გარემოებას ქრისტიანული ეკლესიის დაბადებისთვის.

---

[35] ინ. 10:4,5.
[36] ინ 13:26.
[37] http://www.baptistbiblebelievers.com/OTStudies/MannersandCustomsInBibleLands1953/tabid/232/Default.aspx.

ღმერთი ძალ-ღონეს არ ზოგავდა, რომ სამყარო სახარებისათვის მოემზადებინა. ამ გაკვეთილის დასრულებისას ილოცე: „ღმერთო, რას აკეთებ, რომ *ჩემი სამყარო* მოამზადო იმ მსახურებისთვის, რომელიც ჩემთვის გაქვს მოცემული?"

გაკვეთილის დავალება

გაიარეთ ტესტი ამ გაკვეთილის საფუძველზე. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმინდა წერილიდან.

გავიღრმავოთ ცოდნა

ახალი აღთქმის სამყაროზე მეტი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ შემდეგი რესურსები:

<u>ბეჭდური წყაროები</u>

ბერი ბაიტზელი, "მუდის ბიბლიის ატლასი". Illinois: Moody Press, 2009.

უოლტერ ელველი და რობერტ იარბროუ „შეხვედრა ახალ აღთქმასთან". Grand Rapids, Michigan: Baker Academic, 2013.

ევერეტ ფერგიუსონი „ადრეული ქრისტიანობის წინაპირობები. Michigan: Eerdmans, 2003.

ირვინ იენსენი „იენსენის ახალი აღთქმის კვლევა". Illinois: Moody Press, 1981.

მერილ თენი „ახალი აღთქმის კვლევა". Michigan: Eerdmans, 1994.

<u>ელექტრონული (ინტერნეტ) წყაროები</u>

დოქტორი რანდალ სმითი „მათ ეგონათ, რომ იცოდით" http://www.youtube.com

„რატომ არის მნიშვნელოვანი ბიბლიური ფონი (წინაპირობები)“
http://www.seedbed.com/seven-minute-seminary/

ფრედ ვაითი „ბიბლიის ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებები“. Moody Bible Institute, 1953.
http://www.baptistbiblebelievers.com/OTStudies/MannersandCustomsInBibleLands1953/tabid/232/Default.aspx

ახალი აღთქმის კარიბჭე. http://www.ntgateway.com/tools-and-resources/maps/

იოსებ ფლავიუსის ნაშრომები. http://www.ccel.org/j/josephus/works/JOSEPHUS.HTM

გაკვეთილი 1. ტესტის საკითხები

1. ჩამოთვალეთ პალესტინის სამი გეოგრაფიული რეგიონი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გადაადგილებისას.

2. რა მნიშვნელობა აქვს სამარიას იესოს მსახურებისთვის?

3. აღწერეთ ჰეროდე დიდისა და ებრაელების ურთიერთობა.

4. ჰეროდეს რომელი ვაჟი მონაწილეობდა იესოს გასამართლებასა და ჯვარცმაში?

5. ჩამოთვალეთ ბერძნული ენის სამი დადებითი წვლილი ადრეული ეკლესიისთვის.

6. განმარტეთ, რას ნიშნავს *pax Romana (პაქს რომანა).*

7. ჩამოთვალეთ ოთხი ფუნქცია, რომელსაც სინაგოგა ასრულებდა ებრაულ თემში.

8. რა სწავლებები ჰქონდათ ფარისევლებს და ქრისტიანებს საერთო?

9. რას გმობდა იესო ფარისევლებთან დაკავშირებით?

10. რა ძირითადი განსხვავება იყო ფარისევლებსა და სადუკეველებს შორის?

გაკვეთილი 2

სინოპტიკური სახარებები: ქრისტეს ცხოვრება

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენმა უნდა:

(1) იცოდეს ოთხი სახარების მიზეზი.

(2) იცოდეს თითოეული სინოპტიკური სახარების ავტორი, სავარაუდო თარიღი და ისტორიული გარემო.

(3) ათვითცნობიერებდეს თითოეული სინოპტიკური სახარების მნიშვნელოვან თემას.

(4) უკავშირებდეს სინოპტიკური სახარებების გზავნილს თანამდეროვე სამყაროს საჭიროებებს.

გაკვეთილი

წაიკითხეთ: მათეს სახარება ლუკას სახარების საშუალებით.

დაიზეპირეთ: მათე 5:48; მარკოზი 10:45; ლუკა 19:10

სინოპტიკური სახარებები

- *რატომ გვაქვს იესოს ცხოვრების ერთზე მეტი აღწერა?*

იესოს ამაღლების შემდეგ მოციქულები მას დაუყოვნებლივ დაბრუნებას ელოდნენ. როდესაც მათ გააცნობიერეს, რომ მისი დაბრუნება არ იყო დაუყოვნებლივი და განსაკუთრებით მოციქულთა ასაკის მატებასთან ერთად, მათ მოამზადეს წერილობითი ცნობები ახალი მორწმუნეების სწავლებისთვის, რათა თავიდან აეცილებინათ დამახინჯებული ცნობების გავრცელება იესოს ცხოვრების შესახებ. რადგანაც ეკლესია ვრცელდებოდა მთელს რომის იმპერიაში, პასტორებსა და მასწავლებლებს სჭირდებოდათ ავტორიტეტული წერილობითი ცნობები იესოს ცხოვრებასა და მსახურებაზე. ეს იყო სახარებების დაწერის მნიშვნელოვანი მიზეზები.

პირველ სამ სახარებას სინოპტიკური სახარებები ეწოდებათ, რადგან ისინი ერთსა და იმავე მოვლენებს განსხვავებული შეხედულებით და თვალსაზრისით გვაწვდიან.[38] იმ დროს როცა, იოანეს

[38] ტერმინი "სინოპტიკური სახარებები" ნიშნავს "ერთად დანახული" სახარებები.

სახარება შეიცავს უნიკალურ მასალას, რომელიც სხვა სახარებებში არ არის შეტანილი, მათეს, მარკოზის, და ლუკას სახარებებს ბევრი საერთო მასალა აქვთ.

სახარების მწერლები, რომლებსაც ხშირად მახარობლებს უწოდებენ, არ იყვნენ მდივნები, რომლებიც კარნახით წერდნენ. ამის ნაცვლად, სულიწმიდამ სასწაულებრივად იმოქმედა თითოეული მახარებლის პიროვნების მეშვეობით, რათა უშეცდომოდ გადმოეცა ღმერთის გზავნილი.

ერთი მაგალითი აჩვენებს სახარებებს შორის განსხვავებებს. მათე დეტალურად აღწერს პეტრეს მოწმობას იესოს ღვთაებრიობის შესახებ, იესოს მიერ პეტრეს კურთხევასა და პეტრეს მიერ იესოს გადარწმუნება(„აკრძალვა“).[39] მარკოზი და ლუკა მოთხრობის მოკლე ვერსიებს გვთავაზობენ.[40] მარკოზმა გამოტოვა იესოს მიერ პეტრეს კურთხევა, ხოლო ლუკამ გამოტოვა როგორც კურთხევა, ასევე პეტრეს მიერ "აკრძალვის"(გადარწმუნების) ამბავი. არ არსებობს წინააღმდეგობა მოთხრობებს შორის; ეს არის ერთი მოვლენა, რომელიც წარმოდგენილია სამი განსხვავებული პერსპექტივიდან.

მათე 16:13-23	**მარკოზი 8:27-33**	**ლუკა 9:18-22**
“სიმონ-პეტრემ მიუგო: "შენა ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღმერთისა”.”	“პეტრემ უთხრა: "შენ ხარ ქრისტე”.”	“პეტრემ მიუგო: "ღმერთის ცხებული”.”
“იესომ პასუხად უთხრა: "ნეტარ ხარ შენ, სიმონ იონას ძევ"!”	არ შეიცავს	არ შეიცავს
“პეტრემ გაიხმო იგი, უკრძალავდა და ეუბნებოდა: "შეიწყალე შენი თავი უფალო, ნურც შეგემთხვევა ასეთი რამ!””	“პეტრემ გვერდზე გაიხმო და კიცხავდა.”	არ შეიცავს

არცერთ სახარებაში არ არის აღწერილი იესოს ცხოვრების ისტორია სრულად. სინმდვილეში იოანემაც თქვა, რომ სრულ აღწერილობას იმდენი წიგნი დაჭირდებოდა, მთელი ქვეყნიერებაც კი ვერ დაიტევდა დაწერილ წიგნებს.[41] სახარებები არ წარმოადგენს ყოვლისმომცველ ბიოგრაფიას. ამის ნაცვლად, სულიწმიდამ თითოეულ მწერალს შთააგონა ხაზი გაესვა იესოს მსახურების სხვადასხვა ასპექტებს. ერთობლიობაში სახარებები გვაწვდიან იესოს ცხოვრების მრავალმხრივ სურათს. თითოეული სახარების წინაპირობის შესწავლით, უკეთ გავიგებთ თითოეულ სახარებაში მასალის შერჩევის მიზესს. თითოეული მწერალი სხვა და სხვა აუდიტორიას მიმართავდა და განსხვავებული მიზნით წერდა.

[39] მათ. 16:13-23.
[40] მარკ. 8:27-33 და ლუკ. 9:18-22.
[41] ინ. 21:25

მათე: მეფის სახარება

მათეს სახარების შესავალი

ეკლესიის მამები ერთსულოვანნი იყვნენ, როდესაც დაადგინეს, რომ მოციქული მათე იყო პირველი სახარების ავტორი. მისი სავარაუდო თარიღია სადღაც ჩვ. წ. 50 და 70 წლებს შორის. მათეს სახარებაში მნიშვნელოვანი თემა წინასწარმეტყველების აღსრულებაა. იმის გამო, რომ მათე არ ახსენებს იესოს წინასწარმეტყველების აღსრულებას ტაძრის განადგურების შესახებ, სავარაუდოდ, მათეს სახარება დაწერილია ჩვ.წ 70 წელს.[42]

გარკვეული მახასიათებლები იმაზე მიანიშნებს, რომ მათეს სახარება ძირითადად ებრაულ აუდიტორიას ეხებოდა.

- მათე არ უმარტავს თავის მკითხველებს ებრაულ ჩვეულებებს.
- მათე იყენებს ძველი აღთქმის უფრო მეტ ციტატებს, ვიდრე სხვა მახარებლები.
- მათე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იესოს მიერ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველების აღსრულებას.
- სადაც მარკოზი და ლუკა იყენებენ ფრაზას "ღვთის სასუფეველი (სამეფო)", მათე იყენებს ექვივალენტურ ფრაზას "ცათა სასუფეველი (სამეფო)". ეს ასახავს ებრაელთა სურვილს არ გამოიყენონ ღმერთის სახელი.

მათეს სახარების შინაარსი

- *როგორ წარმოსახავს მათე იესოს მეფედ?*

იესო, როგორც მეფე

მათეს ხშირად უწოდებენ მეფის სახარება. მათეს სახარებაში იესო წარმოსახულია, როგორც იუდეველთა მეფე და საბოლოო ჯამში ყველა ერისაც. მოგვები აღმოსავლეთიდან მოემგზავრებიან, რათა აღიარონ ახალი მეფის დაბადება. ჰეროდე ცდილობს გაანადგუროს ეს მეტოქე მეფე. მათეს სახარებაში იესოს მეფედ ვხედავთ.

მათე გაცილებით უფრო ხშირად ახსენებს ფრაზას „დავითის ძე“, ვიდრე რომელიმე სხვა სახარებაში. ეს სამეფო ტიტულია, რომელიც აჩვენებს, რომ იესო დავითის შთამომავალია. ეს სახელი გამოიყენება მაშინ, როდესაც იესო იერუსალიმში შევიდა ვირზე ამხედრებული, სამეფო შესასვლელით, რითიც აღსრულდა ზაქარიას 9: 9.[43]

---

[42] ეს წინასწარმეტყველება (მათ. 24:2) აღსრულდა ახ. წ. 70 წელს, როდესაც რომაელმა გენერალმა ტიტუსმა იერუსალიმი დაიპყრო. "ტიტუსის თაღი", რომელიც იერუსალიმზე რომის გამარჯვებას აღნიშნავს, კვლავ რომში დგას.

[43] მათ. 21:4

იესო ასწავლის სასუფევლის კანონის შესახებ მთაზე ქადაგების დროს. ის ცათა სასუფევლის შესახებ მთელი რიგი იგავების მოშველიებით ასწავლის. მისი ჯვრის ზემოთ არის წარწერა: ”ეს არის იესო იუდეველთა მეფე”. მათეს სახარება - მეფის სახარებაა.

- იესო ძველი აღთქმის აღსრულებაა

მათე თერთმეტჯერ ახსენებს წინასწარმეტყველების აღსრულებას იესოს ცხოვრებაში. წინასწარმეტყველებები, რომელიც მათეს სახარებაშია ნახსენები მოიცავს:

- იესოს დაბადება ქალწულისგან (1:22)
- ეგვიპტეში გამგზავრება (2:15)
- ჰეროდეს მიერ ჩვილების ხოცვა (2:17)
- იესოს განკურნების მსახურება (8:17)
- ტრიუმფალური შესვლა იერუსალიმში (21:4)
- ოცდაათი ვერცხლის ფასი მისი ღალატისთვის (27:9)

- იესოს ქადაგებები

მათემ თავის სახარებაში იესოს უფრო მეტი ქადაგება შემოინახა, ვიდრე სახარებების სხვა მწერლებმა. სადაც მარკოზი ყურადღებას ამახვილებს იესოს მოქმედებებზე, მათე მეტ ყურადღებას უთმობს იესოს სიტყვებს. მათეს სახარებაში ხუთი მთავარი ქადაგებაა გადმოცემული, რომლებიც მთელი სახარების სტრუქტურას წარმოადგენს. ადრეულმა კომენტატორებმა შეამჩნიეს, რომ როგორც მოსეს ხუთწიგნეულმა დაუდო საფუძველი ისრაელს, ამ ხუთმა ქადაგებამაც საფუძველი ჩაუყარა ეკლესიას. ესაა ხუთი ძირითადი ქადაგება მათეს სახარებაში:

- ქადაგება მთაზე (5-7)
- თორმეტის წარგზავნა (10)
- იგავები სასუფევლის შესახებ (13)
- სწავლება ურთიერთობების შესახებ სასუფეველში (18)
- ზეთისხილის დისკურსი საუკუნის აღსასრულის შესახებ (24-25)

მათეს სახარება დღევანდელ ეკლესიაში

მათეს სახარების ქადაგებები დღეს ეკლესიაში ისეთივე ძალით მეტყველებს, როგორც იესოს ქადაგებისას პირველად გალილეასა და იუდეაში.

ქადაგება მთაზე წარმოადგენს ღვთის სასუფევლის ცხოვრების კლასიკური მიმოხილვას. ფარისევლების ტრადიციებსა და "სიყვარულის კანონს" შორის განსხვავების ჩვენებით, იესო გვასწავლის, როგორ უნდა ვიცხოვროთ, როგორც ცათა სამეფოს მოქალაქეებმა. ქადაგების თემაა - "მაშ, იყავით სრულყოფილნი, ისევე როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი".[44] ეს მცნება მოგვეცა იმ კონტექსტში, სადაც ჩანს, რომ ჩვენი მამა არის სიყვარულის ღმერთი, „რომელსაც თავისი მზე ამოჰყავს ბოროტთა და კეთილთა თავზე და წვიმას უგზავნის მართლებსაც და უმართლოებსაც."[45] ღვთის სასუფეველში, ანუ ღმერთის სამეფოში „სრულყოფილება" ნიშნავს ჩვენი ზეციერი მამის გულის ქონას, თავგანწირული სიყვარულით სავსე გულის. მიუხედავად იმისა, რომ სრულყოფილი სიყვარულით სავსე გულის ქონა აღემატება ჩვენს ადამიანურ ძალებს, ჩვენი ზეციერი მამა, რომელიც გვავალებს გვქონდეს სრულყოფილი გული, არის ღმერთი, რომელიც ამას შესაძლებელს ხდის *თავისი მადლით.*

> "მაშ, იყავით სრულყოფილნი, როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი... მან კარგად იცოდა, რამდენად მზად იქნებოდა ჩვენი ურწმუნოება ყვირილისთვის, ეს შეუძლებელია! ამიტომ ამაზე ფსონად დებს იმის მთელს ძალას, ჭეშმარიტებას და ერთგულებას, ვისთვისაც ყოველივე შესაძლებელია."
>
> ჯონ უესლი, *შენიშვნები ახალი აღთქმის შესახებ*

იესოს სწავლება <u>ურთიერთობების შესახებ ღვთის სასუფეველში</u> გვთავაზობს ურთიერთობების მოდელს დღევანდელ ეკლესიაში.[46] მათე 18:15-20 გვთავაზობს სახელმძღვანელოს (მითითებებს) ბიბლიური საეკლესიო დისციპლინის შესახებ, რომელშიც ცოდვას განიხილავენ ეკლესიის საშუალებით და არა ჭორებისა და ზურგს უკან ლაპარაკის საშუალებით. ეს დისციპლინა ხორციელდება იმ კონტექსტში, რომელიც ითვალისწინებს პატიებას და აღდგენას, პრინციპი, რომელიც ჩანს იესოს პასუხებში პეტრეს შეკითხვაზე პატიების შესახებ.[47]

<u>დიადი დავალება</u> მოგვიწოდებს მოვიმოწაფოთ ყველა ხალხი. სრულყოფილებისკენ იესოს მოწოდების მსგავსად, ჩვენ ამ მოწოდებასაც არა ჩვენი ძალით ვასრულებთ, არამედ მისი ძალაუფლებით, ვინც ეს დავალება მოგვცა. ვინც ეს მოწოდება მოგვცა არის ის, ვინც აღგვითქვა: „და აჰა, მე თქვენთანა ვარ ყოველდღე წუთისოფლის აღსასრულამდე".[48] ამინ!

---

[44] მათ. 5:48.
[45] მათ. 5:45.
[46] მათ. 18
[47] მათ. 18:21-35
[48] მათ. 28:18-20

მარკოზი: მსახურის სახარება

მარკოზის სახარების შესავალი

ეკლესიის მინიმუმ რვა მამამ დაასახელა მარკოზ-იოანე, როგორც მეორე სახარების ავტორი. ბარნაბას ბიძაშვილი, მარკოზი მოგზაურობდა პავლესთან და ბარნაბასთან ერთად მათი პირველი მისიონერული მოგზაურობის დროს.[49] მიუხედავად იმისა, რომ ამ მოგზაურობაში მისმა წარუმატებლობამ პავლსა და ბარნაბას შორის კონფლიქტი გამოიწვია, მარკოზ-იოანემ მოგვიანებით კვლავ მოიპოვა პავლეს ნდობა და დიდი წვლილი შეიტანა მის მსახურებაში.[50]

> "რადგანაც პეტრემ საჯაროდ იქადაგა სიტყვა რომში, ბევრნი სთხოვდნენ მარკოზს, რომელიც ხანგრძლივად დაჰყვებოდა და ახსოვდა მისი სიყვები, რომ დაეწერა ისინი."
>
> კლიმენტი ალექსანდრიელი ციტირებულია ევსები კესარიელის, *საეკლესიო ისტორიაში* 6.14.5-7

ადრეული ეკლესიის მამებმა სიმონ პეტრე ამოიცნეს მარკოზის სამოციქულო წყაროდ. მარკოზ-იოანე იმდენად მჭიდროდ თანამშრომლობდა პეტრესთან, რომ მის მიერ მოხსენიებული იყო, როგორც „ჩემი ძე".[51] მარკოზის სახარებაში აღწერილია პეტრეს უშუალო მოგონებები იესოს მსახურების შესახებ.

რადგანაც მარკოზის სახარებაში მოვლენები ყოველთვის არ ემთხვევა თანმიმდევრობას, რომ მათესა და ლუკას წიგნებშია, სასარგებლოა იმის ცოდნა, რომ ეპისკოპოსმა პაპიასმა, ადრეული ეკლესიის მამამ, თქვა იოანე მოციქულის სიტყვაზე დაყრდნობით, რომ მარკოზი „გახდა პეტრეს განმმარტებელი და დაწერა ყველაფერი, რაც პეტრეს ახსოვდა და არა იმ თანმიმდევრობით, როგორც უფალმა თქვა ან გააკეთა".[52] მარკოზის მიერ მოვლენების ასახვა ზუსტია, მაგრამ მას არ ჰქონია მცდელობა, რომ ისინი მკაცრი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოეცა.

მარკოზის სახარება, სავარაუდოდ, რომიდან არის დაწერილი და ის ძირითადად წარმართთა აუდიტორიას მიმართავს. მარკოზი ხშირად განმარტავს იესოს მიერ გამოყენებულ არამეულ გამოთქმებს.[53] გარდა ამისა, მარკოზი თავის რომაელ მკითხველებს უხსნის ებრაულ ტერმინოლოგიასაც. მაგალითად, მარკოზი განმარტავს, რომ „ორი ლეპტა" (ებრაული მონეტა), „კოდრანტს შეადგენს" (რომაული მონეტა).[54]

მარკოზი ყველაზე მოკლე სახარებაა, გაცილებით ნაკლები დეტალებით (დაწვრილებითი ინფორმაციით), ვიდრე რომელიმე სხვა სახარება. მარკოზი არის მოქმედების სახარება, თვისება,

---

[49] კოლ. 4:10; საქმ. 12:25.

[50] საქმ. 15:36-40; 2 ტიმთ. 4:11.

[51] 1 პეტრე 5:13.

[52] ციტირებულია ევსები კესარიელის, *საეკლესიო ისტორიაში,* 3.39.14-17.

[53] არამეული იყო პირველი ენა, რომელიც პალესტინაში გამოიყენებოდა პირველი საუკუნის განმავლობაში და მან ჩაანაცვლა ებრაული. მარკოზის არამეული ტერმინების განმარტების მაგალითებია მარკ. 5:41, 7:11, და 14:36.

[54] მარკ. 12:42

რომელიც შეიძლება ასახავდეს სიმონ პეტრეს გავლენას. ეს არის „იესო ქრისტეს, ცოცხალი ღვთის ძის“ ცხოვრებისა და მსახურების პირდაპირი ჩანაწერი.[55]

მარკოზის სახარების შინაარსი

- *როგორ უსვამს ხაზს მარკოზი იესოს, როგორც მსახურის როლს?*

- იესო მსახური

მარკოზის სახარებას ხშირად უწოდებენ მსახურის სახარება. მარკოზი მეტ ყურადღებას ამახვილებს იესოს მოქმედებებზე, ვიდრე მის სიტყვებზე. მათეს ხუთი ძირითადი ქადაგებისგან განსხვავებით, მარკოზი მოიცავს მხოლოდ ერთ ქადაგებას (მარკოზი 13). მარკოზის სახარება უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებს სასწაულებზე; მარკოზი თექვსმეტ თავიან, მოკლე წიგნში ასახავს ცხრამეტ სასწაულს. მარკოზი ასახავს იესოს, როგორც თავმდაბალ მსახურს და არ გვთავაზობს გენეალოგიას ან ცნობას მისი დაბადების შესახებ. ის იესოს ზრდასრულ ასაკში მსახურებით იწყება.

მარკოზის სახარების ძირითადი მუხლი გვიჩვენებს იესოს მიწიერი მსახურების ორ ასპექტს. „რადგან ძე კაცისა იმისთვის როდი მოსულა, რომ მას ემსახურონ, არამედ იმისთვის, რომ თავად ემსახუროს და მრავალთა გამოსასყიდად მისცეს თავისი სული”[56] იესო მოვიდა, რათა ემსახურა და საკუთარი სიცოცხლე გაეღო მსხვერპლად.

- იესო ღმერთის ძე

მარკოზი იწყება იესოს ღვთაებრიობის აღიარებით: „დასაწყისი სახარებისა იესო ქრისტესი, ღვთის ძისა.”[57] ჯვართან რომაელი ასისთავი (ცენტურიონი) აღიარებს: "ჭეშმარიტად ღმერთის ძე იყო ეს კაცი”.[58]

მარკოზი აჩვენებს, რომ იესო მსახური იყო, მაგრამ ის ასევე გვაჩვენებს იესოს, როგორც ღვთის ძის, ძალაუფლებას. რომაელი მკითხველი ელოდა, რომ ღვთიური მმართველი ძალაუფლებას და ამ სამყაროზე ბატონობას გამოავლენდა. მარკოზი ამ ძალაუფლებას სხვადასხვა გზით ასახავს. თავის სახარებაში მარკოზმა მოიყვანა მოწმობები იესოს ღვთაებრიობის შესახებ:

- ნათლობისას მამა მოწმობს: “შენ ხარ ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მე მოვიწონე” [59]
- ეშმაკები სცნობენ იესოს, როგორც „ღვთის წმიდას.”[60]

---

[55] მარკ. 1:1
[56] მარკ. 10:45.
[57] მარკ. 1:1.
[58] მარკ. 15:39.
[59] მარკ. 1:11 და კვლავაც ფერისცვალებისას მარკ. 9:7-ში.
[60] მარკ. 1:24, 3:11, 5:7.

- იესო იყენებს ღვთისძალაუფლებას ცოდვების მიტევებისას[61] და აცხადებს თავის ძალაუფლებას შაბათზე.[62]
- იესოს სასწაულები ცხადყოფს მის ძალაუფლებას ბუნებაზე,[63] ავადმყოფობებზე,[64] და სიკვდილზეც კი.[65]

➡ მესიანური საიდუმლო

მარკოზის მიერ იესოს ღვთაებრიობის ხაზგასმის გათვალისწინებით, ზოგ მკითხველში შეცბუნებას და დაბნეულობას იწვევს სახარებაში დუმილის შენარჩუნების ხშირი მოთხოვნა. კვლავ და კვლავ, მათ, ვინც იესო მესიად სცნო, ეკრძალებათ ამაზე საუბარი. ეს ცნობილი გახდა, როგორც "მესიანური საიდუმლოება". არსებობს სამი გარემოება, როდესაც იესომ ბრძანა დუმილი:

- <u>დემონებს</u> ეკრძალებოდათ იესოს ღვთიურ ბუნებაზე საუბრი.[66] იესო ერიდებოდა დემონებთან ასოცირებას მაშინაც კი, როდესაც მათი მოწმობა ჭეშმარიტი იყო.

- <u>ადამიანებს, რომლებიც განიკურნენ</u> ხანდახან დუმილს უბრძანებდნენ.[67] ეს სავარაუდოდ იმისთვის კეთდებოდა, რომ თავიდან აერიდებინა ხალხმრავლობა, რომელიც ბრბოდ იკრიბებოდა, როდესაც იესოს მიერ განკურნების მსახურების შესახებ ამბავი საჯაროვდებოდა. როდესაც კეთროვანმა არ შეასრულა ეს ბრძანება და ისაუბრა იესოს ძალის შესახებ, იმდენი ხალხი შეიკრიბა, რომ „იესო ცხადად ვეღარ შედიოდა ქალაქში, არამედ გარეთ, უდაბურ ადგილებში იყო."[68] იესოს მიწიერი მსახურება მხოლოდ ფიზიკურ განკურნებას არ უკავშირდებოდა. მან არ დაუშვა ის, რომ შთამბეჭდავ განკურნებებს ჩაენაცვლებინათ ის ხანგრძლივი მსახურება, რისთვისაც ის მოვიდა – მოწაფეების განსწავლა და მომზადება სახარების გასავრცელებად და ეკლესიის აღსაშენებლად.

- როდესაც მოწაფეებმა საბოლოოდ გაიგეს, ვინ იყო იესო, მან უფლება არ მისცა მათ ელაპარაკათ ამის შესახებ.[69] ყველაზე სავარაუდო მიზეზი არის გაუგებრობის საშიშროება. მას შემდეგაც კი, რაც პეტრემ დაადასტურა, რომ იესო მესია იყო, მოწაფეებს ბოლომდე არ ესმოდათ, თუ რის გასაკეთებლად მოვიდა იესო.[70] ისინი მზად არ იყვნენ მისი სასუფევლის (სამეფოს) მოსვლის საქადაგებლად, ვიდრე მისი აღდგომა და ამაღლება არ იხილეს. მანამდე მოწაფეების ნებისმიერი განცხადება (მტკიცება/უწყება) დაბნეულობის გამომწვევი იქნებოდა.

---

[61] მარკ. 2:5.
[62] მარკ. 2:28.
[63] მარკ. 4:39 და 6:47-48.
[64] მარკ. 5:27-30 და 7:32-37, მაგალითად.
[65] მარკ. 5:38-42.
[66] მარკ. 1:34; 3:11-12.
[67] მარკ. 1:44; 5:43; და 7:36.
[68] მარკ. 1:45.
[69] მარკ. 8:29-30.
[70] მარკ. 9:9-10, 31-32.

მარკოზის სახარება დღევანდელ ეკლესიაში

იესოს მსახურებრივი ცხოვრების პრიორიტეტი, შეგვახსენებს, რომ როდესაც ჩვენ მსახურებისას ვპასუხობთ ქვეყნიერების ფიზიკურ და ემოციურ საჭიროებებს, გვეძლევა საშუალება მოვემსახუროთ მათ სულიერ საჭიროებებსაც. რომის იმპერიის ქრისტიანები თავიანთ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდნენ, რომ ჭირისგან დაზარალებულ ქალაქებში მომაკვდავებზე ეზრუნათ. შუა საუკუნეების ქრისტიანებმა დააარსეს საავადმყოფოები კეთროვანთა და ღარიბთა მომსახურებისთვის. დღეს ქრისტიანული ორგანიზაციები აცმევენ ობლებს, ინახულებენ პატიმრებს, აჭმევენ მშიერებს და უვლიან ავადმყოფებს. ჩვენი საზოგადოების ყველაზე გაჭირვებული ნაწილის მომსახურება ყოველთვის უნდა იყოს ეკლესიის მისიის ნაწილი. „რადგან ძე კაცისა იმისთვის როდი მოსულა, რომ მას ემსახურონ, არამედ იმისთვის, რომ თავად ემსახუროს...”[71]

ლუკა: ძე კაცისას სახარება

ლუკას სახარების შესავალი

ლუკას, როგორც ახალი აღთქმის ავტორის უფლებამოსილება მოდის პავლე მოციქულთან ასოცირების შედეგად. ლუკა იყო კარგად განათლებული წარმართი, ექიმი, რომელიც პავლესთან ერთად მოგზაურობდა და მასთან იყო პავლეს ცხოვრების ბოლოს. საქმეების წიგნის ნაწილებში ნაჩვენებია ლუკას თანამყოფობა; ლუკა გადადის "ისინი"-დან "ჩვენ"-ზე, როდესაც ის აღწერს მოვლენებს, როდესაც ის პავლესთან ერთად იმყოფებოდა.[72]

ლუკას სახარების თარიღი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საქმეთა წიგნთან მის კავშირზე. ლუკა იწყებს თხრობას, რომელიც საქმეთა წიგნში გრძელდება. საქმეების წიგნის დასკვნის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოციქულთა საქმეების წიგნი დაიწერა ნერონის დევნის დაწყებამდე ახ. წ. 64 წელს, ცოტა ხნით ადრე.[73] ეს გულისხმობს, რომ ლუკა სავარაუდოდ დაიწერა 50-იანი წლების ბოლოს ან 60-იანი წლების დასაწყისში.

ლუკას აუდიტორია და წერის მიზანი განსაზღვრულია პროლოგში.[74] ლუკა მწერს თეოფილეს, სავარაუდოდ რომაელ მოხელეს. საქმეები 1: 4 გულისხმობს, რომ თეოფილე ახალი ქრისტიანი იყო, რომელსაც "ასწავლიდნენ" იესოს ცხოვრების შესახებ. ახალმოქცეულებს, განსაკუთრებით წარმართებს, რამდენიმე თვის განმავლობაში ასწავლიდნენ იესოს ცხოვრებას, ქრისტიანის ახალ ცხოვრებას და ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრებებს. ლუკა წერდა, რათა სისტემატიზირებული ანგარიში გაეკეთებინა იმის შესახებ, რაც თეოფილეს შეასწავლა.

[71] მარკ. 10:45.
[72] საქმეების წიგნის მუხლები, სადაც ჩანს, ლუკას ჯგუფის წევრობა:16:10-17; 20:5-21:18; 27:1-28:16.
[73] საქმ. 28:30-ში, პავლე იყო შინაპატიმრობაში, მაგრამ მის სიცოცხლეს ჯერ არაფერი ემუქრებოდა.
[74] ლუკ. 1:1-4.

ლუკას სახარების შინაარსი

- *❓ რომელ დეტალებს უსვამს ხაზს ლუკა იესოს კაცის ბუნების საჩვენებლად?*

- იესო ძე კაცისა

ქალკედონის რწმენის სიმბოლო, შეიქმნა ახ.წ. 451 წელს, რათა გარკვეულიყო ეკლესიის სწავლება ქრისტეს ადამიანური ბუნების შესახებ. რწმენის სიმბოლოს თანახმად, ქრისტეს ორი ბუნება აქვს (ღვთიური და ადამიანური), რომელიც ერთ პიროვნებაშია გაერთიანებული: ”სრულყოფილი ღვთაებრიობასა და ასევე სრულყოფილი ადამიანურ ბუნებაში; ჭეშმარიტად ღმერთი და ჭეშმარიტად კაცი.”[75] ლუკა ნათელ სურათს გვაწვდის იესოს ადამიანურობის შესახებ, როგორც ”სრულყოფილი კაცის.”

ლუკა გვიჩვენებს, რომ იესო სრულყოფილად კაცი (ადამიანი) იყო. ის დეტალურად აღწერს იესოს დაბადებას.[76] მიუხედავად იმისა, რომ მისი ჩასახვა ზებუნებრივი იყო, იესო დაიბადა, როგორც ჩვეულებრივი ჩვილი. ის სრულად კაცი იყო.

მათეს გენეალოგია, რომელიც ძირითადად ებრაელებს ეხებოდა, აბრაამისგან იესოს წარმოშობას ასახავს. ლუკას გენეალოგიაში, რომელიც ბერძენი ადრესატისთვის დაიწერა და იესოს კაცის ძედ წარმოჩენს, იესოს წარმომავლობის ხაზს ადამამდე მივყავართ.[77]

ლუკას პირველი თავების თანმიმდევრობა ასახავს მის განზრახვას, წარმოაჩინოს იესო, როგორც "მეორე ადამი". იმის ნაცვლად, რომ გენეალოგიით დაიწყოს (მათ მსგავსად), ლუკა გენეალოგიას ნათლისღების ამბის შემდეგ გვაუწყებს. გენეალოგია მთავრდება „ძე ადამის, რომელიც იყო ძე ღვთისა.“ ამას მაშინვე მოსდევს იესოს ცდუნების ამბავი. პირველი ადამი (რომელიც ლამაზ ბაღში ცხოვრობდა) ცდუნდა, ცოდვაში ჩავარდა; მეორე ადამი (ორმოცი დღის განმავლობაში საკვების გარეშე დასუსტებულმა და უდაბნოში მარტო მყოფმა) გაუძლო ცდუნებას. როგორც კაცმა, იესომ მაგალითი მისცა ყველა მორწმუნეს, რომელიც ცდუნების წინაშე დგებაა. იესომ გვაჩვენა, რომ ჩვენ წინ უნდა აღვუდგეთ სატანის შემოტევებს წმიდა წერილის და სულიწმიდის ძალით (რომელსაც ლოცვის საშუალებით ვიღებთ).[78]

სახარების განმავლობაში ლუკა გვიჩვენებს იესოს დედამიწაზე ცხოვრების ფიზიკურ ასპექტებს: შიმშილი, ძილი და მისი ტანჯვა გეთსიმანიის ბაღში.[79] იესო სრულიად ადამიანი (კაცი) იყო.

---

[75] http://carm.org/christianity/creeds-and-confessions/chalcedonian-creed-451-ad
[76] ლუკ. 2.
[77] ლუკ. 3:23-38.
[78] ლუკ. 4:1-13.
[79] ლუკ. 22:44.

➡ იესო სამყაროს მხსნელი

ლუკას სახარება გვაჩვენებს, რომ იესო მოევლინა, როგორც *მთელი* კაცობრიობის მხსნელი. სიმონმა (სიმეონმა) თქვა იესოზე, რომ ის არის „სინათლე წარმართთათვის გასანათებლად.“[80]

ლუკას სურვილი წარმოეჩინა იესო მთელი მსოფლიოს მხსნელად გამოიხატება იმაში, რომ ის ყურადღებას ამახვილებდა მათზე, ვისაც არ ჰქონდა სოციალური სტატუსი. მათე გვიჩვენებს მოგვებს, აღმოსავლელ პატივცემულ მეცნიერებს, რომლებიც პატივს მიაგებენ იესოს დაბადებას და თაყვანს სცემენ მას; ლუკა მწყემსებზე მიუთითებს.[81] მწყემსებს არ ჰქონდათ სანდოობა, როგორც მოწმეებს; მათი ჩვენება არ იქნა მიღებული ებრაულ სასამართლოში. ლუკა მიუთითებს, რომ ანგელოზებმა მწყემსებს აუწყეს მოწმობა, რომ იესო ყველა ადამიანთა დასახსნელად მოვიდა.

ქალები, კიდევ ერთი ჯგუფი, რომელსაც იესოს დროს დაბალი სოციალური სტატუსი ჰქონდათ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ლუკას სახარებაში. წინასწარმეტყველი ქალი ანა ტაძარში მიძღვნის დღეს სიმეონის გვერდით დგას.[82] იესო უფლებას აძლევს მარიამს, „მის ფეხებთან იჯდეს“ მამაკაც მოწაფეებთან ერთად.[83] ჩვენდა გასაკვირად, ქალები იყვნენ იესოს მსახურების ფინანსური მხარდამჭერნი.[84]

დაბალი სოციალური სტატუსის მრავალი სხვა ჯგუფია წარმოდგენილი ლუკას სახარებაში. იესო სტუმრობს მებაჟე ზაქეს სახლს, რომელიც პირველი საუკუნის პალესტინაში ერთ – ერთი ყველაზე ნაკლებად პატივსაცემი ჯგუფის წარმომადგენელი იყო.[85] იესო მოგვითხრობს იგავს, რომლის გმირიც სამარიელია.[86] ჯვარზე იესო თანაგრძნობას უცხადებს ქურდს, რომელიც გასამართლების გარდა არაფერს იმსახურებს.[87]

➡ ლოცვის მნიშვნელობა

ლუკა გვიჩვენებს, რომ ლოცვა მნიშვნელოვანი იყო იესოს ცხოვრებაში. სახარებებში ხსენებულ იესოს თხუთმეტი ლოცვიდან, თერთმეტი გვხვდება ლუკაში. როდესაც უდიდესი მნიშვნელობის გადაწყვეტილების წინაშე დადგა, იესომ ღამე ლოცვას მიუძღვნა.[88] იესოს ორი მნიშვნელოვანი იგავი

---

[80] ლუკ. 2:32.
[81] ლუკ. 2:15-20.
[82] ლუკ. 2:36-38.
[83] ლუკ. 10:39.
[84] ლუკ. 8:1-3.
[85] ლუკ. 19:1-10.
[86] ლუკ. 10:25-37.
[87] ლუკ. 23:39-43.
[88] ლუკ. 6:12.

ლოცვაზე ლუკას 18 თავშია დაწერილი. ეს იგავები გვასწავლის ლოცვაში დაჟინებულობას და თავმდაბლობას.[89] ლოცვა მნიშვნელოვანი თემაა ლუკაში.

სულიწმიდის როლი

ლუკას სახარებაში დიდი ყურადღება ექცევა სულიწმიდის როლს იესოს ცხოვრებაში. ეს თემა გაგრძელდება საქმეების წიგნში, რადგან ლუკა გვიჩვენებს სულიწმიდის როლს ადრეულ ეკლესიაში.

სულიწმიდის როლი ჩანს მთელს ლუკას სახარებაში:

- იოანე ნათლისმცემელი, ელისაბედი და ზაქარია სულიწმიდით აღივსნენ.[90]
- სულიწმიდა გადმოვიდა მარიამზე იესოს ჩასხვისას.[91]
- სიმეონი სულიწმიდის მიერ იმართებოდა.[92]
- სული წმინდა გადმოვიდა იესოზე მისი ნათლობისას.[93]
- სულიწმიდამ გაიყვანა იესო უდაბნოში გამოსაცდელად.[94]
- სულიწმიდა იყო იესოზე, როდესაც ის დაბრუნდა გალილეაში მსახურებისთვის.[95]
- სულთმოფენის შესახებ წინასწარმეტყველებაში იესომ აღგვითქვა, რომ ყველა ვინც ითხოვს, მიიღებს სულიწმიდას.[96]

ლუკას სახარება დღევანდელ ეკლესიაში

დღევანდელი სკეპტიკური სამყაროსთვის ლუკას მიერ <u>დეტალებისადმი გულმოდგინედ ყურადღების გამახვილება</u> დამაჯერებელ მტკიცებულებებს იძლევა საღვთო წერილის ჭეშმარიტებაზე. ლუკა იესოს საჯარო მსახურების დასაწყისს ათავსებს კონტექსტში, რომელიც ამჟღავნებს მისი ისტორიის დეტალებს:

> ტიბერიუს კეისრის მეფობის მეთხუთმეტე წელს, როცა იუდეას პონტოელი პილატე განაგებდა, ჰეროდე გალილეას მეოთხედმთავარი იყო, მისი ძმა ფილიპე - იტირეასა და ტრაქონელთა ოლქის მეოთხედმთავარი, ხოლო ლისანისი - აბილინეს მეოთხედმთავარი. ანნასა და კაიაფას მღვდელმთავრობისას...”[97]

რადგან ქრისტეს წარვუდგენთ ეჭვებით სავსე სამყაროს, ჩვენ შეგვიძია დარწმუნებით და თავდაჯერებულად ვიქადაგოთ. ჩვენი რწმენა არ არის "ბრმა რწმენა" მითიური რელიგიური მოღვაწის

---

[89] ლუკ. 18:1-8 და 18:9-14.
[90] ლუკ. 1:15, 41, 67.
[91] ლუკ. 1:35.
[92] ლუკ. 2:25-27.
[93] ლუკ. 3:22.
[94] ლუკ. 4:1.
[95] ლუკ. 4:14.
[96] ლუკ. 11:13.
[97] ლუკ. 3:1-2.

მიმართ. ჩვენი რწმენა დაფუძნებულია ისტორიულ პიროვნებაზე, ღმერთის ხორცშესხმულ ძეზე, რომელიც ჩვენს შორის ცხოვრობდა, ჩვენი ცოდვების გამო მოკვდა, მესამე დღეს აღდგა და ზეცად ამაღლდა, სადაც ის მამის მარჯვნივ ზის.

<u>ლოცვის როლი იესოს ცხოვრებაში</u> წარმოადგენს მაგალითს ყველა ქრისტიანისთვის. თუ იესომ, რომელმაც ცოდვა არ იცოდა და მამასთან უახლოესი კავშირი ჰქონდა, ხედავდა ლოცვის მნიშვნელობას, მით უმეტეს ჩვენ, ლოცვა ცხოვრების პრიორიტეტად უნდა მივიჩნიოთ. მახარებელი ლეონარდ რეივენჰილი წერდა: "არავინ არ აღემატება მის ლოცვით ცხოვრებას. პასტორი, რომელიც არ ლოცულობს, თამაშობს..."[98]

და ბოლოს, ისევე, როგორც იესოს მსახურებაში ჰქონდა სულიწმიდას სასიცოცხლო მნიშვნელობა, სულიწმინდა უნდა იყოს უმთავრესი ეკლესიის ცხოვრებაში დღეს. ეკლესიის ისტორია ავლენს ორ საფრთხეს სულიწმიდასთან მიმართებაში. ერთი საშიშროებაა სულიწმინდის როლის ხაზგასმა სამების დანარჩენ პირთა საზიანოდ. როდესაც ეს ხდება, ქრისტიანები ეძებენ პირად მმართველობას, და არ ეძებენ, არ მიჰყვებიან ღვთის სიტყვის აშკარა მითითებებს.[99]

საპირისპირო საშიშროებაა სულიწმინდის როლის მინიმიზაცია ეკლესიაში. ა. ტოზერი გვაფრთხილებდა, რომ ეკლესიას შეუძლია დაუშვას „სულიწმიდის ძალის ჩანაცვლება იაფფასიანი სინთეზირებული ძალით"[100] უფრო მოგვიანებით ფრენსის ჩენმა გაგვაფრთხილა:

> "ეკლესია შეუსაბამო ხდება მაშინ, როდესაც სუფთად ადამიანური ქმნილება ხდება. ჩვენ არ ვართ ის, რადაც შევიქმენით, როდესაც ჩვენს ცხოვრებაში და ეკლესიებში ყველაფერი აიხსნება, ღვთის სულის მუშაობისა და თანდასწრების მიღმა."[101]

საქმეების წიგნი აჩვენებს სულიწმიდის მნიშვნელობას ეკლესიაში; ლუკა ცხადყოფს სულიწმინდის მნიშვნელობას ინდივიდუმის ცხოვრებაში. იესო მიწიერ მსახურებაში სულიწმინდის ხელმძღვანელობასა და ძალას ეყრდნობოდა; ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ რაიმე "იაფფასიანმა და სინთეზირებულმა ძალამ ჩაანაცვლოს სულიწმინდის ძალა" ეკლესიაში დღეს.

დასკვნა

თომას ლინაკრე იყო ოქსფორდის პროფესორი და მეფე ჰენრი VIII- ის პირადი ექიმი. სახარების პირველად წაკითხვის შემდეგ, მან დღიურში დაწერა, "ან ეს არ არის სახარება, ან ჩვენ არ ვართ ქრისტიანები." ლინაკრმა აღიარა, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანის ცხოვრებას იესო ქრისტე გარდაქმნის. როდესაც მან შეადარა თავისი და მის გარშემო მოღვაწე ქრისტიანთა ცხოვრება სახარებებში ნაჩვენები

---

[98] იხილეთ www.ravenhill.org.

[99] როდესაც იესო სულის მიერ გაყვანილი იყო უდაბნოში, ის ღვთის სიტყვას იყენებდა სატანის ცდუნების საპასუხოდ (ლუკ. 4).

[100] ა. ტოზერი. ღმერთი და ადამიანები.

[101] ფრენსის ჩენი *დავიწყებული ღმერთი: სულიწმინდის უგულებელყოფის უკუაგდება*

იესოს სურათს, ლინაკრე მიხვდა, “ჩვენ ვაღიარებთ, რომ ქრისტიანები ვართ, მაგრამ ჩვენ არ ვაჩვენებთ იესო ქრისტეს სახეს.”

დაწყებული სასუფევლის ქადაგებებიდან მათეს სახარებაში, მარკოზის მიერ იესოს გაჭირვებულთა მიმართ მსახურების ასახვით, ლუკას მიერ სულიწმიდაზე ყურადღების გამახვილებით დამთავრებული, სახარებები აღწერს იესო ქრისტეს მსახურებას. ამის წყალობით სახარებები გვაჩვენებს რას ნიშნავს იყო ქრისტიანი. სახარების კითხვისას საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ: „ვცხოვრობ თუ არა ისეთი ცხოვრებით, რომელიც ასახავს იესო ქრისტეს მადლს, რომელიც ცვლის სიცოცხლეს?”

გაკვეთილის დავალება

წარმოაჩინეთ ამ თავის თქვენ მიერ აღქმა (გაგება) შემდეგი დავალებების დახმარებით:

1) შემდეგი დავალებიდან აირჩიეთ ორი:

a. მოამზადეთ ქადაგება ან ბიბლიური გაკვეთილი იესოს ერთ-ერთ იგავზე. ეს შეიძლება იყოს 5-6 გვერდიანი ხელნაწერი ან დაწერილი ქადაგება ან გაკვეთილი.

b. მოამზადეთ ქადაგება ან ბიბლიური გაკვეთილი, ქრისტიანის ცხოვრებაში ჯვარცმის ან მკვდრეთით აღდგომის მნიშვნელობის შესახებ. ეს შეიძლება იყოს 5-6 გვერდიანი ხელნაწერი, ან ჩაწერილი ქადაგება ან გაკვეთილი.,.

c. მოამზადეთ ვნების კვირის ქრონოლოგია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლებისთვის. ეს შეიძლება იყოს ფურცელზე დატანილი ან კომპიუტერში გაკეთებული პრეზენტაცია. ვადები უნდა შეიცავდეს ვნების კვირის მთავარ მოვლენებს.

d. დახაზეთ პალესტინის რუკა, სადაც დატანილ იქნება თითოეული ქვემოთხსენებული რეგიონისა და ქალაქის ადგილმდებარეობა: იუდეა, გალილეა, სამარია, დეკაპოლისი, იერუსალიმი, ნაზარეთი, იერიქო და ფილიპეს კესარია.

2) გაიარეთ ტესტი ამ გაკვეთილის მასალაზე დაყრდნობით. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმინდა წერილიდან.

გავიღრმავოთ ცოდნა

სინოპტიკური სახარებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ შემდეგი რესურსები.

<u>ბეჭდური წყაროები</u>

დერელ ბოკი. *ბეიკერის ევზეგეტიკური კომენტარი ახალ აღთქმაზე: Luke* Baker, 1996.

დევიდ გარლანდი. *NIV აპლიკაციის კომენტარები: Mark* Zondervan, 1996.

რ. ფრანსი. *ახალი აღთქმის ახალი საერთაშორისო კომენტარი: Matt.* Eerdmans, 2007.

ა. რობერტსონი. სახარებების ჰარმონია. Harper, 1932.

ხელმისაწვდომია http://www.gutenberg.org/files/36264/36264-h/36264-h.htm

<u>ელექტრონული (ინტერნეტ) წყაროები</u>

„მარკოზის სახარება" http://www.seedbed.com/seven-minute-seminary/

"მათე და დიადი დავალება" http://www.seedbed.com/seven-minute-seminary/

დოქტორი რანდალ სმითი. "სახარებების შესავალი" http://www.youtube.com

ჯონ ვესლი. *ვესლის ახსნა-განმარტებები ახალი აღთქმის შესახებ.*

http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

გაკვეთილი 2 ტესტის საკითხები

1. რატომ ეწოდება პირველ სამ სახარებას სინოპტიკური სახარებები?

2. მოიყვანეთ სამი მტკიცებულება, რომ მათე ებრაელი აუდიტორიისთვის იყო განკუთვნილი.

3. ჩამოთვალეთ სამი ძირითადი თემა მათეს სახარებაში.

4. ჩამოთვალეთ სამი ძირითადი თემა მარკოზის სახარებაში.

5. ჩამოთვალეთ და განმარტეთ სამი აუდიტორია, რომლებიც დაკავშირებულია მესიანურ საიდუმლოსთან.

6. რა ვიცით თეოფილეს შესახებ? ლუკას შესახებ?

7. რას გვასწავლის ქალკედონის რწმენის სიმბოლო იესოს ბუნების შესახებ?

8. ჩამოთვალეთ ოთხი მთავარი თემა ლუკას სახარებაში.

9. ჩამოთვალეთ დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანებისთვის იესოს მსახურების სამი მაგალითი ლუკას სახარებიდან.

10. ჩამოთვალეთ სულიწმიდის მოქმედების სამი მაგალითი იესოს მიწიერი ცხოვრების განმავლობაში.

გაკვეთილი 3

იოანე: რწმენის სახარება

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

(1) შეძლოს იოანეს სახარების სინოპტიკური სახარებებთან შეპირისპირება და განსხვავება.

(2) იცოდეს იოანეს სახარების ავტორი, თარიღი და ისტორიული გარემო.

(3) ამოიცნოს იოანეს სახარების თემა და მიზანი.

(4) აფასებდეს და კარგად ათვითცნობიერებეს ორივეს, იესოს ადამიანურ და ღვთიურ ბუნებას.

(5) უკავშირებდეს იოანეს გზავნილს, ანუ სათქმელს დღევანდელი მსოფლიოს საჭიროებებს.

(6) იყენებდეს გაკვეთილის შინაარსს მსახურებაში.

გაკვეთილი

წაიკითხეთ: იოანეს სახარება

დაიზეპირეთ: იოანე 20:30-31

- *რას ნიშნავს „გწამდეს?“ როგორ მოქმედებს ჭეშმარიტი რწმენა ჩვენს ცხოვრებაზე?*

“ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე. რადგან იმიტომ კი არ მოავლინა ღმერთმა თავისი ძე ქვეყნად, რომ განეკითხა წუთისოფელი; არამედ მის მიერ გადარჩენილიყო იგი. ვისაც სწამს იგი, არ განიკითხება, ხოლო ვისაც არ სწამს, უკვე მსჯავრდადებულია, რადგან არ ირწმუნა ღმერთის მხოლოდშობილი ძის სახელი.”[102]

ეს არის საღვთო წერილის რამდენიმე ყველაზე ნაცნობი სიტყვა. ეს სიტყვები გვპირდებიან, რომ ვისაც სჯერა, სწამს იესოსი, მას საუკუნო სიცოცხლე ექნება. ამასთანავე ეს საღვთო წერილის ყველაზე ხშირად არასწორად გამოყენებული სიტყვებია. "მხოლოდ ირწმუნე" ხშირად არასწორად არის ხოლმე განმარტებული თითქოს ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ რწმენის აღიარებაა საჭირო და საკმარისი და მოქცევა არ გულისხმობს ცხოვრების ცვლილებას. იოანე გვიჩვენებს, რომ რწმენა გაცილებით მეტია,

[102] იხ. 3:16-18.

ვიდრე გონებრივი თანხმობა. სიტყვა "მწამს", რომელიც გულით არის ნათქვამი, შეცვლის თქვენს ცხოვრებას. ჭეშმარიტ რწმენას მოაქვს ადამიანის ნების შეცვლა და ქცევის ცვლილება.

იოანეს სახარების ფონი (წინაპირობა)

ავტორი, თარიღი და ადგილი

იოანე,ზებედეს ძე, გახლდათ სახარების ავტორი. იგნატე ანტიოქიელი, იუსტინე მოწამე, პოლიკარპე და ირინეუსი ყველა მათგანი მოწმობდნენ, რომ იოანე იყო ამ სახარების ავტორი.

იოანე, თავის ძმასთან იაკობთან და პეტრესთან ერთად იესოს „შიდა წრეს“ წარმოადგენდა. მხოლოდ ისინი იყვნენ მოწაფეთაგან ოთახში, როდესაც იესომ მკვდრეთით აღადგინა გარდაცვლილი გოგონა.[103] ისინი იყვნენ იესოსთან ფერისცვალების მთასა და გეთსიმანიის ბაღში.[104]

იოანე იყო გავლენიანი ლიდერი (მოძღვარი) ეკლესიაში. მხოლოდ პავლემ დაწერა იოანეზე მეტი წიგნი ახალ აღთქმაში. იოანემ დაწერა სახარება, სამი ეპისტოლე (წერილი) და გამოცხადება.

გადმოცემის თანახმად, იოანე ეფესოში ცხოვრობდა. დომიციანეს მეფობის დროს იოანე გადაასახლეს პატმოსზე, სადაც მან დაწერა გამოცხადების წიგნი. შემდეგ იგი დაბრუნდა ეფესოში და იქ გარდაიცვალა თითქმის 100 წლის ასაკში. იოანეს სახარება სავარაუდოდ ეფესოში დაიწერა. ის ჩვეულებრივ თარიღდება ახ. წ. 85–95 წლებით, სახარებებს შორის ყველაზე გვიან დაიწერა.

მიზანი

იოანეს სახარება მკვეთრად განსხვავდება სინოპტიკური სახარებისგან. იოანე არ შეიცავს იესოს მიერ დემონების განდევნის ამბებს, მასში არ არის იგავები და მარკოზისგან განსხვავებით, არ შეიცავს „მესიანურ საიდუმლოს.“

მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა ავტორმა აღნიშნა განსხვავებები იოანესა და სინოპტიკური სახარებებს შორის, მნიშვნელოვანია დავინახოთ მსგავსებაც. იოანე არ ქადაგებს სხვა მოციქულებისგან განსხვავებულ სახარებას. ის იესოს ცხოვრებაის განსხვავებულ პერსპექტივით წარმოგვიდგენს, მაგრამ მისი გზავნილი იგივეა, რაც სხვა მახარებლების. იოანე გვაჩვენებს, რომ იესო არის ძე ღვთისა, რომელიც ჩვენს შორის ცხოვრობდა, ჯვარს აცვეს ჩვენი ცოდვების გამო და მკვდრეთით აღდგა მესამე დღეს. იოანეს მიერ წარმოდგენილი მიზანი არის იესოს ღვთაებრიობის მტკიცებულებათა აღრიცხვა.

იესოსთან დაკავშირებული ორი ადრეული ერესი არსებობდა. ერთი უარყოფდა მის სრულფასოვან ადამიანურ ბინებას და ამტკიცებდა, რომ მხოლოდ შესახედაობით გავდა ადამიანს. ლუკა ლაპარაკობდა ამ შეცდომაზე, და აღწერა იესო, როგორც სრულყოფილი ადამიანი, კაცი. მეორე ერესი

[103] მარკ. 5:37-42.
[104] მათ. 17:1-9 და მარკ. 14:32-36.

უარყოფდა მის ღვთაებრიობას და ამტკიცებდა, რომ ის იყო დიდი მოძღვარი, მაგრამ არა ძე ღვთისა. იოანე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იესოს ღვთაებრიობას მთელი რიგი სასწაულების აღწერით, რომლებიც მას ღმერთის ძედ აცხადებს და მის სიტყვების გადმოცემით, რომლებიც წარმოაჩენს მას, რომ ის არის სიტყვა, რომელიც გახდა ხორცი. იოანეს სახარების მიზანი იყო "რათა ირწმუნოთ, რომ იესო არის ქრისტე, ძე ღვთისა, და, რათა მორწმუნეებს გქონდეთ სიცოცხლე მისი სახელით.."[105]

იოანეს სახარების შინაარსი

პროლოგი (იოანე 1:1-18)

<u>იესოს ებრაელთა მეფედ</u> წარსადგენად ებრაული აუდიტორიის წინაშე, მათემ გამოიკვლია და წარმოადგინა იესოს გენეალოგია დავითის გავლით აბრაამამდე. <u>იესოს მსახურად</u> რომაული აუდიტორიისთვის წარდგენისას, მარკოზმა არ ჩართო თავის სახარებაში გენიალოგია. <u>იესოს, როგორც ძე კაცისას</u> წარდგენისას ბერძნული აუდიტორიის წინაშე, ლუკა მიჰყვა იესოს გენიალოგიის ხაზს ადამამდე, პირველ კაცამდე. <u>იესოს, ძე ღვთისას</u> წარდგენისას, იოანე იწყებს იმით, რასაც შესაძლოა ეწოდოს „ღვთიური გენიალოგია."

> „დასაწყისში იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი. ის იყო დასაწყისში ღმერთთან. ყოველივე მის მიერ შეიქმნა და უიმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა."[106]

იოანეს სახარება იწყება დრამატული მტკიცებით, რომ იესო იყო „სიტყვა" და „სიტყვა იყო ღმერთი." ის წერს: "სიტყვა ხორცი იქმნა და დაემკვიდრა ჩვენს შორის, მადლითა და ჭეშმარიტებით აღსავსე. და ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება, როგორც დიდება მამისაგან მხოლოდშობილისა."[107] სახარების დანარჩენი ნაწილი წარმოადგენს ამ განაცხადის დამადასტურებელ მტკიცებულებებს.

ნიშნების წიგნი (იოანე 1-12)

> ◆ *როგორ წარმოაჩენს თითოეული სასწაული იოანეს სახარებაში იესოს ღვთაებრიობას?*

იოანეს სახარების პირველ ნაწილს ხშირად უწოდებენ „ნიშნების წიგნს." ამ მონაკვეთში იოანე აღწერს შვიდ სასწაულს, რომლებიც გვიჩვენებს იესოს ღვთიურ ძალას. როდესაც მან კანაში ქორწილზე წყალი ღვინოდ აქცია, იესომ თავის მოწაფეებს საკუთარი თავი გამოუცხადა. "ასე დაიწყო იესომ სასწაულების მოხდენა გალილეის კანაში და გამოავლინა თავისი დიდება. და ირწმუნეს მისმა მოწაფეებმა."[108]

---

[105] ინ. 20:31.
[106] ინ. 1:1-3.
[107] ინ. 1:14.
[108] ინ. 2:11.

კანაში მოხდენილი სასწაული იყო შვიდი სასწაულებრივი ნიშნის სერიიდან პირველი იოანეს 1-12-ში. დანარჩენი ექვსი ნიშანია:

> სასწაული უფრო მეტია, ვიდრე მოვლენა, რომლის ახსნაც არ შეგვიძლია. სასწაული მოიცავს "ზებუნებრივ ჩარევას ბუნებაში ან მოვლენათა მსვლელობაში. ეკლესიის ისტორიაში სასწაულები განიხილებოდა არა მხოლოდ როგორც ღვთის მადლის არაჩვეულებრივი გამოვლინება, არამედ როგორც ღვთის დამოწმება პიროვნებაზე, ან იმის სწავლებაზე, ვინც სასწაულებს ახდენს." ამიტომაც იოანე იყენებს ტერმინს "ნიშანი" იესოს სასწაულების აღსაწერად. (განმარტება სინკლერ ფერგიუსონის და ჯ. პაკერის, თეოლოგიის ახალი ლექსიკონი-დან, 1988).

- კაპერნაუმში მოხელის ვაჟის განკურნება (4:46-54)
- პარალიზებულის (დავრდომილის) განკურნება ბეთ-ხაზდაში (5:1-18)
- 5000-ს გამოკვება (6:5-14)[109]
- წყალზე სიარული (6:16-24)
- ბრმადშობილის განკურნება (9:1-7)
- ლაზარეს აღდგინება მკვდრეთით (11:1-45)

ყოველი სასწაული წარმოაჩენდა იესოს ღმერთის ძედ. იოანე იყენებს ტერმინს „ნიშნები," იესოს სასწაულების აღსაწერად. სასწაულები მიანიშნებდნენ, რომ იესო იყო ღმერთის ძე. როგორც აეროპორტამდე მისასვლელად ან გზის საპოვნელად მივყვებით ნიშნებს, ასევე იოანე მოგვიწოდებს მივყვეთ იესოს სასწაულებს, რათა აღმოვაჩინოთ მისი ღვთიური ბუნება.[110] იესოს ბოლო სასწაული. ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება, მხოლოდ იოანეს სახარებაშია აღწერილი და ამ სახარების პირველი ნაწილის კულმინაციას წარმოადგენს. ამ სასწაულმა უშუალოდ გამოიწვია საბოლოო დაპირისპირება იესოსა და რელიგიურ ლიდერებს შორის. იმის გამო, რომ მრავალი იუდეველი ამ უდაო სასწაულის შედეგად იესოსკენ მობრუნდა, ლიდერებმა გადაწყვიტეს მოეკლათ ორივე, იესოც და ლაზარეც.[111]

შვიდი სასწაულის გარდა, იოანემ დაწერა იესოს მთელი რიგი გამონათქვამები, რომლებიც მოწმობს მის ღვთაებრიობრიობაზე. თუ მარკოზი ახსენებს შემთხვევებს, როდესაც იესომ აუკრძალა მოწაფეებს მასზე დამოწმება, რომ ის მესია იყო, იოანე აღნიშნავს შემთხვევებს, როდესაც იესომ სხვებს გამოუცხადა თავისი ბუნება. იოანეში დაწერილი მოწმობები მოიცავს:

- იესოს დამოწმება ნიკოდემოსთან (3:1-21)
- იესოს დამოწმება სამარიტელ ქალთან (4:1-41)[112]
- იესოს დამოწმება კაცის განკურნების სემდეგ ბეთ-ხაზდაში (5:17-18)
- იესოს დამოწმება 5000-ის დაპურების შემდეგ (6:24-59)
- იესოს დამოწმება კარვების დღესასწაულზე (7:14-44)
- იესოს დამოწმება რომ "ვიდრე აბრაამი იქნებოდა, მე ვარ" (8:52-59)
- იესოს დამოწმება მიძღვნის დღესასწაულზე (10:22-38)

---

[109] ეს ერთადერთი სასწაულია, რომელიც ოთხივე სახარებაშია გადმოცემული.
[110] http://www.probe.org/site/c.fdKEIMNsEoG/b.4222629/k.EE2A/What_is_a_Biblical_Definition_of_Miracle.htm
[111] იხ. 11:45-53 და 12:9-11.
[112] იხ. 4:25-26.

ბოლო წლების განმავლობაში სკეპტიკოსები კამათობენ იმის თაობაზე, თითქოს იესო არ ამტკიცებდა, რომ იგი ღმერთია. იოანე გვიჩვენებს, რომ იესო არაერთხელ მოწმობდა საკუთარ ღვთაებრიობაზე. იესოს მსმენელებმა შესანიშნავად იცოდნენ, რას გულისხმობდა ის, როდესაც თქვა: „სანამ აბრაამი იქნებოდა, მე ვარ.“[113] ეს ის სიტყვებია, რომლებიც ღმერთმა გამოიყენა მოსესთვის თავის გამოსავლენად: ”მე ვარ ის, ვინც ვარ”.[114] მათ, ვინც უსმენდა იესოს, იცოდნენ რას გულისხმობდა; ისინი ცდილობდნენ მის ჩაქოლვას, სასჯელი ღვთის გმობისთვის (მკრეხელობისთვის).[115] ისინი არ ცდილობდნენ იესოს მოკვლას, იმის გამო, რომ ის დიდი მოძღვარი და მკურნალი იყო; მათ მისი მოკვლა იმის გამო უნდოდათ, რომ ის საკუთარ თავს ღმერთად აცხადებდა. ჩვენ შეგვიძლია უარვყოთ იესოს პრეტენზია ღვთაებრიობაზე, მაგრამ არ შეგვიძლია უარვყოთ, რომ ის ამ განცხადებას აკეთებდა.

> ... ხალხი ხშირად ამბობს: ”მე მზად ვარ მივიღო იესო, როგორც დიდი ზნეობრივი მოძღვარი, მაგრამ არ ვეთანხმები მის ღმერთად თავის გამოცხადებას.’ ეს ისეთი რამ არის, რაც არ უნდა ითქვას. კაცი, რომელიც ამბობდა ისეთ რამეს, რასაც იესო ამბობდა, ვერ იქნებოდა მაღალზნეობრიობის მქონე მოძღვარი. ის ან გიჟი უნდა ყოფილიყო, ან ეშმაკი ჯოჯოხეთიდან. თქვენ უნდა გააკეთოთ თქვენი არჩევანი.... შეგიძლიათ მიიჩნიოთ ის სულელად დაგააჩუმოთ, თქვენ შეგიძლიათ ... მოკლათ ის, როგორც დემონი; ან მის ფეხებთან უნდა დაეცეთ და უწოდოთ მას უფალი და ღმერთი. ოღონდ მედიდურად ნუ დავიწყებთ უაზრობის ჩმახვას, რომ ის კაცობრიობის უდიდესი მასწავლებელი იყო. მას ეს ღიად არ დაუტოვებია ჩვენთვის.
> -კლაივ ლუისი, *მხოლოდ ქრისტიანობა*

დიდების წიგნი (იოანე 13-20)

მოწაფეები ფიქრობდნენ იესოს დიდებაზე სამხედრო გამარჯვების, პოლიტიკური ძალაუფლებისა და პოპულარობის თვალსაზრისით. მიწიერი მსახურების ბოლო კვირის განმავლობაში იესომ აჩვენა, რომ მისი დიდება ჯვარს და თავგანწირვას გულისხმობდა.

საიდუმლო სერობაზე იესომ გამოავლინა თავმდაბლობა, რომლითაც მისი მიმდევრები ერთმანეთს უნდა ემსახურებოდნენ.[116] თავის ბოლო საუბრებში იესო ასწავლიდა ნუგეშისმცემლის შესახებ, რომელიც „თქვენთან სამუდამოდ დარჩება.”[117] ვაზისა და ლერწების მეტაფორით, ის ასწავლიდა მასში მუდმივად დარჩენის აუცილებლობას.”[118] ეს მაგალითები პოლიტიკურ და სამხედრო ძალის საწინააღმდეგო იყო; ამის ნაცვლად, იესოს გზა იყო საკუთარი თავის დათმობა და თავმდაბლობა.

---

[113] ინ. 8:58.
[114] გამოს. 3:14.
[115] ინ. 8:59.
[116] ინ. 13.
[117] ინ. 14:16.
[118] ინ. 15:6.

„მღვდელმთავრის ლოცვაში“ იესო ლოცულობდა ისეთ საკითხებზე, რომელიც მის გულს ეხებოდა. ჯვარცმის წინ იესო ლოცულობდა:

- საკუთარ თავზე: რათა ის განდიდებულიყო მამაში (17:1-8)
- მოწაფეებისთვის: მათ დაცვასა და განწმენდისთვის (17:9-19)
- ყველა მორწმუნესთვის: რომ მათი ერთიანობა მოწმობა ყოფილიყო ქვეყნიერებისთვის (17:20-26)

იოანემ დაწერა იესოს ჯვარცმის და აღდგომის შესახებ. იოანეს სახარების დასაწყისში იესომ უთხრა ნიკოდემოსს, რომ “როგორც მოსემ აღამაღლა გველი უდაბნოში, ასევე უნდა ამაღლდეს ძე კაცისა. რათა არც ერთი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე.”[119] მოგვიანებით, იესო ლაპარაკობდა, თუ როგორ უნდა მომკვდარიყო: „და როცა ავმაღლდები მიწიდან, ყველას ჩემთან მივიზიდავ.”[120] იოანე გვიჩვენებს, რომ ჯვარზე კაცის ძე "ამაღლდა", რათა "ყველა ადამიანი მიეზიდა" თავისკენ, რათა ისინი "არ დაიღუპონ, არამედ ჰქონდეთ საუკუნო სიცოცხლე." ეს იყო მიზანი, რომლისკენაც მიმართული იყო იესოს მთელი ცხოვრება. ეს ის დიდება იყო, რისთვისაც ის სამყაროში მოვიდა.

იოანე ამ ნაწილს ასრულებს თომას მოწმობით: “უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!”[121] იესოს დიდება ახლა ამ ყველაზე სკეპტიკურად განწყობილი მოწაფისთვისაც კი ცხადი გახდა. იესოს აღდგომის გარდამქმნელი ძალის დანახვა შეგვიძლია ვნახოთ თომას შემდგომ ცხოვრებაში; ის მეწამობრივად აღესრულა (გარდაიცვალა) ინდოეთში სახარების გავრცელებისას.

ეპილოგი (იოანე 21)

იოანეს ბოლო თავში მოთხრობილია როგორ გამოეცხადა იესო მოწაფეების ჯგუფს გალილეის ზღვაზე.[122] დასასრულს, იოანე ადასტურებს მისი ამბის ჭეშმარიტებას; “ეს არის ის მოწაფე, რომელიც ამოწმებს ამას და რომელმაც დაწერა ეს. და ვიცით, რომ მისი მოწმობა ჭეშმარიტია.”[123]

იოანეს სახარება დღევანდელ ეკლესიაში

იოანე წარმოაჩენს იესოს ღვთიურ ბუნებას ახალმოქცეულთათვის. იესოს ნათლად და მარტივად წარდგენის გამო, პასტორები ხშირად მოუწოდებენ ახალ მორწმუნეებს, წაიკითხონ იოანეს სახარება. იოანეს სახარებაში ჩვენ ვხედავთ იესოს, როგორც “სიცოცხლის პურს” (6:35), “წუთისოფლის

[119] ინ. 3:14-15.
[120] ინ. 12:32.
[121] ინ. 20:28.
[122] ინ. 21:1. ინ. გალილეის ზღვას ალტერნატიული სახელით, ტიბერიის ზღვას მოიხსენიებს. ტიბერია გალილეის დედაქალაქი იყო.
[123] ინ. 21:24.

სინათლეს” (8:12), “კეთილ მწყემსს” (10:11); “აღდგომას და სიციცხლეს” (11:25), და “გზას, ჭეშმარიტებას და სიცოცხლეს“ (14:6).

სკეპტიკური სამყაროსთვის იოანე იესოს, როგორც ღვთის ძის, გვაჩვენებს. იოანეს სახარებაში სასწაულები მიმართულია მათზე, ვინც მძლავრ ნიშნებს ეძებენ, რომლებიც დაადასტურებდნენ იესოს მტკიცებას, რომ ის ღმერთია. სასწაულების წყალობით, იესომ აჩვენა, რომ ის უბრალოდ კი არ ამბობდა, რომ ის იყო "მე ვარ," არამედ მისი ღვთიური ძალაც მოწმობდა ამაზე.[124]

თანამედროვე ეკლესიას, რომელიც "იაფ მადლს" ქადაგებს ჭეშმარიტი მოწაფეობისკენ მოწოდების გარეშე,[125] იოანეს სახარება უჩვენებს რწმენის ჭეშმარიტ მნიშვნელობას. ჭეშმარიტი რწმენა გარდაქმნის ქრისტიანის ცხოვრებას. მას შემდეგ, რაც მოისმინეს იესოს განმარტება „სიცოცხლის პურის“ მნიშვნელობის შესახებ, „ბევრი მისი მოწაფეთაგანი გაბრუნდა უკან და აღარ მისდევდა მას.”[126] ეს მიმდევრები ირწმუნებოდნენ, რომ მათ "სწამდათ" იესო. ისინი მას გაჰყვნენ; ტკბებოდნენ პურითა და თევზით; მაგრამ მათ არ ჰქონდათ ჭეშმარიტი რწმენა. ისინი არ იცავდნენ თავიანთ აღიარებულ რწმენას იესოს მოთხოვნებისადმი მორჩილებით. იოანეს სახარება გვასწავლის ჭეშმარიტი რწმენის მნიშვნელობას.

> “ვინც მე მომყვება, სიბნელეში არ დადის,” ამბობს უფალი. ამ სიტყვით მოცემული გვაქვს რჩევა მივბაძოთ მის ცხოვრებას და ჩვევებს, თუ ნამდვილად გვსურს განვთავისუფლდეთ გულის ყოველგვარი სიბრმავისგან. ამიტომ ჩვენი მთავარი ძალისხმევა უნდა იყოს იესო ქრისტეს ცხოვრების შესწავლაზე მიმართული.
>
> თომას კემპისი,
> ქრისტეს მიბაძვა.

[124] იხ. 8:58.

[125] ტერმინი “იაფი მადლი” დამკვიდრდა: დიტრიხ ბონჰოფერის, *„მოწაფეობის საფასური“*- დან.

[126] იხ. 6:66.

დასკვნა

იოანეს სახარება გვიჩვენებს, რომ ჭეშმარიტი რწმენა ცვლის მორწმუნის ცხოვრებას; ეს შეიძლება მორწმუნის სიცოცხლედაც კი დაუჯდეს. დიტრიხ ბონჰოფერი „იაფ მადლს“ უპირისპირებს "ძვირფას მადლს". მან დაწერა: ”როდესაც ქრისტე ეძახის კაცს, სთავაზობს, მოვიდეს და მოკვდეს.”[127] ამ ტიპის ჭეშმარიტი რწმენა ჩანს მეორე საუკუნის მოწამის, პოლიკარპეს ცხოვრებაში.

პოლიკარპე, მოციქულ იოანეს მოწაფე იყო. ის ისმენდა იოანეს სწავლებას და უსმენდა იოანეს მოგონებებს იესოს ცხოვრების შესახებ. 86 წლის ასაკში პოლიკარპე დააპატიმრეს. ოფიცრებს არ სურდათ ასეთი პატივსაცემი მოხუცის სიკვდილით დასჯა და მას სიცოცხლის გადარჩენის შანსი შესთავაზეს, რომ უარი ეთქვა რწმენაზე და დაეფიცა, რომ "კეისარი უფალია". მოსამართლემ უთხრა: "დადე ფიცი და გაგიშვებ." პოლიკარპეს პასუხი საუკუნეების განმავლობაში ჟღერს, როგორც ჭეშმარიტი რწმენის მნიშვნელობის მოწმობა: “ოთხმოცდაექვსი წელი ვიყავი მისი მსახური და მან არაფერი დამიშავა. როგორ შემიძლია დავგმო ჩემი მეფე, რომელმაც გადამარჩინა?”[128] პოლიკარპემ ისწავლა თავისი მასწავლებლის იოანეს გაკვეთილები. მან იცოდა, რომ ჭეშმარიტი რწმენა გარდაქმნის მორწმუნეს, სიკვდილამდეც კი.

[127] დიტრიხ ბონჰოფერი, მოწაფეობის *საფასური.* Trans. R.H. Fuller. Touchstone, 1995. pg. 89.
[128] პოლიკარპეს მეწამეობის ამბავი იხილეთ აქ http://www.ccel.org/ccel/richardson/fathers.vii.i.iii.html

გაკვეთილის დავალება

წარმოაჩინეთ თქვენ მიერ ამ გაკვეთილის აღქმა (გაგება) შემდეგი დავალებების დახმარებით:

1) იოანეს სახარების წაკითხვისას აწარმოეთ დღიური, რომელშიც თქვენს გამოძახილს ჩაწერთ იესოს წარდგენაზე ყოველ შემდგომ თავში. მაგალითად შეგიძლიათ დაწეროთ თქვენი მოსაზრება 1 თავზე, სადაც იესო წარდგენილია როგორც მარადიული „სიტყვა.“ რას ნიშნავს ეს შენთვის, როგორც ქრისტიანისთვის? როგორ მოქმედებს იესოს მარადიული ბუნება თქვენს, როგორც მისი შვილის, რწმენაზე და ნდობაზე?

2) გაიარეთ ტესტი ამ გაკვეთილის მასალაზე დაყრდნობით. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმინდა წერილიდან.

გავიღრმავოთ ცოდნა

იოანეს სახარებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ შემდეგი რესურსები.

<u>ბეჭდური წყაროები</u>

ფ. ბრიუსი. *იოანეს სახარება.* Eerdmans, 1994.

ლეონ მორისი. *ახალი აღთქმის ახალი საერთაშორისო კომენტარი: იოანე.* Eerdmans, 1995.

ა. რობერტსონი *სახარებების ჰარმონია.* Harper, 1932.

ხელმისაწვდომიაhttp://www.gutenberg.org/files/36264/36264-h/36264-h.htm

<u>ელექტრონული (ინტერნეტ) წყაროები</u>

ჯონ ვესლი. *ვესლის ახსნა-განმარტებები ახალი აღთქმის შესახებ.*

http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

გაკვეთილი 3 ტესტის საკითხები

1. რატომ არის განსაკუთრებული მნიშვნელობის პოლიკარპეს მოწმობა იოანეს ავტორობის შესახებ?

2. რა იყო იოანეს მიზანი მისი სახარების დაწერისას?

3. როგორ იკითხება ეს მიზანი იოანეს სახარებაში შეტანილ მასალაში?

4. რას გვიჩვენებს იოანეს პროლოგი იესოს გენეალოგიის შესახებ?

5. ჩამოთვალეთ შვიდი „ნიშანი“ იოანეს სახარებიდან.

6. მოიყვანეთ სამი მაგალითი, სადაც იესო ამოწმებს მის ღვთაებრიობაზე.

7. როგორ მოიქცნენ ებრაელი ლიდერები იესოს მტკიცებაზე, რომ ის ღმერთი იყო?

8. რომელ სამ საკითხზე ლოცულობდა იესო "მღვდელმთავრის ლოცვაში"?

გაკვეთილი 4

მოციქულთა საქმეები და ადრეული ეკლესია

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

(1) ესმოდეს ადრეული ეკლესიის გეოგრაფიული და ისტორიული ფონი (წინაპირობა).

(2) იცოდეს საქმეების წიგნის ავტორი და თარიღი.

(3) ამოიცნოს საქმეების მიზანი და მნიშვნელოვანი თემები.

(4) თვალი მიადევნოს სახარების გავრცელებას იერუსალიმიდან მთელს რომის იმპერიაში.

(5) ესმოდეს განსხვავება საქმეებში მოყვანილ დანიშნულ(ინსტრუქციის, დირექტივის სახით მოცემულ) და აღწერილ სწავლებებს შორის.

(6) შეიძინოს საერთო წარმოდგენა პავლეს მსახურების შესახებ.

(7) დაუკავშიროს საქმეების გზავნილი დღევანდელი მსოფლიოს საჭიროებებს.

გაკვეთილი

წაიკითხეთ: მოციქულთა საქმეების წიგნი

დაიზეპირეთ: საქმ. 1:7-8

ძველ აღთქმაში, იესო ნავეს ძეს წიგნში ნაჩვენებია ისრაელის გადასვლა უდაბნოში ცხოვრებიდან ქანაანის ცხოვრებაში და მოსეს წინამძოლობიდან იესო ნავესძეს წინამძღოლობაზე. იესო ნავეს ძეს წიგნი ასახავს მნიშვნელოვან გადასვლას ღვთის ხალხის, ისრაელის ისტორიაში.

ახალ აღთქმაში, საქმეების წიგნში ნაჩვენებია იესოს მიწიერი მსახურებიდან გადასვლა სულიწმიდის სულიერ მსახურებაზე ეკლესიის მეშვეობით. მასში „ფოკუსი“ (ყურადღება) იესოს საქმეებიდან, მოციქულთა საქმეებზე გადადის. საქმეების წიგნი ასახავს მნიშვნელოვან გადასვლას ღვთის ხალხის, ეკლესიის ისტორიაში.

იესო ნავეს ძეს წიგნში ნაჩვენებია ნაწილობრივ წარმატებული გადასვლა. წიგნის ბოლოს ისრაელის ხალხმა ერთგულება აღუთქვა ღმერთს.[129] თუმცა, ქანაანელები ბოლომდე დამარცხებული არ არიან. შემდეგი თაობის ისრაელი ქანაანელ ღმერთებს სცემს თაყვანს.[130]

საქმეები გვიჩვენებს ბევრად უფრო წარმატებულ გადასვლას. დიადი დავალება, რომელიც ხსნის წიგნს, შესრულდა წიგნის ბოლოს.[131] საქმეებები იწყება იერუსალიმის ცენტრში მდებარე ებრაულ ეკლესიაში; ის მთავრდება მულტიკულტურული ეკლესიით, რომელიც ანტიოქიაში მდებარეობს. საქმეები იწყება იერუსალიმში და სრულდება რომში. საქმეები იწყება პეტრეთი, რომელიც იესოს ურთიერთობების „შიდა წრეს“ განეკუთვნებოდა, წინა პლანზე; ის სრულდება პავლეთი, ეკლესიის ყოფილი მდევნელით, წინა პლანზე.

ადრეული ეკლესიის სამყარო

1 გაკვეთილში წარმოდგენილია ახალი აღთქმის სამყაროს მიმოხილვა. ამ გაკვეთილის მიმოხილვა განგიახლებთ მეხსიერებას საქმეების შესასწავლად. ზოგიერთი დამატებითი ფაქტი მნიშვნელოვანია რომის იმპერიაში ადრეული ეკლესიის გავრცელების გასაგებად.

- *გეოგრაფია.* საქმეების აქცენტი პალესტინიდან რომის იმპერიის ფართო სამყაროზე გადადის. გთხოვთ, გამოყოთ დრო, რომ ნახოთ რუქა თქვენს ბიბლიაში ან ბიბლიურ ატლასში.[132] ყურადღება მიაქციეთ საქმეებში ნახსენებ შემდეგ მნიშვნელოვან ადგილებს:
  - *ანტიოქია* სირიის პროვინციაში: ქრისტიანული ურთიერთობის ცენტრი იუდეის მიღმა.
  - *ფილიპი* მაკედონიის პროვინციაში: პირველი ეკლესიაა დანერგილი ევროპულ ნიადაგზე.
  - *ეფესო* აზიის პროვინციაში: პროვინციის დედაქალაქი. პავლეს სტრატეგია იყო რომის იმპერიის წამყვან ქალაქებში ეკლესიების დარგვა. ცენტრალური მდებარეობის საწყისი ეკლესიიდან სახარება მთელ პროვინციაში გავრცელდებოდა.
  - *კორინთო* აქაიას პროვინციაში: კორინთოს მდებარეობამ ხმელთაშუაზღვისპირეთში ის მნიშვნელოვან ქალაქად აქცია სახარების გასავრცელებლად.
  - *რომი*: პავლეს მიზანი იყო იმპერიის ევანგელიზაცია ამ ცენტრალური ქალაქიდან.
- *ისტორია.* საქმეებსა და ეპისტოლეებში რომის ორი იმპერატორია მნიშვნელოვანი.

---

[129] იეს.ნავ. 24.31.
[130] მსაჯ. 2:7-11.
[131] საქმ. 1:7-8; 28:30-31.
[132] ბიბლიის ონლაინ რუქები შეგიძლიათ იხილოთ ვებ – გვერდზე http://www.openbible.info/geo/.

- *ნერონი* იყო იმპერატორი ახ. წ. 54-68 წლებში. ნერონის მეფობის დროს ქრისტიანები დაადანაშაულეს დიდ ხანძარში, რომელმაც გაანადგურა რომის უდიდესი ნაწილი. ამ ცრუ ბრალდებამ ქრისტიანთა ფართო დევნა გამოიწვია. პეტრე და პავლე ნერონის მიერ მოკლულ მრავალ ქრისტიანს შორის იყვნენ.

- *დომიციანე* იყო იმპერატორი ახ. წ. 81–96 წლებში. იგი ჩემებდა ტიტულს „უფალი და ღმერთი" და დევნიდა ქრისტიანებს, რომლებიც უარს ამბობდნენ მისდამი ერთგულების შეფიცვაზე. სავარაუდოდ, გამოცხადების წიგნი სწორედ ამ პერიოდიდან მოდის.

საქმეების წიგნის საფუძველი (ფონი/წინაპირობა)

ავტორი და თარიღი

საქმეებში ლუკა განაგრძობს თავის სახარებაში ნაამბობს. "ჩემი პირველი წიგნი, თეოფილე, შევადგინე..."[133]

საქმეების წიგნის ბოლოს, პავლე რომში შინა პატიმრობაში იმყოფება.[134] ეს მიუთითებს სავარაუდო თარიღზე 50-იანი წლების ბოლოს ან 60-იანი წლების დასაწყისში, ვიდრე პავლეს გარდაუვალი წამება დაემუქრებოდა.

მიზანი

ლუკას სახარებაში ნაჩვენებია, რომ იესო ამზადებს მოწაფეებს ეკლესიის წინამძღოლობისთვის. საქმეები გვაჩვენებს მოწაფეებს, რომლებიც სახარება მიაქვთ ქვეყნიერებაზე. საქმეები გვაჩვენებს სახარების გავრცელებას იერუსალიმში და იუდეაში სამარიასა და დედამიწის კიდემდე.

მნიშვნელოვანი თემები

- ისტორიული დეტალები

ლუკას სახარების მსგავსად, საქმეებიც ყურადღებით აკვირდება ისტორიულ დეტალებს. საქმეები ახსენებს ოცდაათზე მეტ ქვეყანას, ორმოცდაათზე მეტ ქალაქს და თითქმის ას ინდივიდს (პიროვნებას).[135]

---

[133] საქმ. 1:1.
[134] საქმ. 28:30.
[135] ვოლტერ ელველი და რობერტ იარბროუ. *ახალი აღთქმის პირისპირ.* Mich: Baker Academic, 2005, 211.

- ევანგელიზაცია და მისია

საქმეების დასაწყისში იესომ თავის მოწაფეებს დაავალა სახარების გავრცელება იერუსალიმში, იუდეაში, სამარიასა და „დედამიწის კიდემდე.“ საქმეების ბოლოს სახარება იქადაგება რომის იმპერიაში.

- სულიწმიდის მოღვაწეობა (მოქმედება)

ლუკას სახარება ყურადღებას აქცევდა სულიწმინდის როლს იესოს მიწიერ მსახურებაში. საქმეებში ლუკა გვიჩვენებს სულიწმინდის როლს ადრეულ ეკლესიაში. სულიწმიდა არის საქმეების მთავარი მოქმედი პირი. სწორედ სულის მეშვეობით ხდება მოწაფეების მსახურებისთვის ძალით შემოსვა.

სახარების გზავნილი (სათქმელი)

ლუკას სახარება დაწერილია იმ სწავლების სიზუსტის დასადასტურებლად, რასაც ასწავლიდნენ თეოფილეს, როგორც ახალმოქცეულს. საქმეებიც იმავე ინტერესს იზიარებს ახალმოქცეულთათვის სახარების სწავლებაში. წიგნის თითქმის ერთი მეოთხედი ქადაგებებისგან შედგება. საქმეებში მოყვანილი მნიშვნელოვანი ქადაგებები მოიცავს:

- პეტრეს ქადაგებას სულთმოფენობის დღეს (საქმეები 2)
- სტეფანეს დაცვას სინედრიონის წინაშე (საქმეები 7)
- პეტრეს ქადაგება კორნელიუსის სახლში (საქმეები 10)
- პავლეს ქადაგება არეოპაგზე ან არესის ბორცვზე ათენში (საქმეები 17)

ამ ქადაგებებში ნაჩვენებია მოციქულების მიერ ნაქადაგები მთავარი აზრი:

- იესო ქრისტეს უფლობა
- სახარების ისტორიული ჭეშმარიტება
- ხსნა მადლით რწმენის მეშვეობით[136]

საქმეების წიგნის შინაარსი

საქმეები იწყება დაბნეულ მდგომარეობაში მყოფი მოწაფეებით. იერუსალიმში შესვლის შემდეგ მოწაფეები ელოდნენ, რომ იესო თავის მიწიერ სამეფოს დაამყარებდა. ამის ნაცვლად, იგი დააპატიმრეს, გაასამართლეს და ჯვარს აცვეს. მისი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ისინი კვლავ აღფრთოვანებულნი იყვნენ მესიის სამეფოს პერსპექტივით.

[136] თეოლოგები ამ მთავარ შეტყობინებას *ქერიგმას*, ქადაგებულ სახარებას უწოდებენ.

საქმეების დაწყებისთანავე, იესომ მოწაფეებს უთხრა, რომ იერუსალიმში დარჩენილიყვნენ, რომ „დალოდებოდნენ მამის მიერ აღთქმულს.” მათ ჰკითხეს: "უფალო, ამ დროს კვლავ დაუბრუნებ სასუფეველს ისრაელს?" იმ დროს ისინი ვერ მიუხვდებოდნენ, რა იგულისხმა თავის პასუხში:

> "თქვენ არ გეხებათ დროების ან ვადების ცოდნა, რომელიც მამამ დაადგინა თავისი ხელმწიფებით. არამედ თქვენ მიიღებთ ძალას, როცა გადმოვა სულიწმიდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში, მთელ იუდეასა და სამარიაში და დედამიწის კიდემდე”.[137]

დიადი დავალება გვაძლევს საქმეების სტრუქტურაზე ერთი სახის დაკვირვების წარმოების საშუალებას: სახარება იერუსალიმში (1-7); სახარება იუდეასა და სამარიაში (8-12); სახარება დედამიწის კიდეებამდე (13-28).

სახარება იერუსალიმში (საქმეები 1-7)

მოქმედების ცენტრი საქმეების 1-7 თავებში იერუსალიმია. თხრობა მოიცავს სულთმოფენობის ამბავს, ადრეული ეკლესიის ცხოვრების სურათს და სტეფანეს მოწამეობრივ აღსასრულს.

- სულთმოფენობა: ეკლესიის დაბადების დღე

ამაღლების შემდეგ მოწაფეები იერუსალიმში დაბრუნდნენ და „ერთსულოვნად გამუდმებულ ლოცვა-ვედრებაში.”[138] ისინი იქ იყვნენ ორმოცდამეათე დღეს, "კვირის დღესასწაულზე", რომელიც პასექიდან შვიდი კვირის შემდეგ აღინიშნებოდა.[139] კვირების დღესასწაულზე აღინიშნებოდა ისრაელისთვის რჯულის (კანონის) გადაცემა. დღეს სულთმოფენობის დღესასწაულზე აღინიშნება სულიწმინდის მონიჭება ეკლესიისთვის. ორმოცდამეათე დღის ქადაგებისას, რომელიც ამ დღის სასწაულებრივ ნიშნებს განმარტავდა, პეტრემ შეახსენა მსმენელებს, რომ იოველმა იწინასწარმეტყველა დღეზე, როდესაც ღმერთი თავის სულს გადმოღვრიდა ყველა ხორციელზე. ეს დანაპირები ორმოცდამეათე დღეს აღსრულდა.[140]

- ადრეული ეკლესიის ცხოვრება

  ◆ *როგორი ნიმუშია ადრეული ეკლესია დღევანდელი ეკლესიისთვის? რა მსგავსება უნდა იყოს დღევანდელი დღის და სულთმოფენობის დღის თაყვანისცემასა და მსახურებაში? რა*

[137] საქმ. 1:4-8.
[138] საქმ. 1:14.
[139] რჯუ. 16:16.
[140] იოვ. 2:28; საქმ. 2:16.

განსხვავება უნდა იყოს დღევანდელი დღის და სულთმოფენობის დღის თაყვანისცემებსა და მსახურებებს შორის?

ადრეული ეკლესიის ცხოვრების სურათი მნიშვნელოვან საკითხს წამოჭრის საქმეების წიგნის განსამარტად. საქმეები ისტორიული წიგნია და არა თეოლოგიური ეპისტოლე, როგორიც მაგალითად რომაელების წერილია. ისტორიული წიგნი შეიცავს ორივეს, აღწერას ("ეს არის ის, რაც მათ გააკეთეს") და დავალება ("ეს არის ის, რაც თქვენ უნდა გააკეთოთ").

როდესაც ადრეული ეკლესიის ცხოვრების შესახებ ვკითხულობთ უნდა დავსვათ კითხვა: „საქმეები გვეუბნება, რომ ეს მახასიათებელი უნდა იყოს დღევანდელი ეკლესიის ცხოვრების ნაწილი? თუ ”საქმეები უბრალოდ აღწერს ეკლესიის ისტორიის გარკვეულ პერიოდს?” პასუხის გასარკვევად ერთ – ერთი გზაა შეკითხვის დასმა: „როგორ მიესადაგება ის ბიბლიის დანარჩენ სწავლებას? არის კიდევ სადმე საღვთო წერილში ეს ნაბრძანები?“

ორი მაგალითი ცხადყოფს საქმეებში განკარგულებასა და აღწერას შორის სხვაობას.

- საქმეების 2:42 თანახმად, პირველი საუკუნის ქრისტიანები თავს უძღვნიდნენ მოციქულების სწავლებას, სხვა ქრისტიანებთან ურთიერთობას და ლოცვას. ბიბლიის შესწავლის, თაყვანისცემისთვის შეკრებების და ლოცვისკენ მოწოდება პავლეს ყველა წერილში იკითხება. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ყველაფრის კეთებისკენ დღესაც მოწოდებულნი ვართ; ეს არ არის მხოლოდ ისტორიული პერიოდის აღწერილობა.

- საქმეების 2:45 თანახმად, ადრეული ქრისტიანები ყიდდნენ თავიანთ ქონებას და „ყველაფერი საერთო ჰქონდათ.” რადგან მსგავსის კეთებისკენ მოწოდება სხვაგან არსად არ გვხდება საღვთო წერილებში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს იმ დროინდელი ცხოვრების აღწერაა და არა დადგენილება დღევანდელ ცხოვრებაში აღსასრულებლად.[141]

სანამ ამ გაკვეთილს განაგრძობთ, გარკვეული დრო დაუთმეთ ადრეული ეკლესიის ზოგიერთი საქმიანობის განსახილველად. თითოეულ პუნქტზე გაიაზრეთ: „ეს მოქმედება დღევანდელობაში შესასრულებელი მოწოდებაა, თუ ეს უბრალოდ ადრეული ეკლესიის ცხოვრების არწერაა?“ თქვენი პასუხი უნდა განსაზღვროთ მთელი წმინდა წერილის გადახედვით, და არა კითხვით: "რა მომწონს?"

* მოციქულთა სწავლების შესწავლა	* სხვა მორწმუნეებთან ურთიერთობა
*ტაძარში ყოველდღიური თაყვანისცემა დასადასტურებლად	*ნიშნები და სასწაულები სულის მოქმედების
* მათი ქონების გაყიდვა	* ღმერთის განდიდება
* მიმდინარე მახარობლობა	* უცხო ენებზე საუბარი

[141] მეცნიერთა უმეტესობა თვლის, რომ ეს პრაქტიკა უკავშირდებოდა ა) აუცილებლობას (საჭიროებას) დახმარებოდნენ ქრისტიანებს, რომლებმაც დაკარგეს სამუშაო და სახლი თავიანთი რწმენის გამო b) ადრეული ეკლესიის რწმენას იესოს მოახლოებულ დაბრუნების შესახებ.

- სტეფანე: პირველი ქრისტიანი მოწამე

სულთმოფენობის შემდეგ ეკლესია აგრძელებდა სწრაფ ზრდას. ბევრი ადამიანი მოექცა, აგრეთვე "მღვდელთაგანიც ბევრი დაემორჩილა რწმენას."[142] მიუხედავად ებრაელი ლიდერების მცდელობისა, დაემალათ მკვდრეთით აღდგომის ჭეშმარიტება, ამ მღვდლებმა იცოდნენ ფაქტები: ტაძრის ფარდის გახევა, საფლავთან გამქრალი სხეული და შეთქმულება სიმართლის დასამალად. სასწაულები და ნიშნები ადრეული ეკლესიის დღეებში გამუდმებით ხდებოდა, რაც მოწმობდა (ადასტურებდა) მოციქულთა მსახურებაზე, როგორც იესოს მსახურების გაგრძელებაზე.

ასეთ ვითარებაში წინააღმდეგობა გარდაუვალი იყო. მას შემდეგ, რაც ცრუ მოწმეებმა სტეფანე მკრეხელობაში (ღვთის გმობაში) დაადანაშაულეს, იგი ქვებით ჩაქოლეს. წამების წინაშე მდგარმა სტეფანემ ძლიერი სიტყვა იქადაგა, რომელშიც მან აჩვენა ღვთის მოქმედება აბრაამიდან იესომდე. საქმეებმა წარგვიდგინა სავლე შემდეგი წინადადებით: "ხოლო სავლე იწონებდა მის მოკვლას."[143] პავლე, რომელიც ეკლესიის უდიდესი მისიონერი გახდება, თავდაპირველად წარგვიდგება, როგორც სავლე, „ეკლესიის დამრბევი" მორწმუნეთა საპყრობილეში ჩაყრის გზით.[144]

სახარება იუდეასა და სამარიაში (საქმეები 8-12)

საქმეების 8-12 თავებში სახარება იერუსალიმის მიღმა ვრცელდება იუდეასა და სამარიაში. დევნა აღმოჩნდა ის ბიძგი, რომელმაც პირველ მორწმუნეებს იერუსალიმიდან იუდეასა და სამარიაში წასვლა აიძულა. თავშესაფარის ძიებისას ისინი სახარებას ავრცელებდნენ. ღმერთმა დევნა გამოიყენა საქმეების 1: 8-ში დაწერილი დავალების შესასრულებლად. საქმეების 8-12-ში:

- ფილიპე, ბერძნულენოვანი ებრაელი, ძალიან ნაყოფიერად ქადაგებს სამარიაში. (8:4-25).
- პილიპე უქადაგებს ეთიოპიელ დიდებულს, კარის მოხელეს, რომელიც თაყვანსაცემად იყო იერუსალიმში. (8:26-40).
- სავლე, რომელიც დამასკოში მორწმუნეების დასაპატიმრებლად მიემგზავრება, მოექცა (9:1-22).
- პეტრე უქადაგებს კორნელიუსს, რომის სამხედრო მეთაურს (10:1-11:18).

[142] საქმ. 6:7.
[143] საქმ. 8:1.
[144] საქმ. 8:3.

- ბარნაბა მსახურობს ანტიოქიაში, რომის პროვინციის სირიის დედაქალაქში. (11:22-30) ეს მსახურება მნიშვნელოვანია ორი მიზეზის გამო.
  a) ბარნაბამ სავლე წარუდგინა ეკლესიას ანტიოქიაში. სავლეს მსახურება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მის განვითარებაში.
  b) ანტიოქია მთავარი მისიონერული ეკლესია ხდება I საუკუნის შუა ხანებში. პავლეს თითოეული მისიონერული მოგზაურობა ანტიოქიიდან იწყება.

> ნეტარია ის ხალხი, ვინც პირველად
> ეზიარა უფლის ბუნებას.
> თავისი უკეთურება დაგმეს,
> ჭეშმარიტებით სცემდნენ თაყვანს.
>
> მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ,
> ცხება მიიღეს იაჰვეს ძალით.
> მისი სულით ღვთის შვილებად იქცნენ,
> აღარ დადიან ცოდვილი გზით.
> ჩარლზ ვესლი, *საქმეების ჰიმნი 11:26*

სახარება დედამიწის კიდემდე (საქმეები 13-28)

- პირველი მისიონერული მოგზაურობა (საქმეები 13-14)

საქმეების ბოლო ნახევარი პავლე მოციქულის მსახურებას ასახავს. მოქცევის შემდეგ, პავლემ დრო გაატარა არაბეთში, დამასკოსა და კილიკიაში. შემდეგ იგი ბარნაბამ წაიყვანა საქადაგებლად ანტიოქიის ეკლესიაში, ერომელიც საულის დევნის შედეგად იერუსალიმიდან გაძევებული ქრისტიანების მიერ დაფუძნდა.

ახ.წ. 47-49 წლებში პავლემ და ბარნაბამ, ბარნაბას ბიძაშვილთან მარკოზ-იოანესთან ერთად იმოგზაურეს კვიპროსში (ბარნაბას სამშობლოში) და მცირე აზიაში. ამ მოგზაურობის დიდი ნაწილი დაეთმო ეკლესიების დანერგვას გალატიაში, რომის პროვინციაში მცირე აზიაში. ამ მოგზაურობიდან და შემდგომ სავლე ცნობილი გახდა, როგორც პავლე. სავლე ებრაული სახელი იყო; პავლე კი რომაული. ეს სახელის შეცვლა ნიშნავს პავლეს განსაკუთრებულ მოწოდებას წარმართთა მიმართ.

სანამ ისინი პამფილიის პერგაში იყვნენ, იოანე მარკოზმა დატოვა გუნდი და სახლში დაბრუნდა.[145] დერბემდე გამგზავრების შემდეგ, პავლე და ბარნაბა უკან დაბრუნდნენ იგივე გზით, მოინახულეს ეკლესიები, რომლებიც მათ დანერგეს, ანტიოქიაში, ვიდრე თავიანთ მშობლიურ ადგილსამყოფელს, ანტიოქიას დაუბრუნდებოდნენ.

- იერუსალიმის საბჭო (საქმეები 15:1-35)

  - *იერუსალიმის საბჭოს რომელი პრინციპებით უნდა ვიხელმძღვანელოთ დღეს?*

პავლეს მსახურებით წარმართთა მოქცევამ ეკლესიაში რთული საკითხი წამოჭრა. იუდეველ ქრისტიანებს შორის განხეთქილება მოხდა, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ წარმართ ქრისტიანებს

[145] საქმ. 13:13.

უნდა დაეცვათ მოსეს რჯულის ყველა ასპექტი[146] და ისინი, ვინც ამტკიცებდნენ, რომ მოსეს კანონი არ იყო სავალდებულო წარმართ ქრისტიანთათვის.

ახ.წ. 49 წელს ეკლესიის ლიდერები შეიკრიბნენ იერუსალიმში დავის მოსაგვარებლად. პირველებმა მათ ისაუბრეს, ვინც წარმართთა წინადაცვეთა მოითხოვა. შემდეგ პეტრე მოყვა კორნელიუსის სახლში მიღებული გამოცდილების შესახებ, სადაც ღმერთმა „არ განგვასხვავა ერთმანეთისგან ჩვენ (ებრაელები) და ისი (წარმართნი), რწმენით განწმინდა მათი გულები.“[147] პავლემ და ბარნაბამ მიუთითეს წარმართთა შორის ღვთის მოქმედების მტკიცებულებებზე.

იაკობმა, იერუსალიმის ეკლესიის წინამძღოლმა, საბჭოს გადაწყვეტილებით დაასკვნა, რომ წარმართებს მოეთხოვებოდათ თავი შეეკავებინათ ოთხ რამეზე:

- კერპებისთვის შეწირულ ხორცისგან
- დამხრჩვალის ხორცისგან
- სისხლიან ხორცისგან
- სექსუალური უზნეობისგან

ეს არ იყო იმ წესების ჩამონათვალი, რომლითაც წარმართებმა მიიღეს ხსნა. ამის ნაცვლად, ეს იყო სხვადასხვა წარმოშობის ქრისტიანთა ერთიანობის მაგალითი. საჭმელთან დაკავშირებული მოთხოვნები საშუალებას აძლევდა ებრაელებსა და წარმართებს ერთად ეჭამათ, რაც ადრეულ ეკლესიაში ერთიანობის მნიშვნელოვანი სიმბოლოა. სექსუალური ზნეობის ხაზგასმა აუცილებელი იყო მრავალი წარმართი ახალმოქცეულის არეული სქესობრივი კავშირების ფონის გამო.

იერუსალიმის საბჭო ცდილობდა ორი პრინციპის დაბალანსებას. თავისუფლების პრინციპი უკრძალავდა ებრაელ ქრისტიანებს ზედმეტი დებულებებით „მოწაფეებისთვის უღელის დადგმას ქედზე“.[148] მოზიარეობის პრინციპი ითხოვდა წარმართებისგან, თავი შეეკავებინათ ისეთი მოქმედებებისგან, რომელიც მათ ებრაელ ძმებს შეურაცხყოფდა.

მეორე მისიონერული მოგზაურობა (საქმეები 15:36-22)

ადრეული ეკლესიის ყველა კონფლიქტი არ ეხებოდა თეოლოგიურ პრინციპებს. პავლე და ბარნაბა დაშორდნენ პირადი უთანხმოების გამო მარკოზ-იოანესთან დაკავშირებით.[149] ამ უთანხმოებებმა გვაჩვენა, რომ ღმერთი მოქმედებს რთულ პიროვნულ გარემოებებშიც კი: სილა მნიშვნელოვანი

[146] ეს ქრისტიანები იყვნენ "ფარისეველთა სექტადან". (საქმ. 15:5). საკითხი არ ყოფილა საყოველთაო დებატები "ებრაელი წარმართის წინააღმდეგ." მაგალითად, იაკობი წაუძღვა პრობლემის გადასაჭრელად გზების ძიებას.
[147] საქმ. 15:9.
[148] საქმ. 15:10.
[149] საქმ. 15:36-41.

მუშაკი გახდა, პავლესა და ბარნაბას ძალისხმევა გაორმაგდა მათი ცალ-ცალკე მუშაობით, ხოლო მოგვიანებით პავლე შერიგდა მარკოზ-იოანესთან.[150]

პავლემ და სილასმა მეორე მისიონერული მოგზაურობა დაიწყეს პავლესა და ბარნაბას მიერ პირველი მისიონერული მოგზაურობის დროს დაარსებული ეკლესიების ხელახლა მონახულებით. პავლე და სილა ასევე მსახურობდნენ ფილიპეში, თესალონიკში, ბერეაში, ათენსა და კორინთოში. ამ მოგზაურობის დროს სახარება იყო ნაქადაგები ევროპულ მიწაზე მას შემდეგ, რაც პავლემ მაკედონიელი კაცი ნახა ხილვაში, რომელიც დახმარებას ითხოვდა.[151] ახალგაზრდა ტიმოთე შეუერთდა პავლეს გუნდს ლისტრაში, ხოლო ლუკა შეუერთდა პავლეს ტროაში.[152] პავლემ თვრამეტი თვე მოანდომა კორინთოში ეკლესიის დანერგვას. ჯგუფი დაბრუნდა ანტიოქიაში მოგზაურობის სამ წელიწადზე მეტი ხნის შემდეგ (ახ.წ. 50-53).

მეორე მისიონერული მოგზაურობა გვაჩვენებს, თუ რა წინააღმდეგობას განიცდიდა პავლე ქადაგებაში. ისინი ციხეში ჩასვეს ფილიპეში; სახლს, სადაც ისინი თესალონიკში ცხოვრობდნენ, ბრბო დაესხა თავს; თესალონიკიდან ჩამოსული მტრები ბერიაში გაჰყვნენ; და კორინთოში პავლე გაასამართლეს.[153]

ეკლესიის ზრდა დიდი ფასის გადახდას მოითხოვდა. სატანა უბრძოლველად არ თმობს ტერიტორიას. ამასთან, საქმეები გვაჩვენებს სულიწმიდის ძალას და სახარების ტრიუმფს, რადგან ეკლესიები დაინერგა მთელ მცირე აზიაში, მაკედონიასა და აქაიაში.

- მესამე მისიონერული მოგზაურობა (საქმეები 18:23-21:15)

პავლემ ანტიოქიაში მხოლოდ მცირე დრო დჰყო, ვიდრე გაემგზავრებოდა გალატიასა და ფრიგიის რეგიონებიში დანერგილი ეკლესიების კვლავ მოსანახულებლად. ამ მოგზაურობის პირველი ნაწილი დაეთმო ადრეულ მოგზაურობებში დაფუძნებულ ეკლესიებში მორწმუნეების გაძლიერებას.[154] მესამე მისიონერული მოგზაურობა ახ. წ. 53 წლიდან 57 წლამდე გაგრძელდა. დროის ყველაზე გრძელი პერიოდი (სამი წელი) ეფესოში გაატარა. ეფესოში ყოფნისას პავლემ დაწერა ორივე კორინთელთა წერილი, რომლებიც ეხებოდა ამ რთულ ეკლესიაში არსებულ პრობლემებს.

ეფესოდან წასვლის შემდეგ, მტრების წინააღმდეგობის გამო, პავლე გაემგზავრა მაკედონიასა და აქაიაში. მან ამ რეგიონში ძირითადად წარმართთა ეკლესიებში შესაწირავი ააგროვა იერუსალიმის გაჭირვებული ებრაელი ქრისტიანების დასახმარებლად იერუსალიმში. ეკლესიის ერთიანობის ამ

[150] 2 ტიმთ. 4:11.
[151] საქმ. 16:6-10.
[152] საქმ. 16:10, ლუკა იწყებს „ჩვენ“ ნაცვალსახელის გამოყენებას „მათ“ ნაცვალსახელის ნაცვლად.
[153] საქმ. 16:23-39; 17:5-7; 17:13; და 18:12-17.
[154] საქმ. 18:23.

დემონსტრირებამ აჩვენა, რომ ებრაელები და წარმართები ქრისტეს ეკლესიის თანამონაწილეები იყვნენ.

- დაკავება და პატიმრობა (საქმეები 21:15-28:31)

მესამე მისიონერული მოგზაურობიდან დაბრუნებული პავლე კესარიაში გაჩერდა, სადაც წინასწარმეტყველმა აგაბომ გააფრთხილა პავლე, რომ იერუსალიმში დააპატიმრებდნენ.[155] ბოლო ნაწილში მოთხრობილია პავლეს დაკავების, კესარიაში პატიმრობის, რომის მოქალაქის უფლების გამოყენება, სახიფათო მოგზაურობა რომში (კუნძულ მალტასთან გემის მსხვრევის ჩათვლით), და ორწლიანი მსახურება რომში, შინაპატიმრობაში ყოფნისას.

საქმეების დასასრულს ჩანს, რომ იესოს დიადი დავალება - იერუსალიმში, იუდეაში, სამარიასა და „დედამიწის კიდემდე“ სრულდებოდა. შინაპატიმრობაში ყოფნისას პავლეს შეეძლო თავისუფლად ემსახურა: „ქადაგებდა ღვთის სასუფეველს და ასწავლიდა უფალ იესო ქრისტეზე სრულებით ცხადად, დაუბრკოლებლად.“[156] მიუხედავად წინააღმდეგობისა ებრაელი ლიდერების მხრიდან (საქმეების პირველ ნაწილში) ან რომის მთავრობის მხრიდან (საქმეების მეორე ნაწილში), სულიწმიდა ეკლესიას აძლევდა ძალას, ქრისტეს დავალების შესასრულებლად.

პავლეს მსახურების ქრონოლოგია [157]



[155] საქმ. 21:10-11.
[156] საქმ. 28:31.
[157] თარიღები სავარაუდოა.

საქმეების წიგნი დღევანდელ ეკლესიაში

ლუკას სახარებამ აჩვენა სულიწმიდის მნიშვნელობა იესოს მიწიერ მსახურებაში; საქმეების წიგნი გვიჩვენებს სულიწმინდის მნიშვნელობას ეკლესიის მსახურებაში. ადრეული საეკლესიო გამოცდილების ზოგიერთი ასპექტი შეიძლება განმეორდეს სულიწმიდის გარეშე. ჩვენ შეგვიძლია თვითონ შევისწავლოთ ბიბლია; ჩვენ ჩვენი ძალებით შეგვიძლია შევინარჩუნოთ გარკვეული დონის საეკლესიო ურთიერთოება; ჩვენ შეგვიძლია ზოგიერთი სასწაულისა და ნიშნის დუბლირებაც კი, ჩვენი ძალებით. ხოლო სულიწმიდის თანდასწრების გარეშე ჩვენს შორის, ვერასოდეს გვექნება ის რეალობა, რომელიც აღწერილია საქმეებში.

კულტურათაშორისი ეკლესიის ზრდა საქმეებში, დღევანდელი ეკლესიისთვის ნიმუშს წარმოადგენს. სულთმოფენობამ შესძინა ახლად დაბადებულ ეკლესიას ახალი მორწმუნეები ევროპიდან (რომი), აზიიდან (პართია და მედია) და აფრიკიდან (ეგვიპტე და ლიბია). საქმეები გვიჩვენებს ამ კონტრასტული კულტურებისგან შემდგარ ეკლესიას, რომლებიც "ერთხმად" მოქმედებენ. როდესაც კონფლიქტი წამოიჭრებოდა, ეკლესიამ ისწავლა გამოსავლის მოძებნა სულიწმინდის ხელმძღვანელობით. დღეს ჩვენი მახარებლობის მიზანი იგივე უნდა იყოს, რომ იესო ქრისტეს სახარება გავრცელდეს კულტურულ საზღვრებს მიღმა. საქმეები წარმოგვიდგენს ეკლესიის მოდელს, რომელიც აერთიანებს ყველა ჭეშმარიტ მორწმუნეს ქრისტეს სხეულში.

თავისუფლების და მოზიარეობის პრინციპები, რომლებიც ჩამოყალიბდა იერუსალიმის საბჭოს სხდომაზე, სინდისის პრობლემების გადაჭრის ნიმუშია დღეს ეკლესიაში. როგორც პავლე იმეორებს რომაელთა 14 და 1 კორინთელთა 8 – ში, ქრისტიანებმა თავიდან უნდა აიცილონ ორი შეცდომა.

- თავისუფლების პრინციპი მოითხოვს, რომ თავიდან ავიცილოთ პირადი შეხედულებების (რწმენის) სხვა მორწმუნეებისთვის დაკისრება და მსხავრის დადება.
- მოზიარეობის პრინციპი მოითხოვს, რომ მოვერიდოთ ჩვენი თავისუფლების გამოყენება სუსტი ძმის ხარჯზე. ასეთი ურთიერთ თავმდაბლობა მნიშვნელოვან წილად ხელს შეუძყობს ქრისტიან და-ძმებს შორის ბარიერების მოხსნას.

ეკლესიებისთვის, რომლებიც დევნას აგნიცდიან, ადრეული ეკლესიის ზრდა წინააღმდეგობის პირობებში არის ერთგულების შთაგონება. ღმერთი არა მხოლოდ ეხმარებოდა ეკლესიას გადარჩენაში, არამედ დევნაც გამოიყენა, რათა მოწაფეები იერუსალიმიდან გამოეყვანა და ეკლესიას თავისი მისია შეესრულებინა. თუ კი ჩვენ ღმერთს საშუალებას მივცემთ იმოქმედოს ჩვენის მეშვეობით, ის ააშენებს თავის ეკლესიას ჩვენდამი სამყაროს წინააღმდეგობის პირობებში.

დასკვნა

საქმეებში, ჩვენ ვხედავთ იერუსალიმში შეყუჟული, მერყევი და გაუბედავი მოწაფეების ჯგუფის გარდაქმნას თავდაჯერებულ მახარებელთა ჯგუფად, რომელნიც ქადაგებენ სახარებას რომში და მის მიღმა. საქმეები გვაჩვენებს სულიწმიდის ძალას, რომელიც მოქმედებს ეკლესიაში და ეკლესიიდან (ეკლესიის მეშვეობით).

სულიწმინდის გარდამქმნელი ძალის ერთ-ერთი დიდი მტკიცებულება 12 მოციქულის ცხოვრებაა. იესოს დაპატიმრების ადგილიდან გაქცეული ადამიანებიდან ეს მოწაფეები იქცნენ ადამიანებად, რომლებიც მზად იყვნენ სიკვდილისთვის მკვდრეთით აღმდგარი უფლისთვის. მოციქულთა სიკვდილთან დაკავშირებული თქმულებების მოკლე შეჯამება მოწმობს მოციქულთა გარდაქმნაზე სულთმოფენობისას. მოწაფეებმა თავიანთი მოწმობა სისხლით დაამოწმეს (სისხლის ბეჭედი დაუსვეს).

ზებედეს ძე **იაკობი** ჰეროდე აგრიპამ მოკლა სულთმოფენობიდან 12 წლის შემდეგ.	**სიმონ პეტრე** ჯვარცმულ იქნა. იმის გამო, რომ იგი თავს უღირსად თვლიდა მომკვდარიყო თავისი მოძღვრის სიკვდილით, ითხოვა უკუღმა გაეკრათ ჯვარზე.
ანდრია, პეტრეს ძმა, ჯვარს აცვეს აქაიაში, კორინთოს მახლობლად.	**თომა** გარდაიქმნდა "ურწმუნო თომასგან" იმდენად მიძრვნილ ადამიანად, რომ ის მისიონერად გაემგზავრა ინდოეთში, სადაც გარდაიცვალა მოწამეობრივი სიკვდილით. სავარაუდოდ შუბით განგმირეს.
ფილიპე აწამეს და ჯვარს აცვეს ფრიგიაში.	**მათე** თავი მოჰკვეთეს ეთიოპიაში.
ნათანიელი (ბართლომე) გაატყავეს და შემდეგ ჯვარს აცვეს.	**იაკობი, ალფეოსის ძე,** ჯვარს აცვეს.
სიმონ ზილოტი ჯვარცმულ იქნა სირიაში ექვიპტესა და სპარსეთში ქადაგების შემდეგ.	**იუდა იაკობის (თადეოსი)** სცემეს სასიკვდილოდ, მესოპოტამიაში წარმართი მღვდლებისთვის ქადაგებისას.
მატათა შეირჩა იუდა ისკარიოტელის სანაცვლოდ. იგი ქადაგებდა ეთიოპიაში და მოგვიანებით ქვებით ჩაქოლეს ჯვარზე ჩამოკიდებული.	**იოანე** ერთადერთი მოციქულია, რომელიც ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. თუმცა, მან წლები გადასახლებაში გაატარა კუნძულ პატმოსზე.

დასასრულს, გთხოვთ, დაფიქრდეთ: ”რისი გაკეთება სურს ღმერთს დღეს ეკლესიის მეშვეობით?” სულთმოფენობის დღეს 120 მოწაფე იყო. იმ დროს რომის იმპერიაში დაახლოებით 45,000,000 ადამიანი ცხოვრობდა. ადამიანური თვალსაზრისით, ამ სამყაროს ევანგელიზირების ამოცანა შეუძლებელი იყო. საოცარია, რომ პირველი საუკუნის ბოლოს სახარება 120-მა სულიწმიდით სავსე მორწმუნე ადამიანმა რომის იმპერიის ყველა კუთხეში გავრცელდა. რისი გაკეთება სურს ღმერთს დღეს თავისი ეკლესიის საშუალებით?

გაკვეთილის დავალება

წარმოაჩინეთ თქვენ მიერ ამ გაკვეთილის აღქმა (გაგება) შემდეგი დავალებების დახმარებით:

1) აირჩიეთ შემდეგი დავალებებიდან ერთერთი:

a. ამ გაკვეთილის მე-5 გვერდზე, თქვენ მოგეთხოვებოდათ გადაგეხედათ ადრეული ეკლესიის საქმიანობის ჩამონათვალისთვის. გთხოვეთ გადაგეწყვიტათ ესა თუ ის მოქმედება ადრეული ეკლესიის აღწერილობაა თუ დადგენილება დღევანდელ ცხოვრებაში აღსასრულებლად. თითოეულზე, რომელსაც დადგენილებად მიიჩნევთ, იპოვნეთ წმინდა წერილებში მინიმუმ ერთი მოწმობა, რომელიც ნათლად მიუთითებს ამ მოქმედებაზე.

b. მოციქულთა საქმეების მე-2 თავში პეტრეს ქადაგების ან საქმეების მე –17ში პავლეს ქადაგების გამოყენებით დაწერეთ ერთგვერდიანი ესე, რომელშიც შეჯამებული იქნება სამოციქულო ქადაგების ძირითადი თემები.

2) გაიარეთ ტესტი ამ გაკვეთილის მასალაზე დაყრდნობით. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმინდა წერილიდან.

გავიღრმავოთ ცოდნა

საქმეების წიგნის შესახებ მეტი იმფორმაციის მისაღებად, გთხოვთ იხილოთ შემდეგი რესურსები:

<u>ბეჭდური წყაროები</u>

ფილიპ ბენსი. *საქმეები: ვესლეიანის ტრადიციის კომენტარი.* Wesleyan Publishing House, 1998.

ჰოვარდ მარშალი. *ტინდალის ახალი აღთქმის კომენტარები: საქმეები.* Eerdmans, 1980.

დენი მაკკეინი. *შენიშვნები მოციქულთა საქმეებზე.* Africa Christian Textbooks, 2001.

კარლ რასმუსენი. *ბიბლიის ზონდერვანის ატლასი.* Zondervan, 2010.

ჯონ სკოტი. *საქმეების გზავნილი.* Intervarsity Press, 1990.

<u>ელექტრონული (ინტერნეტ) წყაროები</u>

ჯონ ვესლი. *ვესლის ახსნა-განმარტებები ახალი აღთქმის შესახებ.*

http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

ბიბლიური რუკები. http://www.biblemap.org/

გაკვეთილი 4 ტესტის საკითხები

1. რატომ იყო ეფესო მნიშვნელოვანი პავლეს ევანგელიზაციის სტრატეგიისთვის?

2. რატომ იყო რომი მნიშვნელოვანი პავლეს ევანგელიზაციის სტრატეგიისთვის?

3. რომის რომელი იმპერატორები უკავშირდებიან ადრეული ეკლესიის დევნას?

4. რატომ არის საქმეების დაწერის თარიღი სავარაუდოდ 50-იანი წლების ბოლო, ან 60-იანი წლების დასაწყისი?

5. ჩამოთვალეთ მთავარი გზავნილის კერიგმის სამი ასპექტი, რომელსაც მოციქულები ქადაგებდნენ.

6. ვინ იყო პირველი ქრისტიანი წამებული (მოწამე)?

7. რა როლი ეკისრებოდა დევნას ადრეული ეკლესიის მახარებლურ საქმიანობაში?

8. რომელი იყო პირველი მულტიკულტურული და მისიონერების წარმგზავნი ეკლესია პირველ საუკუნეში?

9. ჩამოთვალეთ ოთხი მოთხოვნა, რომლებიც იერუსალიმის საბჭომ წარუდგინა წარმართობიდან მოქცეულებს.

10. რა დადებითი შედეგები მოყვა პავლესა და ბარნაბას შორის განხეთქილებას?

გაკვეთილი 5

რომაელელები: ღვთის სიმართლე

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

(1) იცოდეს რომაელთა მიმართ წერილის თარიღი და მიზანი.

(2) შეაჯამოს ძირითადი დოქტრინალური სწავლებები რომაელთა წერილში.

(3) გააცნობიეროს კავშირი მსჯავრის (განკითხვის) და სახარებას შორის.

(4) გამოიყენეთ პავლეს სწავლება ქრისტიანის განზრახ ცოდვისგან გათავისუფლების შესახებ.

(5) უკავშირებდეს რომაელების გზავნილს დღევანდელი მსოფლიოს საჭიროებებს.

გაკვეთილი

წაიკითხეთ: რომაელთა წიგნი

დაიზეპირეთ: რომაელთა 1:16-17

ბიბლიის არცერთ სხვა წიგნს ამხელა გავლენა არ მოუხდენია ეკლესიაზე, როგორც პავლეს წერილმა რომაელების მიმართ. რომაელების შესწავლით სამი დიდი გამოღვიძება დაიწყო.

> [რომაელები] - წმინდა სახარებაა. ღირსეულმა ქრისტიანმა ის არა მხოლოდ სიტყვა-სიტყვით უნდა ისწავლოს, არამედ ყოველდღე უნდა დაკავდეს მისით, თითქოს ის პური არსობისაა ჩვენი მშვინვისთვის. შეუძლებელია ამ წერილის კითხვა და მასზე ფიქრი (მედიტაცია) ზედმეტი ან გადამეტებულად კარგი მოგვივიდეს. რაც უფრო მეტად გგვაქვს მასთან შეხება, მით უფრო ძვირფასი ხდება და მით უკეთეს გემო აქვს.
> მარტინ ლუთერი, *რომაელთა წერილის წინასიტყვაობა.*

რომის იმპერიის დაცემის ბნელ დღეებში ავგუსტინე უძღვებოდა ქრისტიანული ეკლესიის აღორძინებას. ავგუსტინე რომაელების კითხვას მიაწერდა თავის გათავისუფლებას ცოდვის ტყვეობისგან. რომაელთა წერილმა აუწყა (გააცნო) ავგუსტინეს ცოდვისგან დამხსნელი ღვთის ძალა.

როდესაც რომაულ კათოლიციზმს ეკლესია რიტუალების და ცრუ სწავლებების მარწუხებში ამყოფებდა, მარტინ ლუთერმა შეიტყო რომაელთა 1:17-დან, რომ "ღმერთის სამართლიანობა არის ის სიმართლე, რომლითაც ღმერთი მადლით და აბსოლიტური წყალობით გვამართლებს რწმენით ... პავლეს ეს სიტყვები გახდა ჩემთვის სამოთხის

კარი."[158] რომაელების წერილმა აუწყა მარტინ ლუთერს რწმენის მეშვეობით გამმართლებელი ღვთის ძალა.

მეთვრამეტე საუკუნის ინგლისში ძალიან ცოტა ქრისტიანს სჯეროდა, რომ შესაძლებელი იყო გადარჩენის პირადი რწმუნების (გარანტიის) გონა. ჯონ ვესლიმ თავის რწმენაში დარწმუნებულობა მოიპოვა რომაელების შესწავლის წყალობით და დაიწყო გამოღვიძება, რომელიც დღემდე გავლენას ახდენს მსოფლიოზე. რომაელების წერილმა აუწყა ჯონ ვესლის ხსნის ღმერთის ძალა.

რომაელთა მიმართ წერილის საფუძველი (ფონი/წინაპირობა)

თარიღი

რომაელები დაიწერა პავლეს მესამე მისიონერული მოგზაურობის დროს, დაახლოებით ახ. წ. 57 წელს. პავლე სავარაუდოდ კორინთოში იყო. მიუხედავად იმისა, რომ პავლე ჯერ არ იყო ნამყოფი რომში, წერილის დასკვნითი ნაწილიდან ჩანს, რომ პავლე იცნობდა რომის ეკლესიის ბევრ წევრს. მას რომის მონახულების იმედი ჰქონდა, მაგრამ ჯერ იერუსალიმში უნდა გამგზავრებულიყო მცირე აზიის ეკლესიების მიერ შეგროვილი შეწევნის (დახმარების) შესაწირავის გადასაცემად.[159] იერუსალიმში ყოფნისას პავლე დააკავეს და გადაიყვანეს რომში პატიმრად.

მიზნები

პავლეს მიზანი რომაელთა მიმართ ეპისტოლეს დაწერისას მოიცავს სამი მოტივაციას: უშუალოდ რომის ეკლესიასთან დაკავშირებული გადაუდებელი საკითხები (პრობლემები), პავლეს სამომავლო მსახურებასთან დაკავშირებული პირადი საზრუნავი და საბოლოო მიზანი - სწავლება, თუ როგორ უნდა გამოვასწოროთ ჩვენი დამოკიდებულება ღმერთთან.

- <u>გადაუდებელი საკითხების მიზანი</u> იყო ეკლესიის პრობლემების მოგვარება, რომელიც მოიცავდა როგორც იუდეველ, ასევე წარმართ ქრისტიანებს. რომის ეკლესია დააარსეს ებრაელებმა, რომლებიც შესაძლოა სულთმოფენობის შემდეგ დაბრუნდნენ იერუსალიმიდან. ახ. წ. 49 წელს იმპერატორმა კლავდიუსმა განდევნა ებრაელები რომიდან.[160] რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ებრაელები რომში დაბრუნდნენ, ეკლესია ორი ჯგუფისგან შედგებოდა: ებრაელი ქრისტიანები, რომლებიც ემორჩილებოდნენ მოსეს კანონს და წარმართი ქრისტიანები, რომლებიც მოსეს შეზღუდვების გარეშე ცხოვრობდნენ. პავლე შეეხო საკითხებს, რომლებიც არელვებდა ეკლესიას, რომელიც შედგებოდა როგორც ებრაელების, ისე წარმართებისგან:
    - ხსნა კანონის დაცვით მოდის?

[158] ციტატა როლანდ ჰ. ბეინტონის, მე ვდგავარ: მარტინ ლუთერის ცხოვრება-დან. (Nashville, Abingdon Press, 1950), 49-50.
[159] რომ. 15:25-27.
[160] საქმ. 18:2. ისტორიკოსმა სვეტონიუსმა დაწერა, რომ ეს ბრძანებულება (დეკრეტი) გამოიცა იმ ამბოხების გამო, რომელიც იუდეველებს შორის სიტყვა "ქრისტოს" გამო დაიწყო. რადგან "ქრისტოს"- ქრისტეს ლათინური დამწერლობაა, სავარაუდოდ, აურზაური ებრაელებსა და ქრისტიანებს შორის მოხდა.

- რა მომავალი ელის ისრაელს, როგორც ღვთის ხალხს?
- როგორ უნდა გაუმკლავდნენ ქრისტიანები განსხვავებულ მრწამსს ისეთ საკითხებში, როგორიცაა საკვებთან დაკავშირებული კანონები?

- რომაელთა წერილის დასასრული გვიჩვენებს პავლეს მიერ მისი დაწერის პირად მოტივაციას. როგორც რომის იმპერიის სულ უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი, ესპანეთი ჩაჯდა პავლეს მგზნებარე მისწრაფებაში, მიეღწია რომაული სამყაროს სტრატეგიულ ცენტრებამდე. რომაელთა წერილმა წარგვიდგინა პავლეს გეგმა, გამოეყენებინა რომი, როგორც ესპანეთში საევანგელზაციო (სამახარობლო) კამპანიის ოპერატიული ბაზა.[161]

- პავლეს საბოლოო მიზანი იყო სწავლება, თუ როგორ უნდა გამოვასწოროთ ჩვენი დამოკიდებულება ღმერთთან. ებრაელმა ქრისტიანებმა შეიტყვეს, რომ გამართლება კანონის მორჩილებით არ მოდის; ეს მადლითაა მხოლოდ რწმენის მეშვეობით. წარმართ ქრისტიანებმა მიიღეს შეახსენება, რომ ღმერთმა აირჩია ემოქმედა ებრაული რასის მეშვეობით; მათ ზემოდან არ უნდა გადმოხედონ თავიანთ ებრაელ და-ძმებს. ყველა მორწმუნე, ებრაელი თუ წარმართი, ღმერთთან მართლდება მხოლოდ მადლით.

რომაელთა მიმართ წერილის შინაარსი

შესავალი: სახარების ძალა ხსნისაკენ (რომ. 1:1-17)

მკითხველი ზოგჯერ გამოტოვებს ხოლმე შესავალს და წიგნის მთავარ ნაწილზე გადადის. თუმცაღა, ბიბლიაში შესავალიც კი მნიშვნელოვანია. ეს არის ღვთის მიერ შთაგონებული სიტყვა და "სასარგებლოა სასწავლებლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად და დასარიგებლად სიმართლეში."[162] პავლეს შესავალში ხშირად მოცემულია ინფორმაცია, რომელიც მის მიზანს წარმოადგენს. რომაელების შესავალში ვიგებთ, რომ:

- სახარება ნაწინასწარმეტყველებია ძველ აღთქმაში
- სახარება იესოს მესიად აღიარებს. ის იყო:
    - დავითის ძე
    - ღმერთის ძე
    - მკვდრეთით აღმდგარი

[161] რომ. 15:22-29.
[162] 2 ტიმთ. 3:16.

- სახარება არის ხსნის ძალა ყველასთვის, ვისაც სწამს, ებრაელთათვისაც და წარმართთათვისაც
- სახარება უცხადებს ღვთის სიმართლეს ყველას, ვისაც სწამს

ღვთის სიმართლე ვლინდება განკითხვით (სამსჯავროთი) (რომ. 1:17-3:20)

◆ როგორ არის განკითხვა (სამსჯავრო) სახარების „სასიხარულო ცნობის“ ("კეთილი უწყების") ნაწილი?

პავლე მსჯავრდადების "ცუდი ამბით" იწყებს; მთელი კაცობრიობა გასამართლდება მართალი ღმერთის წინაშე.

- 1:17-32-ში, პავლე წერს წარმართთა ცოდვაზე, განსაკუთრებით წარმართზე, რომელმაც "და უხრწნადი ღმერთის დიდება გაცვალეს ხრწნადი ადამიანის... ხატების მსგავსებაში"[163] ამ ნაწილში ის ახსენებს ცოდვებს, რომლებსაც მისი ებრაელი მკითხველები „წარმართულ“ ცოდვად მიიჩნევენ: კერპთაყვანისმცემლობა, ჰომოსექსუალიზმი, მკვლელობა, სისასტიკე და ა.შ. პავლე აფრთხილებს, რომ ეს ცოდვები სიკვდილის ღირსია.
- 2:1-16-ში, პავლე მორალისტობაზე გადადის. ის არის „კარგი ადამიანი“, რომელიც გმობს წარმართებს 1 თავში, მაგრამ ასევე არის ცოდვილი.
- 2:17-3:8-ში, პავლე ესაუბრება თავის ებრაელ მსმენელს. რიტორიკული კითხვების საშუალებით, პავლე იცავს ღვთის სიმართლეს, რომ განიკითხოს ის ებრაელი, რომელიც „სცოდავდა რჯულის ქვეშ“.
- 3:9-20-ში, პავლე ასკვნის: „არავინ არის მართალი."[164] მთელი კაცობრიობა მსჯავრდადებულია წმინდა ღმერთის წინაშე.

განკითხვის ქადაგება

"სახარების მქადაგებლის პირველი მოვალეობაა ღვთის კანონის გამოცხადება, რადგან ის იმოქმედებს სკოლის მასწავლებლის მსგავსად და მიიყვანს მას მარადიულ ცხოვრებამდე, რომელიც არის იესო ქრისტეში." მარტინ ლუთერი

"სანამ სიყვარულს, წყალობასა და მადლს ვქადაგებ, უნდა ვქადაგო ცოდვა, კანონი და სამსჯავრო."
ჯონ ვესლი

" ისინი ვერასოდეს მიიღებენ მადლს, სანამ არ ათრთოლდებიან სამართლიანი და წმინდა კანონის წინაშე." ჩარლზ სპერჯენი

" ჩვენ ვერ მივალთ ქრისტესთან გამართლების მისაღებად, სანამ ჯერ მოსესგან არ მივიღებთ მსჯავრდაბას." ჯონ სკოტი

[163] რომ. 1:23.
[164] რომ. 3:10.

- *ღვთის სიმართლე ვლინდება ხსნაში (რომ. 3:21-8:39)*

მსჯავრდადების ცუდი ამბის შემდეგ, პავლე გადადის სასიხარულო უწყებაზე ("სახარებაზე"), რომ ჩვენი გამოსწორება ღვთის წინაშე საქმეებით არ ხდება, არამედ "ღმერთის სიმართლით იესო ქრისტეს რწმენის მეშვეობით ყველა მორწმუნისათვის."[165] პავლე გვიჩვენებს, თუ როგორ ვლინდება ღვთის სიმართლე მორწმუნის ხსნასა და გარდაქმნაში.

- გამართლება მხოლოდ რწმენით (რომ. 3:21-5:21)

როგორც აბრაამი გამართლდა მხოლოდ რწმენით, ჩვენც გავმართლდით რწმენით და არა საქმეებით. ჩვენ ღმერთთან მშვიდობა გვაქვს იესო ქრისტეს სიკვდილით უზრუნველყოფილი გამოსყიდვის გზით. მისი მეშვეობით ჩვენ ვხარობთ დიდების იმედით. მისი მეშვეობით ჩვენ გვაქვს სიცოცხლე. პავლე გვაჩვენებს, რომ არც იუდეველებს და არც წარმართებს არაფერი აქვთ დასაკვეხნი (სატრაბახო), გარდა ღვთის მიერ შემოთავაზებული უფასო მადლისა იესო ქრისტეს მეშვეობით. ღვთის სიმართლე ვლინდება მის უფასო მადლში, რომელიც მთელს კაცობრიობას მისცა.

- გამართლება და ცოდვა (რომ. 6:1-23)

პავლეს სასიხარულო მოწმობს მოსმენის შემდეგ, მადლის ძალის შესახებ, მკითხველს შეიძლება დაებადოს კითხვა: „მაშ, რა ვთქვათ, დავრჩეთ ცოდვაში, რათა მადლი გამრავლდეს?“ ზოგი შეიძლება თავს ესხმოდეს პავლეს სწავლებას მადლის შესახებ იმ მოსაზრებით, რომ ეს უბიძგებს ადამიანს განაგრძოს ცხოვრება განზრახ ცოდვაში. პავლე ხაზგასმით პასუხობს, "არამც და არამც! ჩვენ, რომლებიც მოვუკვდით ცოდვას, როგორღა ვიცხოვროთ მასში?" როდესაც ქრისტეში მოვინათლეთ, ჩვენ მოვუკვდით ცოდვას. მადლის გამო, ჩვენ აღარ ვცხოვრობთ ცოდვის ძალაუფლების ქვეშ. ჩვენი სხეულები აღარ არის უსამართლობის იარაღები; ხსნის ძალით ჩვენი სხეულები ღმერთს გადაეცა, როგორც სიმართლის იარაღები. "გათავისუფლდით რა ცოდვისაგან, სიმართლის მონები გახდით." ღვთის სიმართლე გამოვლინდა მის ძალაუფლებაში, რომელიც გვათავისუფლებს ცოდვისგან.

- ცოდვა და რჯული (რომ. 7:1-25)

  - *წაიკითხეთ რომაელთა 7 თავი. ვინ არის აღწერილი ამ თავში?*

ვინაიდან ჩვენ უსასყიდლოდ, ღვთის მადლით გავმართლდით, ახლა ჩვენ „განახლებული სულით ვმსახურობთ“ და არა დაძველებული ასოთი."[166] ებრაელმა მკითხველმა შეიძლება ჰკითხოს პავლეს: "რას ამბობ? რჯული - ცოდვაა?" პავლე პასუხობს: "არამც და არამც!" რჯული ამჟღავნებს ცოდვას. ამით

[165] რომ. 3:22.
[166] რომ. 7:6.

ის გვიცხადებს ცოდვის რეალობას და აღვიძებს ჩვენს ჯანყში მყოფ გულებში ცოდვისკენ სწრაფვას. რჯული, რომელიც ღმერთმა სასიკეთოდ მოგვცა, ბოროტის იარაღად იქცა.

პავლე ამ პრინციპს ასახავს იმ მონაკვეთში, რომელიც რომაელთა წერილის ერთ – ერთი ყველაზე სადავო ადგილად იქცა. რომაელების 7:7-25-ს ინტერპრეტაციის (განმარტების) სამი ძირითადი მიდგომა არსებობს:

- <u>ნორმალური ქრისტიანული ცხოვრების სურათი</u>. რეფორმატორული ტრადიციების ბევრი წარმომადგენელი ამტკიცებს, რომ პავლე ასახავს მორწმუნის ცხოვრებას, რომელსაც სურს ღვთის კანონის დაცვა, მაგრამ არ შეუძლია. თუმცა რთულია რომაელების 4-6 თავებში გადმოცემული გამართლებული ცხოვრების დიდებული სურათის მისადაგება (“მშვიდობა გვაქვს ღმერთთან....”; “გათავისუფლდით რა ცოდვისაგან...”) იმ მონობასთან და უღელტან, რომელზეც 7თავშია ლაპარაკი (“უბადრუკი ადამიანი ვარ! ვინ დამიხსნის ამ სიკვდილის სხეულისაგან?”).

- <u>განუწმენდელი მორწმუნის ასახვა</u>. ვესლეიანელთა ტრადიციების ზოგიერთი წარმომადგენელი ვარაუდობს, რომ პავლე ასახავს მორწუნის ცხოვრებას, რომელიც გამართლდა, მაგრამ ბოლომდე განწმენდილი არ არის. და კვლავაც, რთულია ამის მისადაგება პავლეს შეხედულებასთან გამარჯვებული მორწმუნის შესახებ, რომელსაც მშვიდობა აქვს ღმერთთან.

- <u>გამოღვიძებული ცოდვილის სურათი</u>. ადრეული ეკლესიის მამებმა ამ თავში დაინახეს პავლეს მდგომარეობა მის მოქცევამდე, როდესაც ის საკუთარი ძალებით ცდილობდა რჯულის კანონის დაცვას. ეს ცოდვილია, რომელმაც გააცნობიერა თავისი საჭიროება, მაგრამ ჯერჯერობით არ არის გამართლებული მადლით რწმენის მეშვეობით. ეს ადამიანი გარკვეულწილად ეძებს სიმართლეს, მაგრამ ჯერ არ გამოუცდია რომაელთა 8: 1-ის სიხარული: “ამიტომ ახლა არავითარი მსჯავრი არ არის მათზე, ვინც ქრისტე იესოში დადის არა ხორციელად, არამედ სულიერად.”

განწმენდა: ცხოვრება სულში (რომ. 8:1-17)

რომაელებს მე-7 თავში ნაჩვენები ბრძოლის პასუხი არის სულიწმიდის ძალა. “რადგან სიცოცხლის სულის რჯულმა ქრისტე იესოში გამათავისუფლა მე ცოდვისა და სიკვდილის რჯულისგან.”[167] უშედეგო მცდელობების ნაცვლად, რომ შევასრულოთ რჯული საკუთარ ძალებით, ჩვენ სულიწმიდა გვაძლიერებს, რათა “სულით მოვაკვდინოთ ხორციელი საქმეები.”[168] რომაელთა მე –8 თავის გამარჯვებული ტონი სრულიად ეწინააღმდეგება რომაელთა მე –7 თავის ბრძოლას. რატომ? “სული

[167] რომ. 8:2.
[168] რომ. 8:13.

ემოწმება ჩვენს სულს, რომ ღვთის შვილები ვართ.” ეს გამარჯვებული ცხოვრება და არა რომაელების მე-7 თავი, არის პავლეს ქრისტიანული გამოცდილების ნიმუში.

გამარჯვებული ცხოვრებით ცხოვრება არა ჩვენს ძალებში, არამედ სულიწმინდის ძალაშია. სულიწმინდა გვათავისუფლებს ცოდვის მონობისგან[169]; სულიწმიდა გადარჩენის გარანტიას გვაძლევს[170]; სულიწმინდა გვიძღვება ჩვენს ლოცვებში[171]; მორწმუნეს სიცოცხლით ცხოვრება, შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სულიწმინდის ძალით.

- იმედში დარწმუნება (რომ. 8:18-39)

ხსნის შესახებ პავლეს სწავლების კულმინაცია არის დიდების აღნიშვნა, რომელიც ყველა მორწმუნეს ელის. პავლე წერს: “რომ ახლანდელი ტანჯვანი არაფერია იმ დიდებასთან შედარებით, რომელიც გამოვლინდება ჩვენს მიმართ.” ის თავის მკითხველებს ამხნევებს ღვთის დაპირებით, რომ “ღვთის მოყვარულებს, მისი განზრახვით მოწოდებულებს, ყოველივე სასიკეთოდ ეწევა.” და ის შეგვახსენებს, რომ ჩვენი იმედი ღმერთისგან მოდის, რომელმაც შესაძლებელი გახადა ჩვენი ხსნა. “თუ ღმერთი ჩვენკენ არის, ვინ გამოვა ჩვენს წინააღმდეგ?”

ღმერთია, ვინც გვმართლებს; ღმერთია, ვინც გვიცავს. პავლე აღნიშნავს ჩვენს, როგორც ღვთის შვილების, დარწმუნებულობას: “ვერც სიკვდილი და ვერც სიცოცხლე, ვერც ანგელოზები და ვერც მთავრობანი, ვერც ძალნი, ვერც აწმყო და ვერც მომავალი, ვერც სიმაღლე და ვერც სიღრმე, ვერც ვერავითარი სხვა ქმნილება ვერ შეძლებს ჩვენს ჩამოშორებას ღვთის სიყვარულისაგან ჩვენს უფალ ქრისტე იესოში.”

ღვთის სიმართლე ვლინდება რჩეულობაში (რომ. 9:1-11:36)

კიდევ ერთი კითხვა, რომელიც შეიძლება გაჩნდეს პავლეს სწავლების მოსმენისას: „ ისრაელზე რას იტყვით? ღმერთმა არ შეუსრულა დანაპირები თავის რჩეულ ხალხს?" რომაელთა 9-11 -ში პავლე განმარტავს, რომ აბრაამის მემკვიდრეობა ემყარება რწმენას და არა ეთნიკურ წარმომავლობას.[172] ღმერთს არ მიუტოვებია ისრაელი; პირიქით ღმერთი მოქმედებს ისრაელის მეშვეობით, ყველა ხალხის საკურთხევლად. ერების კურთხევა აბრაამში იყო აღთქმული[173]; ამის შესახებ ისრაელის წინასწარმეტყველებმა განაცხადეს[174]; ახლა იგი წარმართთა შორის სრულდება.[175] ღმერთის მიერ წარმართთა კურთხევა არ ნიშნავს, რომ მან ისრაელი საბოლოოდ უარყო. მისი მიზანი ისრაელისთვის შესრულდება.

---

[169] რომ. 8:2.
[170] რომ. 8:15-16.
[171] რომ. 8:26.
[172] რომ. 9:6-8.
[173] დაბ. 12:3.
[174] ეს. 56:1-8 ერთერთი მაგალითია მრავათა შორის.
[175] რომ. 11:11.

რომაელთა 9-11 ეხება ისრაელის ურწმუნოების პრობლემას სამ ჭეშმარიტებასთან მიმართებით:[176]

- ღმერთის დანაპირები ყოველთვის მორწმუნეებს ეხებოდა. ისრაელისთვის <u>წარსულში აღთქმული (დაპირებები)</u> ყველას მიმართაა (ყველას ეხება), ვისაც სწამს - როგორც წარმართებს, ასევე ისრაელის ერთგულ ნაშთს (9:6-29).

- ისრაელი უარყოფილი იქნა მისი ურწმუნოების გამო. <u>დღევანდელობაში</u> წარმართებმა მიაღწიეს სიმართლეს, რომელიც რწმენითაა, ხოლო ისრაელმა ვერ მიაღწია სიმართლეს, რადგან ისინი მის მიღებას კანონის (რჯულის) საქმეებით ცდილობდნენ (9:30-10:21).

- ისრაელის უარყოფა დროებითია და არა სამუდამო. ღმერთს არ დავიწყებია თავისი დანაპირები (აღთქმული). <u>მომავალში</u>, მთელი ისრაელი გადარჩება, რადგან ისინი რწმენით მიმართავენ ღმერთს (11:1-36).

პავლე რომაელთა ამ მონაკვეთს დიდებისმეტყველებით (ღვთის განდიდებით) ასრულებს, სადაც ის ადიდებს ღმერთს მისი მიუკვლეველი სიბრძნის, ცოდნის, სამართლისა და გზების გამო.[177] მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება სრულად არ გვესმოდეს ღვთის გზები, ჩვენ მას ვადიდებთ, რადგან ვენდობით მის სიკეთეს და სიმართლეს. ჩვენ ვიცით, რომ „ყველაფერი მისგან, მის მიერ და მისგანაა“[178] მისი გზები ჩვენი ქების ღირსია.

ღვთის სიმართლე ჩანს მორწმუნის ცხოვრებაში (რომ. 12:1-15:13)

პავლეს თეოლოგია ყოველთვის პრაქტიკულია. პავლეს რამდენიმე წერილი ორ დიდ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილში პავლე გვასწავლის იმას, რისიც გვჯერა. მეორე ნაწილში ის გვასწავლის, როგორ უნდა ვიცხოვროთ. ეს ნიმუში ჩანს რომაელებში.

- რომაელები 1-11: დოქტრინა (სწავლება). პავლე ასწავლის როგორ პავლე ასწავლის, თუ როგორ მართლდება ადამიანი ღვთის წინაშე.
- რომაელები 12-16: გამოყენება. პავლე ასწავლის, როგორ იცხოვრებს მართალი.

რომაელები 12-15 რომაელთა 12-15 თავებში ნაჩვენებია თუ როგორ არის რომაელთა 1–11 თავებში გადმოცემული პრინციპები გამოყენებული ყოველდღიურ ცხოვრებაში.. რომაელთა 12 თავში, პავლე მოუწოდებს მკითხველებს საკუთარი თავი გადასცენ ღმერთს ცოცხალ წმიდა მსხვერპლად. ღვთის სიმართლე, რომელიც გამოიხატება გამართლებასა და განწმენდაში, გარდაქმნის ცხოვრების ყველა

[176] ადაპტირებულია უილიამ მ. გრეიტჰაუსის და ჯორჯ ლიონსისგან, *რომაელები: კომენტარი ვესლეიანის ტრადიციაში.* Beacon Hill Press, 2008.
[177] რომ. 11:33-36.
[178] რომ. 11:36.

სფეროს. ის, ვინც დადის არა ხორციელად, არამედ სულიერად, ყოველდღიურ ცხოვრებაში აჩვენებს ღვთის სიმართლეს. პავლე განსაზღვრავს ცხოვრების ახალი წესის რამდენიმე პრაქტიკულ ასპექტს:

- ვიყენებთ ჩვენს სულიერ ნიჭებს, რათა ვემსახუროთ სხვებს (რომ. 12:3-8).
- ჩვენ იმგვარად ვექცევით სხვებს, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანობა წარმოვაჩინოთ (რომ. 12:9-21).
- ვემორჩილებით (თავს ვუქვემდებარებთ) მმართველობას და ხელისუფლებას (რომ. 13:1-7).
- რჯულს აღვასრულებთ სიყვარულის მეშვეობით (რომ. 13:8-14).
- ვიცავთ თავისუფლების პრინციპს იმით, რომ არ განვსჯით ჩვენს ძმას (რომ. 14:1-12).
- ჩვენ ვიცავთ სიყვარულის პრინციპს, როდესაც არ ვიყენებთ ჩვენს თავისუფლებას სუსტი ძმის დასაბრკოლებლად (რომ. 14:13-14:23).
- მივყვებით ქრისტეს მაგალითს, რათა ჩვენც "სულიწმიდის ძალით იუხვოთ იმედში" (რომ. 15:1-13).

დასკვნა (რომ. 15:14-16:27)

დასასრულს პავლე გვიზიარებს გეგმას ეწვიოს რომს, გზად ესპანეთისკენ. ის იმედოვნებს, რომ რომი გახდება ესპანეთში მისი მოგზაურობის პლატფორმა. ის მოკითხვას უთვლის თანამშრომლებს უფლის ყანაში და, როგორც ეს ხშირად ხდება პავლეს წერილებში, დიდებისმეტყველებით (ღვთის განდიდებით) ასრულებს. ეს დიდებისმეტყველება ადიდებს ღმერთს „საიდუმლოს გამოცხადებისთვის", რომელიც „ახლა კი გაცხადდა."[179] გამოვლენილი საიდუმლო არის კეთილი უწყება (სასიხარულო ამბავი), რომ სახარება ყველა ადამიანისთვის არის. ღვთის სიმართლე გამოვლინდა "რწმენიდან რწმენაში"; ყველა მორწმუნე გადაარჩენილია.

რომაელები დღევანდელ ეკლესიაში

რომაელები ასწავლის დღევანდელ ეკლესიას დოქტრინალური <u>მკაფიო დოქტრინის მნიშვნელობა</u>. გახსოვდეთ, რომ პავლე წერდა ამ ეპისტოლეს რიგით ქრისტიანებს. იმ პერიოდში, როდესაც ქრისტიანებს ზოგჯერ განიხილავენ, როგორც სულიერ ახალშობილებს, რომელთაც არ შეუძლიათ ბიბლიური ჭეშმარიტების მაგარი საჭმლის მონელება, რომაელები გვიჩვენებს, რომ მორწმუნეებს შეუძლიათ ღრმა მოძღვრების გაგება და სწავლა.

რომაელები ასწავლის ეკლესიას დღეს <u>დოქტრინის გამოყენების მნიშვნელობაზე</u> ყოველდღიურ ცხოვრებაში. პავლე არ გამოხატავს ინტერესს სწავლების მიმართ მხოლოდ ინტელექტუალური დებატებში გამოსაყენებლად. ის დოქტრინებს იმისათვის ასწავლის, რომ მორწმუნის ცხოვრება გარდაიქმნას.

[179] რომ. 16:25-26.

რომაელების 1-11 თავების დიდი ჭეშმარიტების შემდეგ, პავლე აგრძელებს “ამიტომ, გევედრებით ძმებო...”[180] სიტყვა „ამიტომ,” აკავშირებს იმას, რისი თქმასაც აპირებს იმასთან, რაც უკვე თქვა. ჩვენ შეგვიძლია პერაფრაზით ვთქვათ: „ამ ჭეშმარიტების გამო (გამართლება, განწმენდა და რჩეულობა), მოგიწოდებთ, თავი წარუდგინოთ ცოცხალ მსხვერპლად ღმერთს, რომელმაც ეს კურთხევები მოგცათ. …. ასე გამოიყურება ეს ტრანსფორმაცია თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.“ შემდეგ პავლე განაგრძობს რომაელების მე-12-15 თავების ამ ტრანსფორმაციის პრაქტიკული გამოყენებით. არ არის საკმარისი სწორი დოქტრინის ქონა; ჩვენ ყოველდღიურად უნდა ვიცხოვროთ ამ დოქტრინით.

დასკვნა

1738 წლის 24 მაისს, ოთხშაბათს, ჯონ ვესლი ესწრებოდა მორავიულ კრებას ოლდერსგეით-ის ქუჩაზე ლონდონში. ვესლი წლების განმავლობაში წვალობდა გადარჩენის გარანტიის მოსაპოვებლად. ისევე, როგორც მრავალ მის თანამედროვეს, მას სჯეროდა, რომ გამართლება ემყარებოდა ადამიანის უნარს ეცხოვრა მართალი ცხოვრებით. როდესაც უილიამ ჰოლანდი კითხულობდა მარტინ ლუთერის "რომაელების წერილის შესავალს", ვესლი გარდაისახა. ვესლი მოგვიანებით წერდა:

“...დარწმუნება მომცა, რომ მან წაიღო ჩემი ცოდვები, ჩემიც კი, და მიხსნა ცოდვისა და სიკვდილის რჯულისგან.”

„საღამოს ძალიან უხალისოდ წავედი ოლდერსგეითის ქუჩის საზოგადოებაში, სადაც ერთი ადამიანი კითხულობდა ლუთერის "რომაელთა მიმართ ეპისტოლეს წინასიტყვაობას." დაახლოებით ცხრას რომ თხუთმეტი აკლდა, როცა მოძღვარი აღწერდა იმ ცვლილებებს, რასაც ღმერთი მორწმუნის შინაგანში ახდეს ქრისტეს რწმენის მეშვეობით, გულში უცნაური სითბო ვიგრძენი. ვგრძნობდი, რომ ხსნაში ნამდვილად მხოლოდ ქრისტეს ვენდობოდი ; და დარწმუნება მომცა, რომ მან წაიღო ჩემი ცოდვები, ჩემიც კი, და მიხსნა ცოდვისა და სიკვდილის რჯულისგან.”[181]

იმ საღამოს ჯონ ვესლი ჩაწვდა რომაელების 1:17-ს ჭეშმარიტებას; “მართალი იცოცხლებს რწმენით.” ამ დიდმა ჭეშმარიტებამ სული ჩაუდგა გამოღვიძებას, რომელმაც მთელი ინგლისი და საბოლოო ჯამში მთელ მსოფლიოც მოიცვა.

[180] რომ. 12:1.

[181] ჯონ ვესლის დღიური. May 24, 1738.

გაკვეთილის დავალება

წარმოაჩინეთ თქვენ მიერ ამ გაკვეთილის აღქმა (გაგება) შემდეგი დავალებების დახმარებით:

1) აირჩიეთ შემდგომი დავალებებიდან ერთეთი:

a. რომაელთა წერილზე დაყრდნობით, მოამზადეთ ქადაგება ან ბიბლიური გაკვეთილი, რწმენით გამართლების შესახებ. ეს შეიძლება იყოს 5-6 გვერდიანი ხელნაწერი, ან ჩაწერილი ქადაგება, ან ბიბლიური გაკვეთილი.

b. დაწერეთ რომაელთა წიგნის ერთგვერდიანი მონახაზი, რომელშიც მოცემულია რომაელთა 1-11თავების დოქტრინალური სწავლებები და რომაელების 12-16თავების პრაქტიკული გამოყენება. ეს უნდა იყოს თქვენი პირადი მონახაზი და არ გადმოწერილი კომენტარებიდან ან ბიბლიის შესასწავლი მასალებიდან.

2) გაიარეთ ტესტი ამ გაკვეთილის მასალაზე დაყრდნობით. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმინდა წერილიდან..

გავიღრმავოთ ცოდნა

რომაელების წიგნის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ შემდეგი რესურსები.

<u>ბეჭდური წყაროები</u>

ჯერალდ ბრეი, *წმინდა წერილის ძველი ქრისტიანული კომენტარი: რომაელები.* Intervarsity Press, 1998.

ადამ კლარკი. *ახალი აღთქმის კომენტარი.* Abingdon Press, n.d.

ვილიამ გრეითჰაუსი და ჯორჯ ლაიონსი. *ახალი შუქურის ბიბლიური კომენტარი: რომაელები (2 თავ.).* Beacon Hill Press, 2008.

<u>ელექტრონული (ინტერნეტ) წყაროები</u>

"რომაელები" http://www.seedbed.com/seven-minute-seminary/

"ასწავლის რომაელების 7 თავი ქრისტიანებს, რომ განაგრძონ ცოდვის ჩადენა?"

http://www.seedbed.com/seven-minute-seminary/

"ასწავლეთ რომაელების 9-11 თავები კალვინისტურ ბედისწერას?"

http://www.seedbed.com/seven-minute-seminary/

ჯონ ვესლი. *ვესლის ახსნა-განმარტებები ახალი აღთქმის შესახებ.*

http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

გაკვეთილი 5 ტესტის საკითხები

1. ჩამოთვალეთ სამი მიზანი რომაელებისთვის.

2. ჩამოთვალეთ ოთხი ჭეშმარიტება სახარების შესახებ, რომლის აღმოჩენაც შეიძლება რომაელების წერილის შესავალში.

3. ჩამოთვალეთ სამი ჯგუფი, რომლებიც დაგმობილია რომაელების 1-3 თავებში.

4. რომაელების 6 თავში, რას პასუხობს პავლე კითხვას, თუ შეგვიძლია გავნაგრძოთ ცოდვაში ცხოვრება, რათა მადლი გამრავლდეს?

5. რომაელების 7:7-25-ს რომელი სამი განმარტება არსებობს?

6. პავლე ისრაელის ურწმუნოების პრობლემას სამი ჭეშმარიტებით პასუხობს. ჩამოთვალეთ ეს ჭეშმარიტებები.

7. რომაელთა 12-15 თავებიდან ჩამოთვალეთ ღვთის სიმართლით ცხოვრების სამი გზა.

გაკვეთილი 6

კორინთელთა და გალატელთა: წერილები პრობლემურ ეკლესიებს

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

(1) იცოდეს თარიღი და 1 და 2 კორინთელთა და გალატელთა წერილების მიზანი.

(2) გამოკვეთოს 1 და 2 კორინთელთა და გალატელთა წერილების ძირითადი თემები.

(3) ესმოდეს მნიშვნელოვანი საკითხები 1 კორინთელთა წერილის განსამარტად.

(4) უნდა განიხილოს ქრისტიანის და კანონის ურთიერთობა.

(5) იცოდეს "რელიგიურობის" ბიბლიურ განსაზღვრება.

(6) ადრეული ეკლესიის კონფლიქტისა და დაბნეულობის სფეროების დადგენა.

(7) დაუკავშიროს ამ წიგნის გზავნილი დღევანდელი მსოფლიოს საჭიროებებს.

გაკვეთილი

წაიკითხეთ: 1 და 2 კორინთელთა და გალატელთა.

დაიზეპირეთ: 1 კორინთელთა 1:20-21 და გალატელთა 5:22-23.

თანამედროვე მკითხველები ზოგჯერ ვარაუდობენ, რომ ადრეულ ეკლესიას არ ჰქონდა was free of მნიშვნელოვანი პრობლემები. ჩვენ ვფიქრობთ: „მშვენიერი იქნებოდა ადრეულ ეკლესიაში ცხოვრება, როდესაც ყველაფერი იყო ერთიანობაში და ყველგან გამოღვიძება იყო!" პავლეს წერილები კორინთოსა და გალატიაში ძალიან განსხვავებულ სურათს გვაჩვენებს. პირველი საუკუნის ეკლესიები აწყდებოდნენ ცრუ მოძღვრებებს, წევრებს შორის ცოდვას, დარღვევებს ბიბლიის მნიშვნელოვანი სწავლებების, ძალაუფლების და საეკლესიო დისციპლინის საკითხებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ წიგნებში ნაჩვენებია სამყარო, რომელიც დღევანდელს ძალიან ჰგავს. ამის გამო, ამ წერილებს პირველი საუკუნის პრობლემური ეკლესიებისადმი ბევრი რამის სწავლრბა შეუძლიათ XXI-ე საუკუნის პრობლემური ეკლესიების შესახებ.

1 კორინთელთა

ავტორი და თარიღი

კორინთო იყო პორტი ეგეოსისა და იონიის ზღვებს შორის არსებულ ისტმუსზე. ტვირთი გადმოიტვირთებოდა ისმუსის ერთ მხარეს, გადაიტანდნენ მიწის ვიწრო ზოლის გასწვრივ, ხოლო მეორე მხარეს ტვირთავდნენ გემებზე. კორინთოს სტრატეგიული მდებარეობა უდიდეს შესაძლებლობებს იძლეოდა სახარების გავრცელებისთვის. მეზღვაურები ელოდებოდნენ ამ ქალაქში, სანამ მათ გემებზე გადმოტვირთვა-ჩატვირთის პროცესი მიმდინარეობდა. ეს მთელს იმპერიაში მცხოვრები ხალხის ევანგელიზაციის შესაძლებლობას იძლეოდა.

პავლემ კორინთოში ეკლესია მეორე მისიონერული მოგზაურობის დროს დააფუძნა, დაახლოებით ახ. წ. 50 წელს.[182] აკვილასთან და პრისკილასთან, ორ რომაელ ქრისტიანთან ერთად, პავლემ თვრამეტი თვე გაატარა კორინთოში. მან სინაგოგაში სწავლებით დაიწყო. როდესაც ის სინაგოგიდან გამოდევნეს, ის მეზობლად მდებარე კერძო სახლში გადავიდა. მრავალი კორინთელი, მათ შორის სინაგოგის მმართველი, გამოეხმაურა სახარების ქადაგებას.

პავლემ 1 კორინთელთა წერილი დაახლოებით 5 წლის შემდეგ დაწერა. წერილი დაიწერა ეფესოში პავლეს ყოფნის დროს, მისი მესამე მისიონერული მოგზაურობის დროს.[183] პავლემ დაწერა კორინთოს ეკლესიაში წარმოშობილი პრობლემების საპასუხოდ. პავლე ვერ გაემგზავრებოდა კორინთოში მაშინვე, ამიტომ მან ეს წერილი დაწერა და ტიმოთეს ხელით გაგზავნა. ტიმოთეს დაავალა წერილის მიტანა და შემდგომი მითითებების მიცემა მისი ვიზიტის დროს.[184]

სტილი

1 კორინთელთა წერილი ერთდროულად მარტივიცაა და რთულიც განსამარტად! მარტივია, რადგან 1 კორინთელთა "შემთხვევით (გარემოებით) გამოწვეული წერილი" - წერილი დაწერილი გარკვეული სიტუაციის (ან შემთხვევის) საპასუხოდ. ეს, გარკვეულწილად, ამარტივებს წერილის. რთული დოქტრინალური ტრაქტატის ნაცვლად, პავლე პირდაპირ პრობლემებს ეხება.

ამასთან, ამ ტიპის წერილი შეიძლება რთული იყოს, რადგან პავლესა და ეკლესიას შორის მიმოწერის მხოლოდ ერთი მხარე გვაქვს. პრობლემების დადგენამ, რომელსაც პავლე პასუხობდა, შესაძლოა გაართულოს 1 კორინთელბეის განმარტება.

ორი მაგალითი აჩვენებს, თუ როგორ პასუხობს პავლე დასმულ შეკითხვებს კორინთოდან. 1 კორინთელთა 7:1 ასე იწყება: ”რაც შეეხება იმას, თქვენ რომ მომწერეთ...” შემდეგ პავლე წერს ფრაზას, რომელიც, სავარაუდოდ, ციტირებულია მათი წერილიდან: "კაცისთვის კარგია არ გაეკაროს

[182] საქმ. 18:1-18.
[183] 1 კორ. 16:8.
[184] 1 კორ. 4:17.

დედაკაცს.” შემდეგ პავლე პასუხობს იმ აზრს, რომ მამაკაცებისთვის და ქალებისთვის საუკეთესოა ყველანაირი სექსუალური კავშირის თავიდან აცილება: “მაგრამ სიძვის თავიდან ასაცილებლად, ყოველ მამაკაცს ჰყავდეს თავისი ცოლი და ყოველ დედაკაცს - თავისი ქმარი.”

ანალოგიურად, 1 კორინთელთა 8:1 იწყება: “ახლა კერპთშენაწირებზე...” შემდეგი ფრაზა სავარაუდოდ ციტატაა მათი წერილიდან: “ვიცით, რადგან ცოდნა ყველას გვაქვს.’” პავლე პასუხობს: “ასეთი ‘ცოდნა’ აამპარტავნებს, სიყვარული კი აშენებს.”[185] როდესაც ვკითხულობთ წერილს კორინთელთა მიმართ, ჩვენ ვკითხულობთ მიმოწერის მხოლოდ ერთ მხარეს. ზოგჯერ პავლეს რჩევა უნდა განვასხვაოთ კორინთელი ქრისტიანების ციტატებისგან.

მიზანი

პავლეს პირველი წერილი კორინთელთა მიმართ იყო გამოწვეული ეკლესიის სამი ლიდერის შემაშფოთებელი ცნობებით.[186] სტეფანემ, ფორტუნატებ და აქაიკემ განაცხადეს, რომ ეკლესიაში განხეთქილება იყო, რომ ღია ცოდვას ურიგდებოდნენ და პავლეს სამოციქულო ავტორიტეტს ეჭვქვეშ აყენებდნენ. პავლემ დაწერა 1 კორინთელთა წერილი ამ პრობლემებზე პასუხად და კორინთელი ქრისტიანების კითხვებზე პასუხის გასაცემად.

1 კორინთელთა წერილის შინაარსი

შესავალში პავლე აცხადებს თავის უფლებამოსილებას, როგორც "იესო ქრისტეს მოციქულს" და კორინთელ მორწმუნეებს შეახსენებს, რომ ისინი " ქრისტე იესოში განწმედილები და მოწოდებული წმიდანები არიან."[187] შემდეგ იგი მიმართავს რიგ პრობლემებს, რომლებიც ასახავს კორინთელთა წარუმატებლობას, რომ ეცხოვრათ ღვთის მოწოდების შესაბამისად თავისი ხალხის მიმართ.

- დაყოფა (1 კორ. 1-4)

პავლემ დანერგა ეკლესია კორინთოში. იქ ნიჭიერი ორატორი აპოლოსი ქადაგებდა, აკვილას და პრისკილას მითითებების შედეგად.[188] შესაძლოა პეტრე კორინთოს სტუმრობდა.[189] კორინთოს ეკლესია დანაწევრებული იყო, თითოეული ჯგუფი აცხადებდა, რომ ამ მასწავლებლებიდან ერთ-ერთი მათ ხელმძღვანელად ითვლებოდა. ზოგიერთები აცხადებდნენ, რომ ამ ყველა დაყოფაზე მაღლა დგანან და ამტკიცებენ: ”მე ქრისტეს მივყვები”. ამასთან, ამ ჯგუფსაც კი სიამაყის სული ჰქონდა და არა თავმდაბლობის.[190]

---

[185] 1 კორ. 18:1.
[186] 1 კორ. 16:17.
[187] 1 კორ. 1:1-2.
[188] საქმ. 18:27.
[189] 1 კორ. 9:5.
[190] 1 კორ. 1:10-12.

1 კორინთელებში მოგვიანებით განხილულმა თემებმა გვაჩვენა, რომ ამ დაყოფამ გავლენა მოახდინა კორინთოში ყოველკვირეული თაყვანისცემასა და უფლის სერობის აღნიშვნაზე. გარდა ამისა, ეს დაყოფა შეიძლება ყოფილიყო იმ ფაქტორით, რომ ეკლესიას არ სურდა მათ წევრებს შორის არსებილ ცოდვაზე ყურადღების გამახვილება.

პავლე იწყებს თავისი მსახურების დაცვით. მათ, ვინც აპოლოსი თავის მოძღვრად გამოაცხადეს, უარყვეს პავლეს სამოციქულო უფლებამოსილება (ძალაუფლება) და დასცინოდნენ მის არაშთამბეჭდავ გამომეტყველებას და საუბარს. პავლე იცავს თავის სამოციქულო უფლებამოსილებას, რათა შექმნას პლატფორმა ეკლესიაში არსებული პრობლემების გადასაჭრელად. როგორც მათ სულიერ მამას, პავლეს მეტისმეტად უყვარს თავისი „საყვარელი შვილები“[191] და არ ემეტება, რომ მათ საკუთარი გზებით იარონ. ასე რომ, პავლე იწყებს თავისი მსახურების ენერგიული (გაბედული) დაცვით; “პავლე, იესო ქრისტეს მოწოდებული მოციქული ღვთის ნებით...”[192]

მას შემდეგ, რაც ზოგიერთმა წევრმა შეადარა პავლეს მარტივი სიტყვა აპოლოსის მაღალ ორატორულს, პავლე განმარტავს, რომ ის მოვიდა არა “მაღალფარდოვანი სიტყვითა და სიბრძნით.” “ჩემი სიტყვა და ქადაგება ჩემი სიბრძნის დამარწმუნებელი სიტყვებით კი არ იყო, არამედ სულისა და ძალის გამოვლინებით.”[193] პავლე თავს არ ესხმის აპოლოსს,[194] არამედ გვიჩვენებს, რომ კორინთოში მისი მსახურება ემყარებოდა სულიწმიდის ძალას, რომელიც მოქმედებდა მისი უწყების მეშვეობით. კორინთელები ამაყობენ ადამიანური სიბრძნით; პავლე მათ მოუწოდებს სახარებას დაუბრუნდნენ.

- უზნეობა (1 კორ. 5-6)

  - *როგორ უნდა გაუმკლავდნენ ეკლესიის ლიდერები ეკლესიის წევრებს შორის ღიად არსებულ ცოდვას?*

როგორც რომაული საპორტო ქალაქი და წარმართული ტაძრებით სავსე ქალაქი, რომელიც კერპთაყვანისმცემლობის ნაწილში პროსტიტუციას მოიცავდა, კორინთო ცნობილი იყო თავისი სექსუალური გარყვნილებით. სიტყვა "კორინთელიზაცია" ნიშნავდა ადამიანის ზნეობრიობრივ გარყვნას.

კორინთოს ეკლესიამ უარი თქვა მისი ერთერთი წევრის დასჯაზე, რომელიც უზნეო ურთიერთობაში ცხოვრობდა თავის დედინაცვალთან, რომლის საქციელიც წარმართებისთვისაც კი მიუღებელი იყო.[195] ამასთან, კორინთოს ეკლესია იმდენად ამპარტავანი გახდა, რომ მან უარი თქვა ამ საკითხის მოგვარებაზე.

---

[191] 1 კორ. 4:14-15.
[192] 1 კორ. 1:1.
[193] 1 კორ. 2:1-4.
[194] I კორ. 16:12 გვიჩვენებს, რომ პავლე და აპოლოსი ერთობლივად მუშაობდნენ ღვთის სამეფოსთვის.
[195] 1 კორ. 5:1.

პავლეს შეგონება აუცილებელია საეკლესიო სათანადო დისციპლინის აღსაქმელად. პავლე მოითხოვს დამნაშავის განდევნას იმ იმედით, რომ ის მოინანიებს.[196] ეკლესიამ თავის წევრებს შორის ცოდვა ორი მიზეზის გამო უნდა განიკითხოს: ცოდვილის მონანიებამდე მიყვანა და სახარების გმობის თავიდან ასაცილებლად. პავლე არ ეხება ურწმუნოების ან თუნდაც მონანიებული განდგომილების ქმედებებს. იგი ეკლესიის აქტიური წევრის განზრახ, მიმდინარე ცოდვას ეხება.

ამასთან დაკავშირებით, პავლე მიმართავს მორწმუნეთა შორის სასამართლო გარჩევას. მიუხედავად იმისა, რომ კორინთელები უარს ამბობენ ეკლესიაში ღია ცოდვის განსჯაზე, ისინი მკვირცხლნი არიან პირადი საჩივრების წარდგენისას საჯარო სასამართლოებში. პავლე ეკითხება, როგორ შეძლებენ „წუთისოფლის განიკითხვას“, თუ მათ შორის ერთი ბრძენიც არ მოიპოვება, რომ თავის ძმებს შორის დავის განსჯა შეეძლოს.

საკითხები კორინთელთა წერილიდან (1 კორ. 7:1-16:9)

ახლა პავლე პასუხობს რიგ კითხვებს, რომლებიც კორინთელებმა დაუსვეს მასთან გაგზავნილ წერილში.[197] თითოეული საკითხი იწყება ფრაზით: “რაც შეეხება...” პავლე მოყავს ციტატა მათი კითხვიდან და შემდეგ პასუხობს იმ საკითხს, რომელიც მათ წამოჭრეს.

უქორწინობა და ქორწინება (1 კორ. 7:1-23)

ზოგიერთი ასწავლიდა, რომ “კაცისთვის კარგია არ გაეკაროს დედაკაცს.”[198] პავლე პასუხობს, რომ ქორწინება სექსუალური გამოხატვის სწორი კონტექსტია. ამ ნაწილში ის ასევე განიხილავს განქორწინების საკითხს, რაც განსაკუთრებით რთული იყო ახალმოქცეულთათვის, რომლებიც დაქორწინებულნი იყვნენ არაქრისტიანებზე.

დასაქორწინებელნი და ქვრივები (1 კორ. 7:25-40)

„ახლანდელი გასაჭირის“ გამო, პავლეს სჯეროდა, რომ უმჯობესი იყო დაუქორწინებლები დარჩენილიყვნენ. ამასთან, მან განმარტა, რომ ეს მისი პირადი მოსაზრება იყო და არა „უფლის მცნება“. „ახლანდელ გასაჭირში“ იგულისხმება რომის მთავრობის მიერ მორწმუნეთა დევნა. ეს ასევე შეიძლება ეხებოდეს დევნის გაზრდის შესაძლებლობას, რადგან უფლის დაბრუნების "დადგენილი დრო" ახლოვდება.[199]

---

[196] „სატანას გადაეცეს ასეთი კაცი“, სავარაუდოდ, გულისხმობს მისი ეკლესიიდან განდევნას. ეკლესიის გარეთ, ის ქვეყნიერებაზე (წუთისოფელში), სატანის სამეფოშია.
[197] 1 კორ. 7:1.
[198] 1 კორ. 7:1.
[199] 1 კორ. 7:29.

- კერპთშენაწირი საკვები (1 კორ. 8:1-11:1)

◆ თქვენი მსახურების კონტექსტში, რომელი კულტურული პრაქტიკა უთანაბრდება კერპებისთვის საკვებს შეწირვის კორინთულ საკითხს?

ყველაზე გრძელი განხილვა პავლეს კერპებისთვის შეწირული საჭმელის შესახებ რთულ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოუხდა. კორინთელთა გადაწყვეტილება ეფუძნებოდა უპირატეს ცოდნას: "რადგან ყველას გვაქვს ცოდნა". პავლე პასუხობს, რომ იმის ნაცვლად, რომ ჩვენი გადაწყვეტილებები მხოლოდ ცოდნას დავაყრდნოთ (რომელიც "აამპარტავნებს"), ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ სიყვარულიდან გამომდინარე (რომელიც "აშენებს").

ავლე განსხვავებას უსვამს ხაზს წარმართული ტაძრების სასადილო ადგილებში ჭამასა და საზოგადოებრივ ბაზარზე საყიდლებს შორის. ტაძრის საბანკეტო დარბაზში ჭამის დროს "მცოდნე" მორწმუნეს შეეძლო გაენადგურებინა თავისი უფრო სუსტი ძმა, რომელიც ცდუნდებოდა საკუთარი სინდისის წინააღმდეგ წასვით. კორინთელთა სულისკვეთების მაგალითით, პავლე მათ შეახსენებს, რომ მან, როგორც მათმა პასტორმა, დათმო უფლება მიეღო ფინანსური მხარდაჭერა თავისი ქალაქის მახარებლობისთვის.

გარდა ამისა, წარმართულ ტაძარში ჭამა კერპთაყვანისმცემლურ პრაქტიკაში მონაწილეობა იყო.[200] პავლე ასკვნის: “არ შეგიძლიათ უფლის სუფრასაც ეზიაროთ და ეშმაკთა სუფრასაც.”

მიუხედავად იმისა, რომ მორწმუნეებს არ უნდა ეჭამათ წარმართულ რელიგიურ კონტექსტში, პავლე განსხვავებულად ეკიდება საზოგადოებრივ ბაზარზე შენაძენის საკითხს, სადაც იყიდებოდა ხორცი, რომელიც კერპებისთვის შენაწირი იყო. ვინაიდან ამას კერპთაყვანისმცემლობასთან პირდაპირი კავშირი არ აქვს, პავლე ქრისტიანებს მოუწოდებს „ნუ გამოიძიებენ“ და შეიძინონ არსებული. ამ თავისუფლებიდან გამონაკლისი არის შემთხვევა, თუ იქ ვინმე ისეთი იმყოფება, ვინც შეიძლება შეურაცხყოფილი დარჩეს. უფრო სუსტმა ძმამ შეიძლება ამ ხორცის შეძენაც კერპთაყვანისმცემლობას დაუკავშიროს. ამ შემთხვევაში, პავლე კორინთელებს შეახსენებს ქრისტიანის ვალდებულებას, ეძიონ არა "საკუთარი სარგებელი, არამედ თავისი მოყვასის.”

მთავარი პრინციპი სიყვარულია. ღმერთისადმი სიყვარული თავს შეაკავებინებს მორწმუნეს წარმართულ ტაძარში კერპებისთვის შენაწირ სუფრაზე მოზიარეობისგან. მოყვასი ქრისტიანისადმი სიყვარული თავს შეაკავებინებს მორწმუნეს ხორცის ჭამისგან, თუ ამას მისი სუსტი ძმის რწმენის განადგურება შეიძლება მოჰყვეს.

- თაყვანისცემა და ნიჭები (1 კორ. 11:2-14:40)

[200] 1 კორ. 10:1-22 იყენებს ისრაელის ღალატის ამბავს, როგორც გაფრთხილებას კერპთაყვანისმცემლობაში ჩაბმისგან თავის შესაკავებლად.

შემდეგ პავლე ეხება ძალაუფლების, უფლის სერობის აღსრულებისა და სულიერი ნიჭების საკითხებს. ეს პრობლემები სიამაყიდან და თანხმოებებიდან აღმოცენდა, რამაც განხეთქილება გამოიწვია კორინთოს ეკლესიაში. იმის ნაცვლად, რომ საკუთარი თავი ერთი სხეულის წევრებად აღექვათ, კორინთელები სულიერი ნიჭებს საკუთარი თავის წარმოსაჩენად იყენებდნენ. ამ დამოკიდებულებაზე სწორი პასუხია გვახსოვდეს, რომ სიყვარული უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სულიერი ნიშჭები.

- ❖ ქრისტეს და გარდაცვლილთა აღდგომა (1 კორ. 15)

გარდაცვლილი მორწმუნეების მომავლის შესახებ კითხვებზე პასუხის გაცემისას, პავლე იწყებს ისტორიული ჭეშმარიტების დადგენით ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ. შემდეგ მან თქვა, რომ იესოს მკვდრეთით აღდგომა „განსვენებულთაგან პირველნაყოფია“. მას შემდეგ, რაც ქრისტემ სიკვდილი დაამარცხა, მორწმუნეებს აღდგომის აღთქმა აქვთ..

- ❖ იერუსალიმში წმიდანებისთვის შეგროვება (1 კორ. 16:1-4)

მესამე მისიონერულ მოგზაურობაში, პავლემ წარმართთა ეკლესიებიდან შეაგროვა შესაწირავი იერუსალიმის მორწმუნეების მხარდასაჭერად, რომლებიც ებრაელი ლიდერების წინააღმდეგობის გამო იტანჯებოდნენ. ეს შესაწირავი მნიშვნელოვანი იყო პავლესთვის, როგორც ეკლესიის ერთიანობის დოქტრინის პრაქტიკული გამოხატულება. ამ შესაწირავით, წარმართმა ქრისტიანებმა აჩვენეს, რომ მათი წევრობა ეკლესიაში გულისხმობდა თანამოძმე (ებრაელი) ქრისტიანების მხარდაჭერის ვალდებულებას.

- ➡ დამშვიდობება (1 კორ. 16:5-24)

პავლე თავის წერილს ასრულებს კორინთოს სამომავლო ვიზიტის გეგმებით, პირადი მოკითხვით და დამშვიდობებით.

2 კორინთელთა

2 კორინთელთა წერილის გარემო და მიზანი

2 კორინთელთა წერილი დაიწერა 1 კორინთელთა წერილის დაწერიდან 1 წლის შემდეგ. როგორც ჩანს, ტიმოთეს ვიზიტმა ვერ მოიტანა კორინთოში პრობლემების მოგვარება. შემდეგ პავლემ თავად მოინახულა ეკლესია. ეს იყო "მტკივნეული" ვიზიტი, რომლის დროსაც ეკლესია წინააღმდეგობას უწევდა მის ძალაუფლებას.[201] პავლე დაბრუნდა ეფესოში, საიდანაც მან სხვა წერილი (აწ დაკარგული) დაწერა და გააგზავნა ტიტეს ხელით.[202]

ეფესოდან პავლე მაკედონიაში გაემგზავრა, სადაც ელოდებოდა ამბებს კორინთოდან. ტიტეს ცნობით, კორინთელთა უმეტესობამ მოინანია თავისი აჯანყება.[203] თუმცა, მცირე ჯგუფმა განაგრძო პავლეს ძალაუფლების უარყოფა. 2 კორინთელთა ბოლო ნაწილი ამ ჯგუფს ეხება და გზას ამზადებს პავლეს მესამე ვიზიტისთვის.

2 კორინთელთა წერილის მიზნებია:

- კორინთელების შექება მონანიების გამო, რომლის შესახებაც ტიტემ აცნობა (1-7)
- იერუსალიმის ეკლესიისთვის შესაწირავის შეგროვების დასრულება (8-9)
- მიმართვა ზოგიერთი წევრისადმი, აჯანყების მოსაგვარებლად (10-13)

შემდეგ დიაგრამაზე მოცემულია 1 და 2 კორინთელთა წერილების ვადები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი თარიღი უცნობია, ეს სავარაუდოდ არის კორინთოს ეკლესიაში პავლეს ჩართულობის დრო.

[201] 2 კორ. 2:1.
[202] 2 კორ. 2:3-9.
[203] 2 კორ. 7:5-16.

პავლე და ეკლესია კორინთოში	
პავლეს ვიზიტი კორინთოში	*პავლეს წერილი კორინთელებს*
ეკლესია დაარსდა პავლეს მეორე მისიონერული მოგზაურობის დროს (ახ. წ. 50წ.)	
	უცნობი წერილი [204]
	1 კორინთელთა, დაიწერა ეფესოში და ჩატანილ იქნა ტიმოთეს მიერ (ახ. წ. 55წ.)
"მტკივნეული" ვიზიტი, რომლის დროსაც პავლეს ძალაუფლება უარყოფილი იქნა [205]	
	ეფესოდან ტიტეს ხელით გაგზავნილი უცნობი „სასტიკი“ წერილი, რომელსაც მონანიება მოჰყვა [206]
	2 კორინთელთა, მაკედონიაში დეიწერა და ჩატანილ იქნა ტიტეს მიერ (ახ. წ. 56წ.)
პავლეს საბოლოო ვიზიტი კორინთოში (ახ. წ. 57წ.)[207]	

2 კორინთელთა წერილის შინაარსი

2 კორინთელთა სტილი აჩვენებს მის მრავალფეროვან მიზნებს. ის ანთოლოგიასავით იკითხება, რომელიც იძლევა პავლეს პასუხს მრავალ სხვადასხვა საკითხზე. 1 კორინთელთა წერილის მსგავსად, ეს არის კონკრეტულ შემთხვევებსა თუ მოვლენებზე საპასუხოდ დაწერილი წერილი, რომელიც ეხება კონკრეტულ საკითხებს, კორინთოში შექმნილ მდგომარეობასთან მიმართებით. წერილის ბუნდოვანი მონახაზის გაკეთების ნაცვლად, უფრო გამოსადეგი იქნებოდა ზოგიერთი თემის იდენტიფიცირება, რომლებიც განხილულია ამ წერილში.

- პავლეს მოციქულობის დაცვა

აშკარა უხერხულობით, პავლე იცავს თავის მოციქულობას წერილის ვრცელი მონაკვეთით. პავლეს მტრებმა მისი ტანჯვა და სისუსტე მოწმობად გამოიყენეს მისი, როგორც მოციქულის, ძალაუფლების

[204] 1 კორ. 5:9.
[205] 2 კორ. 2:1.
[206] 2 კორ. 7:8-16.
[207] 2 კორ. 12:14.

საწინააღმდეგოდ. ეს მტრები წარმატებითა და ძალით იქადიან; პავლე კი თავისი სისუსტეებით ამაყობს: "რათა ქრისტეს ძალა დამკვიდრდეს ჩემში".[208] მისი ძალაუფლება ღვთისაგან მოდის, რომელმაც აირჩია პავლეს სისუსტის საშუალებით მოქმედება, რათა ამით თავისი დიდება გამოევლინა.

- პავლეს სამართლიანობის (პატიოსნების) დაცვა

პავლეს კორინთოში ვიზიტი ადრე ჰქონდა განზრახული, მაგრამ ვიზიტი გადადო, რათა წინა ვიზიტით გამოწვეული ჭრილობები მოშუშებულიყო. ამ მიზეზით, მან ამჯობინა ჯერ მაკედონიაში გამგზავრება, ვიდრე პირდაპირ კორინთოში. გეგმების ეს შეცვლა გახდა პავლეს მტრების თავდასხმის საფუძველი; მათ ბრალი დასდეს არასაიმედოობაში. პავლე გეგმების შეცვლას ხსნის იმ ფაქტით, რომ ღმერთი ხელმძღვანელობს მის მსახურებას.[209]

- პავლეს მესამე ვიზიტის გეგმები

არიან ადამიანები, რომლებიც კვლავ უარყოფენ მის ავტორიტეტს და ძალაუფლებას და ამბობენ, რომ პავლე სუსტია. პავლე წერს, რომ ის ბრუნდება კორინთში და ეველრება მათ, რომ მოინანიონ მისი ჩამოსვლამდე. ამ მოწინააღმდეგეების მიერ გამოწვეული არეულობის მიუხედავად, პავლეს მიზანი შერიგებაა.წერილის დასაწყისში იგი ირწმუნება, რომ მოინანიებს შემთხვევაში დამნაშავეს აპატიებს.[210] წერილის ბოლოს ის კიდევ ერთხელ ითხოვს აღდგინებას. პავლეს მიზანი შერიგებაა და არა შურისძიება.

გალატელთა წერილი

თარიღი

გალატელთა მიმართ ეპისტოლის სავარაუდო თარიღია დაახლოებით ახ. წ. 48 წელი. პავლემ და ბარნაბამ სამხრეთ გალატიაში აწარმოეს სამახარობლო მუშაობა, მათი პირველი მისიონერული მოგზაურობის დროს, რომელიც ახ. წ. 47 წ. დაიწყო. სავარაუდოდ, პავლემ გალატელების მიმართ წერილი იმ პრობლემების საპასუხოდ დაწერა, რომლებიც ახალმოქცეულთა შორის მისი წამოსვლიდან მალევე გაჩნდა.

ამ თარიღის სასარგებლოდ ერთ-ერთი არგუმენტი ის ფაქტია, რომ პავლე ამ წერილში არ ახსენებს იერუსალიმის საბჭოს. რადგანაც, ეს წერილი წარმართებისა და რჯულის საკითხს (ეს საკითხი გადაწყდა იერუსალიმის საბჭოზე 49 წელს), სავარაუდოდ, პავლე ახსენებდა ამ საბჭოს, ის 49 წლის

[208] 2 კორ. 12:9.
[209] 2 კორ. 1:15-2:4; 2:12-17.
[210] 2 კორ. 2:5-11.

შემდეგ რომ დაეწერა. 48 წლის თარიღი იმაზე მოწმობს, რომ გალატელთა წერილი პირველია პავლეს ეპისტოლეებს შორის.

მიზანი

გალატელების მიზანი პირველივე აბზაციდან ნათელი ხდება. პავლეს მსახურების შედეგად ქრისტესთან მისულმა გალატელმა მორწმუნეებმა სახარება მიატოვეს. პავლე წერს, რომ ისინი დაუბრუნდნენ იესო ქრისტეს სახარებას, სულის ძალით მცხოვრები სიყვარულის კანონის „სასიხარულო უწყებას“ სიყვარულის კანონის შესახებ, რომელიც სულიწმიდის ძალით ცოცხლობს.

პავლესა და ბარნაბას გალატიიდან წასვლისთანავე ცრუ მასწავლებლები ეწვივნენ ეკლესიას. ისინი ქადაგებდნენ, რომ წარმართ ქრისტიანებს უნდა წინადაეცვითათ და შეესრულებინათ ებრაული რჯული. ამ მასწავლებლებმა სრულად ვერ უარყვეს იესოს გადარჩენის საქმე. ამასთან, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ჩვენ ვმართლდებით ქრისტეს რწმენით, პლუს კანონის (რჯულის) დაცვით. პავლე თავის მოქცეულებს შეახსენებს, რომ მხოლოდ მადლის წყალობით, რწმენით ვმართლდებით.

შინაარსი

გალატელები პავლეს ყველაზე მკაცრად ფორმულირებული წერილია. ის საყვედურობს გალატელებს უგუნურობისთვის, როდესაც ისინი სხვა სახარებას მიმართავენ და მოუწოდებს მათ დაუბრუნდნენ ქრისტეს ჭეშმარიტ სახარებას. ის ამას აკეთებს მთელი რიგი კონტრასტული არჩევანის საშუალებით. გალატელებისადმი გაგზავნილი წერილი დრამატული არჩევანისკენ მოუწოდებს: თავისუფლება ქრისტეში ან ხორციელი მონობა.

- ჭეშმარიტი სახარება ცრუ სახარების წინააღმდეგ

გვიანდელი წერილებისგან განსხვავებით, რომლებშიც პავლე ხშირად საკუთარ თავს განსაზღვრავს (უწოდებს) როგორც მოციქულს და იესო ქრისტეს მსახურს, გალატელებში იგი საკუთარ თავს მხოლოდ ძალაუფლების ხაზგამსმელი სიტყვებთ მოიხსენიებს. ”პავლე, მოციქული, (არა კაცთაგან და არც კაცის მიერ, არამედ იესო ქრისტესა და მამა ღმერთის მიერ, რომელმაც მკვდრეთით აღადგინა იგი)...”[211] ეს არის სამოციქულო ძალაუფლების ენა.

პავლეს ეპისტოლე გამოწვეულია ებრაელების, ე.წ. „იუდაიზერების“ მოქმედებებით გალატიის ეკლესიაში. პრობლემა ნაწილობრივ ალბათ იმაში იყო, რომ: ”პავლე არ იყო იესოს მოწაფე. სინამდვილეში, ის დევნიდა ეკლესიას! რატომ უნდა მოუსმინო მის გზავნილს? ის ნამდვილი მოციქული არ არის ”. პავლე პასუხობს: „მე კაცს არ ავურჩევივარ და არც ადამიანური ძალისხმევით მომხდარა ეს. მე თვით იესოს და მამა ღმერთის მიერ მოწოდებული მოციქული ვარ, რომელმაც იგი მკვდრეთით აღადგინა.”

[211] გალ. 1:1.

პავლეს სურს გალატელმა მორწმუნეებმა იცოდნენ, რომ სახარება, რომელიც მან უქადაგა, იესო ქრისტეს ჭეშმარიტი სახარება იყო. პავლეს ერთ-ერთი ქადაგება გალატიაში დაწერილია საქმეების 13:16-41-ში.

❓ წაიკითხეთ პავლეს ქადაგება საქმეების 13:16-41-ში. რა თემებს მოიცავს ქადაგება?

ყურადღება მიაქციეთ სახარების ამ მოკლე დასკვნების (რეზიუმეების) შინაარსს:

- ღმერთი ისრაელის მთელი ისტორიის მანძილზე მოქმედებდა მაცხოვრის წამოსაყებლად.
- იესო იოანე ნათლისმცემლის მიერ გამოაცხადებული მაცხოვარია.
- იესო უარყვეს „იერუსალიმში მაცხოვრებლებმა და მათმა მთავრებმა."[212]
- მათ ჯვარს აცვეს იესო, მაგრამ „ღმერთმა იგი მკვდრეთით აღადგინა."[213]
- მკვდრეთით აღდგომის შემდეგ იესო მრავალმა მოწმემ იხილა.
- "ყოველივესგან, რისგანაც მოსეს რჯულით ვერ გამართლდით, მასში მართლდება ყველა მორწმუნე."[214] ეს გადამწყვეტი მნიშვნელობის გზავნილია წარმართთაგან მოქცეულთათვის. პავლემ თავისი პირველი შეტყობინებით იქადაგა, რომ ჩვენ გამართლებული ვართ რწმენით („ყველა, ვისაც სწამს") და არა მოსეს კანონით.

ეს არის ჭეშმარიტი სახარება, უწყება გამართლების შესახებ, რომელიც მხოლოდ რწმენით გვეძლევა. იმ დროისთვის, როდესაც პავლე წერდა გალატელებს, იმ ახალმოქცეულებმა მიმართეს „სხვა სახარებას", რომელიც სახარებაც კი არ არის.[215] „რჯულის საქმეებით გამართლების" უღელი შორს არის პავლეს მიერ ნაქადაგები „რწმენით გამართლების" სასიხარულო (კეთილი) უწყებისგან.

[212] საქმ. 13:27.
[213] საქმ. 13:30.
[214] საქმ. 13:39.
[215] გალ. 1:6-7.

მადლი რელიგიურობის (ლეგალიზმის) წინააღმდეგ

ვინ არის ლეგალისთი (რელიგიური)?

ის, ვინც ზედმიწევნით ემორჩილება ღმერთს, ლეგალისტია (რელიგიურია)? არა! ღმერთი მოელის, რომ მისი შვილები დაემორჩილებიან. ლეგალისტი (რელიგიური) არის ადამიანი, რომელიც ღმერთის რჯულს (კანონს) ხსნის *მოსაპოვებლად* ემორჩილება.

პრობლემა გულშია. <u>გარეგნულად, ლეგალისტი და რწმენის ადამიანი შესაძლოა არ განსხვავდებოდეს.</u> რწმენის ადამიანი ემორჩილება ღმერთს, რადგან *მას უყვარს ღმერთი და სურს, რომ აამოს მას.* ლეგალისტი ემორჩილება ღმერთს, *რათა მოიპოვოს ღმერთის კეთილგანწყობა.* მორჩილების მოტივაცია და არა თვითონ მორჩილება განსაზღვრავს ლეგალიზმს (რელიგიურობას).

რა იყო ლეგალისტების "ცრუ სახარება"? *იუდაიზერები*[216] ასწავლიდნენ, რომ წარმართი მოწრმუნეები ხსნას მოიპოვებენ მოსეს რჯულის ყველა ასპექტის დაცვით და მორჩილებით. ამის ნაცვლად, პავლემ ასწავლიდა, რომ ჩვენ მადლით ვმართლდებით და არა საქმეებით. მან ეს ოთხ არგუმენტზე დააფუძნა:

- *პავლეს გამოცდილება.* პავლე მიანიშნებს დამასკოსკენ მიმავალ გზაზე გამოცხადებულ სახარებაზე. პავლე სახარების მტერი იყო, ეკლესიას დევნიდა. ის ამბობს: "მრავალ ჩემი ასაკის თანატომელს აღვემატებოდი იუდეველობაში, რადგან მამების გადმოცემების დიდად მოშურნე ვიყავი."[217] ხსნა რომ რჯულის მორჩილებით მოდიოდეს, პავლეს სახარება არ დასჭირდებოდა; ის ერთგული იყო რჯულის დაცვაში. ღმერთმა კეთილინება „გამოეცხადებინა მასში თავისი ძე“ და მიიყვანა პავლე ჭეშმარიტებამდე, რომ „რომ ადამიანი გამართლდება არა რჯულის საქმეებით, არამედ იესო ქრისტეს რწმენით.”[218]

- *გალატელების გამოცდილება.* გალატელებმა სულიწმიდა მიიღეს "რწმენით შესმენით" და არა "რჯულის საქმეებით". მათ არ შეუძლიათ „ხორციელად სრულყონ“ საქმე, რომელიც „სულით დაიწყო.”[219]

- *აბრაამის გამოცდილება.* "აბრაჰამმა ირწმუნა ღმერთი, და ეს სიმართლედ ჩაეთვალა მას." ახლა ყველა, ვინც ირწმუნა, "აბრაჰამის შვილები არიან." [220] როგორც აბრაჰამი გამართლდა რწმენით, ქრისტიანებიც მართლდებიან რწმენით და არა საქმეებით.

---

[216] “იუდაიზერი ”- ტერმინია, რომელიც განსაზღვრავს ადრეული ეკლესიის მასწავლებლებს, რომლებიც ცდილობდნენ ებრაული პრაქტიკის შერწყმას ქრისტიანულ სწავლებასთან. ისინი აცხადებდნენ, რომ ქრისტიანები არიან, მაგრამ ამტკიცებდნენ, რომ წარმართი მორწმუნეები ებრაულ რჯულსაც უნდა ემორჩილებოდნენ.
[217] გალ. 1:14.
[218] გალ. 1:16; 2:16.
[219] გალ. 3:3.
[220] გალ. 3:6-7.

- *თავად რჯული. პავლე გვიჩვენებს, რომ ყველა, ვინც რჯულის საქმეებს ეყრდნობა, ღვთის წყევლის ქვეშ დგას, ხოლო „მართალი იცოცხლებს რწმენით.”*[221] პავლე მოუწოდებს ღვთისკენ მოქცეულ გალატელებს: „თავისუფლებისთვის გაგვათავისუფლა ქრისტემ. მაშ, იდექით და ნუღარ შეუდგებით მონობის უღელს.”[222]

სულის ნაყოფი ხორცის მონობის წინააღმდეგ

❓ გვაძლევს „რჯულის საქმეებისგან“ თავისუფლება ნებართვას, რომ გავყვეთ ხორციელ სურვილებს?

პავლემ აღიარა საშიშროება, რომ მხოლოდ რწმენით გამართლების ამბავი შესაძლოა არასწორად იქნას გამოიყენებული. პავლეს წერილის მკითხველმა შესაძლოა დაასკვნას: “ეს მშვენიერი ახალი ამბავია! მე მადლით გავმართლდი, რწმენის მეშვეობით. რჯულს (კანონს) არ აქვს მნიშვნელობა. შემიძლია გავაკეთო ის, რისი გაკეთებაც მსურს! შემიძლია ჩემი ხორციელი სურვილების შესაბამისად ვიცხოვრო.” რომაელებშიც და გალატელებშიც პავლე პასუხობს ამ ცრუ სწავლებას. რომაელებში ის თავის მკითხველებს შეახსენებს, რომ ისინი, ვინც ცოდვისთვის მოკვდნენ, ვერ განაგრძობენ ცოდვაში ცხოვრებას.[223] გალატელებში პავლეს მოგვიწოდებს: ”იარეთ სულიერად და აღარ აღასრულებთ ხორცის გულისთქმებს.”[224]

სამი სახის საქმეები

- ❖ ლეგალიზმი (რელიგიურობა): “საქმეებით ვარ გადარჩენილი”
- ❖ თავისუფლების ბოროტად გამოყენება: “მე მადლით ვარ გადარჩენილი; საქმეებს მნიშვნელობა არ აქვს”
- ❖ სიყვარული: “მადლით ვარ გადარჩენილი; მე ვემორჩილები ღმერთს იმ სიყვარულიდან გამომდინარე, რაც მაქვს მისადმი, ვინც თავისი მადლით მიხსნა!”

პავლე აფრთხილებს თავის მკითხველებს: “ეს თავისუფლება არ გახდეს საბაბი ხორცის საამებლად, არამედ სიყვარულით ემსახურეთ ერთმანეთს.”[225] პავლე არასდროს ასწავლის, რომ რჯული უსარგებლოა; ის ასწავლის, რომ რჯული *შესრულდა* (აღსრულებულ იქნა) სიყვარულით. პავლეს პასუხი ლეგალიზმზე (რელიგიურობაზე) არ არის განზრახ ცოდვის ნებართვა. პასუხი ლეგალიზმზე (რელიგიურობაზე) არის სიყვარული. რჯული სრულდება სიყვარულში. თუ გვიყვარს ღმერთი, ჩვენ *ნებით* დავემორჩილებით ღვთის კანონს; რჯულის (კანონის) მეშვეობით ჩვენ შევიმეცნებთ როგორ ვიცხოვროთ ღმერთის მოსაწონად. ჩვენ ვემორჩილებით არა მონობის, არამედ სიყვარულის გამო. სიყვარული აღასრულებს რჯულს.

---

[221] გალ. 3:11-12.
[222] გალ. 5:1.
[223] რომ. 6:2.
[224] გალ. 5:16.
[225] გალ. 5:13.

პავლე ხორცის საქმეებს უპირისპირებს სულის ნაყოფებს.[226] ის ასწავლის, რომ თუ სულით ვცოცხლობთ, სულითვე დავდივართ; და მის ნაყოფს წარმოვაჩენთ ჩვენს ცხოვრებაში. თუ ხორცისთვის ვთესავთ, ხორცისგან მოვიმკით ხრწნილებას. ხოლო თუ სულისთვის ვთესავთ, სულისგან მოივმკით მარადიულ სიცოცხლეს.[227] სიყვარულის კანონი არ არის ნებართვა, რომ ვცოდოთ. პირიქით, სიყვარული გავძლევს ძალას, რომ ღვთის მორჩილებაში ვიაროთ.

მორწმუნისთვის სიყვარულის კანონს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ გზით მცხოვრებნი, ჩვენ შევძლებთ განსაცდელის გამო დაცემულების წამოყენებას; ჩვენ ერთმანეთის ტვირთს ვზიდავთ; ჩვენ სწორად ვიფიქრებთ საკუთარ თავზე; მოვიმკით საუკუნო სიცოცხლეს.[228] ეს არის ჭეშმარიტი ქრისტიანული თავისუფლება.

კორინთელთა და გალატელთა დღევანდელ ეკლესიაში

როდესაც ეკლესიაში პრობლემებს ვაწყდებით, ზოგჯერ ცდუნება გვაქვს ვიფიქროთ: ”წარსულში არასდროს ყოფილა ასე ცუდად საქმე!” კორინთელთა და გალატელთა წერილები შეგვახსენებს, რომ: ”დღევანდელი პრობლემები ახალი არ არის”. ეს წერილები პირდაპირ 21-ე საუკუნის ეკლესიას ეხება.

1 კორინთელების წერილი გვახსენებს ეკლესიის ერთიანობას. მიუხედავად იმისა, რომ მრავალ სფეროში განსხვავებულები ვართ, ქრისტეს სხეული ერთი სხეულია. ეს ჭეშმარიტება უნდა დაგვეხმაროს ეკლესიაში არსებული უთანხმოების მოგვარებაში; ის უნდა დაგვეხმაროს ქრისტიანებს შორის კონფლიქტების მოგვარებაში; და ის უნდა გაგვიძღვეს ჩვენი ნიჭების გამოყენებაში ქრისტეს სხეულის ასაშენებლად.

[226] გალ. 5:19-23.
[227] გალ. 6:8.
[228] გალ. 6:1-8.

ეს წერილები სეგვახსენებს, რომ მოწოდებულნი ვართ შერიგების მსახურებაში. კორინთელთა წერილში პავლე გვაჩვენებს, რომ თავისუფლად უნდა შეგვეძლოთ პატიება, როდესაც ეკლესიაში განხეთქილება ხდება. ანალოგიურად, გალატელთა წერილში პავლე გვიჩვენებს, რომ ჩვენ უნდა ვეცადოთ წამოვაყენოთ და აღვადგინოთ დაცემულები.

სახარება: რწმენით ვართ გადარჩენილნი.

იუდაიზერები: რწმენით ვართ გადარჩენილნი+ რჯული.

საშიშროება რომელიც დღევანდელობაში ემუქრება სახარებას: რწმენით ვართ გადარჩენილნი + _____.

გალატელთა წერილი შეგვახსენებს დიდებულ სწავლებას (დოქტრინას) მადლით გამართლების შესახებ, რწმენის მეშვეობით. პავლე გვაფრთხილებს, რომ არ დავუშვათ არავითარი სწავლება: "რწმენით გამართლება პლიუს..." არაფერი (მოსეს რჯული, საქმეები ან რაიმე სხვა) არ უნდა დავუმატოთ ქრისტეს საქმისადმი რწმენას, როგორც ღვთის წინაშე ჩვენი გამართლების საფუძველს.

გალატელთა წერილი შეგვახსენებს სიყვარულის კანონის ცხოვრებისეულ შედეგებს. სიყვარულის კანონი გარდაქმნის ჩვენს, ანუ მორწმუნეების ცხოვრებას.

დასკვნა

1738 წლის მაისი დასაწყისში, ვილიამ ჰოლანდმა დამოწმა რწმენაში დარწმუნება, მას შემდეგ, რაც მოუსმინა ჩარლზ ვესლის, რომელმაც წაიკითხა ლუთერის *კომენტარი გალატელების წერილზე.* ჩარლზ ვესლი წერდა თავის დღიურში: “ამ საღამოს რამდენიმე საათი პირადად გავატარე მარტინ ლუთერთან, რომელიც ჩემთვის დიდად დალოცვილი იყო..... ვცდილობდი, ველოდებოდი და ვლოცულობდი, რომ შემეგრძნო ის, ვინც შემიყვარა და თავი მისცა ჩემთვის.’”

სულ რამდენიმე დღის შემდეგ, კვირას, სულთმოფენობის დღეს, ჩარლზმა დაამოწმა თავის დარწმუნების თაობაზე. ოთხი დღის შემდეგ, როდესაც ვილიამ ჰოლანდს უსმენდა, რომელიც მარტინ ლუთერის *რომაელების წერილის წინასიტყვაობიდან* კითხულობდა, ჯონ ვესლიმ მიიღო რწმენაში დარწმუნება.

უწყებამ რწმენით გამართლების შესახებ გარდაქმნა ლუთერი, ძმები ვესლები და მილიონობით სხვა მორწმუნე. ეს უწყება ისეთივე მნიშვნელოვანია დღევანდელობაში, როგორც ეს იყო მე-17 საუკუნეში.[229]

[229] ჯ. პაკერის "შესავალი" ლუთერის *გალატელთა წერილის კომენტარებ*ში. Crossway Classic Commentaries, 1998.

გაკვეთილის დავალება

წარმოაჩინეთ ამ გაკვეთილი თქვენ მიერ აღქმა (გაგება) შემდეგი დავალებების დახმარებით:

1) აირჩიეთ ქვემოთმოყვანილი დავალებებიდან ერთერთი:

a. როგორც 1 კორინთელთა სასწავლო სახელმძღვანელო, მოამზადეთ ერთ გვერდზე მოცემული მონახაზი, თითოეული იმ საკითხის განსაზღვრებით, რომელსაც პავლე ამ წერილში ეხება. თქვენი მონახაზი უნდა მოიცავდეს სამ რამეს:

1) საკითხს ან პრობლემას;

2) პავლეს პასუხის მოკლე დასკვნას (რეზიუმეს);

3) საღვთო წერილების მუხლების მითითება 1 კორინთელთა წიგნში, რომელიც ამ საკითხის განხილვას ეძღვნება.

b. დაწერეთ ერთგვერდიანი ესე თანამედროვე გამოწვევებზე, მხოლოდ რწმენის მეშვეობით, მადლით გამართლების დოქტრინაზე. მიუხედავად იმისა, რომ აღარ გვხვდება იუდაიზერები და მათი წინადაცვეთის მოთხოვნის მცდელობები, კიდევ რას ამატებენ ხოლმე ქრისტიანები მადლს, როგორც გამართლების საფუძველს რწმენით?

2) გაიარეთ ტესტი ამ გაკვეთილის მასალაზე დაყრდნობით. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმინდა წერილიდან..

გავიღრმავოთ ცოდნა

მეტი ინფორმაციის მისაღებადკორინთელთა და გალატელთა, იხილეთ შემდეგი რესურსები.

ბეჭდური წყაროები

ადამ კლარკი. *ახალი აღთქმის კომენტარები.* Abingdon Press, n.d.

დევიდ გილი. “1 კორინთელთა წერილი” ზონდერვანის ილუსტრირებული ბიბლიური ფონის კომენტარში. Zondervan, 2002.

ლეონ მორისი. *გალატელთა: პავლეს ქრისტიანული თავისუფლების ქარტია.* Intervarsity Press, 2003.

ჯონ სკოტი. *გალატელთა წერილის არსი (მესიჯი).* Intervarsity Press, 1984.

ერლ ვილსონი. *გალატელთა, ფილიპელთა, კოლოსელთა წერილები: კომენტარები ბიბლიის შემსწავლელთათვის.* Wesleyan Publishing House, 2007.

ელექტრონული (ინტერნეტ) წყაროები

”პავლეს წინამძღოლობის გამოწვევები კორინთოში”

http://www.seedbed.com/seven-minute-seminary/

ჯონ ვესლი. *ვესლის ახსნა-განმარტებები ახალი აღთქმის შესახებ.*
http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

გაკვეთილი 6 ტესტის საკითხები

1. რატომ იყო კორინთო პავლეს ევანგელიზაციის სტრატეგიისთვის მნიშვნელოვანი ქალაქი?

2. ვინ მუშაობდა პავლესთან ერთად კორინთოში ეკლესიის დაფუძნებაზე?

3. კორინთოში არსებულმა რომელმა პრობლემებმა განაპირობა 1 კორინთელთა წერილი?

4. 1 კორინთელთა წერილში რომელი ფრაზით შემოყავს თითოეული კითხვა პავლეს, რომელსაც შემდგომში თვითონ პასუხობს?

5. ჩამოთვალეთ სამი თემა რომელსაც პავლე ეხება 2 კორინთელთა წერილში.

6. რა იყო პავლეს მიზანი გალატელთა წერილის დაწერისას?

7. რა იყო იუდაიზერების ცრუ სწავლება?

8. რაში მდგომარეობს გალატელთა წერილში შეთავაზებული არჩევანი?

9. განმარტეთ „ლეგალიზმი“ (რელიგიურობა).

10. ლეგალიზმის საწინააღმდეგო არგუმენტში პავლემ აღნიშნა ოთხი რამ. რა არის ეს?

გაკვეთილი 7

ეფესელთა, ფილიპელთა, კოლოსელთა, და ფილიმონის წერილები ციხიდან

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

(1) იცოდეს ციხის ეპისტოლეების სავარაუდო თარიღი და ისტორიული გარემო.
(2) გამოკვეთოს ციხის ეპისტოლეების ძირითადი თემები და მიზნები.
(3) ესმოდეს "წინასწარ განსაზღვრის" (ხვედრის, ბედისწერის) ბიბლიური მნიშვნელობა.
(4) აფასებდეს ბიბლიის სწავლების მნიშვნელობას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ეკლესია, ქრისტეს დოქტრინები და სულიერი ომი.
(5) შეაჯამოს ქრისტიანული ცხოვრების პრაქტიკული პრინციპები ციხის ეპისტოლეებიდან.
(6) დაუკავშიროს ამ წიგნების გზავნილი დღევანდელი მსოფლიოს საჭიროებებს.

გაკვეთილი

წაიკითხეთ: ეფესელთა, ფილიპელთა, კოლოსელთა, და ფილიმონის წერილები
დაიზეპირეთ: ეფესელთა 4:11-16 და კოლოსელთა 3:1-4

ახ. წ. 60-იანი წლების დასაწყისში, პავლე ორი წლის განმავლობაში შინაპატიმრობაში იმყოფებოდა რომში. მიუხედავად იმისა, რომ პატიმარი იყო, მას ჰქონდა შედარებითი თავისუფლება. ის საკუთარ სახლში ცხოვრობდა და მნახველების მიღების უფლება ჰქონდა.[230] ამ ტყვეობის დროს, პავლემ ოთხი წერილი დაწრა (რომლებსაც აგრეთვე ეპისტოლეები ეწოდებათ). სამი წერილი ეკლესიების მიმართაა; მეოთხე კი პავლემ მისი მსახურების დროს მოქცეულ კაცს მიწერა.

ეს პავლეს წერილებს შორის ყველაზე სასიხარულო წერილებია. ისინი გვაჩვენებენ მის გამარჯვებას ცხოვრების რთულ ვითარებებზე და გვამხნევებენ და მოგვიწოდებენ სიხარული შევინარჩუნოთ ჩვენი ბრძოლების დროს.

ეს წერილები ძალზე პრაქტიკულია. ისინი ეხებიან ისეთ საკითხებს, როგორიცაა ოჯახური ურთიერთობები და სულიერი ომი (ეფესელთა წერილი), თავმდაბლობა და ერთიანობა (ფილიპელთა წერილი), ქრისტეს უპირატესობა (კოლოსელთა წერილი), და პატიება და აღდგინება (ფილიმონის წერილი).

[230] საქმ. 28:30-31.

ეფესელთა

ისტორიული გარემო

ეფესოში ეკლესია დაინერგა პავლეს მესამე მისიონერული მოგზაურობის დროს. ორატორი აპოლოსი ეფესოში ქადაგებდა; პრისკილა და აკვილა მუშაობდნენ იქ; პავლემ სამი წელი გაატარა ეფესოში ქადაგებასა და სწავლებაში. ეს ქალაქი გახდა მიმდებარე პროვინციაში ევანგელისტური საქმიანობის ცენტრი; ეფესოდან " ყველამ, ვინც აზიაში ცხოვრობდა, მოისმინა უფლის იესოს სიტყვა."[231]

ეფესო იყო ქალღმერთი დიანას (რომელსაც ასევე არტემიდეს უწოდებენ) ცნობილი ტაძრის ადგილმდებარეობა. ოკულტური პრაქტიკა იყო ჩვეულებრივი მოვლენა, ხოლო ქალაქის ეკონომიკა ტრიალებდა ტაძართან დაკავშირებული საგნების გაყიდვის გარშემო. პავლეს მსახურებამ ამ ორივე ინტერესის ნგრევა გამოიწვია. ახალმა მორწმუნეებმა 6 მილიონი დოლარის ღირებულების ჯადოქრული ხელოვნების წიგნები დაწვეს.[232] ამის შედეგად, დემეტრე და სხვა ხელოსნები, რომლებიც ფულს შოულობდნენ დიანასთვის მიძღვნილი ნივთების გაყიდვით, აჯანყდნენ პავლეს მსახურების წინააღმდეგ. სულიერი ომი მნიშვნელოვანი თემაა ეფესელთა წერილში.

კიდევ ერთი ფაქტორი უნდა აღინიშნოს ეფესელთა შესახებ. წარმოუდგენელია, რომ პავლეს წერილები არ მოიცავდეს ეკლესიაში მყოფი ხალხს პირადად მოკითხვას. რომში მიწერილი წერილიც კი, სადაც პავლე ჯერ არ იყო ნამყოფი, მოიცავდა პავლესთვის ნაცნობი ეკლესიის წევრების მოკითხვას. ეფესოს ეკლესიის მიმართ წერილში, სადაც პავლე სამი წლის განმავლობაში ქადაგებდა, მოსალოდნელი იყო სახელების გრძელი ჩამონათვალი. ამის საპირისპიროდ, ეფესელთა წერილი არ შეიცავს პირად მოკითხვებს. ყველაზე სავარაუდო მიზეზი ის არის, რომ ეფესელები და კოლასელები "ცირკულარული წერილები" იყო, რომლებიც მცირე აზიის რამდენიმე ეკლესიაში უნდა გავრცელებულიყო. ტვიქიკოსს დაევალა ეფესელთათვის და კოლასელთათვის მიწერილი წერილების და ამ ეკლესიების მოკითხვის გადაცემა.[233]

შინაარსი

ეფესელთა მიმოხილვა გვიჩვენებს ორ დიდ მონაკვეთს:

- დოქტრინა: რა გააკეთა ღმერთმა ეკლესიისთვის (ეფეს. 1-3)
- გამოყენება: რას აკეთებს ღმერთი ეკლესიაში (ეფეს. 4-6)[234]

---

[231] საქმ. 18:24-19:10.
[232] *ESV სასწავლო ბიბლია.*
[233] ეფეს. 6:21 და კოლ. 4:7.
[234] ადაპტირებულია ვოლტერ ელველი და რობერტ იარბროუს წიგნიდან: *ახალი აღთქმის პირისპირ.* Baker Academic, 2005.

პირველ ნაწილში პავლე ეხება დოქტრინებს რჩეულობის და ეკლესიის შესახებ. მეორე ნაწილში, პავლე მოუწოდებს თავის მკითხველებს იცხოვრონ იმ მდგომარეობის ღირსად, რაც ღვთის რჩეულ ეკლესიას ეკადრება.

- დოქტრინა: რა გააკეთა ღმერთმა ეკლესიისთვის (ეფეს. 1-3)

  - <u>მორწმუნეთა ხსნა (ეფეს. 1:3-2:10)</u>

მოკლე მისალმების შემდეგ, პავლე იწყებს ლოცვით, რომელშიც ჩამოთვლილია ქრისტეში მიღებული კურთხევები. ეფესელთა 1:3-14 მშვენიერი დოქსოლოგიაა, რომელშიც პავლე თავის მკითხველებს ახსენებს სულიერ სიკეთეებს, რომელსაც ქრისტეში ჩვენი ადგილის მეშვეობით ვიღებთ.

- *წაიკითხეთ ეფესელთა 1:3-14. რა სულიერ კურთხევებს ვიღებთ ქრისტეში?*

> ეს მშვენიერი გაცვლაა, რომელიც მან ჩვენთან გააკეთა;
>
> გახდა რა კაცის ძე ჩვენ შორის, მან თავისში გაგვხადა ღმერთის ძეები;
>
> რომ დედამიწაზე ჩამოსვლით, მან ჩვენი სამოთხეში ამაღლების გზა მოგვიმზადა;
>
> ჩვენი მოკვდაობის აღებით, მან მოგვცა თავისი უკვდავება;
>
> მან აიღო ჩვენი სისუსტე და თავისი ძალით გაგვაძლიერა;
>
> აიღო ჩვენი სიღარიბე და სანაცვლოდ მოგვცა თავისი სიმდიდრე.
>
> (ჯონ კალვინის, ქრისტიანული რელიგიის ინსტიტუტის შემოკლება, 4.17.2)

ჩვენს ხსნაში ჩართულია ჩვენს ხსნაში წმიდა სამების სამივე პიროვნება მონაწილეობს. 1:3-6 -ში, პავლე გვაჩვენებს <u>მამის როლი ჩვენს არჩევაში</u>. ღმერთმა "ამოგვირჩია მასში ქვეყნიერების შექმნამდე, რათა წმიდანი და უბიწონი ვყოფილიყავით მის წინაშე სიყვარულით." ჩვენ ვართ არჩეულნი "მასში" (ქრისტეში) რათა წმიდანი და უბიწონი ვყოფილიყავით. ხსნის გეგმა მამის ჩანაფიქრი და განზრახვა იყო.

1:7-12-ში, პავლე გვაჩვენებს <u>ძირს როლს ჩვენს გამოსყიდვაში</u>. იესოს გამომსყიდველი სიკვდილის გამო, ჩვენ გვაქვს "გამოსყიდვა მისი სისხლით, ცოდვების მიტევება მისივე მადლის სიმდიდრით." ვინმეს გამოხსნა ნიშნავს ტყვეობიდან გამოსყიდვას. ძველი აღთქმის დიდი მაგალითი იყო ისრაელის გამოსყიდვა ეგვიპტის მონობისგან. ახალ აღთქმაში ყველა, ვისაც სწამს იესო, გამოსყიდულია სატანის მონობისგან.

1:13-14-ში, პავლე გვჩვენებს <u>სულიწმიდის როლი ჩვენს დაცვაში.</u> სულიწმიდის მეშვეობით ჩვენ "დავიბეჭდეთ". მშვენიერი სიტყვებით პავლე გვაუწყებს, რომ სულიწმიდა "ჩვენი მემკვიდრეობის საწინდარია ქონების გამოსყიდვაში, ღმერთის დიდების საქებრად." ის გვთავაზობს „წინასწარ გადახდას" ჩვენი მემკვიდრეობისთვის საუკუნო სამეფოში. სულიწმიდის წყალობით, ჩვენ ვართ ღმერთის "შეძენილი კუთვნილება" და გვაქვს სამოთხის აღთქმა.

გამოსყიდვის დოქტრინა გრძელდება ეფესელთა 2 თავში, სადაც პავლე შეგვახსენებს, რომ ჩვენ „დანაშაულითა და ცოდვებით მკვდრები ვიყავით." ჩვენი ხსნა არ ემყარება რაიმე ჩვენს დამსახურებას; ამის ნაცვლად: "„წყალობით მდიდარმა ღმერთმა, თავის დიდ სიყვარულში, რომლითაც შეგვიყვარა, ჩვენ, დანაშაულის გამო მკვდრები, გაგვაცოცხლა ქრისტესთან ერთად - მადლით ხართ

გადარჩენილნი.” “ვინაიდან მადლით ხართ გადარჩენილნი, რწმენის მეშვეობით, და ეს თქვენგან კი არაა, არამედ ღვთის საჩუქარია. არა საქმეთაგან, რათა არავინ დაიკვეხნოს.”[235] მთელი პროცესი ღმერთის საჩუქარია. ჩვენ არაფერი გვაქვს საამაყო.

რჩეულობა

პავლე წერს, რომ ღმერთს წინასწარ განსაზღვრული ჰქონდა, რომ ვეშვილეთ იესო ქრისტეში. მან “ამოგვირჩია მასში ქვეყნიერების შექმნამდე”

ზოგიერთი იყენებს სიტყვა "*რჩეულობას*" იმ მნიშვნელობით, რომ ქვეყნიერების შექმნამდე ღმერთმა აირჩია ყველა ცალკეული პიროვნება, ვინ უნდა გადაერჩინა. “რჩეულს” გადარჩენა წინასწარ განსაზღვრული აქვს ბედისწერით. ლოგიკურად, ეს ნიშნავს, რომ ყველა სხვა ადამიანი განწირულია წყევლისთვის და მათი გადარჩენა შეუძლებელია. როგორც ჩანს, ეს ეწინააღმდეგება ბიბლიის გზავნილს, რომ ღმერთს უყვარს „მთელი“ კაცობრიობა.

ზოგიერთი იყენებს სიტყვა "*რჩეულობას*" იმ მნიშვნელობით, რომ ეს მხოლოდ ღმერთის წინასწარი ცოდნაა, თუ ვინ აირჩევს გადარჩენას. ისინი ამტკიცებენ, რომ წინასწარ განზრახვა უბრალოდ ღმერთის წინასწარ ცოდნაა ადამიანის არჩევანის შესახებ. ამ თვალსაზრისით, ხსნა ემყარება ჩვენს არჩევანს. როგორც ჩანს, ეს გაგება ეწინააღმდეგება ბიბლიის ხაზგასმას ღვთის სუვერენულობაზე, მის უზენაეს ხელისუფლებაზე.

ეს ორი პრინციპი (ღმერთის სუვერენულობა და ღმერთის საყოველთაო სიყვარული) განხილულია ორ ცენტრალურ მონაკვეთში წინასწარ განსაზღვრულობის, ანუ ბედისწერის სესახებ: რომაელების 9-11 და ეფესელების 1 თავში. რომაელთა 9-11თავები გვიჩვენებს ღვთის სამართლიანობას გადარჩენის გზის განსაზღვრისას. ღმერთი სუვერენული, ანუ უზენაესია. ვერავინ გადარჩება, თუ არა იესო ქრისტეს რწმენით, ეს ის გზაა, რომელიც ღმერთმა სამუდამოდ განსაზღვრა, როგორც ხსნის გზა.

ეფესელთა 1-ში პავლე გვიჩვენებს, რომ ხსნა ინდივიდებს ეკუთვნით, რადგან ჩვენი ადგილი არის „ქრისტეში.“ ჯერ კიდევ ქვეყნიერების შექმნამდე ქრისტე იყო ის, ვისი მეშვეობითაც ხსნა უნდა მოსულიყო. ყველა, ვისაც სწამს, რჩეულია „მასში.“ ღმერთის ყოვლისმომცველი სიყვარულის გამო, ხსნის გზა გახსნილია ყველასთვის, ვისაც სწამს.

იგივე ბალანსი ჩანს ძველ აღთქმაში. ისრაელი იყო რჩეული ერი, ღვთის მიერ არჩეული ხალხი. ამასთან, „ვინც ისრაელისაგან არის, ყველა ისრაელიანი როდია.“[236] ღმერთის მიერ ისრაელის, როგორც ერის არჩევა არ ნიშნავს, რომ ყველა ისრაელიანი გადარჩებოდა. დაუმორჩილებლობის გამო, ზოგიერთმა (ყაქანის მსგავსად) დაკარგა აღთქმული. სხვებმა, რომლებიც ისრაელიანად არ დაბადებულან (რახაბივით) ირწმუნეს ღმერთის აღთქმული და მემკვიდრეობით მიიღეს

[235] ეფეს. 2:4-5, 8-9.
[236] რომ. 9:6.

ისრაელისთვის მიცემული დანაპირები. ხსნა მოითხოვდა, რომ ინდივიდებს ეწამათ და მონაწილეობა მიეღოთ ღვთის აღთქმაში ისრაელის არჩევის შესახებ.

ანალოგიურად, ქრისტეც შეირჩა სამყაროს დაარსებამდე, როგორც ის, ვისი მეშვეობითაც მოგვცა ხსნა. როდესაც ჩვენ "ქრისტეში" ვართ რწმენით, ვიღებთ ხსნის კურთხევას, რომელიც მას ეკუთვნის. ჩვენ რჩეულები ვართ ქრისტეში.

რჩეულობა - ღმერთის სუვერენული არჩევანია - ქრისტეს რწმენა, როგორც ხსნის ერთადერთი გზა. "სხვა არავისში არსებობს ხსნა და არც არის ცის ქვეშ ადამიანთათვის მიცემული სხვა სახელი."[237] იგივე აზრი ჩანს 1 პეტრეს 1: 18-20-ში. ჩვენ გამოსყიდულნი ვართ არა ხრწნადი ნივთებით, არამედ „ქრისტეს ძვირფასი სისხლით" პეტრეს თქმით, ქრისტე "წუთისოფლის შექმნამდე იყო წინასწარ განწესებული."[238] რჩეულობა მხოლოდ ქრისტეშია და მხოლოდ ქრისტეს მეშვეობით.

- <u>ეკლესიის ერთიანობა (ეფეს. 2:11-3:21)</u>
  - *<u>რა არის "სახარების საიდუმლო" ეფესელთა წერილში?</u>*

ეფესელთა 1 თავში პავლე ხარობს მორწმუნეთა ხსნით. ეფესელთა 2-3-ში ის ხარობს ღმერთის ქმნილით, ეკლესიით. ეფესელთა მნიშვნელოვანი თემა ეკლესიის ერთიანობაა, ერთი სხეული, რომელიც იუდეველთა და წარმართთაგან შედგება. წარმართები, რომლებიც ოდესღაც „აღთქმის მცნებათათვის უცხონი" იყვნენ, ახლა „ახლობლები გახდნენ ქრისტეს სისხლის მეშვეობით."[239] თავიდანვე ღმერთის გეგმა იყო წარმართთა შეყვანა თავის ოჯახში. პავლეს ებრაელი ძმებისათვის ეს სახარების შოკისმომგვრელი მხარე იყო; ეკლესია შედგება ორივესაგან - იუდეველებისა და წარმართებისგან *ქრისტეში.*

ბიბლიაში საიდუმლოება არ არის ისეთი რამ, რისი გაგებაც არ შეიძლება; საიდუმლო არის ის, რაც *უცნობი* იყო, მაგრამ ახლა *გაცხადდა.* ეფესელთა 3-ში პავლე განმარტავს საიდუმლოებას, რომელიც ახლა გამოვლინდა და გაცხადდა: „რომ წარმართებიც თანამემკვიდრეები, სხეულის ნაწილები და აღთქმის თანაზიარნი არიან ქრისტეში ხარების მეშვეობით."[240] ღვთის მადლის ძალაუფლების ნიშნად, პავლე - "ყველა წმიდას შორის უმცირესი," ვინც დევნიდა ქრისტეს და მის ეკლესიას, აირჩეულ იქნა "რათა წარმართთათვის მეხარებინა ქრისტეს აურაცხელი სიმდიდრე."[241]

პავლე მოძღვრების (დოქტრინალურ) ნაწილს ასრულებს ლოცვით, რათა ეფესელი მორწმუნეები, უკვე "წმინდანები" და "ქრისტე იესოში ერთგულნი," აღვსილიყვნენ "სრული ღვთიური სისავსით".

---

[237] საქმ. 4:12.
[238] 1 პეტ. 1:19-20.
[239] ეფეს. 2:12-13.
[240] ეფეს. 3:6.
[241] ეფეს. 3:8.

- გამოყენება: რას აკეთებს ღმერთი ეკლესიაში (ეფეს. 4-6)

ამ წერილის მეორე ნახევარში პავლე მოუწოდებს მორწმუნეებს, იარონ „იმ მოწოდების ღირსად, რომელშიც მოუწოდეს."[242] ჩვენი მოწოდების ღირს ცხოვრება:

- ხელს უწყობს ერთიანობას ეკლესიაში (ეფეს. 4:1-16)
- იწვევს ეთიკურ ქცევას (ეფეს. 4:17-5:21)
- გავლენას ახდენს ოჯახურ და სამუშაო ურთიერთობებზე (5:21-6:9)
- მხოლოდ უფლის ძალის ძლიერებაში ცხოვრობს (6:10-18)

ქრისტიანული დოქტრინა არ შეიძლება განცალკევდეს ქრისტიანული ცხოვრებიდან. ეკლესიის დოქტრინა უნდა თვასაჩინო იყოს (ჩანდეს) მის ცხოვრებაში, სადაც "თითოეული ასო სათანადოდ მოქმედებს", ეკლესია, რომელიც "თავის თავს აშენებს სიყვარულში".[243] სწავლება მადლის მეშვეობით გადარჩენის შესახებ, ცხადი ხდება "ახალი კაცის" ქცევაში, "რომელიც შექმნილია ღვთისამებრ, ჭეშმარიტების სიმართლესა და სიწმიდეში".[244]

დასასრულს, ის ითხოვს ლოცვას მისთვის, რათა კვლავაც განაგრძოს სახარების უწყება და აგრეთვე ლოცავს და აკურთხებს მათ.

ფილიპელთა

ისტორიული გარემო

ეს იყო პირველი ეკლესია, რომელიც ევროპაში დაინერგა. პავლე და სილა ფილიპიში გაემგზავრნენ მას შემდეგ, რაც პავლემ ხილვაში ნახა მაკედონიელი კაცი, რომელსიც დახმარებას ითხოვდა.[245] მიუხედავად იმისა, რომ „ფილიპი მაკედონიის ამ ნაწილის მთავარი ქალაქი იყო", მას არ ჰყავდა ებრაელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა. ისინი მდინარის პირას ლოცულობდნენ, რადგან იქ არ იყო სინაგოგა.[246]

ფილიპიში ერთ – ერთი პირველი ქრისტესკენ მოქცეული იყო ლიდია, მდიდარი ქალბატონი. მისი ნათლობის შემდეგ, ლიდიას სახლი გახდა მორწმუნეების თავშეყრის ადგილი. დიდ ქალაქებში, სადაც ებრაელები ცხოვრობდნენ, სახარებისთვის წინააღმდეგობის გაწევა რელიგიური წინამძღოლების მხრიდან ხდებოდა, ხოლო ფილიპიში წინააღმდეგობა გაჩნდა მას შემდეგ, რაც პავლემ და სილასმა ხელი შეუშალეს იმ ადამიანების საქმიანობას და შემოსავალს, რომლებიც სულით მოპყრობილ მონა გოგონას აკონტროლებდნენ. პავლე და სილა დააპატიმრეს, სცემეს და ციხეში ჩასვეს. იმ ღამეს,

[242] ეფეს. 4:1.
[243] ეფეს. 4:16.
[244] ეფეს. 4:24.
[245] საქმ. 16:8-40.
[246] ნებისმიერ ქალაქში, სადაც ათი ებრაელი კაცი ცხოვრობდა, ჰქონდათ სინაგოგა.

მიწისძვრამ გახსნა ციხის კარები და პატიმრები გათავისუფლდნენ ბორკილებისგან. გაქცევის ნაცვლად, პავლემ და სილამ ციხის ზედამხედველს სახარება უქადაგეს.

საქმეებში „ლუკამ“ ახსენა, რომ ფილიპი „კოლონია იყო.”[247] ამ უბრალო დებულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოციქულთა საქმეების ადრეული მკითხველებისთვის. ფილიპი დაარსდა როგორც რომის კოლონია ძვ. წ. 42 წელს, რომაელი გენერლის ანტონიუსის მიერ. ბევრმა ჯარისკაცმა მიატოვა ჯარი და ამ ქალაქში გადასახლდა, რადგან მისი მოსახლეობა თავისუფლდებოდა მრავალი რომაული გადასახადისგან. ფილიპის, როგორც კოლონიის სტატუსი, მისი მოქალაქეების სიამაყე იყო. პავლე ამ აზროვნებას გულისხმობს, როდესაც ფილიპელ ქრისტიანებს მოუწოდებს იცხოვრონ, როგორც ზეცის მოქალაქეებმა.[248]

მიზნები

ფილიპელები პავლეს ერთ – ერთი ყველაზე პოზიტიური წერილია, რომელშიც ნაჩვენებია რამდენიმე პრობლემა, რომელსაც ის ეხება კორინთელთა და გალატელთა მიმართ წერილებში. ამ წერილის ორი მიზეზი არსებობდა.

პირადი მიზანია - პავლეს პატიმრობის შესახებ ამბის შეტყობინება და ეკლესიის მიერ მისი მსახურების ფინანსური მხარდაჭერისთვის მადლიერების გამოხატვა.[249] პავლე ხარობს მათი ერთგულებით და მოუწოდებს იცხოვრონ სიხარულით სავსე ცხოვრებით.

სწავლების მიზანს კი ფილიპელთა ეკლესიის ორი საშიშროების აღმოფხვრა წარმოადგენდა: გარე საფრთხე, რომელიც ცრუ მასწავლებლების მხრიდან მომდინარეობდა, ხოლო შინაგანი საფრთხე კი - ეკლესიის ორ წევრს შორის დაყოფიდან.

შინაარსი

- სიხარული გარემოებების მიუხედავად (ფილიპ. 1)

მიუხედავად იმისა, რომ პავლე ციხეშია, ის დარწმუნებულია, რომ ღმერთი თავის მიზნებს ახორციელებს. პატიმრობის გამო, პავლეს შესაძლებლობა აქვს სასახლის მცველებს უქადაგოს სახარება. პავლემ არ იცის, მისი პატიმრობა გათავისუფლებით დასრულდება თუ სიკვდილით. შედეგის მიუხედავად, ის ხარობს, რადგან „ჩემთვის სიცოცხლე ქრისტეა, სიკვდილი კი - მონაგები.”[250]

კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც შეეძლო საფრთხე შეექმნა პავლეს სიხარულისთვის, იყო თანამორწმუნეების შური.

---

[247] საქმ. 16:12.
[248] ფილიპ.3:20: “ხოლო ჩვენი მოქალაქეობა ზეცაშია....” იგივე ბერძნული სიტყვა გამოყენებულია ფილიპ.1:27: “ოღონდ მოიქეცით ქრისტეს სახარების ღირსად...”
[249] ფილიპ.4:15-18.
[250] ფილიპ.1:12-14, 19-25.

რომში მყოფი ჯგუფი, ქრისტეს „ჯიბრით“ქადაგებს, რაც ამძაფრებს პავლეს ტანჯვას. ამასთან, პავლეს, როგორიც არ უნდა იყოს მათი მოტივაცია, უხარია, რომ სახარება იქადაგება. პავლე დარწმუნებულია, რომ ამ ხალხის არასწორი მოტივის მიუხედავად, სიკეთე სახარებიდან მოდის. პავლეს პირადი მდგომარეობა ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე ღვთის სასუფეველი.[251]

თავმდაბლობა, როგორც ერთიანობის გასაღები (ფილიპ. 2)

მოგვიანებით წერილში, პავლე შეხება ფილიპელთა ეკლესიაში ორ დას შორის მომხდარ დაყოფას.[252] ისინი კარგი ქრისტიანები არიან, რომლებიც პავლესთან ერთად მუშაობდნენ სახარების გულისთვის. სამწუხაროდ, ამ დებს შორის პირადი კონფლიქტი საფრთხეს უქმნიდა ეკლესიის ერთიანობას. ამ გაყოფის დასაძლევად საფუძველის ჩასაყრელად პავლეს ქრისტეს მაგალითი მოყავს, როგორც ქრისტიანული ერთიანობის ეტალონი.

> *❖ რას ნიშნავს იესომ "თავი დაიმდაბლა"?*
>
> ფილიპ. 2:5-11-ს “ქრისტეს ჰიმნს” **უწოდებენ** იესოს ცხოვრების, სიკვდილის, აღდგომისა და ამაღლების შეჯამების გამო. 2:8–ის მნიშვნელობა, ბევრი ადამიანის კამათის საგნად იქცა, სადაც პავლე საუბრობს იესოს „თავის დამდაბლებაზე“. იესოს არ დაუთმია თავის ღვთაებრიობა (ღმერთობა). ამის ნაცვლად, მან დათმო პრივილეგიები, რომლებიც მას, როგორც სამყაროს მეფეს ეკუთვნოდა. ქრისტემ თავი დაიმდაბლა კაცად მოვლინებით; მას არ უარყვია თავისი ღვთიური ბუნება.

ბევრი კონფლიქტი გამოწვეულია საკუთარი უფლებების დაცვის სურვილით. პავლე მიგვითითებს ქრისტეს მაგალითზე, რომელმაც დათმო პრივილეგიები, რომლებიც მას, როგორც ღმერთს, ეკუთვნოდა, რათა კაცობრიობისთვის მსახურება გაეწია. იესო არ ჩაჭიდებია ღვთიურ პრივილეგიებს, არამედ "თავი დაიმდაბლა და მორჩილი გახდა სიკვდილამდე და თანაც ჯვარცმით სიკვდილამდე." მან განიცადა ყოველგვარი დამცირება - ჯვარცმის სამარცხვინო სიკვდილიც კი - ხსნის უზრუნველსაყოფად. შედეგად, ღმერთმა აამაღლა იესო და აღადგინა ის კანონიერ ადგილზე, ყოვლისმომცველ ძალაუფლებაში.[253]

თითოეულმა ქრისტიანმა ისეთივე თავმდაბლობა უნდა გამოიჩინოს, რომ იზრუნოს თანამორწმუნეების საჭიროებებზე. “თითოეული მარტო თავის თავზე კი ნუ იზრუნებს, არამედ სხვებზეც.”[254]

გაფრთხილება სახარების მტრების წინააღმდეგ (ფილიპ. 3)

მიუხედავად იმისა, რომ ფილიპელები მეტწილად პოზიტიური წერილია, პავლე მკაცრ გაფრთხილებას იძლევა იმ წესრიგის დამრღვევების ჯგუფის წინააღმდეგ, რომელიც ეკლესიას საფრთხეს უქმნიდა. ეს არის იუდაიზერების ჯგუფი, რომელებიც ადრე გალატელთა მიმართ გაგზავნილ წერილში ჩანან. ისინი ამტკიცებენ, რომ ქრისტიანები უნდა მიმართავდნენ წინადაცვეთას

[251] ფილიპ.1:15-18.
[252] ფილიპ.4:2-3.
[253] ფილიპ.2:5-11.
[254] ფილიპ.2:4.

და იცავდნენ ებრაულ რჯულს. პავლე მათ "ძაღლებს", "ავ მუშებს" და "დამსახიჩრებლებს" ("დამმახინჯებლებს") უწოდებს.

იუდაიზერების დაჟინებულ მოთხოვნას რჯულის რიტუალების დაცვის თაობაზე პავლე პასუხობს საკუთარ ცხოვრებაზე მითითებით. კანონის (რჯულის) დაცვას რომ მოჰქონდეს ხსნა, პავლეს „ხორცისადმი ნდობაც შეეძლო“. ის წინადაცვეთილი იყო რჯულის შესაბამისად; იყო ბენიამინის რჩეული ტომიდან, "ებრაელთაგან ებრაელი"; ის იყო ფარისეველი, რომელიც ზედმიწევნით იცავდა რჯულს; ის გულმოდგინე იყო ებრაული რწმენის მიმართ, ქრისტიანების დევნამდეც კი; რჯულის მიმართ პავლე უმწიკვლო იყო. ამასთან, ეს ყველაფერი "წაგებად" არის მიჩნეული "ქრისტე იესოში ღვთის უზენაესი მოწოდების ჯილდოს" მისაღწევად. პავლეც, ფილიპელებიც და ჩვენც გადარჩენილები ვართ არა რჯულის დაცვით, არამედ ემპირიული (ნაცადი) „ჩემი უფლის იესო ქრისტეს შეცნობით..”[255]

- შეგახსენებთ შეგონებებს (ფილიპ. 4)

ბოლო თავში პავლე მოუწოდებს ევოდიასა და სვინტიქეს, აჩვენონ ერთიანობა, რასაც პავლე ასწავლიდა მეორე თავში. თუ ამ ქალბატონებს აქვთ ქრისტეს აზრი, ისინი მოაგვარებენ კონფლიქტებს. ის მოუწოდებს ეკლესიას, იხარონ ყველა გარემოებებით და შეინარჩუნონ ღვთის მშვიდობა თავიანთ გულებში და გონებაში. დასასრულს მადლობას უხდის ეკლესიას მისი მსახურების მხარდაჭერისთვის.

კოლოსელთა

ისტორიული გარემო

კოლოსელები დაიწერა რომში პავლეს პატიმრობის დროს. ტიმოთე ასევე დასახელებულია როგორც ავტორი,[256] შესაძლოა პავლეს მდივნის მოვალეობას ასრულებდა.

არანაირი მტკიცებულება, რომ პავლე ეწვია ეკლესიას კოლასეში, არ არსებობს. პავლესა და ეკლესიას შორის ყველაზე სავარაუდო შუამავალი ეპაფრასე იყო. კოლასელი ეპაფრასე შესაძლოა ეფესოში პავლეს მოღვაწეობის დროს იქნა მოქცეული, მისი ქალაქიდან დაახლოებით 160 კილომეტრის დაშორებით. ეპაფრასე დაბრუნდა ეკლესიის დასაფუძნებლად კოლასეში, აგრეთვე ახლომდებარე ქალაქებში, ლაოდიკიასა და იერაპოლისში. პავლემ ორივე ქალაქში გაგზავნა წერილები, ლაოდიკიაშიც და კოლასეშიც, და დაავალა ამ ჯგუფებს, რომ წერილები ერთმანეთისთვის გაეცვალათ.[257]

მიზანი

[255] ფილიპ.3:4-8.
[256] კოლ. 1:1.
[257] კოლ. 4:16.

პავლეს პატიმრობის პერიოდში ეპაფრასემ შეატყობინა მას იმ ერესის შესახებ, რომელიც კოლასეს ეკლესიას ემუქრებოდა. პავლემ მიწერა კოლასელებს ამ საშიში სწავლების მოსაგვარებლად. გარდა ამისა, პავლემ დაწერა კოლოსიელთა მიმართ ეპისტოლე, რათა მოეწოდებინა და წაეხალისებინა იქაური ქრისტიანები, ქრისტეში სიმწიფისკენ სწრაფვაში. წმინდა წერილის ეს წიგნი შეიცავს როგორც გაფრთხილებებს ცრუ მოძღვრების წინააღმდეგ, ასევე შეგონებებს სულიერი ზრდის შესახებ.

შინაარსი

კოლასელებს ეფესელებს ბევრი საერთო თემა აქვთ: ეკლესიის ერთიანობა, სულიერი ომის რეალობა და ჩვენი ქრისტიანული მოწოდების ღირსეული ცხოვრების წესის აუცილებლობა. ეს მსგავსება გასაკვირი არ არის. პავლე დაახლოებით ერთსა და იმავე დროს წერს ამ წერილებს და წერილები მსგავს საჭიროებებს ეხება.

მიუხედავად იმისა, რომ კოლასელების ერესის, ანუ მწვალებლობის სწავლების დეტალები შეიძლება განსხვავდებოდეს ცრუ სწავლებებისაგან, რომლებიც საფრთხეს უქმნის დღევანდელ ეკლესიას, პავლეს გზავნილი მნიშვნელოვანია დღევანდელი ეკლესიისთვის:

- ქრისტე ქმნილებაზე აღმატებულია
- ქრისტე ეკლესიის თავია
- ჩვენ მოწოდების ღირსად უნდა ვიცხოვროთ, როგორც ღვთის შვილებმა.

➡ ქრისტეს უზენაესობა (კოლ. 1)

კოლოსელთათვის მთავარი თემაა აღმდგარი ქრისტეს უზენაესობაა. ულამაზეს განცხადებაში პავლე გვიჩვენებს ქრისტეს უპირატესობას ბუნებაზე, მის ძალაუფლებას ეკლესიაზე და მის როლს გამოსყიდვაში. ქრისტე იყო, როგორც შექმნის ინიციატორი ("ყველაფერი მის მიერ შეიქმნა"), ისე შექმნის მიზანი (ყველაფერი... მისთვის არის შექმნილი"). ქრისტე არის „თავი სხეულისა, რომელიც ეკლესიაა." ქრისტეს მეშვეობით, მისი ჯვრითა და სისხლით ჩვენ, ვინც "ოდესღაც გა-უცხოებულნი და გონებით მტრები ვიყავით ჩვენი ბოროტი საქმეების გამო," შემოგვირიგა. ქრისტე არის ქმნილების ცენტრი, ეკლესიის თავი და გამოსყიდვის უფალი.[258]

> "კოლოსელები, როგორც ბიბლიის ერთ – ერთი ყველაზე სრულყოფილად ქრისტეზე ორიენტირებული წიგნი, არსებით ერთიანობას პოულობს ბრწყინვალე (აღმატებული) ქრისტეს, ღვთიურ და ამაღლებულ პიროვნებაში." (*ESV სასწავლო ბიბლია.)*

➡ "კოლოსელთა ერესი" (კოლ. 2)

ქრისტეს ბუნების შესახებ ამ პოზიტიური განაცხადის შემდეგ, პავლე უარყოფით ნაწილზე გადადის და გაფრთხილებას იძლევა ცრუ სწავლების წინააღმდეგ, რომელიც კოლასეს ეკლესიას ემუქრება.

[258] კოლ. 1:15-23.

კოლასელთა ერესის ზუსტი ხასიათი ცნობილი არ არის. თუმცა, პავლეს პასუხები ცხადყოფს ერესის ზოგიერთ მახასიათებელს. კოლოსის ეკლესია წააწყდა ორთოდოქსული იუდაიზმის, ებრაული მისტიციზმისა და წარმართული სწავლებების ერთობლიობას. კოლასელთა ერესი მოიცავდა ამ ცრუ იდეების ნაზავს:

- ორთოდოქსი (ტრადიციული) ებრაელები კოლასელ ქრისტიანებს მოუწოდებდნენ, დაეცვათ ებრაული დღესასწაულები, საკვებთან დაკავშირებული კანონები და წინადაცვეთა.[259]

- ებრაელი მისტიკოსები სთხოვდნენ კოლასელ ქრისტიანებს მარხვას, რათა შეერთებოდნენ ანგელოზთა თაყვანისმცემას, ღმერთის განსადიდებლად და ასამაღლებლად.[260]

- წარმართები მოუწოდებდნენ კოლასელ ქრისტიანებს მიემართათ რიტუალებისთვის ბოროტი სულებისგან დასაცავად. პავლე არ უარყოფს ბოროტი სულების ძალას, მაგრამ ნათლად აცხადებს, რომ გამოსავალი არა წარმართულ რიტუალებშია, არამედ იმ გამარჯვებაში, რომელიც ქრისტემ უკვე მოიპოვა სიბნელის ძალებზე.[261]

❓ როგორ გვეხება "კოლოსელთა ერესი" ჩვენ დღევანდელობაში ❓

სინკრეტიზმი აღნიშნავს ერთზე მეტი რელიგიის შერწყმას. კოლასეში ამ სინკრეტიზმმა გამოიწვია იუდაიზმის, მისტიკის, წარმართობის და ქრისტიანობის შერევა. დღეს წარმართულ კულტურებში არსებულ ეკლესიებს ზოგჯერ აქვთ ცდუნება ქრისტიანული დოქტრინას შეურიონ იმ გარემოსთვის დამახასიათებელი კულტურის წეს-ჩვეულებანი (წინაპრების რწმენა, წარმართული დღესასწაულები, აჩრდილების (მოჩვენებების) და სულების მოსაშორებელი რიტუალები და ა.შ.). როგორც პირველ საუკუნეში, ასევე ოცდამეერთე საუკუნეში, ყველა ასეთ სწავლებაზე პასუხი ერთია: იესო არის უფალი. მან დაამარცხა სიბნელის ძალაუფლება და ჩვენ მხოლოდ ქრისტეს მეშვეობით გვაქვს გამარჯვება. სხვა რიტუალებსა და ჩვეულებებს ადგილი არ აქვს ქრისტიანულ პრაქტიკაში.

როგორც აღვნიშნეთ, პავლე არ იძლევა კოლასელების ერესის სრულ აღწერას. ის ნაკლებ ყურადღებას უთმობს ცრუ სწავლების ზუსტი ხასიათს, მისთვის უფრო მნიშვნელოვანია ქრისტეს, ქმნილებისა და ეკლესიის უფლის, ჭეშმარიტი სახარება.

---

[259] კოლ. 2:16 და 3:11.

[260] კოლ. 2:18. "ანგელოზებისთვის მსახურება" სავარაუდოდ, არ ნიშნავს, რომ ისინი ანგელოზებს ემსახურებოდნენ ან ეთაყვანებოდნენ (რაც ეწინააღმდეგება ყველა ებრაულ სწავლებას). ამის ნაცვლად, ეს ფრაზა, შესაძლოა ეხებოდეს ებრაულ მისტიკურ იდეას, რომ ისეთი ასკეტური პრაქტიკის საშუალებით, როგორიცაა გახანგრძლივებული მარხვები, თაყვანისმცემლებს შეეძლოთ მისტიკურად შეერთებოდნენ ღვთის ზეციური ტახტის გარშემო მყოფ ანგელოზებს. კოლასეში ცრუ მასწავლებლები ქრისტიანებს მოუწოდებდნენ ამ წესების დაცვისკენ.

[261] კოლ. 2:15.

- ქრისტიანული სიმწიფის ზრდა (კოლ. 3-4)

ისევე როგორც ეფესელთა მიმართ, პავლე მოძღვრებიდან პრაქტიკაზე გადადის. რადგანაც ქრისტე ზის ღვთის მარჯვნივ, ჩვენც, ვინც ქრისტესთან ერთად ვართ აღდგენილნი, ზეციერზე უნდა ვიფიქროთ. იმის ნაცვლად, რომ ცრუ სწავლებებზე არაჯანსაღი ყურადღება გამოვიჩინოთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთ რამეებს მოვუკვდით და ახლა ქრისტესთან ერთად ვცხოვრობთ ღმერთში.[262]

როგორია „სიცოცხლე დაფარული ქრისტესთან ღმერთში“? პავლე პრაქტიკულად აღწერს ამ ახალ ცხოვრებას. ეს ცხოვრება ორ ასპექტს მოიცავს:

- ჩვენ უნდა “შემოვიძარცვოთ” ძველი ქმედებები. უნდა მოვაკვდინოთ, რაც მიწიერია ჩვენში: სიძვა, უწმინდურება, სიხარბე, სიბრაზე, ბილწსიტყვაობა, სიცრუე და ა.შ. ასეთი ქცევა და ჩვევები იმსახურებს ღვთის რისხვას.[263]

- ჩვენ უნდა "შევიმოსოთ" ახალი კაცი, რომელიც არის ქრისტეს ხატად. ის მოიცავს წყალობას, სიკეთეს, თავმდაბლობას, მოთმინებას, პატიებას და "უპირველეს ყოვლისა" სიყვარულს. ამ თვისებების განვითარებისას ღვთის მშვიდობა იმეფებს ჩვენს გულებში და ქრისტეს სიტყვა დამკვიდრდება ჩვენში.[264] ეს ახალი ცხოვრება გარდაქმნის ოჯახურ ურთიერთობებს (3:18-4:1) და ურწმუნოებისთვის მიმზიდველს ხდის სახარებას (4:5-6).

ფილიმონის

ისტორიული გარემო

პავლეს უმოკლესი წერილი ფილიმონს, კოლასელი მდიდარი ქრისტიანის მიმართ არის. როგორც ჩანს, ფილიმონი მოექცა პავლეს ეფესოში მსახურების დროს. მისი სახლი გახდა კოლასეს ეკლესიის შეხვედრის ადგილი.

ფილიმონი მონათმფლობელი იყო, რაც პირველ საუკუნისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. (დღეს, გაქცეულმა ადამიანმა, შეიძლება გასაუჩინარებლად ნიუ-იორკს, მეხიკოს, ლაგოსს ან სხვა დიდ ქალაქს შეაფაროს თავი.)

ამ ყველაფერთან, ონესიმე ღმერთს ვერ დაემალა! ამ უზარმაზარ ქალაქში ღმერთმა ერთად მოუყარა თავი პავლეს და გაქცეულ მონას. ონესიმე მოექცა და პავლეს დახმარება დაიწყო.

---

[262] კოლ. 3:1-3-ს პერეფრაზი.
[263] კოლ. 3:5-10.
[264] კოლ. 3:12-17.

" ჩვენ ყველანი უფლის ონესიმეები ვართ. უსარგებლო, სარგებლიანი ხდება. ეს არის მუდმივი სურათი, ქრისტეს დამოკიდებულების ადამიანებთან მიმართებაში. ჩვენ ყველანი ცოდვის გაქცეული მონები ვიყავით."
(მარტინ ლუთერი)

რაღაც მომენტში ამ ახალ ქრისტიანს საკუთარი წარსულის წინაშე წარსდგომა მოუწია. შესაძლოა მან გაქცევის წინ თავის პატრონს ფული მოპარა.[265] ონესიმე მძიმე სასჯელის წინაშე აღმოჩნდა; შეიძლებოდა გაქცეული მონისთვის შუბლზე დაღი დაესვათ, ან თუნდაც მოეკლათ კიდეც. იცოდა რა ამის შესახებ, პავლემ წერილი დაწერა, რომლის თან წაღებაც შეეძლო ონისიმეს, როდესაც ფილიმონის წინაშე წარსადგომად დაბრუნდებოდა.

მიზანი

პავლეს ამ წერილის მიზანი მარტივია: შერიგების თხოვნა. ონესიმე შეურიგდა ღმერთს; პავლე სთხოვს ფილიმონს შეურიგდეს თავის გაქცეულ მონას.

შინაარსი

პავლე იწყებს ფილიმონისთვის მადლობის გადახდით წარსული გულუხვობისთვის, რომელიც მან თანამოძმე ქრისტიანების მიმართ გამოიჩინა. ფილიმონის სიყვარულმა თანამოძმე რწმუნეების მიმართ, განაპირობა პავლეს თხოვნა ონესიმეს სახელით, რომელიც მათი თანამორწმუნე გახდა.

პავლე ამ თხოვნისას არ მიმართავს თავის სამოციქულო ძალაუფლებას (როგორც ეს გალატელთა წერილში გააკეთა), არამედ სიყვარულის საფუძველზე შუამდგომლობს. მან თითქმის ნახევარი წერილის შემდეგ გაამჟღავნა მისი დაწერის მიზეზი: "გთხოვ ჩემს შვილ ონისიმეზე."[266] ფილიმონი პავლეს შვილია რწმენაში; ახლა მან კიდევ ერთი ვაჟი "შეიძინა", ფილიმონის გაქცეული მონა.

სახელი ონესიმე ნიშნავს "სასარგებლოს" ან "მომგებიანს"; ეს იყო მონათა საერთო სახელი. პავლე წერს: "ადრე ის უსარგებლო იყო შენთვის, მაგრამ ახლა ის ნამდვილად სარგებლიანი, ანუ გამოსადეგია შენთვის და ჩემთვის."[267] ონესიმე ახლა გაამართლებს თავის სახელს; ქრისტეს ძალით ის ახლა სასარგებლოა.

პავლე მიანიშნებს, რომ ფილიმონს შეუძლია ონესიმეს გათავისუფლება, მაგრამ არ უბრძანებს მას.[268] ის სთხოვს ფილიმონს ონესიმე იმავე სულით მიიღოს, როგორც თვითონ პავლეს მიიღებდა.[269]

[265] ფილიმონის 1:18.
[266] ფილიმონის 1:10.
[267] ფილიმონის 1:11.
[268] ფილიმონის 1:13.
[269] ფილიმონის 1:17.

პავლე დასასრულს სთხოვს ფილიმონს ილოცოს მისი განთავისუფლებისთვის. პავლე იმედოვნებს, რომ ციხიდან გამოსული მოინახულებს ფილიმონს. თქვენი აზრით, ეს იმის რბილი შეხსენებაა, რომ პავლე მალე ნახავს, თუ როგორ ექცევა ფილიმონი ონესიმეს?

მრავალი ადამიანი უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ პავლე არ გმობდა მონობას. თუმცა, პავლეს მითითებები ბატონების მიმართ ქმნის გარემოს, რომელშიც მონობა ვერ გაგრძელდება.[270] შეუძლებელია პიროვნების დამონება, რომელშიც სინამდვილეში ხედავ დას ან ძმას ქრისტეში.

ისტორიული ეპილოგი

საღვთო წერილში არ წერია, რა მოხდა მას შემდეგ, რაც ონესიმე ფილიმონთან დაბრუნდა. ისტორია გვაძლევს ორ მინიშნებას, რომ ფილიმონმა ონესიმე გაათავისუფლა.

- უძველესი წარწერა ლაოდიკიაში (კოლასეს მახლობლად) მონამ მიუძღვნა ბატონს, რომელმაც იგი გაათავისუფლა. ბატონის სახელია მარკუს სესტიუს ფილიმონი.

- ამ წერილიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ერთი ადამიანი, სახელად ონესიმე, ეფესოში ეკლესიის ეპისკოპოსი გახდა.

არ არის გამორიცხული, რომ ფილიმონმა გაათავისუფლა ონესიმე პავლესთან დასაბრუნებლად, რომელმაც შემდეგ ასწავლა და მოამზადა ონესიმე პასტორობისთვის. თუ ასეა, შესაძლებელია პავლეს მსახურება გაგრძელებულიყო, ფილიმონის ყოფილი მონის, ონესიმეს ქადაგებით, რომელიც პირველად პეტრეს ქადაგების შედეგად მოექცა (მოინანია) ეფესოში. ღვთის მიზნები ბევრად აღემატება იმას, რისი დანახვაც ჩვენ შეგვიძლია!

[270] გალ. 3:28; ეფეს. 6:9; კოლ. 4:1; ფილიმონის 1:16.

ციხის ეპისტოლეები დღევანდელ ეკლესიაში

ციხის ეპისტოლეები შეგვახსენებენ, რომ ჩვენი სწავლება (დოქტრინა) უნდა იყოს გამოყენებული ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ ეპისტოლეებში პავლე მოუწოდებს თავის მკითხველებს, რომ მათ, როგორც მორწმუნეება, თავისი მოწოდების ღირსად იცხოვრონ. საკმარისი არ არის მხოლოდ სწორი დოქტრინის აღიარება; ჩვენ ყოველდღიურად უნდა ვცხოვრობდეთ ჩვენი რწმენისამებრ.

ეფესელთა და კოლასელთა წერილები გვასწავლიან სულიერი ომის რეალურობას. "ჩვენი ბრძოლა არ არის სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ, არამედ მთავრობათა წინააღმდეგ, ხელმწიფებათა წინააღმდეგ, ამ სიბნელის სამყაროს მპყრობელთა წინააღმდეგ, ცისქვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდეგ."[271] სულიერი ომი რეალურია. მაგრამ ეს წერილები იმასაც გვასწავლის, რომ ეს ომი უკვე მოგებულია ქრისტეში. ჩვენ თავდაჯერებულად ვიბრძვით, რადგან მას ბრძოლა უკვე მოგებული აქვს. ჩვენ უმთავრესი ყურადღება ქრისტეს უნდა მივაპყროთ, ვინც გვანიჭებს გამარჯვებას, და არა ჩვენს მტერს, რომელიც წაგებულ ბრძოლს ეწევა.

ფილიმონის წერილი შეგვახსენებს, რომ შერიგების სახარებით რეალურ სამყაროში უნდა ვიცხოვროთ. პავლემ არ იკმრა იმ აზრის შეტყობინება, რომელიც რეალურ ცხოვრებაში არ გატარდებოდა. მან ხაზი გაუსვა, რომ იგივე სახარება, რომელმაც შეარიგა ღმერთი და "გაქცეული ცოდვილი", შეარიგებს ფილიმონს და მისგან გაქცეულ მონას. კონფლიქტისა და გაწყვეტილი ურთიერთობების სამყაროში ჩვენ უნდა ვაჩვენოთ სახარების ძალა, რომელსაც შერიგება მოაქვს.

დასკვნა

რომის იმპერიის ქრისტიანებმა ისწავლეს რას ნიშნავდა სახარებით ცხოვრება დაცემულ სამყაროში. პავლე წერდა, რომ ფილიპელებმა უნდა იცხოვრონ როგორც „ღვთის შეუბილწავმა შვილებმა ჭირვეულ და უკუღმართ თაობაში, რომელშიც ისე ანათებთ, როგორც მნათობები სამყაროში."[272] პავლემ იცოდა, რომ ეკლესიის სინათლე უფრო მეტად ანათებს და კაშკაშა ხდება, რაც უფრო მეტად ბნელდება ჩვენ ირგვლივ, ქვეყნიერებაზე.

რომის იმპერიის ბნელ დღეებში ზოგი ქრისტიანი ცნობილი გახდა, როგორც "თავდადებული", რადგან ასეთები საკუთარ თავს რისკის ქვეშ აყენებდნენ სხვების გადასარჩენად. პავლე იყენებს იგივე ტერმინს, როდესაც ამბობს, რომ პრისკილამ და აკვილამ „თავი დასდეს ჩემი სიცოცხლისთვის."[273] მათ საკუთარი სიცოცხლე გარისკეს, საფრთხეში ჩაიგდეს პავლეს გულისათვის.

პირველ საუკუნეში, რომაელი ქრისტიანები საზოგადოების რისხვის დატეხვის საფრთხის ქვეშ იგდებდნენ საკუთარ თავებს, არასასურველი ჩვილების გადარჩენის გამო, რომლებიც ქალაქის ნაგვის გროვებზე იყვნენ მიტოვებულნი. მესამე საუკუნეში, კართაგენის ეპისკოპოსმა, ჭირის დროს თავის

[271] ეფეს. 6:12.
[272] ფილიპ.2:15.
[273] რომ. 16:4.

ეკლესიას მოუწოდა და სთხოვა, რომ ეზრუნათ მომაკვდავებზე და დაემარხათ მკვდრები, ანუ სიცოცხლე გაერისკათ ქალაქის გადასარჩენად.

ადრეულმა ეკლესიამ იცოდა, რომ "ძველი კაცის გახდა" და "ახალი კაცით შემოსვა" გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ ეკლესიაში სიარულს. ეს ნიშნავს ახალ ცხოვრებას, რომელიც ეკუთვნის ღმერთს და მის მიზნებს. ეს სეიძლება ნიშნავდეს სიცოცხლის გარისკვასაც, იმისათვის, რომ სახარებას მივცეთ საშუალება „ანათოს, როგორც მნათობმა სამყაროში."

გაკვეთილის დავალება

წარმოაჩინეთ თქვენ მიერ ამ გაკვეთილის აღქმა (გაგება) შემდეგი დავალებების დახმარებით:

1) აირჩიეთ ქვემოთმოყვანილი დავალებებიდან ერთერთი:

a. მოამზადეთ ეფესელთა ქადაგება ან ბიბლიური გაკვეთილი ოჯახის შესახებ. ამის დაწერა შეგიძლიათ 5-6 გვერდიან ხელნაწერი ან ჩაწეროთ ქადაგება ან ბიბლიური გაკვეთილი.

b. მოამზადეთ ქადაგება ან ბიბლიური გაკვეთილი ეფესელთა წერილის თანახმად ეკლესიის შესახებ. თქვენ შეგიძლიათ დაწეროთ 5-6 გვერდიანი ხელნაწერი, ან ჩაწეროთ ქადაგება ან ბიბლიური გაკვეთილი.

c. მოამზადეთ ქადაგება ან ბიბლიური გაკვეთილი ფილიპელთა წერილიდან ქრისტიანული ცხოვრების სიხარულის თემაზე. თქვენ შეგიძლიათ დაწეროთ 5-6 გვერდიანი ხელნაწერი, ან ჩაწეროთ ქადაგება ან ბიბლიური გაკვეთილი.

d. მოამზადეთ ქადაგება ან ბიბლიური გაკვეთილი კოლოსელთა წერილიდან თემაზე ჩვენი ახალი ცხოვრება ქრისტეში. თქვენ შეგიძლიათ დაწეროთ 5-6 გვერდიანი ხელნაწერი, ან ჩაწეროთ ქადაგება ან ბიბლიური გაკვეთილი.

2) გაიარეთ ტესტი ამ გაკვეთილის მასალაზე დაყრდნობით. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმინდა წერილიდან.

გავიღრმავოთ ცოდნა

მეტი ინფორმაციის მისაღებად ციხის ეპისტოლეების სესახებ, იხილეთ შემდეგი რესურსები.

<u>ბეჭდური წყაროები</u>

ჯოზეფ აგარ ბითი. *კომენტარები წმინდა პავლეს ეპისტოლეებზე ეფესელთა, ფილიპელთა, კოლოსელთა, და ფილიმონის მიმართ.* Schmul Publishing, 1982.

რალფ ერლი. *შუქურას ბიბლიის კომენტარი, თავი IX: გალატელთა წერილიდან ფილიმონის წერილამდე.* Beacon Hill Press, 1965.

მარკ ჰოლმსი. *ეფესელთა წერილი: ბიბლიის კომენტარები ვესლეიანელთა ტრადიციებში.* Wesleyan Publishing House, 1997.

ჯონ სკოტი. *ეფესელთა წერილის მესიჯი (არსი).* InterVarsity Press, 1979.

ერლ ვილსონი. *გალატელთა, ფილიპელთა, კოლოსელთა წერილები: კომენტარები ბიბლიის შემსწავლელთათვის.* Wesleyan Publishing House, 2007.

<u>ელექტრონული (ინტერნეტ) წყაროები</u>

"ეკლესია და მისია ეფესელთა წერილში" http://www.seedbed.com/seven-minute-seminary/

ჯონ ვესლი. *ვესლის ახსნა-განმარტებები ახალი აღთქმის შესახებ.* http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

გაკვეთილი 7 ტესტის საკითხები

1. როდის და სად დაიწერა ციხის ეპისტოლეები?

2. რატომ არ შეიცავს ეფესელების წერილი პირად მოკითხვებს?

3. დაასახელეთ ეფესელთა წერილის ორი დიდი ნაწილი.

4. ეფესელთა წერილის 1 თავიდან ჩამოთვალეთ სამების თითოეული პირის როლი ჩვენს ხსნაში.

5. ეფესელთა მე -3 თავის თანახმად, რა არის „სახარების საიდუმლო“?

6. დაასახელეთ ორი საფრთხე, რომელიც ემუქრებოდა ფილიპელთა ეკლესიას.

7. ფილიპელთა მე-2 თავში რას ნიშნავს - ქრისტემ „თავი დაიმდაბლა“?

8. რომელმა სამმა გავლენამ განაპირობა კოლასელთა ერესი?

9. განსაზღვრეთ სინკრეტიზმი.

10. ჩამოთვალეთ სამი გზა, რომლითაც ციხის ეპისტოლეებები მიმართავს დღევანდელ ეკლესიას.

გაკვეთილი 8

1 და 2 თესალონიკელთა წერილები: ქრისტეს დაბრუნება

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

(1) იცოდეს სავარაუდო თარიღი და ისტორიული გარემო 1 და 2 თესალონიკელთა წერილის პერიოდში.
(2) გამოკვეთოს 1 და 2 თესალონიკელთა წერილის ძირითადი თემები და მიზანი.
(3) ურწმუნოთა წინააღმდეგობის პირისპირ მყოფმა ერთგულების წახალისება მიიღოს.
(4) აჩვენოს ქრისტეს დაბრუნების დოქტრინის უფრო ღრმა აღქმა (გაგება).
(5) დღევანდელობაში იცხოვროს ქრისტეს დაბრუნების სინათლის ჭრილში.
(6) დაუკავშიროს ამ წიგნების გზავნილი დღევანდელი მსოფლიოს საჭიროებებს.

გაკვეთილი

წაიკითხეთ: 1 და 2 თესალონიკელთა
დაიზეპირეთ: 1 თესალონიკელთა 4:23-24

თესალონიკის ეკლესია დევნის პერიოდში დაიბადა. ამ მორწმუნეებმა იცოდნენ რას ნიშნავს ტანჯვა ქრისტეს სახელისთვის. ისინი ქრისტიანები გახდნენ, რადგან ირწმუნეს პავლეს ქადაგების ჭეშმარიტება, რომ: ”ეს ქრისტე სწორედ იესოა, მე რომ გახარებთ.”[274] ესენი იყვნენ გაბედული ქრისტიანები, რომელთაც სურდათ ეტანჯათ თავიანთი რწმენისთვის.

წინააღმდეგობის გამო, პავლემ მხოლოდ მცირე დრო დაჰყო თესალონიკში. ამის გამო, პავლემ ვერ შეძლო მათი სრულად გარკვევა ქრისტიანულ დოქტრინაში. პავლეს თესალონიკიდან წასვლის შემდეგ გაჩნდა კითხვები ქრისტეს დაბრუნებასთან დაკავშირებით. დევნის ფონზე ამ ახალგაზრდა მორწმუნეებს ჰქონდათ კითხვები მათი მომავალი იმედის შესახებ.

პავლე ამ ორ წერილს წერს, რათა ერთგულებისკენ მოუწოდოს მათ. ის ირწმუნება, რომ იესო კვლავ მოვა და რომ მათ დღეს, მისი დაბრუნების სინათლეში უნდა იცხოვრონ.

[274] საქმ. 17:3.

1 და 2 თესალონიკელთა წერილის ფონი

ისტორიული ფონი (წინაპირობა)

თესალონიკის ეკლესია დაარსდა პავლეს მეორე მისიონერული მოგზაურობის დროს. ფილიპიდან წასვლის შემდეგ, პავლე ამფიპოლისის და აპოლონიის გავლით თესალონიკში გაემგზავრა, რომელიც ფილიპიდან დაახლოებით 160 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს.

პავლე და თესალონიკის ეკლესია
პავლე, სილა და ტიმოთე ქადაგებენ თესალონიკში (საქ. 17:1-4) (ახ.წ. 50 წ.)
რამდენიმე კვირის შემდეგ ისინი ბერეაში გაიქცნენ (საქ.17:5-10)
პავლე ტოვებს სილას და ტიმოთეს ბერიაში, თვითონ კი ათენში მიემგზავრება (საქ.17:14-15)
სილა და ტიმოთე პავლესთან ჩავიდნენ ათენში (საქ.18:16)
პავლე აგზავნის ტიმოთეს თესალონიკში (1 თეს.. 3:1)
პავლე ტოვებს ათენს და მიემგზავრება კორინთოში (საქ.18:1)
სილა და ტიმოთე კორინთოში პავლეს შეუერთდნენ და ახალი ამბები ჩამოუტანეს თესალონიკიდან (საქ.18:5; 1 თეს.. 3:6)
პავლე 2 თესალონიკელებს წერს შემდგომი კითხვების პასუხად (ახ. წ. 50-51 წწ.)
Paul writes 2 Thessalonians in response to further questions (2 თეს.2:15)

პავლე თესალონიკის სინაგოგაში ასწავლიდა სამი შაბათის განმავლობაში. ზოგი ებრაელი და მრავალი " ღვთისმოშიში ბერძენი " მოაქცია.[275] ამის საპასუხოდ, ურწმუნო იუდეველთა ჯგუფმა აჯანყება დაიწყო და შეუტია იასონის სახლს, სადაც პავლე და სილა ცხოვრობდნენ.

საშიშროების გამო, პავლე და სილა ღამით გაეცალნენ ქალაქს და გაემგზავრნენ ბერეაში, თესალონიკიდან დაახლოებით 80 კილომეტრში. როდესაც თესალონიკში მყოფმა ებრაელებმა შეიტყვეს, რომ პავლე ბერიაში იმყოფებოდა, მას გაჰყვნენ და იქ აჯანყება მოუწყვეს. როგორც ჩანს, წინააღმდეგობა პავლესკენ იყო მიმართული, რადგან შეძლო სილას და ტიმოთეს დატოვება ბერეაში, როდესაც ათენში გაემგზავრა.

ათენიდან პავლე გაემგზავრა კორინთოს დასავლეთით, სადაც მსახურობდა თვრამეტი თვის განმავლობაში. მოგვიანებით სილა და ტიმოთე ჩავიდნენ პავლესთან კორინთში და ჩაუტანეს ცნობები თესალონიკის ახალი ეკლესიის შესახებ.

პავლემ დაწერა 1 თესალონიკელთა წერილი სილას და ტიმოთეს მიერ ჩამოტანილი ამბების საპასუხოდ. მან ალბათ ტიმოთე გაგზავნა წერილის თესალონიკში ჩასატანად. რამდენიმე თვის შემდეგ, შემდგომი ამბების საპასუხოდ,

[275] საქმეებში, ფრაზა "ღვთისმოშიში ბერძენი" ეხება წარმართებს, რომლებიც მიდიოდნენ სინაგოგაში იაჰვესთვის თაყვანის საცემად, მიუხედავად იმისა, რომ მათ სრულად არ ჰქონდათ იუდაიზმი მიღებული.

მან დაწერა 2 წერილი თესალონიკელთა მიმართ. ეს ორი წერილი თარიღდება პავლეს კორინთოში ყოფნის პერიოდით, ახ. წ. 50 –51 წწ. ისინი მის ადრეულ წერილებს მიეკუთვნება, რომლებზე ადრეც მხოლოდ გალატელები დაიწერა.

1 თესალონიკელთა: ქრისტე დაბრუნდება

მიზანი

როდესაც ტიმოთე კორინთოში ჩავიდა, მასთან მიტანილი ამბები თესალონიკის ეკლესიის შესახებ დადებითი იყო; ეს ახალგაზრდა მორწმუნეები სახარების ერთგულნი დარჩნენ. პავლე წერს, რათა მათი რწმენა წაახალისოს და ასევე უპასუხოს ეკლესიაში წამოჭრილ საკითხებს. ეკლესიის ზოგიერთი წევრი გარდაიცვალა და ამან გამოიწვია კითხვები უფლის დაბრუნების შესახებ. ზოგი ქრისტიანი შიშობს, რომ გარდაცვლილებმა გამოტოვეს ქრისტეს დაბრუნების პირობა. ქრისტიანებისთვის, რომლებიც იდევნებიან, საშინლად დამთრგუნველია ფიქრი, რომ მათი ერთგულება ამაოა. პავლე წერს თესალონიკელებს, რომ შეინარჩუნონ ერთგულება წინააღმდეგობის მიუხედავად და არწმუნებს მათ, რომ ქრისტე დაბრუნდება როგორც რწმენაში გარდაცვლილთათვის, ასევე მათთვის, ვინც ცოცხალი შეეგებება მას, მეორედ მოსვლის დროს.

შინაარსი

- *მეორედ მოსვლაზე ფიქრი შიშს გგვრით თუ იმედს? როგორ მოქმედებს დოქტრინა მეორედ მოსვლის შესახებ თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე?*

თესალონიკში პავლეს მსახურებიდან მალევე დაწერილი ეს წერილი ძალიან პირადულია. მიუხედავად იმისა, რომ პავლე არ ასახელებს პიროვნებებს, ის თესალონიკში მსახურების დეტალებს აღნიშნავს. ის წერდა მორწმუნეებს, რომლებიც მისი მსახურების შედეგად მოექცნენ; მის წერილში ასახულია მისი ღრმა თანაგრძნობა რწმენისმიერი შვილების მიმართ.

მხარდაჭერა (წახალისება) წინააღმდეგობის პირისპირ

თესალონიკში ქადაგებისას პავლე აფრთხილებდა ეკლესიას, რომ დევნის მოლოდინი ჰქონოდათ.[276] ახლა პავლე წერს, მათ მხარდასაჭერად ამ დევნის წინაშე. მის მისი წერილი მოიცავს:

- დარწმუნებულობა პავლეს ლოცვებში (1:2; 3:17-4:5). მას სურს, რომ იცოდნენ, რომ არ დავიწყებია ისინი. ის განაგრძობს მათთვის ლოცვას, რამდენადაც წინააღმდეგობას აწყდებიან.

- პავლეს ტანჯვის მაგალითის შეხსენება (1: 4-2: 12). პავლე მიუთითებს, რომ მის მზაობას - შეუპოვარი ყოფილიყო, ნაყოფიც აქვს - თესალონიკელების მოქცევა. თესალონიკში მისი მსახურებისთვის მას პირადად მოუხდა ფასის გადახდა: მტრების მიერ მასზე

[276] 1 თეს 3:3-4.

ხორციელდებოდა დევნა, ასევე მას ფიზიკური შრომის გაწევა უწევდა თავის გასატანად.[277] თუმცა, ჯილდო უღირდა ამ ფასად. ეს ახალმოქცეულები, მისი დიდება და სიხარულია.[278] ამან უნდა გაემხნევებინა თესალონიკელი ქრისტიანები, რომ მათ ტანჯვასაც უპასუხებს ღმერთი საზღაურით.

- მადლიერება მათი ერთგულებისთვის (1:6-10; 3:6-10). პავლე შთაგონებული და გახარებულია მიღებული ანგარიშით მათ შესახებ და, თავის მხრივ, ისიც ამხნევებს თესალონიკელებს. მათი მოქცევა და ტანჯვაში ერთგულება მოწმობად და ნიმუშად იქცა "ყველა მორწმუნესათვის მაკედონიასა და აქაიაში."[279]

იესო ქრისტეს დაბრუნება (მეორედ მოსვლა)

პავლე იძულებული გახდა დაეტოვებინა თესალონიკი თავისი სწავლების დასრულებამდე. ამის გამო, ახალმოქცეულებმა სრულად ვერ მიიღეს მითითებები და სწავლება მორწმუნეების სიკვდილის შესახებ. პავლე წერს, რათა განაგრძოს სწავლება ქრისტეს დაბრუნებასთან და ბოლო დღეებთან დაკავშირებით (4:13-5:11).

ქრისტეს დაბრუნების აღთქმა თესალონიკელთა წახალისებაა, მაგრამ ახლა ისინი დამაბნეველი პრობლემის წინაშე დგანან. მათი ზოგიერთი წევრი გარდაიცვალა, მანამ ვიდრე ამ აღთქმულის შესრულებას ნახავდა. პავლე არწმუნებს მათ, რომ განსვენებულნიც (ზოგ თარგმანში-"ჩაძინებულებიც") იხილავენ უფლის დაბრუნებას.

უიმედო გლოვისა და მწუხარების ნაცვლად, ქრისტიანებს უნდა გახსოვდეს, რომ როდესაც უფალი გადმოვა ციდან ბრძანების სიტყვით, "ჯერ ქრისტეში განსვენებულნი აღდგებიან". ისინი კი, ვინც იქნებიან "ცოცხლად დარჩენილები, მათთან ერთად ვიქნებით ატაცებულნი ღრუბლებში" და ჩვენ "ამგვარად, უფალთან ვიქნებით სამარადისოდ."[280]

აჰა! ის მოდის ღრუბლებით,
ერთ დროს რჩეული
ცოდვილებისვის მოკლული;
ათასობით ათასი წმინდანი
ახლავს
ადიდეთ მისი ამალის
ტრიუმფი:
ალილუია! ალილუია!
ალილუია!
ღმერთი გამოჩნდება
დედამიწაზე, რომ იმეფოს.

ჰო, ამინ! დაე, ყველა თაყვანს
გცემდეს შენ,
ამაღლებულო შენს მარადიულ
ტახტზე;
მაცხოვარო, მიიღე ძალა და
დიდება,
მოითხოვე შენივე სამეფო ;
სწრაფად მოდი! სწრაფად
მოდი! სწრაფად მოდი!
მარადიულო ღმერთო,
ჩამოდი!
-ჩარლზ ვესლის საგალობელი
(ჰიმნი)

[277] საქმ. 17; 1 თეს.2:2, 9, 16.
[278] 1 თეს.2:20.
[279] 1 თეს.1:7.
[280] 1 თეს.4:16-17.

მიუხედავად იმისა, რომ თესალონიკელებს დეტალების ცოდნა სურთ ქრისტეს დაბრუნების "დროზე და ვადებზე", პავლე არწმუნებს, რომ "საჭირო არ არის რაიმე მოგწეროთ" ამ საკითხთან დაკავშირებით. ამის ნაცვლად, ისინი დარწმუნებით უნდა შეეგებონ მომავალს ქრისტეს რწმენის გამო.

როდესაც "უფლის დღე ისე მოვა, როგორც ქურდი ღამით,"განადგურება ღამის, წყვდიადის შვილებზე მოვა. ხოლო "სინათლის შვილებისთვის" უფლის დღე იქნება "ხსნის მისაღებად ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მეშვეობით."[281] მორწმუნეებისთვის იესოს დაბრუნება არის გამხნევების გზავნილი (უწყება) და არა შიშის.

დღევანდელობაში ქრისტეს დაბრუნების სინათლის ჭრილში ცხოვრება

პავლეს სწავლება ყოველთვის პრაქტიკული გამოყენებისკენ არის მიმართული. იგივეთი ხელმძღვანელობდა პავლე თავის ესქატოლოგიის სწავლებაშიც.[282] პავლეს არ აინტერესებს ცარიელი სპეკულაციები ქრისტეს დაბრუნების თარიღთან დაკავშირებით.

მას შემდეგ, რაც დაასაბუთა, რომ ქრისტე დაუბრუნდება როგორც ცოცხალთათვის, ასევე გარდაცვლილთათვის, პავლე საუბრობს, რომ მნიშვნელოვანია ქრისტეს მოსვლისთვის მზადყოფნა (4: 1-12 და 5: 1-24პავლე თავის მკითხველებს მოუწოდებს იცხოვრონ როგორც "სინათლის შვილებმა" და არა როგორც სიბნელის შვილებმა. ის გვაძლევს სპეციფიკურ მითითებებს, რომ *დღეს* მოვემზადოთ ქრისტეს დაბრუნებისთვის *ხვალ*:

- განაგრძეთ სიარული დიდი სიფრთხილით, გულმოდგინებით და წინდახედულობით, ღმერთს მოსაწონად (4:1-2)
- იცხოვრე სუფთა სექსუალურად ცხოვრებით (4:3-8)
- განაგრძეთ ზრდა ძმურ სიყვარულში (4:9-10)
- აკეთეთ თქვენი საქმე (4:11)
- იმუშავეთ საკუთარი თავის უზრუნველსაყოფად, ურწმუნოთა თვალში სირცხვილის თავიდან ასაცილებლად (4:11-12)
- ვიყოთ მღვიძარენი (ყურადღებიანი, მომლოდინენი) და ვიფხიზლოთ (5:6-8)
- წაახალისეთ და განმტკიცეთ ერთმანეთი უფლის დაბრუნებასთან დაკავშირებით (5:9-11)
- პატივი ეცით მათ, ვისაც ეკლესიაში წინამძღოლობის პასუხისმგებლობა ეკისრება (5:12-13)
- შეინარჩუნეთ მშვიდობა მორწმუნეებს შორის (5:13)
- დაარიგეთ ისინი, ვინც არ ცხოვრობს სწორად: ზარმაცნი, სულმოკლენი და სუსტები (უძლურები) (5:14)
- სიკეთე აკეთეთ, როგორც სხვა მორწმუნეებისთვის, ასევე გარშემომყოფი ხალხისთვის (5:15)
- იცხოვრეთ სიხარულის ცხოვრებით (5:16)
- იცხოვრეთ მუდმივი ლოცვის ცხოვრებით (5:17)

[281] 1 თეს.5:1-5,9.

[282] "ესქატოლოგია" გულისხმობს ბოლო დღეების დოქტრინას ან შესწავლას.

- იცხოვრეთ მადლიერების ცხოვრებით (5:18)
- ნუ ჩაქრობთ სულიწმინდის საქმეს (5:19)
- ნუ უარყოფთ „იმას, რაც უფლის სახელით არის ნათქვამი."[283] არამედ ყველაფერი გამოსცადეთ და კეთილს ჩაეჭიდეთ. (5:20-21)
- ერიდეთ ყოველგვარ ბოროტებას (5:22)

პავლე უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე მხოლოდ მითითებებია; ის ლოცულობს ამ მორწმუნეთათვის, რომლებთანაც გრძნობს ასეთ ახლო კავშირს. 1 თესალონიკელთა წერილში ორი ლოცვა უკავშირდება მის ზრუნვას, რომ მათ სიფრთხილით და გულმოდგინებით იცხოვრონ ქრისტეს მოსვლის აზრში და სინათლეზე. 3: 11-13-ში პავლე ლოცულობს, რომ ამ მორწმუნეებს სიყვარულსა და სიწმინდეში განვითარდნენ იესოს მოსვლისთვის მოსამზადებლად.

1 თესალონიკელთა წერილი
ქრისტე დაბრუნდება

2 თესალონიკელთა წერილი
ქრისტე ჯერ არ დაბრუნებულა

შემდეგ 5: 23-24-ში პავლე ლოცულობს, რომ ღმერთმა, რომელმაც შემოირიგა მორწმუნენი ("მშვიდობის ღმერთმა"), "წმიდაგყოთ სრულად და მთლიანად." ეს უზრუნველყოფს იმას, რომ მათი მთელი არსება ("სული, მშვინვა და სხეული") მზად იქნება "ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მოსვლისთვის". ბოლო გამხნევებით, პავლე მკითხველს არწმუნებს, რომ ეს განწმენდა ხდება ღვთის მოქმედებით და არა ჩვენი საკუთარი ძალებით. ის, ვინც სიწმინდისკენ მოგვიწოდებს, არის ის, ვინც გვწმენდს..

2 თესალონიკელთა: გაუგებრობები ქრისტეს დაბრუნების შესახებ

შინაარსი და მიზანი

1 თესალონიკელთა წერილის გაგზავნიდან მალევე პავლემ შეიტყო მეორედ მოსვლასთან დაკავშირებული დამატებითი კითხვების შესახებ. 2 თესალონიკელებში პავლე პასუხობს ამ კითხვებს და კვლავ მოუწოდებს თესალონიკელებს ერთგულებისკენ, ქრისტეს დაბრუნებისთვის მზადებისკენ. 2 თესალონიკელები კიდევ უფრო განმარტავს პავლეს სწავლებას 1 თესალონიკელებში. პავლე ეხება დაბნეულობას უფლის დაბრუნებისა და მორწმუნეებს შორის არასწორი საქციელის საკითხებს.

- უფლის დღის გაგება (აღქმა) (2 თეს. 1-2)

1 თესალონიკელებში პავლე ასწავლიდა, რომ მორწმუნეების სიკვდილის გამო სასოწარკვეთილებას არ უნდა მივეცეთ; ქრისტე დაბრუნდება როგორც ცოცხლებისთვის, ასევე მკვდართათვის. მოკლე მისალმების და მათი მზარდი რწმენისა და სიყვარულისთვის მადლიერების გამოხატვის შემდეგ, 2 თესალონიკელებში პავლე დამატებით მითითებებს იძლევა ქრისტეს დაბრუნების დაკავშირებით.

[283] 1 თეს.5:20, ჯ. ბ. ფილიპსის პერეფრაზი.

პავლე წერს, რომ მეორედ მოსვლას მოყვება სამსჯავრო და „მარადიულ დაღუპვას“. თუმცა, მორწმუნეებს არ უნდა ეშინოდეთ; განკითხვის დღე ასევე იქნება ის დღე, როდესაც ქრისტე „განდიდდება თავის წმიდანებში.”[284]

1 თესალონიკელებში პავლე პასუხობს მცდარ აზრს, რომ გარდაცვლილ მორწმუნეებს უფლის დაბრუნება არ შეეხებათ. 2 თესალონიკელში ის პასუხობს მცდარ აზრს, რომ უფალი უკვე დაბრუნდა. 1 თესალონიკელებში პავლე გვასწავლის, რომ ქრისტე დაბრუნდება; 2 თესალონიკელებში პავლე გვასწავლის, რომ ქრისტე ჯერ არ დაბრუნებულა.

ვიღაცამ ტყუილად განაცხადა, რომ უფლის დღე უკვე დამდგარია. პავლემ არ იცის ამ მტკიცების ავტორი: ადამიანი, რომელიც იბრალებს წინასწარმეტყველების ნიჭს („სულს“),იშველიებს ნაქადაგებ სიტყვას ან ყალბ წერილს, რომლის ავტორადაც პავლეს აცხადებს.[285] წყაროს მიუხედავად, პავლე მკითხველს არწმუნებს, რომ ეს დღე ჯერ არ დამდგარა. ორი მოვლენა უნდა მოხდეს უფლის დღის დადგომამდე: "განდგომა" და "ურჯულოების კაცის" გამოჩენა.”[286] ეს მოვლენები ჯერ არ მომხდარა. პავლე არწმუნებს მათ, რომ ქრისტეს დაბრუნება ჯერ კიდევ მომავალია და ის გამოთქვავს გაკვირვებას, რომ მათ დაივიწყეს მისი ადრინდელი სწავლება ამ თემაზე.[287]

- ცხოვრება უფლის დღისთვის მზადებაში (2 თეს. 3)

ისევე, როგორც 1 თესალონიკელებში, პავლეს ძირითადი საზრუნავი 2 თესალონიკელებშიც ის არის, თუ როგორ ცხოვრობენ ქრისტიანები დღეს ქრისტეს მომავალი დაბრუნების ფონზე. 1 თესალონიკელებში პავლე ასწავლიდა: ‘რადგანაც ქრისტე მოდის, იცხოვრეთ ასე... 2 თესალონიკელებში პავლე ასწავლის:‘რადგანაც ქრისტე ჯერ არ მოსულა, განაგრძე ცხოვრება ასე...’

რადგან ქრისტეს დაბრუნებას ველოდებით, ჩვენ უნდა:

- მტკიცედ ვიდგეთ რაშიც განვისწავლეთ (2:15)
- მოვერიდოთ სიზარმაცეს (3:6-12)
- მოვერიდოთ სხვების საქმეებში ჩარევას (3:11-12)[288]
- გავნაგრძოთ სხვებისთვის სიკეთის ქმნა (3:13)
- შენიშნული გვყავდეს ისინი, ვინც ჯიუტად უარყოფენ პავლეს მითითებების შესრულებას (3:14-15)

---

[284] 2 თეს.1:9-10.
[285] 2 თეს.2:2.
[286] 2 თეს.2:3-4.
[287] 2 თეს.2:5.
[288] 2 თეს.3:6-12 ეხება ორ ურთიერთდაკავშირებულ პრობლემას. ვინც სამსახურში არ იყო დაკავებული, სხვა მორწმუნეების საქმეებში ჩარევით იყო დაკავებული. პავლე მათ ეუბნება, რომ შეასრულონ თავიანთი საქმეები და თავი დაანებონ სხვების საქმეებს. თუ ისინი პირველ ინსტრუქციას დაემორჩილებიან, მათ დრო აღარ ექნებათ სხვების საქმეებში ჩარევისთვის.

1 და 2 თესალონიკელთა წერილები დღევანდელ ეკლესიაში

დღეს დიდი ინტერესია ესქატოლოგიისა და იესოს დაბრუნების საკითხისადმი. "წინასწარმეტყველების მასწავლებლები" ცდილობენ განჭვრიტონ უფლის დაბრუნების დრო. წიგნები "ბიბლიურ კოდებზე" ცდილობენ წმინდა წერილებში ამოხსნან საიდუმლო ჭეშმარიტებები. ქრისტიანი ავტორები აქვეყნებენ პოპულარულ რომანებს, რომლებიც ეფუძნება იესოს დაბრუნების მოვლენებს.

1 და 2 თესალონიკელებში საკმაოდ განსხვავებული აქცენტებია გაკეთებული. ამ წერილებში ჩანს, რომ ჩვენ უფრო მეტად უნდა ვიზრუნოთ ქრისტეს დაბრუნებამდე ერთგულად ცხოვრებაზე, ვიდრე მისი დაბრუნების დაფარული დეტალების ამოხსნასა და გამოკვლევაზე. პავლე არ ხარჯავს დროს „დროისა და ვადების“ განხილვაზე. ამის ნაცვლად, ის ამბობს: ‘ქრისტე დაბრუნდება. დარწმუნდით, რომ ისე ცხოვრობთ, როგორც გსურთ, რომ მან გნახოთ მისი დაბრუნებისას.’ ეს უნდა იყოს მაგალითი ჩვენი ქადაგებისთვის უფლის დაბრუნების შესახებ.

დასკვნა

1998 წელს ტაივანის სექტამ იწინასწარმეტყველა, რომ იესო დაბრუნდებოდა 31 მარტს. ზოგიერთმა ქრისტიანმა გაყიდა თავიანთი სახლები და დატოვეს სამსახურები. ისინი ერთად შეიკრიბნენ მთაზე, რათა დალოდებოდნენ ქრისტეს დაბრუნებას. ტაივანის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ამბები ამ ჯგუფის შესახებ და პოპულარიზება გაუწიეს მათ სწავლებას. როდესაც იესო მოსალოდნელ დროს არ დაბრუნებულა, ეკლესიები დაცინვის ობიექტებად იქცნენ მათი ურწმუნო მეზობლების მხრიდან.

ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როდესაც იესოს დაბრუნების ცრუ პროგნოზებმა შეარცხვინა ეკლესია. ამერიკაში, წიგნი, რომელიც პროგნოზირებდა იესოს დაბრუნებას 1988 წელს, თითქმის 5 მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა. ზოგიერთი რელიგიური რადიო და სატელევიზიო სადგურები სპეციალურ მითითებებს იძლეოდნენ გადაცემებში ატაცებისთვის მომზადების თაობაზე.

> ჯონ ვესლის ჰკითხეს, თუ რას იზამდა, რომ სცოდნოდა, რომ მისი უფალი მეორე დღეს მოვიდოდა. მან უპასუხა: ”დღეს მე დავწვებოდი და დავიძინებდი. დილით კი ვიღვიძებდი და ვაგრძელებდი ჩემს საქმეს, რადგან მსურს, რომ იმის კეთებაში მიპოვოს, რისთვისაც მან განმაწესა.”
>
> - ჯ. კემპბელ მორგანის ციტატა.

სულ ახლახან, ჰაროლდ კემპინგმა იწინასწარმეტყველა ატაცება 2011 წელს. პროგნოზი ცრუ აღმოჩნდა. ურწმუნოებმა კვლავ დასცინეს ქრისტიანებს, რომ მათ დაიჯერეს ეს წინასწარმეტყველება.

ხალხი კვლავ და კვლავ აკეთებს ატაცების პროგნოზებს - და არაერთხელ დასტურდება, რომ პროგნოზები მცდარია. თავად იესო აფრთხილებდა მისი დაბრუნების თარიღის დადგენის

მცდელობის წინააღმდეგ.[289] იმის ნაცვლად, რომ ვცადოთ იესოს დაბრუნების თარიღის პროგნოზირება, ჩვენ უნდა ვიყოთ დაკავებულნი ჩვენი ბატონის დავალებული საქმით. თესალონიკის მორწმუნეების მსგავსად, ჩვენც უნდა მივუძღვნათ თავი ისეთ ცხოვრებას, რომ ნებისმიერ დროს მზად ვიყოთ იესოს დაბრუნებისთვის.

[289] Matthew 24:36.

გაკვეთილის დავალება

წარმოაჩინეთ თქვენ მიერ ამ გაკვეთილის აღქმა (გაგება) შემდეგი დავალებების დახმარებით:

1) აირჩიეთ ქვემოთმოყვანილი დავალებებიდან ერთერთი:

a. 1 და 2 თესალონიკელთა წერილის წაკითხვის შემდეგ, დაწერეთ ერთგვერდიანი ესე თემაზე "დღევანდელობაში ქრისტეს დაბრუნების სინათლის ჭრილში ცხოვრება." ეს უნდა იყოს პრაქტიკული ესე, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ მოქმედებს ქრისტეს დაბრუნება ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაზე.

b. მოამზადეთ ქადაგება ან ბიბლიური გაკვეთილი მეორე მოსვლის შესახებ 1 და 2 თესალონიკელთა წერილზე დაყრდნობით. ეს სეიძლება იყოს 5-6 გვერდიანი ხელნაწერი ან ქადაგების ან ბიბლიური გაკვეთილის ჩანაწერი.

2) გაიარეთ ტესტი ამ გაკვეთილის მასალაზე დაყრდნობით. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმინდა წერილიდან.

გავიღრმავოთ ცოდნა

მეტი ინფორმაციის მისაღებად1 და 2 თესალონიკელთა, იხილეთ შემდეგი რესურსები.

<u>ბეჭდური წყაროები</u>

არნოლდ აირჰარტი. *შუქურას ბიბლიის კომენტარი: I და II თესალონიკელთა.* Beacon Hill Press, 1965.

ადამ კლარკი. *ახალი აღთქმის კომენტარები.* Abingdon Press, n.d.

ვ. ო. ქლოფენშტაინი. *ვესლეიანელთა ბიბლიური კომენტარი: I და II თესალონიკელთა.* Eerdmans, 1965.

ლეონ მორისი. *ტინდალის ახალი აღთქმის კომენტარები: 1 და 2 თესალონიკელთა.* Wm. Eerdmans, 2007.

<u>ელექტრონული (ინტერნეტ) წყაროები</u>

ჯონ ვესლი. *ვესლის ახსნა-განმარტებები ახალი აღთქმის შესახებ.* http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

გაკვეთილი 8 ტესტის საკითხები

1. აღწერეთ გარემო, რომლის დროსაც დააფუძნეს ეკლესია თესალონიკში.

2. ჩამოთვალეთ სამი რამ, რითიც ამხნევებს პავლე თესალონიკის ეკლესიას წინააღმდეგობის პირობებში.

3. რას ეუბნება პავლე თესალონიკელებს ქრისტეს დაბრუნების დროისა და წინაპირობის შესახებ?

4. პავლე ამ ქრისტიანებს კონკრეტულ გამხნევებას უგზავნის განწმენდის შესახებ. რას ეუბნება მათ?

5. თუ 1 თესალონიკელთა ძირითადი გზავნილია "ქრისტე დაბრუნდება", რა არის მეორე თესალონიკელთა ძირითადი აზრი?

6. თუ მივყვებით პავლეს მაგალითს, რაზე გავამახვილებთ ყურადღებას მეორედ მოსვლის შესახებ ქადაგებისას?

გაკვეთილი 9
ტიმოთეს და ტიტეს: წერილები პასტორებს

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

(1) იცოდეს სავარაუდო თარიღი და ისტორიული გარემო of პასტორული წერილები.
(2) გამოკვეთოს პასტორული წერილების ძირითადი თემები და მიზნები.
(3) განივითაროს ეკლესიის ლიდერებისთვის საჭირო ბიბლიური თვისებები.
(4) განივითაროს პატივისცემა პასტორის პასუხისმგებლობის მიმართ, ისეთ სფეროებში, როგორიცაა დოქტრინალური განსწავლა, ეკლესიის ორგანიზება და სულიერი ხელმძღვანელობა.
(5) მიიღოს გამოწვევა მთელი ცხოვრების განმავლობაში უერთგულოს ღვთის მოწოდებას.
(6) შეაჯამოს პასტორალური ეპისტოლეებში დანახული ქრისტიანული მსახურების პრაქტიკული პრინციპები.
(7) დაუკავშიროს ამ წიგნების გზავნილი დღევანდელი მსოფლიოს საჭიროებებს.

გაკვეთილი

- *ჩამოთვალეთ რამდენიმე საკითხი, რომელიც ახალგაზრდა პასტორს შეიძლება აწუხებდეს. შემდეგ გაარკვიეთ, რომელი პრობლემების მოგვარებას ეხება 1 ტიმოთეს და ტიტეს წერილები.*

წაიკითხეთ: 1 და 2 ტიმოთეს და ტიტეს
დაიზეპირეთ: 2 ტიმოთეს 4:7-8 და ტიტეს 2:11-14

ტიტეს და 1 და 2 ტიმოთეს წერილები ცნობილია როგორც პასტორალური ეპისტოლეები, ანუ წერილები პასტორებისადმი. ისინი პავლეს მიერ იყო მიწერილი ახალგაზრდა მამაკაცებისადმი, რომლებსაც ის ასწავლიდა და წვრთნიდა. ახლა ისინი პასტორები გახდნენ, რომლებიც ეკლესიებს ხელმძღვანელობდნენ. პავლე წერს მათ ეკლესიებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად.

ეკლესიებისადმი მიწერილი წერილებისგან განსხვავებით, ეს პირადი წერილებია. ეს არის პატივცემული მასწავლებლის წერილები მოსწავლეებისადმი, რომლებსაც მსახურებაში ჩადგომისას პირველი პრობლემები შეექმნათ. ამ ჭრილში, ეს წიგნები ფასდაუდებელი რესურსია ახალი მწყემსებისთვის, რომლებიც ეკლესიის წინამძღოლობაში ბიბლიურ რჩევებს ეძებენ.

პასტორული წერილების ავტორი და თარიღი

1 ტიმოთეს და ტიტეს წერილები პავლეს მიერ იყო დაწერილი, უფრო მეტად სავარაუდოა ახ. წ. 64-65 წლებში. 2 ტიმოთე პავლეს ბოლო წერილია, რომელიც დაიწერა მის წამებამდე ცოტა ხნით ადრე ახ. წ. 66 ან 67 წელს.

ამ სასწავლო კურსში მცირე ყურადღება დავუთმეთ არგუმენტებს ახალი აღთქმის წიგნების ავტორობის შესახებ. როგორც სახარების მიმდევარნი, ჩვენ ვღებულობთ ახალი აღთქმის მოწმობას ავტორობის შესახებ. თუმცა, იმის გამო, რომ პასტორალური ეპისტოლეების ავტორობა ხშირად საკამათო ხდება, ღირს არგუმენტების განხილვა პავლეს ავტორობის შესახებ.

არგუმენტებად, ტიტეს და ტიმოთეს 1 და 2 წერილების, პავლეს ავტორობის წინააღმდეგ გამოიყენება შემდეგი:

- ქრონოლოგია. ეს წიგნები არ ემთხვევა საქმეების ქრონოლოგიას.
- სტილი. ამ წიგნების დაწერის სტილი განსხვავდება პავლეს სხვა წერილებისგან.
- შინაარსი. ამ წერილების შინაარსში გაკეთებული ზოგიერთი აქცენტი განსხვავებულია პავლეს სხვა წერილებში გატარებული აქცენტებისგან. მაგალითად, პასტორალურ წერილებში პავლე მეტად ამახვილებს ყურადღებას ეკლესიის სტრუქტურასა და ეკლესიის მსახურებზე. მის სხვა წერილებში ეს აქცენტი არ იკვეთება.

მიუხედავად იმისა, რომ აქ არ გვაქვს ამ საკითხის დეტალური განხილვის დრო და ადგილი, მოკლე პასუხები თითოეულ მათგანზე ცხადყოფს, რომ ჩვენ ყველანაირი საფუძველი გვაქვს, ამ წერილების ავტორად მივიჩნიოთ პავლე.

- ქრონოლოგია. პასტორალური ეპისტოლეებში ნახსენები მოვლენები არ ემთხვევა საქმეებში მითითებულ პერიოდს. ძველი საეკლესიო საეკლესიო გადმოცემის ჩანაწერების თანახმად, პავლე ციხიდან დაახლოებით ახ. წ. 62 წელს გაათავისუფლეს. შემდეგ ის გაემგზავრა მეოთხე მისიონერულ მოგზაურობაში, რომლის დროსაც ეწვია კრეტას[290], ეფესოს[291], მაკედონიას[292], და ნიკოპოლისს[293] და შესაძლოა ესპანეთსაც. პასტორალური წერილები ამ მეოთხე მოგზაურობის დროინდელია.

- სტილი. წერის სტილის შესახებ არგუმენტი სუბიექტურია. პირადი წერილი, ახლობელი თანამშრომლის მიმართ, ძალიან განსხვავებული წერის სტილით გამოიხატება, ვიდრე წერილები ეკლესიების მიმართ.

---

[290] ტიტ. 1:5.
[291] 1 ტიმთ. 1:3.
[292] ფილიპ.2:23-24; 1 ტიმთ. 1:3.
[293] ტიტ. 3:12.

- შინაარსი. ეს არგუმენტი წერის სტილის არგუმენტის მსგავსია; ახლობელ თანამშრომლებთან მიწერილ წერილებში გაკეთებული აქცენტები განსხვავებული იქნება, ეკლესიებისადმი მიწერილი წერილების აქცენტებისგან.

  საქმეები და პავლეს ადრინდელი წერილებიც ეხება ეკლესიის მსახურებს, როგორიცაა ხუცესები, ეპისკოპოსები და დიაკვნები.[294] პავლე წერს ტიტესა და ტიმოთეს, რათა უხელმძღვანელოს მათ, ახლადდაარსებული ეკლესიების მართვასა და ორგანიზებაში; ბუნებრივია, რომ ის განსაკუთრებულ ყურადღება უთმობს და აქცენტს აკეთებს ეკლესიის წინამძღოლობისთვის საჭირო თვისებებზე.

  ამ წიგნებში მოყვანილი პირადი მონაცემები ასევე ადასტურებს პავლეს ავტორობას. ორივე წერილი 2 ტიმოთეც და ტიტეც მთავრდება პავლესთან დაკავშირებული კონკრეტული შეტყობინებით. ის წერს თანამშრომლებზე, როგორებიცაა დემა, კრესკენსი და ლუკა. გეგმავს მომავალში ტიტესთან შეხვედრას. იხსენებს მარკოზ იოანეს, რომელთანაც კონფლიქტი ჰქონდა ადრეულ წლებში. ის წერს თავის მოსალოდნელ სიკვდილზე. ეს წერილები აშკარად პავლემ მიწერა თავის ახლობელ თანამშრომლების.

პავლეს ავტორობის ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულება არის თავად წმიდა წერილი. თითოეული ეპისტოლე იწყებს პავლეს, როგორც ავტორის იდენტიფიცირებით.[295] სახარების მიმდევართათვის, რომლებიც აღიარებენ საღვთო წერილის ღვთივსულიერებას და უცვლელობას, ეს თავისთავად საკმარისი მტკიცებულებაა. ადრეული დღეებიდან ეკლესიამ აღიარა ეს წერილები, როგორც ღმერთის შთაგონებით პავლე მოციქულის მიერ დაწერილი.

1 ტიმოთეს

მიზანი

ციხიდან გათავისუფლების შემდგომი მოგზაურობისას, პავლემ ტიმოთეს დატოვა ეფესოში ეკლესიის პასტორად, თვითონ კი მაკედონიაში გაემგზავრა.[296] ეს ახალი ეკლესია პავლემ ხუთი-რვა წლით ადრე დააარსა. პავლე ამ წერილს წერს, რათა მითითებები მისცეს ცრუ მასწავლებლებს შესახებ, გაამხნევოს ახალგაზრდა ტიმოთე მის პასტორულ საქმიანობაში და გასცეს კონკრეტული მითითებები საეკლესიო პოლიტიკისა და ეკლესიის მსახურების დანიშვნის შესახებ.

[294] საქმ. 14:21-23 და ფილიპ.1:1.
[295] 1 ტიმთ. 1:1; 2 ტიმთ. 1:1; ტიტე 1:1.
[296] 1 ტიმთ. 1:3.

შინაარსი

ცრუ მასწავლებლები ეკლესიაში

პავლეს უმთავრესი საზრუნავი ამ წერილში ტიმოთეს დახმარებაა ცრუ მასწავლებლებთან გამკლავებაში, რომლებიც ეფესოს ეკლესიას პრობლემებს უქმნიდნენ. ამ სწავლების დეტალებზე საუბრის ნაცვლად, პავლე აფრთხილებს სწავლების შედეგებზე. ცრუ სწავლებამ გამოიწვია არგუმენტირებული კითხვები და დისკუსია. [297] ამ მასწავლებლებს სურთ, რომ მასწავლებლებად აღიარონ, მაგრამ არ ესმით, რას ასწავლიან.[298] ნაცვლად "ფუჭი დავისა" (ცარიელი არგუმენტები და სპეკულაციები), ღმერთს სურს, რომ მისმა ეკლესიამ ერთმანეთი ააშენოს ("ღვთიური აღმშენებლობა") სიყვარულით, რომელიც სუფთა გულიდან, სინდისისა და გულწრფელი რწმენიდან მოდის.[299]

როგორც ჩანს, ცრუ მასწავლებლების შესახებ გზავნილის ნაწილი რჯულთან არასწორ მიდგომას უკავშირდება. პავლე ადასტურებს, რომ რჯული მნიშვნელოვანია, ოღონდ თუ "ვინმე კანონიერად იყენებს მას." აგრეთვე აჩვენებს ცოდვებს, რომლებიც იმ პრინციპებისადმი დაუმორჩილებლობის შედეგია, რომლებსაც რჯული გვასწავლის.[300] მიუხედავად იმისა, რომ გალატელთა წერილი გვაჩვენებს, რომ ქრისტიანები მართლდებიან მადლითა და არა რჯულით, 1 ტიმოთე გვაჩვენებს, რომ რჯული მნიშვნელოვან როლს ასრულებს გაფრთხილების თვალსაზრისით, რათა არ ჩავიდინოთ რაიმე ისეთი, რაც ღმართს გაანაწყენებს.

პავლე სამ პასუხს უპირისპირებს ამ ცრუ მასწავლებლებს:

- *ტიმოთეს გამხნევება.* პავლე საკუთარ დამოწმებას უზიარებს, როგორც ის, ვინც ქრისტეს მტერი იყო, მაგრამ წყალობა მიიღო. ამის გამო ტიმოთეს შეუძლია "იომოს, როგორც კეთილმა მეომარმა", დარწმუნებულმა ქრისტეს ძალაში, სხვათა ცხოვრების შესაცვლელად.[301]

- *აქცენტი ჭეშმარიტ სწავლებაზე.* პავლე ცრუ მოძღვრებას ჭეშმარიტი მოძღვრებით პასუხობს. 1 ტიმოთე მე-4 თავში პავლე განსაზღვრავს სწორ მოძღვრებას, როგორც ანტიდოტს ცრუ მოძღვრების შხამის საწინააღმდეგოდ.

- *გაფრთხილება არასწორი მოტივაციის წინააღმდეგ.* მოგვიანებით, პავლე წერილში განიხილავს ცრუ მასწავლებლების მოტივაციას. 1 ტიმოთე მე-6 თავში პავლე აფრთხილებს, რომ მათი სწავლება განპირობებულია სიამაყით, გარყვნილი გონებით და სიხარბით (ვერცხლისმოყვარეობით). ამაზე პასუხი არის კმაყოფილება იმით, რაც გვაქვს. ფულის სიყვარულმა (ვერცხლისმოყვარეობამ) გამოიწვია ის, რომ ზოგიერთები განშორდნენ რწმენას.

---

[297] 1 ტიმთ. 1:4,6.
[298] 1 ტიმთ. 1:7.
[299] 1 ტიმთ. 1:5.
[300] 1 ტიმთ. 1:8-10.
[301] 1 ტიმთ. 1:12-20.

ამის ნაცვლად, ჭეშმარიტმა ქრისტიანებმა უნდა მისდიონ „სიმართლეს, ღვთისმოსაობას, რწმენას, სიყვარულს, მოთმინებასა და სიმშვიდეს."[302]

- მითითებები ეკლესიას

  - *რა თვისებებია დადგენილი ლიდერებისთვის თქვენს ეკლესიაში? გააკეთეთ ჩამონათვალი და შეადარეთ თქვენი სია 1 ტიმოთეს მე-3 და ტიტეს 1-ლ თავებს.*

1 ტიმოთეს წერილის დიდი ნაწილი შედგება პავლეს რჩევებისაგან ტიმოთესთვის. პავლე მოძღვრავს ახალგაზრდა ტიმოთეს ისეთ საკითხებში, როგორიცაა:

- *გაერთიანებული ლოცვა და საჯარო თაყვანისცემა* (1 ტიმ. 2)

  ისეთი ახალგაზრდა პასტორისთვის, როგორიც ტიმოთე იყო, ქცევა ლოცვის დროს და საჯარო თაყვანისცემისას მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა.

- *ეკლესიის ლიდერების (წინამძღოლების) თვისებები* (1 ტიმ. 3)

  ადრეულ ეკლესიაში ორი ფუნქცია-მოვალეობა (თანამდებობა) იყო. ეპისკოპოსები (ანუ 'მეთვალყურეები') ასწავლიდნენ და ქადაგებდნენ; მათ ევალებოდათ ფარაზე ზრუნვა და წევრების დაცვა სულიერი ზიანისგან.[303] დიაკვნებს სულიერი პასუხისმგებლობაც ეკისრებოდათ, მაგრამ ისინი უშუალო პასუხისმგებლობას ატარებდნენ ფიზიკური მომსახურების სფეროებზე.[304] პავლესმიერი თვისებები ორივე ფუნქცია-მოვალეობისთვის (თანამდებობისთვის) უფრო მეტად შინაგან ბუნაბაზეა ორიენტირებული, ვიდრე მოვალეობებზე. პავლეს მთავარი საზრუნავი იყო, რომ ეკლესიის ლიდერებს ისეთი ბუნება და თვისებები ჰქონოდათ, რომელიც მათ ღვთის ეკლესიის წინამძღოლობის საშუალებას მისცემდა.

- *ეკლესიის ცალკეული ჯგუფების საჭიროებები* (1 ტიმ. 5:1-6:2)

  კიდევ ერთი გამოწვევა ახალგაზრდა პასტორისთვის იყო ის, თუ როგორ უნდა გამკლავებოდა სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებს ეკლესიაში. პავლე მითითებებს აძლევს, რომ დაეხმარონ ქვრივებს, ეკლესიის უხუცესებს და მონებსაც კი.

პავლე ტიმოთესთვის მიწერილ წერილს ასრულებს ერთგულების მოთხოვნით "რწმენის კეთილ ბრძოლაში" და შეახსენებს მას, რომ განერიდოს "ამქვეყნიურ ლაყბობას " და "ცრუ ცოდნას"

---

[302] 1 ტიმთ. 6:11-12.
[303] საქმ. 20:28-31.
[304] ბერძნული სიტყვა დიაკვანი, *diakonos*, ნიშნავს მსახურს.

(ეგრეთწოდებული მოძღვრების უკუღმართ დებულებებს).”[305] ტიმოთეს მიანდეს სახარება. ეს უნდა იყოს მისი მთავარი საზრუნავი - და ასევე ყველა პასტორის მთავარი საზრუნავი უნდა იყოს, ვინც ტიმოთეს კვალს მიჰყვება.

ტიტეს

ისტორიული გარემო

ტიტე იყო წარმართი ქრისტიანი, სავარაუდოდ პავლეს მსახურების შედეგად მოქცეული.[306] ის პავლესთან ერთად იყო იერუსალიმის საბჭოში და წარმოადგენდა პავლეს კორინთოში მისი ბრძოლის დროს ამ პრობლემურ ეკლესიასთან. ამ წერილის დაწერის დროს ტიტე მსახურობდა მთიან კუნძულ კრეტაზე. პავლეს კრეტაზე ვიზიტის შემდეგ, მან ტიტე დატოვა ეკლესიების მეთვალყურედ მჭიდროდ დასახლებულ სანაპირო ქალაქებში.

წერილის ბოლოს, პავლე სთხოვს ტიტეს, ჩავიდეს მასთან ნიკოპოლისში.[307] 2 ტიმოთეს 4:10-დან ჩანს, რომ ტიტე მოგვიანებით ნიკოპოლისიდან ახლომდებარე ქალაქ დალმატიაში გაგზავნეს. ამ დროისთვის პავლე დააპატიმრეს და რომში გაგზავნეს, სადაც წამება განიცადა.

მიზანი

1 ტიმოთეს მსგავსად, ტიტეც დაიწერა ახალგაზრდა პასტორის დასახმარებლად ადგილობრივი ეკლესიის მშენებლობაში. პავლე ეხება ცრუ მასწავლებლების, ეკლესიის ხელმძღვანელობისა და ქრისტიანულ ქცევის საკითხებს. წერილის მთავარი თემაა ქრისტიანული ცხოვრების დიდ მნიშვნელობა, როგორც გადარჩენის მომნიჭებელი რწმენის დემონსტრირება.

შინაარსი

- ცრუ მასწავლებლების საშიშროება

ცრუ სწავლება მუდმივ საფრთხეს წარმოადგენდა ადრეული ეკლესიისთვის. პავლე პასუხობს სამი საშუალებით:

- ის მოუწოდებს ჯანსაღ ლიდერებს (წინამძღოლებს) ეკლესიაში (ტიტ. 1:5-9).
- ის ამტკიცებს, რომ ამ ცრუ მასწავლებლების ცხოვრების წესი ადასტურებს მათი სწავლების ცდომილებას (ტიტ. 1:10-16 და 3:9-11).
- ის გვთავაზობს სწორი ცხოვრების სურათს (ტიტ. 2:1-3:9). როგორც ყოველთვის, პავლეს მიდგომაა სიმართლის ხაზგასმა და არა უბრალოდ ცდომილებაზე თავდასხმა.

[305] 1 ტიმთ. 6:12-21.
[306] გალ. 2:1-4 და ტიტ. 1:4.
[307] ტიტ. 3:12.

კეთილი საქმეების მნიშვნელობა

ცრუ მასწავლებლები ცნობილი იყვნენ უწმინდური, ბოროტი ცხოვრების წესით, რაც მათი ცრუ სწავლების ნაყოფი იყო. კრეტაზე ცრუ მასწავლებლების მიმდევრები იყვნენ საზიზღარნი, ურჩნი და გახრწნილნი.[308] ანალოგიურად, ჭეშმარიტი სწავლება ცნობილი უნდა იყოს ცხოვრების სტილით, რომელსაც ის ქადაგებს. ცრუ სწავლების წინააღმდეგ გაფრთხილების შემდეგ, პავლე თავისი წერილის დიდ ნაწილს უთმობს ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრების დასურათეებას. პავლე ამტკიცებს, რომ სწორი სწავლება განაპირობებს სწორ ქცევას.

"გამოჩნდა ღვთის მადლი, რომელიც ყველა ადამიანის მხსნელია." "როგორც მზე ანათებს ყველა ადამიანისთვის, ისე სულიერი მზე გამოუბრწყინდა ყველას. ორივე შემთხვევაში მხოლოდ ისინი, ვინც ნებით ხუჭავენ თვალებს, მოკლებულნი არიან ამ მადლით ბოძებულ სიკეთეს."
- ადაპტირებულია ადამ კლარკის, ახალი აღთქმის კომენტარი-დან

პავლე ტიტეს მოუწოდებს ის ილაპარაკოს ის, „რაც საღ მოძღვრებას შეჰფერის."[309] თუ კრეტის ეკლესიის წევრები ისე იცხოვრებენ, როგორც საჭიროა, მათი ცხოვრება დაემთხვევა პავლეს და ტიტეს მიერ გადაცემულ მოძღვრებას. პავლე კონკრეტულ მითითებებს აძლევს ასაკოვანი მამაკაცებისთვის, ასაკოვანი ქალებისთვის, ახალგაზრდა ქალებისთვის, ახალგაზრდა მამაკაცებისთვის და მსახურებისთვის. პავლე ტიტს შეახსენებს, რომ წინამძღოლი უნდა ნიმუში, როგორც კეთილ საქმეებში და კარგ ქცევაში, ასევე ჯანსაღ მოძღვრება.

სწორი ცხოვრების წესი არის სახარების ჭეშმარიტების ღირებული მოწმობა. პავლე ორ სტიმულს იძლევა კეთილი საქმეებისთვის:

- უარყოფითი მოტივაცია: "რათა არ იგმობოდეს ღვთის სიტყვა."[310]
- დადებითი მოტივაცია: "რათა ყოველნაირად შეამკონ ჩვენი მაცხოვარი ღვთის მოძღვრება."[311]

ჩვენი ცხოვრების წესი უნდა შეესაბამებოდეს იესოს მაგალითს "ვინც თავი დასდო ჩვენთვის, რათა გამოვესყიდეთ ყოველგვარი ურჯულოებისგან და თავისთვის განეწმიდა რჩეული ხალხი, კეთილ საქმეებს მოწყურებული."[312] ურწმუნო ადამიანების სახარებისადმი კეთილგანწყობას ღვთისმოსავი ადამიანების ცხოვრება იწვევს.

---

[308] ტიტ. 1:16.
[309] ტიტ. 2:1.
[310] ტიტ. 2:5.
[311] ტიტ. 2:10.
[312] ტიტ. 2:14.

ტიტეს წერილში გადმოცემული დოქტრინა მნიშვნელოვანწილად განმარტავს და ამდიდრებს პავლეს სწავლებას გალატელთა წერილში. გალატელებში პავლე აფრთხილებს მათ, ვინც არასწორად მიიჩნევს, რომ კეთილი საქმეებით მიიღებს გამართლებას. ტიტეში კი პავლე მათ აფრთხილებს, ვინც ასწავლის, რომ გამართლებას არ მოყვება კეთილი საქმეები.

როდესაც ნამდვილად ვმართლდებით მადლით, რწმენის მეშვეობით, ვიცხოვრებთ შეცვლილი ცხოვრებით. პავლემ ტიტეში, ისევე როგორც გალატელებში, განმარტა, რომ ჩვენ გადარჩენა მივიღეთ "არა მართალი საქმეების გამო, ჩვენ რომ ჩავიდინეთ, არამედ თავისი წყალობით."[313] მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კეთილი საქმეებით არ ვართ დახსნილნი, ხსნა ცვლის ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტს. ვიდრე გავმართლდებოდით, ჩვენ ვიყავით „უგუნურნი, ურჩნი, გზააბნეულნი, სხვადასხვა გულისთქმათა და განცხრომათა მონები...”[314] ახლა, როდესაც განვახალდით, ჩვენ უნდა “გულმოდგინედ ვცდილობდეთ კეთილი საქმეების კეთებას.”[315]

პავლე ასრულებს პირადი მითითებებით. იგი რტემასს და ტვიქიკოსს აგზავნის ტიტეს ჩასანაცვლებლად კრეტაზე. როდესაც ეს შემცვლელები ჩავლენ, ტიტემ უნდა წაიყვანოს ზენასი და აპოლოსი და შეუერთდეს პავლეს ნიკოპოლისში.

2 ტიმოთეს

მიზანი

2 ტიმოთე, პავლეს უკანასკნელი წერილი, დაიწერა ახ. წ. 65-67 წლებში, როდესაც ის სასიკვდილო განაჩენის მოლოდინში იყო. ზოგიერთმა თანამოაზრემ მიატოვა ის, ზოგიც კი თავიანთი დანიშნულების ადგილებზე არიან (სადაც პავლემ და ეკლესიამ წარაგზავნა), ამიტომ ის მარტოა. ის ტიმოთეს დახმარების თხოვნით მიმართავს. პავლეს სცივა, ამიტომ ტიმოთეს მოსასხამის მოტანას სთხოვს. მას დამხმარეები სჭირდება, ამიტომ ტიმოთეს სთხოვს მარკოზ იოანეს ჩამოყვანას. მას სურს ბოლომდე გააგრძელოს მუშაობა, ამიტომ ითხოვს თავის წიგნებს, „განსაკუთრებით პერგამენტებს.”[316]

[313] ტიტ. 3:5.
[314] ტიტ. 3:3.
[315] ტიტ. 3:8.
[316] 2 ტიმთ. 4:9-13.

პავლეს ორი პატიმრობა

პირველი პატიმრობა	*მეორე პატიმრობა*
დადანაშაულებულია ებრაელების მიერ	დაპატიმრებულია რომის მიერ
პავლეს შედარებითი თავისუფლება აქვს სტუმრების მისაღებად	პავლე მეტწილად მარტოა
ნაქირავებ სახლში	ციხის ცივ საკანში
დასრულდა პავლეს გათავისუფლებით	დასრულდა პავლეს სიკვდილით დასჯით

შინაარსი

- ერთგულება

სიცოცხლის ბოლოს პავლე იხსენებს თავის ცხოვრებას, რომელიც ღვთის მოწოდების ერთგულ მორჩილებაში განვლო. ის ასევე მოუთმენლად ელის მათ, ვინც ტიმოთეს მსგავსად მომავალშიც გააგრძელებენ მსახურებას. ერთგულება პავლესთვის მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენს ცხოვრების ამ ეტაპზე. ის მოუწოდებს ტიმოთეს, რომ მსახურებაში ერთგული დარჩეს.

როგორც ღალატის მაგალითები, პავლე მიუთითებს აზიის პროვინციაში მყოფებზე, რომლებმაც მიატოვეს ის, კერძოდ კი ფიგელოსსა და ჰერმოგენეზე.[317] პავლემ იმედგაცრუება განიცადა თანამშრომლებისგან, რომლებმაც გზაში მიატოვეს. მოგვიანებით, ის ახსენებს დემასს, ყოფილ თანამშრომელს, რომელმაც მიატოვა.[318] ღვთისადმი ერთგულება იმედგაცრუების გარეშე ცხოვრების გარანტიას არ იძლევა. შესაძლოა პავლე, გემების ჩაძირვით, ცემით და დაპატიმრებებით მიყენებულ ფიზიკურ ტანჯვაზე მეტად, ისევე როგორც ფსიქიკური ზეწოლაზე მეტადაც, რომელიც გალატიისა და კორინთოს პრობლემურ ეკლესიებში სირთულეებთან გამკლავებით იყო გამოწვეული, ემოციურ ტანჯვას განიცდიდა, რომ ამ კრიტიკულ პერიოდში მიტოვებული აღმოჩნდა.

საბედნიეროდ, პავლეს შეუძლია გაიხაროს ერთგულების მაგალითებით. მას ახსოვს ონესიფორე, რომელიც მსახურის მაგალითი იყო ეფესოსა და რომში.[319] ის მიუთითებს ისეთ თანამშრომლებზე, როგორებიცაა კრესკესი, ტიტე და ტვიქიკოსი, რომლებიც ერთგულად მსახურობენ.[320] პავლე სთხოვს მარკოზს, ღვთის მადლით, ტიმოთესთან ერთად რომში ჩამოსვლას. მარკოზ იოანე იყო, ვინც მიატოვა პავლე მისი პირველი მისიონერული მოგზაურობის პროცესში და სწორედ ის იყო პავლესა და

[317] 2 ტიმთ. 1:15.
[318] 2 ტიმთ. 4:10.
[319] 2 ტიმთ. 1:16-18.
[320] 2 ტიმთ. 4:10-12.

ბარნაბას შორის განხეთქილების მიზეზი.[321] თხუთმეტი წლის შემდეგ, მარკოზმა დაამტკიცა თავისი საიმედოობა; პავლე მის დახმარებას ითხოვს, „ვინაიდან მსახურებისთვის მჭირდება."[322]

ეს უფრო მეტია, ვიდრე პირადი მოგონებები; პავლე ცდილობს ერთგულებას შეუწყოს ხელი ტიმოთეს წერილში. პავლე მეტაფორების რიგს იყენებს იმის საჩვენებლად, თუ რას ნიშნავს ერთგულება.

- ჯარისკაცი (მეომარი) ერთგულია მისი მხედართმთავრის მიმართ (2 ტიმ. 2:3-4)
- ასპარეზზე მორბენალმა წესების მიხედვით უნდა იასპარეზოს (2 ტიმ. 2:5)
- მიწის მუშაკი ამტკიცებს, რომ მისი ერთგულება მომავალში ნაყოფს მოიტანს (2 ტიმ. 2:6)

ცრუ მასწავლებლები

ცრუ სწავლების საშიშროება კვლავაც პავლეს ნამდვილ საზრუნავად რჩება. ის ტიმოთეს მოუწოდებს დარჩეს ერთგული და მოერიდოს უთანხმოებების გამომწვევ „სულელურ და უმეცარ პაექრობებს". ეს მოდის "ბოროტი ადამიანები და თვითმარქვიებისგან", რომლებიც "სხვებსაც შეაცდენენ და თავადაც ცდუნდებიან."[323] ამის ნაცვლად, ტიმოთე უნდა დარჩეს „იმაში, რაც უსწავლია და რაშიც დარწმუნებულია…."[324] მან უნდა "იქადაგოს სიტყვა" "ამხილოს, შერისხოს, შეაგონოს", უნდა "ფხიზლად იყოს ყველაფერში, ტანჯვას გაუძლოს, აკეთოს მახარებლის საქმე" და "აღასრულოს თავისი მსახურება."[325] აქ, ისევე როგორც 1 ტიმოთესა და ტიტეს წერილში, ცრუ სწავლების პასუხი არის ჭეშმარიტების ერთგულება.

გამომშვიდობება

2 ტიმოთე არის პავლეს გამომშვიდობება მიწიერ ცხოვრებასა და მსახურებასთან. ამასთან, პავლე მომავალს თავდაჯერებით უყურებს; ის ელოდება ჯილდოს ერთგულებისთვის.

> წლების წინ პავლემ დაამოწმა: "მაგრამ სიცოცხლე არად მიღირს, ოღონდ კი დავასრულებდე ჩემს სარბიელსა და მსახურებას, უფალ იესოსგან რომ მივიღე, რათა დავამოწმო ღვთის მადლის სახარება."[326] ახლა, სიკვდილის პირისპირ, ის მოწმობს: "კეთილი ღვაწლით ვიღვაწე, განვვლე ასპარეზი, რწმენა შევინარჩუნე. ახლა კი მომელის სიმართლის გვირგვინი, რომელსაც მომცემს იმ დღეს უფალი, მართალი მსაჯული; და არა მარტო მე, არამედ ყველას, ვისაც უყვარს მისი გამოჩენა."[327]

---

[321] საქმ. 15:36-39.
[322] 2 ტიმთ. 4:11.
[323] 2 ტიმთ. 2:23 და 3:13-14.
[324] 2 ტიმთ. 3:14.
[325] 2 ტიმთ. 4:2,5.
[326] საქმ. 20:24.
[327] 2 ტიმთ. 4:7-8.

პასტორული წერილები დღევანდელ ეკლესიაში

პასტორული წერილები გვასწავლის ჭეშმარიტი დოქტრინის მნიშვნელობას. ცრუ სწავლების ყველაზე ეფექტური პასუხი არის ჭეშმარიტება. ამ წერილებში პავლე უფრო მეტ ყურადღებას უთმობს სწორ მოძღვრებას, ვიდრე ცრუ სწავლებას. ანალოგიურად, დღეს ჩვენი ყველაზე ეფექტური პასუხი ცრუ მოძღვრებაზე არის სახარება „რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გადაეცა წმინდანებს."[328]

იმ პერიოდში, როდესაც მორალურმა დაცემამ და ერეტიკურმა სწავლებამ გაანადგურა ეკლესიის ზოგიერთი ლიდერი, პასტორალური ეპისტოლეები ღირებულია ეკლესიის ლიდერების თვისებების სწავლებისთვის. არცერთ ეკლესიას არ შეუძლია ამ სტანდარტების უგულებელყოფა. ბრძენი ეკლესიები აირჩევენ ლიდერებს, რომლებიც ერთგულები არიან იმ თვისებებისა, რომლებიც პავლემ ჩამოაყალიბა 1 ტიმოთეს და ტიტეს წერილებში.

ტიტეს წერილი გვასწავლია კეთილი საქმეების მნიშვნელობას, როგორც სახარების დემონსტრირების საშუალებას. თვითმარქვია ქრისტიანების ცხოვრება ზოგჯერ ზიანს აყენებს ეკლესიის მოწმობას, მორწმუნეებმა სახარება მიმზიდველი უნდა გახადონ ურწმუნოებისთვის. სწორ დოქტრინას სწორი ქცევა უნდა ახლდეს.

პავლეს დასკვნითი სიტყვები მუდმივი ერთგულების მოწოდებაა. სტუდენტებო, მსახურების გაგრძელებისას, გამოწვევებით სავსე ცხოვრების წინაშე აღმოჩნდებით. პავლეს მსგავსად, შეიძლება თანამოძმე მსახურებმა მიგატოვონ. ტიმოთესა და ტიტეს მსგავსად, შეიძლება ცრუ მასწავლებლებს წააწყდეთ და, ისევე როგორც ყველა დროის მორწმუნეები, თქვენც შეგხვდებათ განსაცდელი (ცდუნება) და წინააღმდეგობა. პავლეს დასკვნითი სიტყვები შეგახსენებთ, რომ საზღაური ამად ღირს. არ დანებდეთ; გვირგვინი გელოდებათ.

დასკვნა

უილიამ ბორდენი დაიბადა შეძლებულ ოჯახში 1887 წელს. ბორდენი სწავლობდა იელის უნივერსიტეტში და მზადებოდა ბიზნესმენის კარიერისთვის, მაგრამ ღმერთმა მას მოუწოდა მისიონერად, ჩრდილოეთ ჩინეთის მუსლიმებთან. ჩინეთში მიმავალ გზაზე, ეგვიპტეში არაბული ენის შესწავლის დროს, ბორდენს მენინგიტი გაუჩნდა და გარდაიცვალა 25 წლის ასაკში. მას არასოდეს უნახავს ჩინეთი.

მისი გარდაცვალების შემდეგ უილიამის ბიბლია გადაეცა მის მშობლებს. ბიბლიაში მათ იპოვნეს იმ დღის ჩანაწერი, როდესაც ის დათანხმდა ღვთის მოწოდებას ჩინეთში. ბორდენს ეწერა შემდეგი სიტყვა: "დაუზოგავი". მას გადაწყვეტილი ჰქონდა, მთლიანად მიეძღვნა თავი ღვთის მოწოდებისთვის. როდესაც მისი ოჯახი ეწინააღმდეგებოდა მის მოწოდებას და უილიამს აიძულებდა

[328] იუდა 1:3.

ოჯახის ბიზნესში ჩართვას, მან დაწერა "არავითარი უკან დახევა". ბორდენს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი გაეგრძელებინა სვლა უკან დახევის გარეშე. გარდაცვალებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე, ბორდენმა დაამატა უკანასკნელი ჩანაწერი: ”არ ვნანობ”. ბორდენს გაბედულად შეეძლო გაესწორებინა თვალი მომავლისთვის და დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ის ღვთის მოწოდებას ემორჩილებოდა.

უილიამ ბორდენს კარგად ესმოდა პავლეს საბოლოო მოწმობის სიტყვები. იმ ადამიანს, ვინც თავდაუზოგავად უძღვნის თავს და უკან დახევის გარეშე მიჰყვება ღმერთს, სიმართლის გვირგვინი ელოდება. იმ დღეს, პავლესთან და უილიამ ბორდენთან ერთად ვიტყვით: ”არ ვნანობ”. ეს ყოველი მორწმუნის ღირსეული მიზანია.

გაკვეთილის დავალება

წარმოაჩინეთ თქვენ მიერ ამ გაკვეთილის აღქმა (გაგება) შემდეგი დავალებების დახმარებით:

1) შეასრულეთ ორივე ქვემოთ მოცემული დავალება:

a. მოამზადეთ ეკლესიის ლიდერების თვისებების ჩამონათვალი თქვენს გარემოში. თქვენ უნდა გამოიყენოთ 1 ტიმოთესა და ტიტეს ბიბლიური სტანდარტები იმ კულტურულ გარემოში, რომელშიც მსახურობთ.

b. 2 ტიმოთეს წაკითხვის შემდეგ დაწერეთ ერთგვერდინია „გამოსამშვიდობებელი წერილი." სიკვდილის წინაშე რომ დამდგარიყავით, რა დამოწმებას დატოვებდი? როდესაც უფრო მეტად გაიაზრებთ თქვენს მემკვიდრეობას მათთვის, ვინც თქვენ მოგყვებათ.

2) გაიარეთ ტესტი ამ გაკვეთილის მასალაზე დაყრდნობით. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმინდა წერილიდან.

გავიღრმავოთ ცოდნა

მეტი ინფორმაციის მისაღებადპასტორული წერილები, იხილეთ შემდეგი რესურსები.

<u>ბეჭდური წყაროები</u>

გლენ გოულდი. *შუქურას ბიბლიის კომენტარი: I და II ტიმოთეს წერილები, ტიტეს წერილები.* Beacon Hill Press, 1965.

როი ნიკოლსონი. *ვესლეიანური ბიბლიური კომენტარი: პასტორული წერილები.* Eerdmans, 1965.

თომას ოდენი. *მსახურება სიტყვისა და ზიარების საშუალებით.* Crossroad, 1989.

ჯონ სკოტი. *2 ტიმოთეს წერილის გზავნილი.* Intervarsity Press, 1973.

<u>ელექტრონული (ინტერნეტ) წყაროები</u>

ჯონ ვესლი. *ვესლის ახსნა-განმარტებები ახალი აღთქმის შესახებ.* http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

გაკვეთილი 9 ტესტის საკითხები

1. რა არის პასტორალური წერილების სავარაუდო თარიღი?

2. ჩამოაყალიბეთ ერთი ხერხი, რომლითაც 2 ტიმოთესა და ტიტეს შინაარსი წარმოაჩენს პავლეს, როგორც მათ ავტორს.

3. რა მიზანს ემსახურებოდა პავლეს მიერ 1 ტიმოთეს წერილის დაწერა?

4. რა მხრივ აღმჩნდა პავლეს დამოწმება გამამხნევებელი ტიმოთესთვის, როდესაც

ცრუ მასწავლებლების პრობლემას წააწყდა?

5. დაასახელეთ და განსაზღვრეთ ადრეული ეკლესიის ორი (თანამდებობა) ფუნქცია-მოვალეობა.

6. როგორი იყო ტიტეს ურთიერთობა პავლესთან?

7. რა იყო პავლეს მიერ ტიტესათვის ეპისტოლეს მიწერის მიზანი?

8. კეთილი საქმეების რომელ ორ მოტივაციას აძლევს პავლე ტიტეს?

9. როგორ შეესაბამება მარკოზ-იოანეს გამოცდილება პავლეს მიერ ერთგულების სწავლებას 2 ტიმოთეს წერილში?

10. ჩამოთვალეთ ოთხი საშუალება, რომლითაც პასტორული წერილები მიმართავენ დღევანდელ ეკლესიას.

გაკვეთილი 10
ებრაელთა და იაკობის
ზოგადი ეპისტოლეები ნაწილი 1

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

(1) იცოდეს ებრაელთა და იაკობის წერილების სავარაუდო თარიღი და ისტორიული გარემო.
(2) გამოკვეთოს ძირითადი თემებიდა მიზნები of ებრაელთა და იაკობი.
(3) გაითვალისწინოს ბიბლიური გაფრთხილებები განდგომილების წინააღმდეგ.
(4) აფასებდეს ჩვენს პრივილეგიებსა და პასუხისმგებლობებს, რაც მოგვეცა ახალი აღთქმის თანახმად.
(5) ესმოდეს რწმენასა და საქმეებს შორის კავშირი ქრისტიანულ ცხოვრებაში.
(6) გამოიყენოს ებრაელთა და იაკობის წერილების პრაქტიკული პრინციპები ქრისტიანული ცხოვრებისათვის.
(7) დაუკავშიროს ამ წიგნების გზავნილი დღევანდელი მსოფლიოს საჭიროებებს.

გაკვეთილი

წაიკითხეთ: ებრაელთა და იაკობის წერილები
დაიზეპირეთ: ებრაელთა 4:14-16 და იაკობის 2:17-18

ახალი აღთქმის წიგნებს, ებრაელთა წერილიდან იუდას ჩათვლით, ზოგად (საყოველთაო) ეპისტოლეებს უწოდებენ.[329] პავლეს წერილების უმეტესობისგან განსხვავებით, ეს წერილები მიმართავს არა კონკრეტულ, სპეციფიკურ აუდიტორიას (მსმენელებს) არამედ საყოველთაოა, ან ეხება მათ, ვისზეც ძალიან ცოტა რამ თუ გვსმენია.

ეს წერილები მოიცავს ფართო სპექტრს, გრძელი "ებრაელების"წერილიდან, მოციქულ იოანეს მოკლე წერილამდე გაიუსის მიმართ. ზოგადი ეპისტოლეები უამრავ საკითხს ეხება, მაგრამ ყველა ამ წიგნში ხაზგასმულია პრაქტიკული ქრისტიანული ცხოვრება. ეს წიგნები გვასწავლის, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ ქრისტიანულად არაქრისტიანულ სამყაროში. პირველი საუკუნის ქრისტიანებს მსგავსი პრობლემები ექმნებოდათ, რასაც დღეს ვაწყდებით: ცრუ მოძღვრება, ცდუნება და ურწმუნოების წინააღმდეგობა. ეს წერილები თითოეულ ამ საკითხს ეხება. მიუხედავად იმისა, რომ ეს წერილები მცირე ზომისაა, ისინი მნიშვნელოვანია იმ მორწმუნეებისთვის, რომლებიც ჩვენი რწმენის გამოწვევებს აწყდებიან.

[329] ამ წერილებს ზოგჯერ "კათოლიკე ეპისტოლეებს" უწოდებენ. ამ კონტექსტში, "კათოლიკე" არის სიტყვა "საყოველთაოს" სინონიმი; ის არ ეხება რომის კათოლიკურ ეკლესიას. ეს იგივეა, რაც მოციქულთა რწმენის სიმბოლოში: ”ჩვენ გვწამს ერთი წმინდა კათოლიკე ეკლესია, წმინდანთა ზიარება...”

წერილი ებრაელთა მიმართ: უკეთესი გზა

ავტორი

ებრაელთა წერილში არ არის მითითებული მისი ავტორი. ხშირად პავლე მიიჩნევა მის ავტორად.

- პავლეს ავტორობის სასარგებლოდ მეტყველი არგუმენტები მოიცავს:
  - ქრისტეს პიროვნებასა და საქმეების ხაზგასმა, რაც გაკეთებულია ებრაელთა წერილში, ხშირად გვხვდება პავლეს წერილებში.
  - ავტორი ასოცირდება ტიმოთესთან.[330]
  - ბოლო თავში ჩაწერილი კურთხევა პავლესას ჰგავს.[331]

- პავლეს ავტორობის საწინააღმდეგო არგუმენტები მოიცავს სტილის რამდენიმე განსხვავებას ებრაელთა წერილსა და სხვა წერილებს შორის:
  - ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში არცერთხელ არ არის გამოყენებული ფრაზა "ქრისტე იესო", რომელიც ორმოცდაათჯერ გვხვდება პავლეს ეპისტოლეებში.
  - პავლეს სხვა წერილებისგან განსხვავებით, ებრაელები არც მისალმებით იწყება და არც მოკითხვით მთავრდება.

ეკლესიის ისტორიის განმავლობაში ამ წერილის სხვა მრავალი სავარაუდო ავტორი დასახელდა. შემოთავაზებული ავტორების უმეტესობა პავლეს თამაშრომლები არიან, მაგალითად, ბარნაბა, ლუკა ან აპოლოსი. სავარაუდოდ ამით აიხსნება პავლეს სტილთან მსგავსება.საბოლოო ჯამში, ავტორი უცნობია.

მიზანი

ებრაელთა წიგნში გაერთიანებულია წერილის ელემენტები (პირადი მოკითხვები წერილის ბოლოს) ქადაგების მახასიათებლებთან (ძველი აღთქმის ტექსტების ექსპოზიციასთან). ავტორი თავის წერილს მოიხსენიებს როგორც „შეგონების სიტყვას,”[332] საქმეების 13:15-ში გამოყენებული ფრაზა ქადაგების ასაღწერად. ებრაელთა საუკეთესო აღწერაა „ქადაგება“, ქადაგება წერილის სახით.

ამ ეპისტოლეს პირველი ადრესატები ებრაელი ქრისტიანები არიან, რომლებიც ცდუნების წინაშე აღმოჩნდნენ, რომ ქრისტეს რწმენიდან გადასულიყვნენ კვლავ თავიანთ უწინდელ მრწამსზე. მათი ებრაული წარმოშობა ჩანს მათ ძველი აღთქმისეული მსხვერპლშეწირვისა და რიტუალების ცოდნაში.

[330] ებრ. 13:23.
[331] ებრ. 13:18-25.
[332] ებრ. 13:22.

ამ ქრისტიანებმა ერთგულებით გადაიტანეს დევნა, მაგრამ საფრთხე ემუქრებათ, რომ „დაძაბუნდნენ და სულით დაეცნენ."[333] ებრაელების ავტორი წერს, რათა გააფრთხილო ეს მორწმუნეები რომ თავი დაიცვან განდგომისგან და მოუწოდებს მათ ერთგულებისკენ. ის მრავალჯერ ახსენებს მათ, რომ იესოს პიროვნება და საქმეები ძველი აღთქმის მღვდლებისა და მსხვერპლშეწირვის სისტემაზე მაღლა დგას.

თარიღი

ებრაელთა წერილი, სავარაუდოდ, ახ. წ. 70 წლამდე დაიწერა. წერილში საუბარია ებრაელთა მსხვერპლშეწირვის სისტემაზე, როგორც დღევანდელ რეალობაზე.[334] ეს გულისხმობს იმას, რომ წერილი, ახ. წ. 70 წელს, რომაელების მიერ ტაძრის დანგრევამდე დაიწერა.

ძველი აღთქმა ებრაელთა წერილში

- *❓ რა კავშირია ძველ აღთქმასა და ახალ აღთქმას შორის?*

სანამ ებრაელების შინაარსს დავაკვირდებით, მნიშვნელოვანია ვუპასუხოთ წიგნთან დაკავშირებულ ზოგად გაუგებრობას. ბევრმა მკითხველმა აღიქვა ებრაელების წერილი, როგორც თავდასხმა ძველ აღთქმაზე. იმის გამო, რომ ებრაელთა წერილი გვასწავლის, რომ ახალი აღთქმა „უკეთესია", ზოგი ფიქრობს, რომ ძველმა აღთქმამ ვერ მიაღწია თავის მიზანს (ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება).

თუმცა, ებრაელთა წერილი ღრმა პატივისცემას ასახავს ძველი აღთქმისადმი.

- ებრაელთა მე-11თავის გმირები, ძველი აღთქმის პერსონაჟები არიან.
- ცოდნა, რომელსაც ებრაელების წერილი გვაძლევს, ემყარება ძველი აღთქმის ტექსტებს.[335] მაგალითად, ებრაელების 1-ლი თავი თოთხმეტი მუხლისგან შედგება. მათგან ცხრა მუხლი პირდაპირ ციტირებულია ძველი აღთქმიდან, მათ შორის: მე–2 ფსალმუნი; 2 სამ. (2მეფ.) 7:14; რჯ. 32:43; ფს. 103:4; ფს. 44:6, 7; ეს. 61:1,3; ფს. 101:25-27; და ფს. 109:1.

ებრაელთა წერილი არ გვასწავლის, თითქოს ღმერთი იძულებული გახდა შეეცვალა თავისი გეგმა ძველი აღთქმის "ჩავარდნის" გამო. პირიქით, ქრისტეს რწმენის მეშვეობით ხსნა „წინასწარ იყო განწესებული წუთისოფლის შექმნამდე."[336] ძველ აღთქმაშიც კი ხსნა ღმერთის მადლით ენიჭებოდა რწმენის მეშვეობით და არა გარეგანი რიტუალებით. ეს ჩანს ებრაელთა მე-11 თავში, სადაც ძველი აღთქმის ეს თითოეული გმირი "რწმენით" აამებდა ღმერთს.

აშკარა უწყვეტობა არსებობს ძველ აღთქმასა და ახალ აღთქმას შორის. ქრისტე არის ძველი აღთქმის აღთქმების (ღვთის დაპირებების) და რჯულის აღსრულება. ძველი აღთქმის პრობლემა ისრაელის

---

[333] ებრ. 10:32-34; 12:3.
[334] ებრ. 8:3-5; 9:7-8; 10:1-3.
[335] თქვენთვის სასარგებლო იქნება ებრაელთა წიგნის წაკითხვა სასწავლო ბიბლიაში, სადაც მოცემულია ძველი აღთქმის მუხლები, რომლებიც ციტირებულია ებრაელთა წიგნში.
[336] 1 პეტ. 1:20.

მარცხი იყო და არა ღვთის განზრახვის მარცხი. ისრაელმა მთელი გულით ვერ შეასრულა აღთქმა.[337] მან რწმენაზე დაფუძნებული მსხვერპლშეწირვის სისტემა ცარიელ რიტუალებად აქცია. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებიც და იესოც გმობდნენ ისრაელის მიერ ღვთის განზრახვის დამახინჯებას.

სამყაროს დაარსებიდან ძველი აღთქმა მიუთითებდა ქრისტეს მოსვლაზე. ძველი აღთქმა არასოდეს გულისხმობდა თავის თავში სისრულეს; ის მიუთითებდა მომავალში დასრულებაზე. ეს სისრულე ჩანს იესო ქრისტეს პიროვნებაში და მის საქმეებში. ახალი აღთქმა "უკეთესია", რადგან მასში ხდება არასრული ძველი აღთქმის დანაპირების აღსრულება.

შინაარსი

ებრაელთა წიგნი ორ პარალელურ თემას მოჰყვება. ერთი თემა (უკეთესი გზა) ადარებს ქრისტეში ცხოვრების პრივილეგიებს ძველი აღთქმის პერიოდში არსებულ ნაკლებ პრივილეგიებს.

მეორე თემა (გაფრთხილდით), იკვეთება ხუთ „გაფრთხილებაში“ მათ მიმართ, ვინც ცდუნების წინაშეა უარი თქვას თავის რწმენაზე და დაუბრუნდეს ძველ ცხოვრებას. გაფრთხილების თითოეულ ნაწილში, ებრაელთა წერილი აფრთხილებს, შემდეგ კი ამხნევებენ მკითხველს.

უკეთესი გზა

მთელი რიგი შედარებებით, ებრაელთა წერილი გვაუწყებს რომ:

- ქრისტე აღემატება ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებს (1:1-3)
- ქრისტე აღემატება ანგელოზებს, რადგან ის არის ღვთის ძე (1:4-14)
- ქრისტე აღემატება ანგელოზებს, რადგან ის არის კაცის ძე, რომელსაც დაექვემდებარა სამყარო (2:4-18)
- ქრისტე აღემატება მოსეს, ღვთის ერთგულ მსახურს და ისრაელის ლიდერს (3:1-6)
- ქრისტე აღემატება აარონსა და მღვდელმთავრებს (4:14-7:28)
- ქრისტემ დაგვიდო უმჯობესი აღთქმა (8:1-13)
- ქრისტემ უმაღლესი მსხვერპლი გაიღო (9:1-18)

ებრაელთა წერილი ასახავს რიგ კონტრასტებს ძველი აღთქმის სასიკეთო დაპირებებსა და მათ უკეთეს შესრულებას შორის, რაც ქრისტეს მეშვეობით მოგვეცა. ებრაელი ქრისტიანებისთვის ძველი აღთქმის დაბრუნება სისულელეა! მას შემდეგ, რაც "იგემეს ზეციური ნიჭი და წმიდა სულის ზიარნი გახდნენ", ებრაელი ქრისტიანები "კვლავ ჯვარს აცვამენ ღმერთის ძეს ", თუ ისევ ძველ ფორმას დაუბრუნდებიან.[338]

---

[337] ებრ. 8:8.
[338] ებრ. 6:4-6.

➡ გაფრთხილდით!

❓ რა არის განდგომილობა? შესაძლებელია ჭეშმარიტად მოქცეულმა ადამიანმა მიატოვოს რწმენა?

ქრისტეს მეშვეობით უკეთესი გზის უზრუნველყოფასთან ერთად , ებრაელთა წერილი აძლევს გაფრთხილებებს მათ, ვინც რწმენის მიტოვების ცდუნების წინაშეა. გაზრდილი პრივილეგიები იწვევს, პასუხისმგებლობების ზრდას. ამ პასუხისმგებლობის ჭრილში ებრაელთა წერილში მოცემულიახუთი სერიოზული გაფრთხილება იმ მორწმუნეთათვის, ვინც იგემა ახალი აღთქმის სიკეთეები და ახლა აღმოჩნდნენ ძველში დაბრუნების ცდუნების წინაშე.

თითოეულ გაფრთხილებას თან ახლავს ერთგულებისკენ მოწოდება. მიუხედავად იმისა, რომ ებრაელების წერილი გვასწავლის, რომ განდგომა შესაძლებელია, ეს არასოდეს მიანიშნებს იმაზე, რომ განდგომა გარდაუვალია! ღვთის გეგმა ყველა მორწმუნეზე არის ერთგული ცხოვრება. ებრაელები გვიჩვენებს, რომ ყველა ქრისტიანისთვის გამარჯვებული ცხოვრება შესაძლებელია.

- გაფრთხილება 1 - ებრაელთა 2:1-18[339]
  - ჩვენ გვაფრთხილებენ მოსმენილი სიტყვისგან არ გადავუხვიოთ. (2:1)
  - გაფრთხილება სერიოზულია იმის გამო, რომ ჩვენ მივიღეთ დიდი პრივილეგიები. (2:2-3)
  - ჩვენ გვამხნევებს იესოს მაგალითი, რომელმაც ცდუნებას გაუძლო და ძალას ანიჭებს ყველას, ვინც ცდუნების წინაშეა. (2:18)

- გაფრთხილება 2 - ებრაელთა 3:12-4:16
  - ჩვენ გვაფრთხილებენ, რომ "გული არ გაგვიქვავდეს ცოდვის საცდურით". (3:12-13)
  - გაფრთხილება სერიოზულია იმის გამო, რომ შესაძლებელია "განუდგე ცოცხალ ღმერთს". ჩვენ ქრისტეს ვეზიარებით,"თუკი რწმენის საწყისს მტკიცედ დავიცავთ ბოლომდე". (3:12-14)
  - ჩვენ გვამხნევებენ აღთქმით, რომ იესო არის ჩვენი მღვდელმთავარი, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია „ვპოვოთ მადლი დროული შემწეობისათვის“. (4:14-16)

- გაფრთხილება 3 - ებრაელთა 5:11-6:12
  - ჩვენ გვაფრთხილებენ „მკვდარ საქმეებს“არ დავუბრუნდეთ. (5:11-6:6)
  - გაფრთხილება სერიოზულია იმის გამო, რომ განდგომილობის გამოსწორების შეუძლებლობის შესახებ. (6:4-6)
  - ჩვენ გვამხნევებენ გვახსოვდეს, რომ ყველა ვინც ერთგულია, „იმკვიდრებს აღთქმებს.” (6:9-12)

- გაფრთხილება 4 - ებრაელთა 10:26-39

[339] ეს მონახაზი ადაპტირებულია ვოლტერ ელველის და რობერტ იარბროუს წიგნიდან - ახალი აღთქმის პირისპირ, Baker Academic, 2005.

- ჩვენ გვაფრთხილებენ, რომ ”თუ კვლავ ნებსით ვცოდავთ მას მერე, რაც ჭეშმარიტების შემეცნება მივიღეთ” მხოლოდ განკითხვა არსებობს. (10:26-27)
- გაფრთხილება სერიოზულია ახალი აღთქმის პრივილეგიების გამო. თუ ისინი, ვინც მოსეს რჯულს უგულებელყოფდნენ, შეუწყალებლად ისჯებოდნენ, ''რაოდენ უფრო მძიმე სასჯელს'' დავიმსახურებთ, თუ 'ფეხქვეშ გავთელავთ ღვთის ძეს'. ეს გაფრთხილება არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი, რადგან „საშინელი რამ არის ცოცხალი ღმერთის ხელში ჩავარდნა“. (10:28-31)
- ჩვენ გვამხნევებენ, რადგან ჩვენ ვართ "მორწმუნენი სულის სახსნელად". უკან მიქცევა შესაძლებელია, მაგრამ მოთმინება და შეუპოვრობაც შესაძლებელია. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ ღვთის ძალაში, რომელიც მორწმუნეს განამტკიცებს. ერთგულების შესაძლებლობა ჩანს ე.წ. "რწმენის დიდების დარბაზში", რომელიც წარმოდგენილია ებრაელთა 11 თავში. (10:32-39)

- გაფრთხილება 5- ებრაელთა 12:25-29
  - გვაფრთხილებენ, რომ არ უარვყოთ ზეციდან მაუწყებლის სიტყვა. (12:25)
  - გაფრთხილება სერიოზულია ახალი აღთქმის პრივილეგიების გამო. (12:25-27)
  - ჩვენ გვამხნევებენ რადგან “ვემსახურებით ღმერთს სათნოდ” მისი მადლის გამო. (12:28-29)

განდგომა

1) რა არის განდგომა (განდგომილება)?

განდგომილება განისაზღვრება, როგორც ”ადამიანის მიერ აღიარებული რწმენის განზრახ უარყოფა და მიტოვება”.[340] ეს განმარტება ხაზს უსვამს განდგომილობის სამ ელემენტს:

a) ის არის წინასწარ განზრახული. ეჭვი სწავლებასთან დაკავშირებით, გაურკვევლობა ადამიანის გადარჩენასთან დაკავშირებით, ან ცოდვაში ჩავარდნაც კი, არ ნიშნავს განდგომას. განდგომილება არის ქრისტიანული რწმენის განზრახ უარყოფა.

b) ეს არის „უარყოფა და რწმენის მიტოვება“. ეს ცოდვაზე მეტია; ეს არის ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტების უარყოფა. ებრაელებისათვის ეს იესოს გამომსყიდველი საქმის უარყოფას და ქრისტიანობამდელ რიტუალებში დაბრუნებას ნიშნავდა.[341] იუდაიზერებმა ქრისტეს გამომსყიდველ საქმეს მოთხოვნები *დაამატეს*; განდგომილებმა მთლიანად *უარყვეს* ქრისტეს გამომსყიდველი საქმე.

c) ეს არის იმ რწმენის უარყოფა, რომელიც „ადამიანმა აღიარა“. განდგომილება განსხვავებულია იმ ადამიანის ურწმუნოებისგან, რომელსაც არასოდეს შეუცვნია ქრისტე. ეს

[340] ლ.გ. უიტლოკი, "განდგომა" ღვთისმეტყველების ევანგელურ ლექსიკონში (რედ. ვოლტერ ელველი). Baker Books, 1984.
[341] ებრ. 6:6.

არის რწმენის უარყოფა იმ ადამიანთა მიერ, ვიც „იგემეს ღვთის სიტყვის სიკეთე და მომავალი საუკუნის ძალები."[342]

2) რა განსხვავებაა უარყოფასა და განდგომას შორის?

განდგომილება ებრაელთა წერილში არის სარწმუნოების უფრო მუდმივი და შეგნებული უარყოფა, ვიდრე უკან დახევა და უარყოფაა. პეტრემ უარყო იესო, მაგრამ შემდეგ მოინანია თავისი ცოდვა. პეტრეს გამბედაობა არ ეყო; თორემ მას არ უარყვია ქრისტიანული რწმენა. მისი უკან დახევა შიშის შედეგი იყო და არა ქრისტეს უარყოფისა.

უკან დახევისას, ცოდვაში ჩავარდნილმაც კი, მაინც შეიძლება მიიღოს ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტება. ამის საპირისპიროდ, განდგომა გულისხმობს ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტების უარყოფას.

ებრაელთა წერილის ზოგიერთი გაფრთხილება უარყოფას, ანუ უკან დახევას და დაუდევრობას ეხება. ამასთან, როგორც ჩანს, ებრაელთა 6: 4—6 – ის არსი ქრისტიანული რწმენის სრულ უარყოფას წარმოადგენს. როდესაც განდგომილი უარყოფს იესოს გადარჩენის მომნიჭებელ სიკვდილს, ის იჭრის გზას ამ ყველაფერის აღდგენისკენ. ამასთან, უარმყოფელის აღდგენა შესაძლებელია იესოს გამომსყიდველი სიკვდილით, მონანიების გზით.

3) შესაძლებელია თუ არა ჭეშმარიტი ქრისტიანი განუდგეს რწმენას?

ზოგი ევანგელისტი ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანის განდგომილება შეუძლებელია. ამასთან, ებრაელთა წერილის გაფრთხილებებს აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავტორი რეალურ საშიშროებას ეხება. ებრაელთა 6:4-6 გულისხმობს, რომ შესაძლებელია მუდმივი და სრული განდგომა.

ებრაელთა წერილი დღევანდელ ეკლესიაში

ებრაელთა წერილი გვაფრთხილებს <u>განდგომის რეალური საშიშროების</u> წინააღმდეგ. ზოგადი ეპისტოლეების საერთო თემაა- ეკლესიის საშიშროებები. ხშირად გაფრთხილება ხდება ერესის წინააღმდეგ, რომელიც ამახინჯებს ქრისტიანულ დოქტრინას. ებრაელებში გაფრთხილება ეწინააღმდეგება ქრისტიანული რწმენის სრულ უარყოფას. ეს საფრთხე დღეს ისეთივე რეალურია, როგორც პირველ საუკუნეში.

[342] ებრ. 6:5.

დიახ, ებრაელები გვასწავლის, რომ რწმენის მიტოვება შესაძლებელია. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ებრაელები გვასწავლის ერთგულების შესაძლებლობასაც. ჩვენ გვაქვს, ის სიკეთე, რომ ქრისტეს შუამდგომლობს ჩვენთვის. ჩვენი რწმენის აღსარების მტკიცედ მიყოლით, ერთმანეთის მიმართ ყურადღებით მოკიდებით, სიყვარულისა და კეთილი საქმეებისთვის წახალისებით; ჩვენი შესაკრებელის მიტოვებაზე უარის თქმით, ჩვენ შეგვიძლია ერთგულები დავრჩეთ.[343] ებრაელთა კულმინაცია არის მე -11 თავი, სადაც ნახსენები არიან ისინი, ვინც ერთგული იყო რწმენაში და ახლა მოწმეების ღრუბელს წარმოადგენს ყველასთვის, ვინც ვცდილობთ „მოთმინებით გავირბინოთ ჩვენს წინ მდებარე სარბიელ."[344]

ჩვენ ვიწრო გზის პილიგრიმები ვართ ვინც ჩვენს წინ გაიარა, რიგში დგება
ამხნევებენ ერთგულებს, ამხნევებენ დაღლილებს.
მათი ცხოვრება ღმერთის განმამტკიცებელი მადლის მამოძრავებელი მოწმობაა.

გარშემორტყმულნი მოწმეების ისეთი დიდი ღრუბლით,
მოდით, გავირბინოთ ასპარეზი არამარტო ჯილდოს მოსაპოვებლად
არამედ როგორც ჩვენი წინამორბედნი.მოდით, დავტოვოთ ჩვენს უკან ერთგულების
მემკვიდრეობა, რომელიც ღვთივსათნო ცხოვრებებით გადადის

ყველას, ვინც უკან მოგვყვება, ერთგულება ვაჩვენოთ
ჩვენი ერთგულების ცეცხლმა გაუნათოს მათ გზა
დაე, ნაკვალევი დავტოვოთ, რომელიც მიიყვანს მათ რწმენამდე
და ჩვენი განვლილი ცხოვრება შთააგონებდეთ მათ მორჩილებას.
ყველას, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა, ერთგულება დავანახოთ.

ჯონ მორის სიმღერა

[343] ებრ. 10:23-25.
[344] ებრ. 12:1.

იაკობის წერილი: რწმენა საქმეებითურთ

ავტორი და თარიღი

ამ წერილის ავტორი იყო „იაკობი, ღვთისა და უფალ იესო ქრისტეს მონა."[345] იაკობი, იესოს ნახევარძმა, სკეპტიკურად იყო განწყობილი იესოს სიცოცხლეში, მაგრამ დარწმუნდა მასში, მისი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ.[346] ის გარდაიცვალა, როგორც რწმენისთვის წამებული ახ. წ. 62წელს.

ეს წერილი სავარაუდოდ 40-იანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ, რაც იაკობი, გახდა იერუსალიმის საბჭოს ლიდერი, სადაც განიხილებოდა რწმენისა და საქმეების საკითხი. სავარაუდოდ, წერილი ახ. წ. 49 წლის შემდეგ რომ დაეწერა, იაკობი ახსენებდა ამ საბჭოს.[347]

აუდიტორია (მსმენელები) და მიზანი

იაკობი ამ წერილით მიმართავს „განთესილობაში მყოფ თორმეტ ტომს"[348]ეს ტერმინი (დიასპორა) პირველად ეხებოდა ებრაელების გაფანტვას იერუსალიმის დაცემის შემდეგ ძვ. წ. 586 წელს. იაკობმა ეს ტერმინი გამოიყენა იუდეველი ქრისტიანებთან მიმართებით, რომლებიც იერუსალიმის გარეთ ცხოვრობდნენ. იაკობის მიერ ძველი აღთქმის ხშირი ხსენება მიანიშნებს, რომ მის აუდიტორიას ძირითადად ებრაელები წარმოადგენდნენ. როგორც ჩანს, ეს ქრისტიანები იყვნენ ღარიბები და დევნას განიცდიდნენ. ისინი აღმოჩნდნენ ცდუნების წინაშე ან კონფლიქტი ან ამქვეყნიური ცხოვრების წესი. იაკობი წერდა შესახსენებლად, რომ მათი რწმენა მათ საქმეებში უნდა ჩანდეს. მორწმუნეებმა პრაქტიკაში უნდა გაატარონ რწმენა.

შინაარსი

- იაკობი და ძველი აღთქმა

წინასწარმეტყველი ამოსის მსგავსად, იაკობიც გვიჩვენებს, რომ ჩვენმა სარწმუნოებამ გავლენა უნდა მოახდინოს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე.ამოსიც და იაკობიც ირწმუნებიან, რომ ჭეშმარიტი რელიგია თვალსაჩინო იქნება სხვებთან ურთიერთობისას. 108 მუხლიან წერილში იაკობი ორმოცდაათზე მეტ მითითებას იძლევა. ეს არის პრაქტიკული წერილი.

◆ წაიკითხეთ იაკობი 5:1-5 და ამოსის 4:1-2 და 5:21-24. როგორ მიესადაგება ერთმანეთს ამ მუხლების გზავნილები?

როგორც იგავებში, იაკობი იყენებს მოკლე გამონათქვამებს, რომლებიც აჯამებს მნიშვნელოვან ჭეშმარიტებებს. იაკობის მრავალი თემა იგავების პარალელურია: ენა, სიმდიდრე, რისხვა და სიბრძნე.

---

[345] იაკობის 1:1.
[346] მათ. 13:55; ინ. 7:3-5; 1 კორ. 15:7.
[347] საქმ. 15.
[348] იაკობის 1:1.

ძველი აღთქმის რჯულის მსგავსად, იაკობი გვიჩვენებს, თუ როგორ ასახავს წმინდა ადამიანი წმინდა ღმერთის ხასიათს. ლევიანების 19-ის „სიწმინდის კოდექსი“ გვიჩვენებს, როგორ ცხოვრობენ წმიდა ხალხი წმინდა ღმერთის მორჩილებით. ანალოგიურად, იაკობი გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა იცხოვრონ ახალი აღთქმის მორწმუნეებმა ღვთის მორჩილებით. ორივე გვაჩვენებს, რომ რწმენა, რომელსაც ვაღიარებთ, ჩვენს ცხოვრებაში უნდა აისახოს.

სიწმიდის კოდი და იაკობი

ლევიტელთა 19	იაკობი
19:13 “მომსახურე კაცის გასამრჯელოს დილამდე ნუ დაიტოვებ.”	**5:4** “ღაღადებს მუშაკთა საფასური, რომელიც დაუკავეთ თქვენი ყანების მომკელთ, და ცაბაოთ უფლის ყურამდე აღწევს მომკელთა ღაღადი.”
19:15 “გლახაკს ზედმეტად ნუ მოუფონებ და ძლიერს ნუ მიეპირფერები”	**2:9** “მაგრამ თუ პირფერობთ, ცოდვას სჩადიხართ”
19: 18 “შური არ იძიო და ბოღმას ნუ ჩაიდებ”	**5:9** “ნუ ჩივით ერთმანეთზე, ძმებო”
19:18b “გიყვარდეს მოყვასი შენი, როგორც თავი შენი.”	**2:8** “შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი”

რწმენა და საქმეები

მარტინ ლუთერმა იაკობის წერილს "ჩალის ეპისტოლე" უწოდა, რადგან მასში აქცენტები საქმეებზეა გაკეთებული. მას მიაჩნდა, რომ წერილი ეწინააღმდეგება პავლეს სწავლებას მხოლოდ რწმენით გამართლების შესახებ. ზედაპირულად, თითქოს წინააღმდეგობა იკვეთება იაკობის 2:24-სა („ხომ ხედავთ, საქმით მართლდება კაცი და არა მხოლოდ რწმენით.“) და რომაელთა 3:28-ს შორის („რადგან მიგვაჩნია, რომ რწმენით მართლდება კაცი, რჯულის საქმეთა გარეშე”). ამასთან, ეს განცხადებები ორი განსხვავებული აუდიტორიისთვის არის განკუთვნილი, რომლებიც სხვადასხვა ცდუნების წინაშე დგანან. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, მუხლებს შორის კონფლიქტი წყდება.

პავლე მიმართავს ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ ხსნა საქმეებით მოიპოვონ (რჯულის დაცვით). პავლე პასუხობს, რომ ხსნის მიღება ღვთის მადლით ხდება, რწმენის მეშვეობით.

იაკობი კი მიმართავს ხალხს, ვინც რწმენას აღიქვამს, მხოლოდ და მხოლოდ როგორც გონებრივ თანხმობას სახარების ჭეშმარიტებაზე. მათი ცხოვრება არ შეცვლილა, რადგან მათი რწმენა არ არის ჭეშმარიტი. იაკობი ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტი რწმენა ცვლის ცხოვრებას. იაკობი ეჭვქვეშ არ აყენებს

რწმენის ცენტრალურ ნაწილს, არამედ ხაზს უსვამს, რომ ჭეშმარიტი რწმენა ჩანს მოქმედებებში. იაკობი გვიჩვენებს, რომ აბრაამისა და რაჰაბის რწმენა ჩანს მათ მოქმედებებში.[349]

იაკობის გზავნილი არ ეწინააღმდეგება პავლეს გზავნილს; ეს არის პავლეს, მადლით, რწმენის მეშვეობით გადარჩენის შესახებ გზავნილის, ღირებული ანალოგი. პავლე გვიჩვენებს, რომ ჩვენ ღმერთთან გავმართლდით (ურთიერთობა გამოგვისწორდა) მხოლოდ რწმენით. იაკობი გვიჩვენებს, რომ ეს სიმართლე (გამართლება სხვა ადამიანების თვალში) ჩვენს ქმედებებში ჩნდება.

- რწმენა მოქმედებაში

რადგანაც ჩვენი მოქმედება წრმოაჩენს ჩვენს რწმენას, იაკობი მიმართავს ქრისტიანული პრაქტიკის საკითხებს. ეს არის რწმენა მოქმედებაში:

- სიმტკიცე განსაცდელებში და ცდუნებებში (1:2-18)
- სიტყვის მოსმენა და შესრულება (1:19-27)
- მიკერძოება (2: 1-13)
- ენა (3: 1-13)
- ამქვეყნიურობა (3: 14-4: 4)
- სიამაყე (4: 5-11)
- ცდუნება მდიდრებისთვის (4: 13-5: 6)
- მოთმინება ტანჯვაში (5: 7-11)
- ცოდვაში ჩავარდნებთან ურთიერთობა (5:19-20)

> რწმენა მოქმედებაში
> *"პრობლემათა პრობლემას ქრისტიანობის პრაქტიკაში გატარება წარმოადგენს."*
> - მიაწერენ ჯონ ვესლის გამონათქვამებს

ამ შეგონებით იაკობი გვაჩვენებს, რომ ჭეშმარიტი რწმენა ცვლის ჩვენს ცხოვრებას. რწმენა უფრო მეტია, ვიდრე ჭეშმარიტებაზე თანხმობა; რწმენა გარდაქმნის ჩვენს მთლიან არსებას.

იაკობის ეპისტოლე დღევანდელ ეკლესიაში

მართალია, იაკობის წერილი, სავარაუდოდ პირველი საუკუნის დევნილი ებრაელი ქრისტიანების მიმართ დაიწერა, მასში პრაქტიკულ ქრისტიანობაზე გაკეთებული აქცენტი, სიღრმისეულად საუბრობს თანამედროვე სამყაროს მიმართაც. პრაქტიკული სწავლება ენის, სიმდიდრის, რისხვასა და ეკლესიაში ურთიერთობების შესახებ, არასდროს ძველდება. იაკობის წერილი სასარგებლო წიგნია ყველა თაობისთვის.

ანტინომიზმი ცრუ სწავლებაა, თითქოს ქრისტიანები თავისუფლები არიან ეთიკური ან ზნეობრივი კანონების მორჩილებისგან. ეს დოქტრინა გულისხმობს, რომ მორწმუნეები, რომლებიც მადლით

[349] იაკობი 2:14-26.

მართლდებიან რწმენის მეშვეობით, ყოველგვარი თავშეკავებისგან თავისუფალნი არიან. ეკლესია ყველა თაობაში განიცდიდა ანტინომიზმისკენ გადახრის ცდუნებას. იაკობის წერილი გახლავთ იმის ძლიერი შეხსენება, რომ ქრისტიანის ცხოვრება მკვეთრად განსხვავდება ურწმუნოს ცხოვრებისაგან. ჩვენი საქმეების საშუალებით, სამყარო ხედავს იმ ტრანსფორმაციას (გარდაქმნას), რომელიც ქრისტეს გადამრჩენელი რწმენის შედეგად ხდება ჩვენში.

დასკვნა

როგორც ებრაელების, ასევე იაკობის ეპისტოლე, მიგვითითებს აბრაამზე, როგორც მოქმედი რწმენის ნიმუშზე. ებრაელების მე-11თავი აბრაამს ასახელებს, როგორც რწმენის ერთ-ერთ გმირს; იაკობის მე-2 თავი კი გვიჩვენებს, რომ სწორედ მისი ქმედებებით ვხედავთ აბრაამის რწმენას.

აბრაამის რწმენა ჩანს მის მორჩილებაში ღვთის მოწოდებისადმი; „რწმენით დაემორჩილა აბრაჰამი მოწოდებას, წასულიყო ქვეყანაში, მემკვიდრეობად რომ უნდა მიეღო; და ისე წავიდა, რომ არ იცოდა, სად მიდიოდა.."[350] რწმენა უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ თქმა: "მე მჯერა ღმერთის დანაპირების (აღთქმების)"; რწმენა ამბობს: "მე წავალ იქ, სადაც შენ წამიძღვები."

აბრაამის რწმენა კვლავ ჩნდება მის მორჩილებაში ღმერთის მოწოდებაზე, რომ ისააკი მსხვერპლად შეეწირა.[351] კვლავ რწმენა იმაზე მეტი იყო, ვიდრე მხოლოდ სიტყვები: "მე მჯერა ღმერთის". რწმენამ თქვა: "მე დავემორჩილები შენს ბრძანებას, მაშინაც კი, როცა არ მესმის". ეს არის ნამდვილი რწმენა.

იაკობი წერდა ადამიანებს, რომლებიც იბრალებდნენ რწმენას, მაგრამ რომელთა ცხოვრებაც ამ რწმენას არ შეუცვლია. იაკობმა მიუთითა აბრაამზე, როგორც იმის მაგალითზე, თუ რა ხდება ჭეშმარიტი რწმენის შედეგად. აბრაამის რწმენა თვალსაჩინო გახდა ღმერთის მოთხოვნისადმი მორჩილებაში, რომ ისააკი მსხვერპლად შეეწირა. იაკობი დასკვნას აკეთებს: "რწმენა მოქმედებდა მის საქმეებთან ერთად. საქმეებით კი სრული შეიქმნა რწმენა."[352]

აბრაამის მაგალითი გვიჩვენებს სწორ დამოკიდებულებას რწმენასა და საქმეს შორის. თუ ჩვენ ნამდვილად გჯერა (გვწამს), ეს გარდაქმნის იმას, თუ როგორ ვცხოვრობთ (საქმეებს). რწმენის აღიარება მკვდარია ჩვენი ცხოვრების წესის შეცვლის გარეშე; მცდელობას შევცვალოთ, ცხოვრების წესი ჭეშმარიტი რწმენისგან დამოუკიდებლად, აზრი არა აქვს. რომაელების, გალატელების, ებრაელების და იაკობის წერილები თანხმდებიან ერთზე: ჭეშმარიტი რწმენა ცვლის ცხოვრებას.

[350] ებრ. 11:8.
[351] ებრ. 11:17-19; დაბ. 22.
[352] იაკობი 2:22.

გაკვეთილის დავალება

წარმოაჩინეთ თქვენ მიერ ამ გაკვეთილის აღქმა (გაგება) შემდეგი დავალებების დახმარებით:

1) მოამზადეთ ქადაგება ან ბიბლიური გაკვეთილი ქვემოთმოყვანილი თემებიდან ერთერთზე. თქვენ შეგიძლიათ დაწეროთ 5-6 გვერდიანი ხელნაწერი, ან ჩაწეროთ ქადაგება ან ბიბლიური გაკვეთილი ეკლესიისთვის, ან მცირე ჯგუფისთვის.

   a. "რწმენის მაგალითები." გამოიყენეთ რწმენის მაგალითები ებრაელთა მე-11 თავიდან, ისევე როგორც ეკლესიის *ისტორიიდან.* მოიძიეთ მაგალითები თქვენი ქვეყნის ისტორიიდან ან კულტურული გარემოდან, რომლებიც ერთგულებას შთააგონებს თქვენი ეკლესიის მრევლს.

   b. "განდგომა." ებრაელების მსგავსად, ქადაგება უნდა შეიცავდეს განდგომილების წინააღმდეგ გაფრთხილებას და ერთგულების წახალისებას.

   c. ქადაგება ან ბიბლიური გაკვეთილი იაკობის წერილიდან ქრისტიანული ცხოვრების ერთერთ საკითხზე: ენა, კონფლიქტი, სიმდიდრე, ლოცვა და ა.შ.

2) გაიარეთ ტესტი ამ გაკვეთილის მასალაზე დაყრდნობით. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმინდა წერილიდან.

გავიღრმავოთ ცოდნა

მეტი ინფორმაციის მისაღებადებრაელთა და იაკობი, იხილეთ შემდეგი რესურსები.

ბეჭდური წყაროები

გერეთ კოკერილი. *ებრაელთა წერილი: ბიბლიის კომენტარები ვესლეიანელთა ტრადიციებში.* Wesleyan Publishing House, 1999.

გრანტ ოსბორნი. *იაკობი: ქვაკუთხედის ბიბლიური კომენტარი.* Tyndale House Publishers, 2011.

ჯორჯ ალენ თერნერი. *ახალი და ცოცხალი გზა.* Bethany Fellowship, 1975.

ჯონ ვოლტერსი. *ებრაელთა წერილი: ასბურის ბიბლიური კომენტარი.* Zondervan Publishing House, 1992.

რალფ ერლი. *შუქურას ბიბლიის კომენტარი, თავი X: ებრაელთა წერილიდან გამოცხადების ჩათვლით,* Beacon Hill Press, 1965.

ელექტრონული (ინტერნეტ) წყაროები

გერეთ კოკერილი. "ებრაელთა წერილი და თანამედროვე ქადაგება" http://client.stretchinternet.com/client/tiuadmin.portal#

ჯონ ვესლი. *ვესლის ახსნა-განმარტებები ახალი აღთქმის შესახებ.*

http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

გაკვეთილი 10 ტესტის საკითხები

1. რატომ უწოდებენ ებრაელებიდან - იუდას ჩათვლით წიგნებს "ზოგად ეპისტოლეებს"?

2. დაასახელეთ ორი არგუმენტი, პავლეს ებრაელთა წერილის ავტორობის სასარგებლოდ.

3. დაასახელეთ ორი არგუმენტი, პავლეს ებრაელთა წერილის ავტორობის საწინააღმდეგოდ.

4. დაასახლეთ ორი ასპექტი, რომლებიც წარმოაჩენს, რომ ებრაელთა წერილი დიდ პატივისცემას გამოხატავს ძველი აღთქმის მიმართ.

5. რითი არის ახალი აღთქმა უკეთესი ძველ აღთქმაზე?

6. რა განსხვავებაა უარყოფასა და განდგომას შორის?

7. როდის ირწმუნა იესოს ძმამ, იაკობმა, იესო, როგორც მესია?

8. მოკითხვიდან გამომდინარე, ვინ არის იაკობის სავარაუდო აუდიტორია (ადრესატი)?

9. ერთ აბზაცში ასახეთ ურთიერთკავშირი ორ მუსლს შორის: იაკობის 2:24 (კაცი მართლდება საქმეებით და არა მხოლოდ რწმენით) და რომაელების 3:28 (კაცი მართლდება რწმენით რჯულის საქმეების გარეშე)

10. განსაზღვრეთ ანტინომიზმი.

გაკვეთილი 11
პეტრე, იოანე, და იუდა
ზოგადი ეპისტოლეები ნაწილი 2

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

(1) იცოდეს ზოგადი ეპისტოლეების სავარაუდო თარიღი და ისტორიული გარემო.
(2) გამოკვეთოს ზოგადი ეპისტოლეების ძირითადი თემები და მიზნები.
(3) ესმოდეს ბიბლიური სწავლება დარწმუნებულობის შესახებ.
(4) გაითვალისწინოს ცრუ სწავლების საშიშროება.
(5) დაუკავშიროს ამ წიგნების გზავნილი დღევანდელი მსოფლიოს საჭიროებებს.

გაკვეთილი

წაიკითხეთ: 1 და 2 პეტრე, 1,2,3 იოანე, და იუდა
დაიზეპირეთ: 1 პეტრე 1:6-7, 1 იოანე 1:6-7; იუდა 1:24-25

ყველა თაობაში ეკლესია გამოწვევების წინაშე დგება. პირველი საუკუნის ბოლო ნახევრისთვის, დევნა გარედან და ცრუ მასწავლებლები შიგნიდან, სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენდა ეკლესიისთვის. ეს საფრთხეები ეკლესიის ისტორიის განმავლობაში გრძელდება. პეტრეს, იოანესა და იუდას წერილები გვაფრთხილებს ამ საშიშროეების შესახებ. რაც მთავარია, ისინი გვირჩევენ ერთგულებას ამ საფრთხეების წინაშე. ეს პატარა წერილები დიდ გზავნილს ატარებენ: ღმერთს, რომელმაც მოგვიხმო, შეუძლია გამარჯვება მოგვანიჭოს ყველაფერზე, რაც მასთან გვაშორებს.

პეტრეს წერილები: ერთგულება რთულ დროში

ავტორი

სიმონ პეტრე ადრეული ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლიდერი იყო. ძმის ანდრიას მიერ იესოს გაცნობის შემდეგ, პეტრე გახდა იესოს "ახლო წრის" ნაწილი. მისი თავდაპირველი სახელი იყო სიმონი ("მან მოისმინა"), მაგრამ იესომ სახელი შეუცვალა და ის გახდა პეტრე ("კლდე").

პეტრეს სულსწრაფობამ (რადგან ხშირად წინ უსწრებდა ენა) და ზედმეტმა ნდობამ მას ბევრჯერ შეუქმნა პრობლემები იესოს მიწიერი მსახურების დროს და პიკს მიაღწია, როდესაც პეტრემ უარყო იესო მისი სამსჯავროს დროს. მკვდრეთით აღდგომის შემდეგ პეტრე აღდგენილ იქნა და ადრეული ეკლესიის მთავარ ხმად იქცა. სულთმოფენობის დღეს პეტრეს მსახურებით სამი ათასი ადამიანი

მოექცა. ის მისიონერად მოგზაურობდა და ჯვარცმულ იქნა რომში, ნერონის დევნის დროს. საეკლესიო საეკლესიო გადმოცემის ჩანაწერების თანახმად, პეტრემ მოითხოვა მისი ჯვარცმა თავდაყირა, რადგან ის თავს უღირსად თვლიდა ისეთივე სიკვდილით დასჯილიყო, როგორც მაცხოვარი, რომელიც მან ერთხელ უარყო.[353]

აუდიტორია (მსმენელები) და დაწერის ადგილი

პეტრე ბაბილონიდან უთვლის მოკითხვას, რაშიც რომს გულისხმობს.[354] ბაბილონი წარმოადგენდა ღმერთის ხალხის მოწინააღმდეგე ძალას; ეკლესიის მტერი ახლა რომის იმპერია იყო.

ბაბილონის წარმოჩენის პარალელურად, პეტრემ თავისი პირველი წერილი გაუგზავნა მცირე აზიის „განთესილ რჩეულ ხიზნებს“.[355] ისევე, როგორც ისრაელი გაიფანტა გადასახლების დროს, ეკლესია რომის დევნის შედეგად გაიფანტა. ისრაელისგან განსხვავებით, ქრისტიანები უფრო მეტად ერთგულების გამო იტანჯებოდნენ, ვიდრე დაუმორჩილებლობის გამო; ისინი ქრისტეს ტანჯვის მოზიარენი იყვნენ.[356]

ამ წერილების აუდიტორია, ძირითადად, წარმართები არიან. ეს არიან მოქცეულები, რომლებიც აღარ ცხოვრობენ თავიანთი „უმეცრების დროინდელი გულისთქმებით.”[357] 2 პეტრეს წერილი ზუსტად არ განსაზღვრავს აუდიტორიას, მაგრამ ეს პეტრეს მეორე წერილია მკითხველთა იმავე ჯგუფისადმი.[358]

თარიღი

სავარაუდოდ, პეტრემ ეს წერილები დაწერა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ახ.წ. 60-იანი წლების შუა პერიოდში. წერილები, ჩვეულებრივ, თარიღდება ახალი წელთაღრიცხვით.

მიზანი

1 და 2 პეტრე ტანჯულ ქრისტიანებს ერთგულებისკენ მოუწოდებს. ისევე, როგორც ქრისტე ეტანჯა და შემდეგ ამაღლდა, ქრისტიანები ჯერ იტანჯებიან ამქვეყნად, შემდეგ კი მარადიული დიდებით ტკბებიან. ისინი ერთგულნი უნდა იყვნენ როგორც ტანჯვის (1 პეტრე), ისე ცრუ სწავლების წინაშე (2 პეტრე). პეტრე მკითხველს არწმუნებს, რომ ღმერთი დააჯილდოებს მათ, ვინც გაუძლებს.

---

[353] ევსები კესარიელი, *ეკლესიის ისტორია*, 2:25.5-8.
[354] 1 პეტ. 5:13.
[355] 1 პეტ. 1:1.
[356] 1 პეტ. 4:12-13.
[357] 1 პეტ. 1:14.
[358] 2 პეტ. 3:1.

ქრისტიანის იმედი

როგორც „მამა ღმერთის წინასწარი განჭვრეტით ამორჩეულებს “, მორწმუნეებს აქვთ აღთქმა „უხრწნელი, შეუბილწავი და უჭკნობი მემკვიდრეობისთვის, რომელიც ცაშია შენახული.”[359] მიუხედავად იმისა, რომ ამქვეყნად ტანჯვაა, ჩვენ ვართ „ღვთის ძალით დაცულნი - რწმენის მეშვეობით - ხსნისთვის, რომელიც მზადაა უკანასკნელ ჟამს გამოსაცხადებლად.”[360] ჩვენი რწმენის გამოცდის მიუხედავად, ჩვენ გვაქვს საუკუნო დიდების იმედი. ეს იმედი ტანჯული მორწმუნეებისთვის "გამოუთქმელი, დიდი სიხარულის" მომტანი იქნება.[361]

მოწოდება სიწმიდისკენ

იმის გამო, რომ ჩვენ გვაქვს მარადიული დიდების იმედი, ჩვენ მოტივირებულნი უნდა ვიყოთ, რომ ვუპასუხოთ ღვთის მოწოდებას სიწმინდისკენ. ლევიანების 19:2-ს ციტირებისას, პეტრე თავის მკითხველებს გამოწვევას უცხადებს, რომ იყვნენ ისთივე წმიდანი, როგორიც ღმერთია. ამის წარმოჩენა შესაძლებელია ჩვენი ძმების სიყვარულში,[362] სულიერი ჭეშმარიტების წყურვილში,[363] და წმიდა ცხოვრების წესში.[364]

“…დაგვხოცოთ, გვაწამოთ, დაგვგმოთ, მტვრად გვაქციოთ; თქვენი უსამართლობა არის ჩვენი უდანაშაულობის მტკიცებულება. ამიტომ, ღმერთი საშუალებას გვაძლევს ესოდენ ვიტანჯოთ.

… რაც უფრო ხშირად გავიკაფებით თქვენ მიერ, მით უფრო იზრდება ჩვენი რაოდენობა; ქრისტიანთა სისხლი ეკლესიის თესლია.”

ტერტულიანე ახ.წ. 197 წ.

დევნილი მორწმუნეებისადმი გაგზავნილ წერილში გასაკვირია პეტრეს სწავლებაზე გაკეთებული აქცენტი, ხელისუფლებისადმი მორჩილების შესახებ. იცოდა რა, რომ ტანჯვას შეეძლო ქრისტიანებისთვის მიწიერი ძალაუფლების უარყოფის ცდუნებისკენ ებიძგებინა, პეტრე წერს, რომ წმიდა ხალხი უნდა „დაემორჩილოს ყოველ ადამიანურ მმართველობას *უფლის გულისთვის.*” ეს არის მორჩილება ქრისტეს გულისთვის, რომელიც დაემორჩილა მიწიერ მმართველებს. მორწმუნეები უნდა ემორჩილებოდნენ როგორც პოლიტიკურ ძალაუფლებას, ისევე როგორც შესაბამის ძალაუფლებას ოჯახში.[365] თუ ვიტანჯებით, უნდა ვიტანჯოთ, როგორც ქრისტიანებმა, და არა, ჩვენი ბოროტმოქმედების გამო.[366]

[359] 1 პეტ. 1:2,4.
[360] 1 პეტ. 1:5.
[361] 1 პეტ. 1:8.
[362] 1 პეტ. 1:22.
[363] 1 პეტ. 2:2.
[364] 1 პეტ. 2:11.
[365] 1 პეტ. 2:13-3:7.
[366] 1 პეტ. 3:17 და 4:12-19.

- ტანჯვა დიდების გზაზე

ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებმა იწინასწარმეტყველეს, რომ ქრისტეს დიდებას წინ ტანჯვა უძღვოდა შემდგომ კი მიიღებდა "ტანჯვის შემდგომ დიდებას"[367] "ქრისტე ჩვენთვის სხეულებრივად ეტანჯა"[368] და ჩვენც ტანჯვას უნდა ველოდოთ. როგორც ქრისტე ამაღლდა დიდებით, ჩვენც მივიღებთ ღვთის შვილებისთვის აღთქმულ დიდებას. თავად პეტრე იყო ქრისტეს ტანჯვის მოწმე და მიიღო აღთქმა „იმ დიდებისა, რომელიც გაცხადდება."[369] ეს აღთქმა ამხნევებს ყოველ ტანჯულ მორწმუნეს.

2 პეტრეს წერილის თემები

- ღვთისმოსაობაში ზრდა

თავის მეორე წერილში, პეტრე ქრისტიანებს ღვთისმოსაობაში მუდმივი ზრდისკენ მოუწოდებს. როგორც „ღვთიური ბუნების თანაზიარნი", „ყოველი ღონე იხმარეთ, რომ შესძინოთ თქვენს რწმენას სათნოება, სათნოებას - შემეცნება, შემეცნებას - თავშეკავება, თავშეკავებას - მოთმინება, მოთმინებას - ღვთისმოსაობა,ღვთისმოსაობას - ძმათმოყვარეობა, ძმათმოყვარეობას კი - სიყვარული."[370]

- გაფრთხილებები ცრუ სწავლებების საწინააღმდეგოდ

დევნა (1 პეტრეს ძირითადი გაფრთხილება) მოდის ეკლესიის გარედან; ცრუ სწავლება (2 პეტრეს ძირითადი გაფრთხილება) ხშირად ჩნდება ეკლესიის შიგნით. პეტრე ამხელს ეკლესიაში შეპარულ „ცრუ წინასწარმეტყველთა" სწავლებას. მათი სწავლების საშიშროება ჩანს მათ უღმერთო ხასიათში, რომელიც შეჯამებულია 2 პეტრეს 2:10-16-ში. აღწერა მთავრდება გამოთქმით: "ძაღლი თავის ნარწყევს უბრუნდება, ნაბანი ღორი კი ტალახს - საგორაოდ."[371]

- ერთგულება უფლის დაბრუნების შუქზე

სკეპტიკოსები ცდილობდნენ ქრისტიანებში გულის აცრუება გამოეწვიათ უფლის დაბრუნების ეჭვის ქვეშ დაყენებით. ისინი ამტკიცებდნენ, რომ „ყველაფერი უცვლელად რჩება, როგორც დასაბამიდან იყო.."[372] პეტრე პასუხობს, რომ ქრისტეს დაბრუნების დაყოვნება ღმერთის სულგრძელობის გამო ხდება. ღმერთს არ სურს ვინმე დაიღუპოს, არამედ, რომ „ყველამ მოინანიოს."[373] მისი შეყოვნება იძლევა მონანიების შესაძლებლობას. ამასთან, ამ შეყოვნებამ არ უნდა გვიბიძგოს ეჭვის შეტანისკენ იმ ჭეშმარიტებაში, რომ ქრისტე აუცილებლად დაბრუნდება. "უფლის დღე ქურდივით მოვა."[374] მისი უეჭველი დაბრუნების ფონზე, ჩვენ უნდა ვიცხოვროთ, როგორც წმინდა ადამიანებმა; "რომ

[367] 1 პეტ. 1:11.
[368] 1 პეტ. 4:1.
[369] 1 პეტ. 5:1.
[370] 2 პეტ. 1:4-7.
[371] 2 პეტ. 2:22.
[372] 2 პეტ. 3:4.
[373] 2 პეტ. 3:9.
[374] 2 პეტ. 3:10.

მშვიდობით წარვდგეთ მის წინაშე შეუბღალავნი და უბიწონი"; და „ვიზარდოთ ჩვენი უფლისა და მაცხოვრის, იესო ქრისტეს მადლსა და ცოდნაში."[375]

1 და 2 პეტრეს წერილების შედარება[376]	
გარე საფრთხე: დევნა	შიდა საფრთხე: ცრუ მასწავლებლები
ქრისტეს ტანჯვა	უფლის დიდება
ნუგეში და გამხნევება (წახალისება)	გაფრთხილება
იმედი გვაქვს განსაცდელების პირისპირ	გვაქვს ცოდნა შეცდომის პირისპირ

იოანეს წერილი: მოზიარეობა ღმერთთან

ავტორი და თარიღი

ადრეული ეკლესიის მამები, ირინეოსი და კლემენტი ალექსანდრიელი, ამ წიგნების ავტორად მოიხსენიებენ იოანე მოციქულს. პეტრეს მსგავსად, იოანეც მეთევზე იყო და იესოს "შიდა წრის" ერთ-ერთი წევრი გახდა. ის იმყოფებოდა იესოს სამსჯავროზე და ასევე მისი ჯვარცმის დროს მარიამთან ერთად. პეტრესთან ერთად იოანე ცარიელი საფლავის ერთ-ერთი პირველი მოწმე იყო. თავის სახარებაში იოანე თავის თავს მოიხსენიებს როგორც „სხვა მოწაფე" და მოწაფე „რომელიც იესოს უყვარდა."

ევსები კესარიელის თანახმად, იოანე და სხვა ქრისტიანები იერუსალიმიდან 70 წელს გაიქცნენ, რომის მიერ ქალაქის განადგურებამდე ცოტა ხნით ადრე. ქრისტიანები გაიქცნენ პერეაში, ქალაქ პელაში (მდინარე იორდანეს აღმოსავლეთ მხარეს). მოგვიანებით იოანე მსახურობდა ეფესოში. იოანეს სამი წერილი, სავარაუდოდ, ეფესოდან დაიწერა პირველი საუკუნის ბოლო პერიოდში.

აუდიტორია (მსმენელები)

1 იოანეს წერილი არ ასახელებს (არ ადგენს) კონკრეტულ აუდიტორიას. იოანე თავის მკითხველებს მიმართავს: „ჩემო შვილებო" და „ძმებო". ეს იმაზე მეტყველებს, რომ ის სიტყვით მიმართავს თანამორწმუნეებს, რომლებთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა.

[375] 2 პეტ. 3:11, 14, 18.
[376] ადაპტირებულია მერილ ფ. უნგერის, *უნგერის ბიბლიური სახელმძღვანელო*დან.

2 იოანეს წერილი მიმართავს „რჩეულ ქალბატონს და მის შვილებს, რომლებიც მიყვარს ჭეშმარიტებაში.“[377] ამ ფრაზის ორგვარი განმარტებაა შესაძლებელი:

- ეს შეიძლება ყოფილიყო უცნობი ქალბატონი, რომელმაც ეკლესიას თავის სახლში შეკრების უფლება მისცა
- ტერმინში “რჩეული ქალბატონი,” შესაძლოა იგულისხმებოდეს იოანესთვის ცნობილი ადგილობრივი ეკლესია; ხოლო “მის შვილებში” იგულისხმებიან იმ ეკლესიის წევრები.

3 იოანე მიწერილია, იოანეს მიერ მოქცეულის, გაიუსის მიმართ.

1 იოანეს წერილის მიზანი და შინაარსი

სამი წერილიდან პირველი უფრო გრძელია. ტრადიციული მისალმების ნაცვლად, იოანე იწყებს განცხადებით, რომელიც ადასტურებს მისი წერილის ავტორიტეტულობას. იგი წერს არა ხმებსა და ჭორებზე, არამედ „ რაც მოგვისმენია და ჩვენი თვალით გვინახავს, რასაც ჩავკვირვებივართ და ჩვენს ხელებს მოუსინჯავს.”[378] 1 იოანე ჰგავს იოანეს სახარებას ქრისტეს ცხოვრების ფაქტობრივ ჭეშმარიტებაზე ხაზგასმით.

ღმერთთან მოზიარეობის პირობები

იოანე დასაწყისშივე აღნიშნავს თავისი წერილის მიზანს; ““ამას გწერთ, რომ სრულყოფილი იყოს თქვენი სიხარული.”[379] ეს სიხარული კი მამასთან და მის ძესთან, იესო ქრისტესთან თანაზიარების მეშვეობით გვენიჭება.[380] იოანე წერს ღმერთთან ჩვენი მოზიარეობის შესახებ და იყენებს ტერმინს „იცოდეთ.“ ღმერთის "ცოდნა" უფრო მეტია, ვიდრე გონებრივი ცოდნა; ეს არის პრაქტიკული ურთიერთობა. იოანე მიგვანიშნებს ღმერთთან მოზიარეობის შენარჩუნების პირობებს:

- ჩვენ სინათლეში უნდა ვიაროთ (1:6-7)
- ჩვენ არ უნდა ვიაროთ ცოდვაში (2:1-2)

ცოდვა და ღმერთთან მოზიარეობა

იოანეს სწავლება ცოდვის შესახებ მოიცავს ორ მნიშვნელოვან ჭეშმარიტებას:[381]

- ღმერთი გვანიჭებს ძალას გამარჯვებული ცხოვრებისთვის; ”ამას გწერთ იმისთვის, რომ არ შესცოდოთ.” თუ ვინარჩუნებთ მოზიარეობას ღმერთთან, არ შევინარჩუნებთ ცოდვასთან თანაზიარებას (1:6-2: 5; 3: 6-9). როგორც ღვთის შვილები, ჩვენ აღარ გავაგრძელებთ განზრახ

[377] 2 ინ. 1:1.
[378] 1 ინ. 1:1.
[379] 1 ინ. 1:4.
[380] 1 ინ. 1:3.
[381] 1 ინ. 2:1.

ცოდვას. ჩვენ არ შეგვიძლია ცოდვით სიარული და იმავდროულად ღმერთთან ერთად სიარულიც.

ღმერთი წყალობას აძლევს დაცემულებს; ”თუ ვინმე შესცოდავს, გვყავს შუამდგომელი მამის წინაშე - მართალი იესო ქრისტე.” მიუხედავად იმისა, რომ ღმერთის განზრახვა მუდმივი გამარჯვების ცხოვრებაა, ის მადლსაც ჰპირდება მათ, ვინც დაცემის შემდეგ მოინანიებს. (1:9; 2:1-2).

სიყვარული და ღმერთთან მოზიარეობა

- *სიყვარული ღმერთის მიმართ*
  ცოდვაზე მუდმივი გამარჯვება არ ემყარება მხოლოდ პირად დისციპლინას ან თვითკონტროლს; ის ეფუძნება ღმერთის სიყვარულს. ქრისტიანული ცხოვრების მთავარი პრინციპი ღმერთის სიყვარულია.[382] სწორედ ღვთისადმი სიყვარულით ვიცავთ მის მცნებებს. თუ ღმერთი გვიყვარს, ვერ „შევიყვარებთ წუთისოფელს, ვერც იმას, რაც წუთისოფელშია.”[383]

- *სიყვარული სხვა ქრისტიანებისადმი*
  ადამიანი, რომელსაც არ უყვარს თავისი ძმა, „ღვთისგან არ არის“. თუ ღმერთი გვიყვარს, გვიყვარს ღმერთის შვილებიც.[384] ჩვენ რომ სიკვდილიდან სიცოცხლეში გადავედით, დასტურდება ჩვენი ქრისტიანი ძმებისადმი სიყვარულით. ეს სიყვარული ცარიელ სიტყვებზე მეტია; ეს ჩანს ჩვენს ქმედებებში.[385]

ღვთის შვილების დარწმუნებულობა

იოანემ დაწერა წერილი, რათა მისმა მკითხველებმა „რომ ღმერთის ძის სახელის რწმენით გაქვთ თქვენ საუკუნო სიცოცხლე.”[386] მუდმივი დარწმუნებულობა და გარანტია მოითხოვს მუდმივ მორჩილებას. ჩვენ ვიცით, რომ ღმერთის შვილები ვართ, თუ ამ თვისებებს ვავლენთ:

- *მორჩილება ჭეშმარიტებისადმი* (1:6-*7*)
  დარწმუნების ეს ასპექტი იესოს სიტყვების ციტირება პარალელურად იოანეს 8:31-ში ხდება; ”თუ ჩემს სიტყვაში დარჩებით, ჭეშმარიტად ჩემი მოწაფეები ხართ. ჩვენი, როგორც იესოს მოწაფეების რწმენა, ემყარება მისი სიტყვისადმი მუდმივ ყურადღებას და მორჩილებას.

---

[382] მეტი ინფორმაციისთვის, იხილეთ მოსიყვარულე ღმერთი: ქრისტიანული ცხოვრების ძირითადი პრინციპი, ავტორი ფილიპ ბრაუნი, II. Revivalist Press, 2005.
[383] 1 ინ. 2:5, 15.
[384] 1 ინ. 3:10-11 და 4:20-21.
[385] 1 ინ. 3:14-18.
[386] 1 ინ. 5:13.

- *არავითარი განზრახ ცოდვა* (3:8-10)

  რადგანაც ჩვენ არ შეგვიძლია ღმერთთან თანაზიარება, თუ ჩვენ ვაგრძელებთ ღმერთის წინააღმდეგ განზრახ ჯანყს, ცხადია არ გვაქვს დარწმუნება, თუ ასეთ აჯანყებაში ვრჩებით.

- *სიყვარული სხვა ქრისტიანების მიმართ* (3:14-19)

  იესომ უთხრა თავის მოწაფეებს, "იმით გაიგებს ყველა, რომ ჩემი მოწაფენი ხართ, თუ გეყვარებათ ერთმანეთი."[387] იოანე თავის ეპისტოლეში იმეორებს ამ აზრს ხაზგასმით; "ჩვენ ვიცით, რომ სიკვდილიდან სიცოცხლეში გადავედით, რადგან გვიყვარს ძმები."[388]

2 იოანეს წერილი მიზანი და შინაარსი

2 იოანეს გზავნილი 1 იოანეს პარალელურია. ღმერთთან ურთიერთობა გულისხმობს ღვთის სიყვარულში ცხოვრებას და ღვთის ჭეშმარიტებაში სიარულს. 2 იოანეს მიერ მცნებად მოცემული სიყვარული არ არის ახალი მცნება; ის თავიდანვე ისწავლებოდა.[389]

2 იოანეში მცნებად დადებული სიყვარული გამჭრიახია, რომელიც სიმართლეს (ჭეშმარიტებას) ემორჩილება. გამჭრიახობა (გარჩევა) მნიშვნელოვანია, რადგან ბევრი მაცდურია, ვინც არ აღიარებს ქრისტეს. იოანე აფრთხილებს „არჩეულ ქალბატონს", სიმართლე შეინარჩუნონ, რომ „იესო ქრისტე ხორციელად მოვიდა."[390] ღმერთთან მოზიარეობა მოითხოვს იმას, რომ ჩვენ უარვყოთ ცრუ სწავლება.[391]

3 იოანეს წერილის მიზანი და შინაარსი

3 იოანე არის პირადი წერილი ქრისტიანული სტუმართმოყვარეობის შესახებ. "ქრისტიანული სტუმართმოყვარეობა" უფრო მეტია, ვიდრე მეგობრული დამოკიდებულება, რომელსაც სხვა ადამიანის მიმართ ვიჩენთ; ეს არის ეკლესიის ერთიანობის გამოხატულება. იოანე გვაფრთხილებს, რომ არ მივიღოთ ისინი, ვინც ცრუ მოძღვრებას ასწავლიან. 3 იოანე გვაფრთხილებს არ უარვყოთ ისინი, ვინც ჭეშმარიტ მოძღვრებას ასწავლის.

გაიუსი ღებულობდა მოგზაურ მახარობლებს და ეკიდებოდა მათ ქრისტიანული სტუმართმოყვარეობით, როგორც „ჭეშმარიტების თანამშრომელი"[392] ამის საპირისპიროდ, დიოტრეფე უარს ამბობს ამ ძმების მიღებაზე. დიოტრეფე თავისთვის იღწვის, რათა მიხვეჭოს გავლენა, უარყოფს იოანეს სამოციქულო ძალაუფლებას და დევნის ჭეშმარიტ ქრისტიანებს, რომლებიც მას ეწინააღმდეგებიან.[393]

---

[387] ინ. 13:35.
[388] 1 ინ. 3:14.
[389] 2 ინ. 1:5-6.
[390] 2 ინ. 1:7-8.
[391] 2 ინ. 1:10-11.
[392] 3 ინ. 1:5-8.
[393] 3 ინ. 1:9-10.

3 იოანეს წერილი დიოტრიფეს ქცევას უპირისპირებს დემეტრეს მიერ ნაჩვენებ ქრისტიანულ სიყვარულს. ეს მოკლე წერილი გვიჩვენებს ქრისტიანული სიყვარულის პრაქტიკულ გამოყენებას, რომელიც 1 იოანეს წერილში მცნებად მოგვეცა და ეკლესიის ერთიანობას ჭეშმარიტების ძიებაში, რომლის მცნებაც 2 იოანეს წერილში მოგვეცა.

იუდა: გაფრთხილება ცრუ მასწავლებლების წინააღმდეგ

ავტორი და თარიღი

იუდა იესოს ნახევარძმა იყო. თავისი ძმის იაკობის მსგავსად, იუდასაც არ სჯეროდა იესოსი, მის მკვდრეთით აღდგომამდე.[394] თავის წერილში იუდა თავის თავს, უწოდებს „იესო ქრისტეს მონა და იაკობის ძმა."[395]

იუდას ეპისტოლეს დაწერის თარიღთან დაკავშირებით ერთადერთი მინიშნება, მისი მსგავსებაა 2 პეტრეს წერილთან. ის ფაქტი, რომ წერილები ანალოგიურ პრობლემებს ეხება, იმაზე მეტყველებს, რომ იუდა, შესაძლოა დაწერილიყო იმავე დროს, როდესაც პეტრეს მე-2 წერილი, 60–იანი წლების დასაწყისში ან შუა პერიოდში.

აუდიტორია (მსმენელები)

იუდა მიმართავს „მოწოდებულებს, საყვარელთ მამა ღმერთში და დაცულებს იესო ქრისტეში."[396] ებრაულ თემებზე მინიშნებები იმაზე მეტყველებს, რომ, წერილი ებრაელ ქრისტიანებს მიმართავს.

მიზანი და შინაარსი

იუდა აღნიშნავს, რომ მას იმედი ჰქონდა, რომ დაწერა დოქტრინალური წერილი ჩვენი ხსნის თემაზე.[397] ამასთან, რადგან ცრუ მასწავლებლები ეკლესიაში იყვნენ შეჟონილნი, სულიწმიდამ შთააგონა იუდა, რომ გაეფრთხილებინა მისი თანამორწმუნეები ცრუ სწავლების წინააღმდეგ.

იუდას გზავნილი მოიცავს:

- გაფრთხილება ცრუ მასწავლებლებისა და მათი სწავლების წინააღმდეგ.
- იმ მსჯავრის აღწერა, რომელიც ამ მასწავლებლებს დაატყდებათ.
- გამძლეობისკენ მოწოდება.

[394] მათ. 13:55; მარკ. 6:3; ინ. 7:3-5; 1 კორ. 15:7.
[395] იუდა 1:1.
[396] იუდა 1:1.
[397] იუდა 1:3.

- დასკვნითი დოქსოლოგია მას, „ვისაც ძალუძს დაგიცვათ დაცემისგან და უბიწონი წარგადგინოთ თავისი დიდების წინაშე სიხარულით.”[398]

ზოგადი ეპისტოლეები დღევანდელ ეკლესიაში

ზოგადი ეპისტოლეები, განსაკუთრებით 1 პეტრე, ტანჯვაში ერთგულებისკენ მოგვიწოდებს. პეტრემ გამოწვევა შესთავაზა თავის მკითხველებს, რომ დღეს „დამდაბლდნენ“, რათა ღმერთმა ისინი „თავის დროზე აამაღლოს.”[399] ტანჯვა ჩვეულებრივი მოვლენაა ქრისტიანულ ცხოვრებაში, მაგრამ ტანჯვა დიდებით სრულდება. ეს დაპირება აძლიერებდა პირველი საუკუნის ქრისტიანებს და უნდა გაამხნევოს ოცდამეერთე საუკუნის ქრისტიანებიც.

თითოეული ეს წიგნი ხელს უწყობს პრაქტიკულ ქრისტიანულ ცხოვრებას. იქნება ეს პეტრეს მოწოდება, დავემორჩილოთ ხელისუფლებას, 1 იოანეს გზავნილი სიყვარულის შესახებ ჩვენი ძმებისადმი, 2 იოანეს ჭეშმარიტებისადმი სწრაფვის შეგონება, 3 იოანეს მოწოდება ქრისტიანული სტუმართმოყვარეობისკენ, თუ იუდას გაფრთხილება ცრუ მასწავლებლის წინააღმდეგ, ზოგადი ეპისტოლეები ასწავლიან, რომ ჭეშმარიტება გონებრივ ცოდნაზე მეტია. ჩვენ მოწოდებულნი ვართ ვიცხოვროთ ბიბლიური ჭეშმარიტებით ყოველდღიურ ცხოვრებაში.

დასკვნა

I საუკუნეში მრავალი ქრისტიანი (მათ შორის მოციქულთა უმეტესობა) დაიხოცა რწმენის გამო. II საუკუნეში პოლიკარპე მოკლეს იმპერატორისთვის შეფიცვაზე და მისი ღმერთებისთვის კმევაზე უარის თქმის გამო. IV საუკუნეში ეკატერინე ალექსანდრიელს თავი მოკვეთეს იმპერატორის წინაშე ქრისტეზე დამოწმების შემდეგ.

მე -14 საუკუნეში ჯონ უიკლიფის სხეული დაწვეს, რადგან მან ბიბლია ინგლისურ ენაზე თარგმნა. მე -15 საუკუნეში იან ჰუსი კოცონზე დაწვეს რომის კათოლიციზმის დოქტრინების უარყოფის გამო. XVI საუკუნეში, იაპონიაში, ნაგასაკიში, ოცდაექვსი ქრისტიანი ჯვარცმულ იქნა დევნის პერიოდში, რის გამოც ეკლესია იძულებული გახდა იატაკქვეშეთში გადასულიყო.

მე -20 საუკუნეში ათასობით ქრისტიანი მოწამეობრივად გარდაიცვალა ჩინეთში, საბჭოთა კავშირსა და სხვა ტოტალიტარულ ქვეყნებში. XXI საუკუნეში ისლამურ ქვეყნებში ქრისტიანები ყოველდღიურად დევნისა და სიკვდილის საფრთხის წინაშე დგებიან.

ყველა თაობაში ქრისტიანები იხოცებოდნენ თავიანთი რწმენის გამო. მაგრამ ეკლესიისთვის ეს არ არის იმედგაცრუების და დაბრკოლების მიზეზი. პეტრე დევნილ მორწმუნეებს შეახსენებს, რომ ”ყოველგვარი მადლის ღმერთი, რომელმაც თავისი საუკუნო დიდებისკენ მოგვიწოდა ქრისტეში,

[398] იუდა 1:24.
[399] 1 პეტ. 5:6.

თქვენი მცირეოდენი ტანჯვის შემდეგ, სრულგყოფთ, გაგაძლიერებთ, განგამტკიცებთ და დაგაფუძნებთ."[400] ეკლესია - ტრიუმფატორია! ეს არის ზოგადი ეპისტოლეების დანაპირები.

გაკვეთილის დავალება

წარმოაჩინეთ თქვენ მიერ ამ გაკვეთილის აღქმა (გაგება) შემდეგი დავალებების დახმარებით:

1) მოამზადეთ ქადაგება ან ბიბლიური გაკვეთილი ერთერთ ქვემოთ მოცემულ თემაზე. თქვენ შეგიძლიათ დაწეროთ 5-6 გვერდიანი ხელნაწერი, ან ჩაწეროთ ქადაგება ან ბიბლიური გაკვეთილი.
   a. "ტანჯვა ქრისტიანულ ცხოვრებაში." გამოიყენეთ პრინციპები, რომელსაც 1 პეტრეს წერილი გვასწავლის და მათი ილუსტრაციისთვის მოიყვანეთ მაგალითები ეკლესიის ისტორიიდან, კერძოდ კი თქვენი ქვეყნის ეკლესიის ისტორიიდან.

   b. "ღმერთთან მოზიარეობა." დაურთეთ კრიტერიუმები ღმერთთან მოზიარეობისთვის, რომელიც მოყვანილია 1 იოანეს წერილში.

2) გაიარეთ ტესტი ამ გაკვეთილის მასალაზე დაყრდნობით. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმინდა წერილიდან.

გავიღრმავოთ ცოდნა

მეტი ინფორმაციის მისაღებადthe ზოგადი ეპისტოლეები, იხილეთ შემდეგი რესურსები.

<u>ბეჭდური წყაროები</u>

გერალდ ბრეი. *წმინდა წერილის ძველი ქრისტიანული კომენტარი: იაკობი-იუდა.* Intervarsity Press, 2000.

ფილიპ ბრაუნი, II. მოსიყვარულე ღმერთი: ქრისტიანული ცხოვრების ძირითადი პრინციპი, Revivalist Press, 2005.

პოლ მეიერი. (თარჯიმანი). *ევსები: ეკლესიის ისტორია.* Kregel Publishing, 2007. (ამ უძველესი წყაროს ადვილად წასაკითხი თარგმანი.)

ჰოვარდ მარშალი. *1 პეტრეს წერილი.* Intervarsity Press, 1991.

ჰოვარდ მარშალი. *იოანეს ეპისტოლეები (ახალი აღთქმის ახალი საერთაშორისო კომენტარი).* Eerdmans, 1978.

უორენ ვირსბე. იყავი ფხიზლად*: 2 პეტრე, 2 და 3 იოანე, იუდა.* David C. Cook, 2010.

[400] 1 პეტ. 5:10.

ელექტრონული (ინტერნეტ) წყაროები

"ჯონ ვესლი და ქრისტიანული ორთოდოქსია"

http://www.seedbed.com/seven-minute-seminary/

ჯონ ვესლი. *ვესლის ახსნა-განმარტებები ახალი აღთქმის შესახებ.*

http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

გაკვეთილი 11 ტესტის საკითხები

1. რა მნიშვნელობა აქვს "ბაბილონს" პეტრეს მისალმებაში?

2. რა არის ძირითადი საშიშროება, რომლის წინაშეც დგას ეკლესია 1 პეტრეში?

3. რა არის ძირითადი საშიშროება, რომელიც ეკლესიას ემუქრება 2 პეტრეში?

4. რა არის 2 იოანეს წერილში ნახსენები ფრაზის "რჩეული ქალბატონი და მისი შვილები" ორი შესაძლო განმარტება?

5. რომელი ორი ჭეშმარიტებაა მნიშვნელოვანი 1 იოანეს სწავლებაში ცოდვის შესახებ?

6. 1 იოანეს თანახმად, რომელი სამი თვისებაა თვალსაჩინო ღვთის ნებისმიერ შვილში?

7. რა იყო 3 იოანეს ძირითადი მიზანი?

8. რა კავშირი იყო იუდას და იესოს შორის?

გაკვეთილი 12
გამოცხადება: იესო უფალია

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

(1) იცოდეს გამოცხადების ავტორი, თარიღი, და ისტორიული გარემო.
(2) გააზტრებული ჰქონდეს გამოცხადების მნიშვნელოვანი თემები.
(3) შეეძლოს გამოცხადების განმარტებისთვის გამოყენებული ძირითადი თეორიების შედარება.
(4) დაუკავშიროსof გამოცხადება გზავნილი დღევანდელი მსოფლიოს საჭიროებებს.

გაკვეთილი

წაიკითხეთ: გამოცხადება
დაიზეპირეთ: გამოცხადება 3:20-21

პირველი საუკუნის ქრისტიანები ორი ურთიერთგამომრიცხავი ჭეშმარიტების წინაშე აღმოჩნდნენ. ერთის მხრივ, მათ იცოდნენ, რომ „იესო ქრისტე არის უფალი."[401] ქრისტიანი აღიარებს მხოლოდ იესო ქრისტეს ძალაუფლებასა და უფლობას (ანუ ბატონობას). მეორეს მხრივ, რომი ყველასგან, ვინც იმპერიის ძალაუფლების ქვეშ იყო, მოითხოვდა შეეფიცათ, რომ კეისარი არის *Dominus et deus noster* (ჩვენი ბატონი და ღმერთი).

რომი შემწყნარებლობით გამოირჩეოდა მრავალი რელიგიის მიმართ, სანამ იმპერატორი ითვლებოდა უზენაეს ძალაუფლებად. მრავალი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ რომი არ დევნიდა ქრისტიანებს ქრისტიანობის გამო. ქრისტიანებს შეეძლოთ იესოს თაყვანისცემა, თუკი ისინი შეჰფიცებდნენ იმპერატორს. ამასთან, ჭეშმარიტი ქრისტიანი ვერასოდეს აღიარებდა იმპერატორს, როგორც საბოლოო, დასრულებულ ძალაუფლებას.

პოლიკარპეს წამების თვითმხილველის თანახმად, მაგისტრატებმა შესთავაზეს ასაკოვან წმინდანს განთავისუფლება, თუ ის კეისარს ღმერთად აღიარებდა. მათ ჰკითხეს პოლიკარპეს: „ნუთუ თქმა იმისა, რომ კეისარია უფალი, მსხვერპლშეწირვა... და გადარჩენა ბოროტებაა?"[402] პოლიკარპემ იცოდა, რომ ქრისტიანისთვის უფალი მხოლოდ ერთია. ქრისტიანი ბოლომდე ვერავის ვერ მიუძღვნის თავს.

ეს იყო რომსა და ადრეულ ეკლესიას შორის კონფლიქტის სათავე. ამ კონფლიქტიდან გამომდინარე ეუბნებოდა გამოცხადების წიგნი პირველ ქრისტიანებს: "იესო უფალია." ქვეყნიერებაზეც კი,

[401] ფილიპ.2:11.
[402] *პოლიკარპეს წამება,* ჯ. ბ. ლაითფუტის თარგმანი.

რომელიც არ ცნობს მის ძალაუფლებას, იესო არის უფალი. გამოცხადება იძლევა პავლეს სიტყვების დრამატულ სურათს:

> ამიტომ ღმერთმაც აღამაღლა იგი და მიანიჭა მას ყველა სახელზე უზენაესი სახელი. რათა იესოს სახელის წინაშე მუხლი მოიდრიკოს ყოველმა ზეციერმა, მიწიერმა და მიწისქვეშეთესამ; და ყოველმა ენამ აღიაროს, რომ იესო ქრისტე არის უფალი, მამა ღმერთის სადიდებლად.[403]

იესო უფალია.

გამოცხადების წიგნის ფონი (წინაპირობა)

ავტორი, თარიღი, და ადგილი

გამოცხადების ავტორი საკუთარ თავს უწოდებს იოანეს, და ასევე ”თქვენი ძმა და მოზიარე იესო ქრისტეს ჭირში.”[404] ადრეულმა საეკლესიო გადმოცემამ იოანე განსაზღვრა, როგორც "საყვარელი მოწაფე", იოანეს სახარების, სამი ეპისტოლისა და გამოცხადების ავტორი.

ამ წერილის თარიღი უფრო რთული საკითხია. ორი შესაძლებლობა არსებობს, რომელიც ემთხვევა როგორც იოანეს სიცოცხლის პერიოდს, ისე ადრეული ეკლესიის დევნას. სავარაუდო თარიღია ნერონის მეფობის, ანუ ინტენსიური დევნის დრო. უფრო სავარაუდო თარიღია იმპერატორ დომიციანეს მიერ დევნის პეროიოდს (ახ. წ. 81-96წწ.). II საუკუნეში ირინეუსმა გამოცხადება დაათარიღა დომიციანეს მეფობის გვიანი პერიოდით (ბოლო წლები).[405] ევანგელისტთა უმეტესობა ამას აღიარებს გამოცხადების თარიღად.

გამოცხადება პატმოსზე, ეგეოსის ზღვის პატარა კუნძულზე დაიწერა,[406] სადაც იოანე გადაასახლეს თავისი რწმენის გამო. და მაინც, თუმცა იმპერატორმა გასცა იოანეს გადასახლების ბრძანება, იოანე ნათლად გვამცნობს, რომ ამ ვითარებაშიც კი, "იესო არის უფალი." ის არის პატმოსზე, „ღვთის სიტყვისა და იესო ქრისტეს მოწმობისთვის”[407] პატმოსზეც კი ღმერთი მეფობს (მართავს და აკონტროლებს სიტუაციას).

მიზანი

გამოცხადება პასუხობს კითხვას: ”ვინ არის უფალი?” პასუხი ჩამოყალიბებულია შესავალში: „იესო ქრისტესგან, რომელიც ერთგული მოწმეა, პირმშო მკვდართაგან და მიწიერ მეფეთა მთავარი.”[408] იოანე

---

[403] ფილიპ.2:9-11.
[404] გამ. 1:9.
[405] ირინეუსი, *ერესის წინააღმდეგ* 5.30.3.
[406] რუკა www.openbible.info– დან. გამოიყენება ნებართვით.
[407] გამ. 1:9.
[408] გამ. 1:5.

დევნილ ქრისტიანებს წერს: "იესო ქრისტე არის დედამიწის მეფეთა მმართველი." მიუხედავად ვითარებისა და გარემოებებისა, ღმერთი აკონტროლებს მას.

იოანე ამ ჭეშმარიტებას სამი გზით წარმოაჩენს:

- მიმართვა შვიდი ეკლესიისადმი (გამოცხ. 2-3). იესო უფლობს თავის ეკლესიაზე.
- ღვთის ტახტის და ქრისტეს, როგორც ტრიუმფატორი კრავის ხილვა (გამოცხ. 4–5). იესო უფლობს ზეცაში.
- ზეცის პერსპექტივიდან დანახული ისტორია (გამოცხ. 6-22). იესო უფლობს დედამიწის ყველა სამეფოზე.

გამოცხადების წიგნის კითხვა

აპოკალიპტური ლიტერატურა

როგორც აპოკალიფსური წიგნი, გამოცხადება უნიკალურია ახალი აღთქმის წიგნებს შორის. ძველი აღთქმის მაგალითია დანიელის წიგნი. აპოკალიფსური მწერლობა ”ავლენს” ან ”ამჟღავნებს” დაფარულ სიმართლეს (ჭეშმარიტებას). აპოკალიფსური ჩანაწერები ცხადყოფს ღმერთის მიზნებს კაცობრიობის ისტორიაში.

აპოკალიფსური ლიტერატურა იყენებს დრამატულ სიმბოლოებს კომუნიკაციისთვის. გამოცხადება სავსეა დრაკონებით, მხეცებით და ბუნებრივი კატასტროფებით, როგორიცაა მიწისძვრა და სეტყვა. აპოკალიფსური ლიტერატურის წაკითხვის ერთ სირთულეს წარმოადგენს ის, რომ სიმბოლოები დროთა განმავლობაში და სხვადასხვა კულტურულ გარემოში იცვლის მნიშვნელობას. მაგალითად, დრაკონი გამოიყენება დასავლეთში, როგორც ბოროტებისა და საშიშროების სიმბოლო; აღმოსავლეთის მრავალ კულტურაში კი დრაკონი არის ძალაუფლებისა და წარმატების სიმბოლო. სიმბოლოების ინტერპრეტაციის განსხვავებამ შეიძლება გამოცხადების აღქმა გაურთულოს მკითხველს.

გამოცხადებაში სიმბოლოების სწორად ინტერპრეტაციის ერთ-ერთი გასაღებია იმისი აღიარება, რომ მისი სიმბოლოების უმეტესობა ძველი აღთქმიდან მოდის, განსაკუთრებით ეს ეხება გამოსვლას, ფსალმუნებს, დანიელს, ეზეკიელს, ესაიას და ზაქარიას. გამოცხადების მუხლების ნახევარზე მეტი მიანიშნებს ძველი აღთქმის თემას ან გამოსახულებას. ის ვინც გამოცხადებას დაკვირვებით კითხულობს, სიმბოლოების შესწავლისას პირველ რიგში ძველ აღთქმას მიაშურებს.

აპოკალიფსური ლიტერატურა ასახავს ისტორიულ ან წინასწარმეტყველურ რეალობას ხილვებით. გამოცხადება მოიცავს სამოცზე მეტ ხილვას. ისინი ხშირად ემთხვევა ერთმანეთს, ამიტომ ძნელია ზუსტი ქრონოლოგიური თანმიმდევრობის შექმნა. მრავალი ხილვა შეიძლება წარმოადგენდეს ერთი და იგივე მოვლენის შესახებ მრავალი მხრიდან აღქმულსა და ერთმანეთზე გადაფარებულ

შეხედულებებს, დეტალების გამოსავლენად ან მოვლენის ალტერნატიული პერსპექტივების წარმოსაჩენად.

ალბათ მკითხველისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა ახსოვდეს აპოკალიფსური ლიტერატურის შესწავლისას, არის ძირითად თემებზე ფოკუსირება, დეტალებით გადატვირთვის გარეშე. გამოცხადების დიდი თემებია იესოს უფლობა, ღვთის უზენაესობა (სუვერენიტეტი) და ეკლესიის საბოლოო გამარჯვება. ეს თემები აერთიანებს უამრავ კონტრასტულ ხაზს, რომელიც გავლებულია მთელს წიგნში.

განმარტების თეორიები

იმის გამო, რომ გამოცხადება არის ბიბლიური ლიტერატურის ასეთი უჩვეულო სტილი, მან წარმოშვა განმარტების მრავალი განსხვავებული მიდგომა. ამ წიგნთან დაკავშირებით ოთხი ძირითადი მიდგომა არსებობს. თითოეულ მათგანში განსხვავებული ხაზგასმაა (აქცენტია) გაკეთებული. გამოცხადების შესავალისთვის, ამ ოთხი მიდგომის მიმოხილვა საკმარისი იქნება. ამ თავის ბოლოს მოყვანილ ბიბლიოგრაფიაში მოცემულია რესურსები შემდგომი, სიღრმილეული შესწავლისთვის.

- პრეტერისტული ხედვა

პრეტერისტები თვლიან, რომ გამოცხადება ეხება პირველი საუკუნის ბოლოს განვითარებულ მოვლენებს. ამ თვალსაზრისით, გამოცხადების მოვლენები მოხდა იოანეს სიცოცხლეში ან მალევე მის შემდეგ. ამ შეხედულებით გამოცხადება წარმოადგენს ეკლესიასა და რომის იმპერიას შორის არსებული კონფლიქტის ამსახველ სურათს. ეს კონფლიქტი დასრულდა ქრისტეს სამეფოს გამარჯვებით, რადგან ეკლესია მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

- ისტორიული ხედვა

ისტორიკოსები კითხულობენ გამოცხადებას, როგორც ეკლესიის ისტორიის სიმბოლური სურათს ადრეული ეკლესიის დროიდან, ქრისტეს დაბრუნების შემდგომ, ახალი ცისა და ახალი დედამიწის შექმნამდე. ამ თვალსაზრისით, გამოცხადების 1-3 თავები საუბრობენ იოანეს დროინდელ ეკლესიების შესახებ. გამოცხადების 4-19 თავებში კი მოცემულია ეკლესიის ქრონოლოგიური სურათი მთელი ისტორიის განმავლობაში. გამოცხადების 20-22 თავებში ასახულია, ქრისტეს მეორედ მოსვლა.

- იდეალისტური ხედვა

იდეალისტები ეთანხმებიან ისტორიკოსებს, რომ გამოცხადება ქმნის სურათს კონფლიქტის შესახებ სიკეთესა (ქრისტე და ეკლესია) და ბოროტებას (სატანა და მისი მიმდევრები) შორის. ამასთან, იდეალისტები ამტკიცებენ, რომ ეს არის სიმბოლური სურათი, რაიმე განსაკუთრებული ისტორიული წესრიგის გარეშე. ამ თვალსაზრისით, გამოცხადების 4-19 თავები არ უკავშირდება რაიმე კონკრეტულ ისტორიულ პერიოდს. ეს არის ქრისტესა და ბოროტებას შორის მიმდინარე კონფლიქტის სიმბოლო,

კონფლიქტის, რომელიც დასრულდება ქრისტეს მოსვლით, ახალი ცისა და ახალი დედამიწის დასაფუძნებლად, რაც ასახულია გამოცხადების 20-22 თავებში.

➡ ფუტურისტული ხედვა

ისტორიკოსების მსგავსად, ფუტურისტებიც გამოცხადებას კითხულობენ, როგორც კონკრეტული ისტორიული მოვლენების ამსახველ სურათს. ეს ინტერპრეტაცია მიიჩნევს, რომ გამოცხადების 1-3 თავები იოანეს დღეების ეკლესიას ეხება. ისტორიკოსებისგან განსხვავებით, ფუტურისტები გამოცხადების 4-22 თავებში აღწერილს მომავლის მოვლენებად მიიჩნევენ. ფუტურისტულ ჩარჩოებში არსებობს გამოცხადებაში ასახული მომავლის ოთხი დომინანტური ინტერპრეტაცია (განმარტება).

- <u>კლასიკური პრემილენიალიზმი</u> (დათარიღებულია მინიმუმ II საუკუნით) ელოდება ეკლესიის დევნას სამყაროს აღსასრულამდე. ეს დევნა დასრულდება "დიდი ჭირით", ქრისტეს დაბრუნებამდე ცოტა ხნით ადრე. როდესაც ქრისტე დაბრუნდება, იქნება მორწმუნეთა აღდგომა, რასაც მოჰყვება მილენიუმი, რომლის დროსაც ქრისტე იმეფებს დედამიწაზე.[409] მილენიუმს მოჰყვება ურწმუნოების განკითხვა „დიდ თეთრ ტახტთან."[410] შემდეგ ღმერთი დააარსებს ახალ ცას და ახალ მიწას, მარადიულ სახლს ყველა მათგანისთვის, რომელთა სახელებიც ჩაწერილია კრავის სიცოცხლის წიგნში.

- <u>დისპენსაციური პრემილენიალიზმი</u> არის კლასიკური პრემიერმინალური სწავლების უფრო ახალი ვარიანტი. ამ თვალსაზრისით, ეკლესია ატაცებულია დედამიწიდან, „დიდი ჭირის" პერიოდამდე. გამოცხადების 4-19 თავებში არეულობა განიხილება, როგორც ისრაელის გასაჭირი დედამიწაზე შვიდი წლის განმავლობაში, როდესაც ეკლესია სამოთხეშია იესოსთან ერთად. შემდეგ ქრისტე ბრუნდება და ამყარებს თავის ათასწლოვან მმართველობას დედამიწაზე. კლასიკური პრემილენიალიზმის მსგავსად, ამ პერიოდს მოსდევს სამსჯავრო და ახალი ცისა და ახალი დედამიწის შექმნა.

- <u>პოსტმილენიალიზმი</u> პოსტმილენიალიზმი (პოპულარული მე -18 და მე -19 საუკუნეებში) გვასწავლის, რომ სახარება მთელს მსოფლიოში გავრცელდება და საზოგადოება სამართლიანობისა და მშვიდობის ხანაში გადავა. ამ თვალსაზრისით, მილენიუმი თავად საეკლესიო ხანაა, კერძოდ კი სულიწმინდის, რომელიც მუშაობს ეკლესიაში. ქრისტე ამ ათასწლეულის შემდეგ ბრუნდება, სამუდამოდ ამარცხებს სატანას და ქმნის ახალ ცას და ახალ დედამიწას.

- <u>ამილენიალიზმი</u> (დათარიღებულია მინიმუმ II საუკუნით) ეთანხმება პოსტმილენიალიზმს, რომ ქრისტე დაბრუნდება გამოცხადების 20: 1–6 ათასი წლის შემდეგ. ამილენიალისტები განსხვავდებიან პოსტმილენიალისტებისგან იმით, რომ

[409] "მილენიუმი "ეხება 1000 წლიან პერიოდს.
[410] გამ. 20:11-15.

ისინი მილენიუმს ხედავენ არა როგორც რაიმე ისტორიულ პერიოდს, არამედ როგორც მთელი საეკლესიო ხანის სიმბოლოს. მილენიუმის დაპირება სულიერად ხორციელდება ეკლესიის მსახურებით. გამოცხადება ასახავს ეკლესიის კურთხევას და ბრძოლას. ეს მთავრდება ქრისტეს დაბრუნებით, რასაც მოსდევს სამსჯავრო და მორწმუნეებისთვის ახალი ცისა და ახალი დედამიწის დაფუძნება.

გამოცხადების მკითხველები შეიძლება გახდნენ ძალიან დოგმატურები თავიანთი განმარტებებში. ჩვენ არ უნდა ავურიოთ გამოცხადების ჩვენი ინტერპრეტაცია, საღვთო წერილის ავტორიტეტში. ორი ადამიანი, ვინც აღიარებს საღვთო წერილის აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, შეიძლება განსხვავებულად განიხილავდეს ამ წიგნს. გამოცხადების შესწავლისას თქვენ მიხვალთ (და უნდა მიხვიდეთ) დასკვნამდე, რომლებიც თქვენს ინტერპრეტაციას უხელმძღვანელებს. ამასთან, ფრთხილად იყავით, რომ არ უარყოთ თანამორწმუნეები, რომლებიც შეიძლება განსხვავებულ დასკვნამდე მივიდნენ. ეს არის ბიბლიური ინტერპრეტაციის განსხვავებები და არა განსხვავებები ბიბლიურ ავტორიტეტთან დაკავშირებით.

> "მნიშვნელოვანში, ერთიანობა. მეორეხარისხოვანში, თავისუფლება. ყველაფერში, გულმოწყალეობა (ლმობიერება)." რუპერტუს მელდენიუსი, 1627

გამოცხადების თემები

- იესო უფალია

აპოკალიფსური ლიტერატურა ცხადყოფს იმას, რაც დაფარული იყო. გამოცხადება ავლენს იესოს მის სრულ დიდებაში. მისი მიწიერი მსახურების დროს მისი დიდება სრულად არ ჩანდა. პავლემ პირობა დადო, რომ დადგება დღე, როდესაც „იესოს სახელის წინაშე მუხლს მოიდრეკს ყოველი ზეციერი, მიწიერი და მიწისქვეშეთესა."[411] გამოცხადება ავლენს იმ დღის დიდების სურათს.

გამოცხადების მრავალი სიმბოლო აღებულია ძველი აღთქმიდან. ამასთან, ეს სიმბოლოები ასწავლიან წმინდა ქრისტიანულ თეოლოგიას. წიგნი გაერთიანებულია თანმიმდევრული ქრისტიანული თეოლოგიით, რომელიც აკავშირებს კაცობრიობის ისტორიაში ღვთის მოქმედების თითოეულ ასპექტს. იოანეს მიერ კაცის ძის ხილვიდან, ტრიუმფალური კრავის სურათამდე, გამოცხადების მთავარი თემაა იესო ქრისტეს უფლობა.[412] იესო არის მეფეთა მეფე და უფალთ უფალი.[413]

[411] ფილიპ.2:10.
[412] გამ 1:9-20 და 5:6-14.
[413] გამ. 19:16.

- ღმერთი ყოველივეს აკონტროლებს

ტანჯული ეკლესიისთვის გზავნილი ღვთის უზენაესობის შესახებ, იმედის დიდი გზავნილი იყო. იოანემ ასე წარადგინა ღმერთი: „ყოვლისმპყრობელი, რომელიც იყო, არის და მოვა.“[414] მის მიერ ღმერთის ხილვა, რომელიც გამოცხადების 4–5 თავებშია, მოგვაგონებს ესაიას 6 თავს. იოანე, ესაიას მსგავსად, ხედავს ღმერთს წმინდას, დიდებულს, და სუვერენულს (უზენაესს). რომის წინააღმდეგობის ქვეშ მყოფი ეკლესიისთვის შთამაგონებელი იყო გამოცხადებაში წაკითხული, რომ დგება დღე, როდესაც „ყოველი ქმნილება, რომელიც არის ცაში და დედამიწაზე, მიწის ქვეშ და ზღვაში, და ყველაფერი, რაც მათშია” შემოუერთდებათ ღმერთის და კრავის განდიდებაში.[415]

- ღვთის ხალხის გამარჯვება

როგორც აპოკალიფსური ლიტერატურის უმეტესობა, გამოცხადება ცხადყოფს ღმერთის მიზნებს კაცობრიობის ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სიმბოლოა, რომელთა გაგებაც თანამედროვე მკითხველს შეიძლება გაუჭირდეს, გამოცხადების საერთო გზავნილი ნათელია: ღვთის ხალხი დარწმუნებულია გამარჯვებაში, რადგან იესო არის უფალი. გამოცხადებას ხშირად გადააქვს თავისი პერსპექტივა დედამიწიდან ზეცაზე და გვახსენებს, რომ ჩვენ, ისტორიის მხოლოდ ერთ მხარეს ვხედავთ.[416] უხილავი ღმერთი თავის მიზნებს ახორციელებს სამყაროში. როგორც ღვთის ხალხი, ჩვენ დარწმუნებული ვართ საბოლოო გამარჯვებაში. ლაოდიკიის ეკლესიისადმი გაგზავნილი წერილი ამ გამხნევებით მთავრდება: ”

გამარჯვებული ჩემთან ერთად დაჯდება ჩემს ტახტზე”[417]

გამოცხადება დღევანდელ ეკლესიაში

გამოცხადების წაკითხვისას თავიდან უნდა იქნას აცილებული ორი საფრთხე. ზოგი მკითხველისთვის გამოცხადება იმდენად დამაბნეველია, რომ უბრალოდ საერთოდ ერიდება ამ წიგნის კითხვას. რადგან არ არიან დარწმუნებულნი, რომ სწორ ინტერპრეტაციას შეძლებენ, საერთოდ არ სწავლობენ მას.

საპირისპირო საშიშროება ის არის, რომ ზოგი მკითხველი იმდენად დარწმუნებულია საკუთარ ინტერპრეტაციაში, რომ უარყოფს ყველას, ვინც მათგან განსხვავებულ განმარტებას ემხრობა. ისინი ყურადღებას უმნიშვნელო დეტალებზე ამახვილებენ და კარგავენ წიგნის საერთო თემას. სამწუხაროა, რომ გამოცხადების უმნიშვნელოვანესი აზრი და გზავნილი ზოგჯერ განმარტების დეტალების შესახებ დავებში იკარგება. გამოცხადების გზავნილი დღეს ეკლესიისთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

---

[414] გამ. 1:4.
[415] გამ. 5:13.
[416] მაგალითად: 6:1-7:8 არის დედამიწაზე; 7:9-8:6 ზეცაში. 8:7-11:14 დედამიწაზე; 11:15-19 ზეცაში.
[417] გამ. 3:21.

იმ დროს, როდესაც ყოველწლიურად ათასობით ქრისტიანი წამებით კვდება, უწყება იმის შესახებ, რომ იესო უფალია, ტანჯულ ქრისტიანებს გამძლეობისკენ უბიძგებს. მიუხედავად განმარტებისადმი მიდგომისა, გამოცხადება ამხნევებს ეკლესიას საბოლოო გამარჯვების დაპირებით.

გამოცხადება გვახსენებს, თუ როგორ უნდა იცხოვრონ მორწმუნეებმა ბოლო ჟამის სინათლეზე. ბოლო დღეების (ესქატოლოგია) შესწავლა ძირითადად არ ეხება სამომავლო მოვლენების პროგნოზირებას; ესქატოლოგიის მთავარი საზრუნავი არის ცხოვრება დღეს, ღვთის საბოლოო მიზნების გათვალისწინებით. როგორც მორწმუნეებს, გამოცხადება მოგვიწოდებს, ვენდოთ ღმერთის მიზნებს. როგორც მსახურები, ვქადაგებთ გამოცხადებას, რათა ჩვენს ეკლესიებს (მრევლს) ერთგულებისკენ მოვუწოდოთ. იმის ნაცვლად, რომ გამოცხადება აღვიქვათ, როგორც კოდირებული შეტყობინებების წიგნი მომავლის შესახებ, ჩვენ ვკითხულობთ გამოცხადებას, როგორც ღვთის სიტყვას ღვთის ხალხისთვის დღევანდელობაში.

დასკვნა

ჯონი და ბეთი სთემები მისიონერებად იყვნენ ჩინეთში, როდესაც 1934 წელს, კომუნისტურმა ძალებმა შეუტიეს მათ ქალაქს. ეს ახალგაზრდა წყვილი შეიპყრეს, გამოსასყიდის მისაღებად დააპატიმრეს და დაცვის თანხლებით გააგზავნეს ქალაქ მიაოშეოში. გამვლელმა ჰკითხა: "სად მიდიხარ?" ჯონ სთემმა უპასუხა: ”ჩვენ არ ვიცით ესენი სად მიდიან, მაგრამ ჩვენ სამოთხეში მივდივართ.”

მეორე დღეს ჯონსა და ბეთი სთემს თავი მოჰკვეთა კომუნისტმა ჯალათმა. ჯონმა ბოლო წერილი თავისი მისიის ხელმძღვანელობას მიწერა და მათი პატარა ქალიშვილის ტანსაცმელში გამოხვეული კონტრაბანდული გზით იქნა გატანილი. წერილი ამ სიტყვებით სრულდებოდა: ”...რაც შეგვეხება ჩვენ, დაე ღმერთი განდიდდეს ჩვენი სიცოცხლით იქნება ეს, თუ სიკვდილით.” ჯონმა და ბეთი სთემებმა უშუალოდ იცოდნენ გამოცხადების ჭეშმარიტება: იესო არის უფალი და საბოლოო გამარჯვებას მოიპოვებს. სიცოცხლესა თუ სიკვდილში, ღმერთი აკონტროლებს ყოველივეს და მისი გზები საუკეთესოა.

გაკვეთილის დავალება

წარმოაჩინეთ თქვენ მიერ აღქმა (გაგება) this გაკვეთილი შემდეგი დავალებების დახმარებით:

1) აირჩიეთ ქვემოთმოყვანილი დავალებებიდან ერთერთი:

a. მოამზადეთ ქადაგება ან ბიბლიური გაკვეთილი რომელშიც თქვენ გამოიყენებთ შვიდი ეკლესიისადმი გზავნილებიდან რომელიმეს თქვენი ეკლესიის საჭიროებების მიხედვით. თქვენ შეგიძლიათ დაწეროთ 5-6 გვერდიანი ხელნაწერი, ან ჩაწეროთ ქადაგება ან ბიბლიური გაკვეთილი.

b. გამოცხადების წაკითხვისას ყურადღება მიაქციეთ რომელი თავები ეხება დედამიწაზე განვითარებულ მოვლენებს და რომელი ზეცაში. დაწერეთ მოკლე თხზულება, რომელშიც შეაჯამებთ იმას, რასაც გამოცხადება გვიჩვენებს, მიწიერი მოვლენების ზეციური ხედვის შესახებ. რითი განსხვავდება ზეციური ხედვა დედამიწის შესახებ ჩვენი შეზღუდული ხედვისგან?

2) გაიარეთ ტესტი ამ გაკვეთილის მასალაზე დაყრდნობით. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლებს წმინდა წერილიდან.

გავიღრმავოთ ცოდნა

მეტი ინფორმაციის მისაღებადგამოცხადება, იხილეთ შემდეგი რესურსები.

<u>ბეჭდური წყაროები</u>

სტენლი ნ. განდრი., კენეტ ლ. ჯენტრი, სემ ჰამსტრა, მარვინ პეიტი, და რობერტ თომასი. *ოთხი ხედვა გამოცხადების წიგნზე.* Zondervan, 1998.

სტენლი ნ. განდრი., დარელი ლ. ბოკი, კენეტ ლ. ჯენტრი, რობერტ სტრიმპლი, და კრეგ ბლეიზინგი. *სამი შეხედულება მილენიუმზე და მის მიღმა.* Zondervan, 1999.

სტენლი ნ. განდრი., ალან ჰულტბერგი, კრეგ ბლეიზინგი, და დუგლას მო. *სამი მოსაზრება ატაცების შესახებ: დიდ ჭირამდე, რისხვამდე და დიდი ჭირის შემდეგ.* Zondervan, 2010.

გრანტ ოსბორნი. *გამოცხადება.* Baker, 2002.

ქეროლ პიტზი. *ახალი შუქურას ბიბლიის კომენტარი: გამოცხადება.* Beacon Hill Press, 2012.

ელექტრონული (ინტერნეტ) წყაროები

"გამოცხადება და აპოკალიპტიკა" http://www.seedbed.com/seven-minute-seminary/

ჯონ ვესლი. ვესლის ახსნა-განმარტებები ახალი აღთქმის შესახებ.
http://www.biblestudytools.com/commentaries/wesleys-explanatory-notes/

გაკვეთილი 12 ტესტის საკითხები

1. რას ნიშნავდა ფრაზა "Caesar is *Dominus et deus noster"* პირველ საუკუნეში?

2. სად მდებარეობს კუნძული პატმოსი?

3. რომელია გამოცხადების დაწერის სავარაუდო თარიღი?

4. ჩამოთვალეთ სამი საშუალება, რომლითაც იოანე ცხადყოფს ჭეშმარიტებას, რომ იესო უფალია.

5. ჩამოთვალეთ აპოკალიფსური ლიტერატურის ორი მახასიათებელი.

6. მოკლედ აღწერეთ ოთხივე მოსაზრება გამოცხადების შესახებ.

7. ჩამოთვალეთ მომავლის ოთხი ფუტურისტული ხედვა.

8. ჩამოთვალეთ სამი ძირითადი თემა გამოცხადების წიგნში.

გაკვეთილი 13

ახალი აღთქმის საკითხები დღევანდელ ეკლესიაში
გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

(1) ესმოდეს ახალი აღთქმის კანონიკის ფორმირება.

(2) იცოდეს სტანდარტები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ახალი აღთქმის კანონიკის ფორმირებისას.

(3) უარი თქვას აპოკრიფულ წიგნებზე, რომლებიც კანონიკის ნაწილი არ არის.

(4) ენდობოდეს ახალი აღთქმის ტექსტს, იმ ფორმით, როგორც მოაღწია ჩვენამდე.

გაკვეთილი

წაიკითხეთ: იუდას 1:1-25
დაიზეპირეთ: იუდას 1:3-4

ცრუ სწავლება ახალი არ არის დღევანდელი ეკლესიისთვის. პირველ საუკუნეშიც კი, ცრუ მასწავლებლები ცდილობდნენ შეცდომაში შეეყვანათ ეკლესია. ზოგიერთმა ცრუ მასწავლებლებმა უარყვეს ქრისტეს ღვთაებრიობა; პავლემ მათ უპასუხა კოლასელებში. ზოგი თავს ესხმოდა მოციქულთა მსახურებას; პავლემ ამაზე პასუხი გასცა 2 კორინთელებში. ზოგი ირწმუნებოდა, რომ მკვდრეთით აღდგომა უკვე მოხდა. პავლემ ამას უპასუხა 2 ტიმოთეს 2:18-ში. პირველი საუკუნის მეორე ნახევარში იოანე წერდა: „ბევრი ცრუწინასწარმეტყველი გამოვიდა წუთისოფელში."[418]

ჭეშმარიტების მრავალი საკითხი ფოკუსირებულია ბიბლიის ბუნებაზე. დღევანდელი ყველაზე საშიში ცრუ სწავლებები მომდინარეობს მათგან, ვინც უარყოფს საღვთო წერილის მთლიანობას ან აცხადებს, რომ აღმოაჩინეს გამოცხადების ახალო წყაროები წმიდა წერილის კანონის მიღმა.

ამ გაკვეთილში გადავხედავთ ახალ აღთქმასთან დაკავშირებულ სამ კითხვას. გაკვეთილის მიზანია ახალი აღთქმის ავტორიტეტისადმი ნდობის გაღვივება. ამ გაკვეთილზე შევისწავლით შემდეგ კითხვებს:

1) რომელი წიგნები შეგვიძლია მივიჩნიოთ ღვთის სიტყვად? <u>კანონიკის საკითხი</u>

2) არსებობს "დაკარგული" წიგნები, რომლებიც ღვთის სიტყვად უნდა იქნას მიჩნეული? <u>აპოკრიფული წიგნების საკითხი</u>

3) ზუსტად ემთხვევა ჩვენამდე მოსული ტექსტი ორიგინალ ტექსტს? <u>ტექსტური მთლიანობის საკითხი</u>

[418] 1 იო. 4:1

კანონიკის ფორმირება

საღვთო წერილის კანონიკა ქრისტიანისთვის მნიშვნელოვანი საკითხია. ის პასუხობს კითხვას: ”რომელი წიგნებია ღვთის სიტყვა ღმერთის ხალხისთვის?” საიდან ვიცით, რომ ახალი აღთქმის წიგნები ნამდვილად ღვთის სიტყვაა?

ტერმინი კანონიკა მომდინარეობს ბერძნული ტერმინიდან, რაც ნიშნავს "წესს" ("ნორმას") ან "სტანდარტს". ახალი აღთქმის კანონიკა შედგება იმ წიგნებისგან, რომლებიც შესაბამისობაშია იმ სტანდარტს, რომელსაც ადრეული ეკლესია იყენებდა იმის დასადგენად, რომელი ნაწერები იყო ნამდვილად ღვთის სიტყვა. კანონიკის ფორმირება ორი საკითხის შთაგონებით მოხდა.

- *ცრუ სწავლება.* ადრეულ ეკლესიაში, როგორც დღეს, ცრუ მასწავლებლებმა უარყვეს ბიბლიური გამოცხადებების ზოგი ნაწილი. მაგალითად, მეორე საუკუნეში მარკიონი ასწავლიდა, რომ ძველი აღთქმის ღმერთი ბოროტი იყო. თავისი სწავლების გასამყარებლად მარკიონმა უარყო ბიბლიის ყველა წიგნი, პავლეს წერილებისა და ლუკას სახარების ნაწილის გარდა. უნივერსალური კანონიკის მიღება აუცილებელი იყო დოქტრინის მყარი საფუძვლის შესაქმნელად. მასწავლებლებს შეეძლოთ დარწმუნებული ყოფილიყვნენ, რომ მათ მიერ ქადაგებული დოქტრინა ემყარებოდა ღვთის სიტყვას.

- *დევნა.* დევნის დროს ქრისტიანები შეეძლოთ მოეკლათ ქრისტიანული წერილების ფლობის გამო. მათ უნდა სცოდნოდათ: ”რომელი წიგნებისთვის ვარ მზად რომ სიცოცხლე გავწირო?”

მეოთხე საუკუნისთვის ქრისტიანული ეკლესია შეთანხმდა ღვთივშთაგონებული ტექსტების ჩამონათვალზე. მათ სამი კრიტერიუმი გამოიყენეს იმ წიგნებზე, რომლებსაც საღვთო წერილად მიიჩნევდნენ. იმისათვის, რომ კანონიკის ნაწილად ჩათვლილიყო, წიგნს სამი სტანდარტი უნდა დაეკმაყოფილებინა.

- *ავტორი.* ავტორი უნდა იყოს მოციქული ან მოციქულთან მჭიდროდ დაკავშირებული პირი. სახარების შემთხვევაში მათე და იოანე მოციქულები იყვნენ. მარკოზი პეტრესთან ერთადხოლო , ლუკა პავლესთან ერთად მოგზაურობდნენ.

- *გზავნილი (შეტყობინება).* წიგნის გზავნილი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ძველი აღთქმის გამოცხადებებს. მისი შეტყობინება (მთავარი აზრი) უნდა შეესაბამებოდეს იესო ქრისტეს სახარებას. წიგნი სულიერად უნდა აშენებდეს.

- *მიღება (აღიარება).* იმისათვის, რომ კანონიკის ნაწილად განიხილებოდეს, წიგნი უნდა მიიღოს (აღიაროს) მთელმა ეკლესიამ. ახალი აღთქმის წიგნები ფართოდ იყო ციტირებული ადრეული ეკლესიის მამების მიერ.

> ჩემი გული სიტყვას ეყრდნობა - ღვთის დაწერილ სიტყვას;
> ხსნა ჩემი მაცხოვრის სახელით
> ხსნა მისი სისხლით.
> ”ჩემმა რწმენამ ჰპოვა
> მოსასვენებელი ადგილი"
>
> ლიდი ედმუნდსის საგალობელი

თანამედროვე სკეპტიკოსები ამტკიცებენ, რომ კანონიკა შეიქმნა ეკლესიის ხელისუფლების მიერ, როგორც ძალაუფლების მოსაპოვებელი ბერკეტი. ასეთი კრიტიკოსები ვერ აცნობიერებენ, რომ კანონიკა საყოველთაოდ შეთანხმებული სტანდარტი იყო; ეს არ იყო ამბიციური ეპისკოპოსების პროდუქტი. ახალი აღთქმის კანონიკა ოფიციალურად დამტკიცდა 397 წელს კართაგენის საბჭოში. ამასთან, ახალი აღთქმის წიგნები თეოლოგებმა დაასახელეს ამ საბჭომდე 200 წლით ადრე.
თეოლოგი ჯ.ი. პაკერი წერს: ”ეკლესიამ ახალი აღთქმის კანონი ისევე მოგვცა, როგორც სერ ისააკ ნიუტონმა - მიზიდულობის ძალა.”[419] ნიუტონს არ *გამოუგონია* მიზიდულობის ძალა; მან აღმოაჩინა ის, რაც ღმერთმა უკვე შექმნა. იგივენაირად, ეკლესიას არ გამოუგონია კანონიკა; ეკლესიამ აღმოაჩინა წიგნები, რომლებიც ღმერთმა უკვე შთააგონა.

კართაგენის საბჭომ დაადასტურა კანონიკა, რომელიც უკვე მიღებული იყო სარწმუნოების მთელი ოჯახის მიერ. კანონიკა შეიცავს იმ წიგნებს, რომლებზეც ყველა ასაკის ქრისტიანები შეთანხმდნენ, რომ ისინი ღვთივშთაგონებული ღვთის სიტყვაა.

აპოკრიფული წიგნები

ახალი აღთქმის პერიოდის აპოკრიფული წიგნები არის წიგნები, რომლებიც წმინდა ქრისტიანულ წერილებად ითვლებოდა, მაგრამ ადრეულმა ეკლესიამ უარყო.

როგორც სამეცნიერო ნაშრომების, ასევე პოპულარული ნოველების მწერლებმა ხელი შეუწყეს აზრს, რომ არსებობს "დაკარგული სახარებები", რომლებიც ეკლესიამ აკრძალა პოლიტიკური მიზეზების გამო.[420] ეს მწერლები ამტკიცებენ, რომ ადრეული ქრისტიანების მიერ მიღებული ზოგიერთი წიგნი მოგვიანებით აიკრძალა ეკლესიის ოფიციალური წარმომადგენლების მიერ, რომელთაც სურდათ ოფიციალურ საეკლესიო სწავლებასთან ნებისმიერი შეუსაბამობის ჩახშობა. ამ თეორიის თანახმად, ამ ახლად აღმოჩენილ "სახარებებში" ნაჩვენებია, რომ ადრეულ ეკლესიას ჰქონდა ფართო უთანხმოება ღვთისმშობლის დაბადებასთან, იესოს ღვთაებრიობასთან, აღდგომის ისტორიულ ჭეშმარიტებასთან

[419] ჯ.ი. პაკერი, *ღმერთი ელაპარაკება ადამიანს.* Westminster Press, 1965, 81.
[420] სამეცნიერო მაგალითია ელეინ პეიჯელსის გნოსტიკური სახარებები. იგივე იდეა განავრცო დენ ბრაუნმა თავის ბესტსელერ რომანში, "დავინჩის კოდი".

და ქრისტიანული დოქტრინის სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. ეს სკეპტიკოსები ამტკიცებენ, რომ მეოთხე საუკუნემდე არ არსებობდა საყოველთაოდ შეთანხმებული კანონიკა.

ვთუმცა, ეს „დაკარგული სახარებები“ კარგად იყო ცნობილი და უარყოფილი ეკლესიის ისტორიის დასაწყისშივე. მეორე საუკუნეში მწერლები, როგორიცაა ტერტულიანე და ირინეუსი, მწვალებლობის (ერესის) წინააღმდეგ წერდნენ. ამ ნაშრომების ნაწილი უკვე დასახელებული იყო ცრუ წიგნებად მურატორის კანონში, მეორე საუკუნის ახალი აღთქმის წიგნების ჩამონათვალში. იუდას ეპისტოლედან ჩანს, რომ პირველ საუკუნეშიც საჭირო იყო ეღვაწათ „რწმენისთვის, რომელიც ერთხელ წმიდანებს გადაეცათ.“ ცრუ მასწავლებლები უკვე „შემოიპარნენ.”[421]

აპოკრიფული წიგნები მოიცავს მართლმადიდებლური ტექსტებიდან, რომლებიც შეიძლება ღირებული იყოს ადრეული ეკლესიის პრაქტიკის ასახვისთვის, ერეტიკური ტექსტების ჩათვლით, რომლებიც ხელს უწყობდა ცრუ მოძღვრებებს. ცნობილ აპოკრიფულ წიგნებში შედის *კლიმენტი I, ბარნაბას ეპისტოლე, დიდახე (დიდაქე)* და *ერმის „მწყემსი“* (*ჰერმასის მწყემსი).* ეს ტექსტები მართლმადიდებლურია თავისი სწავლებით, მაგრამ ისინი არ აკმაყოფილებდნენ ადრეული ეკლესიის სტანდარტებს, მათ კანონიკაში მოსაქცევად.

ერეტიკურ აპოკრიფულ წიგნებში შედის *თომას სახარება*, მეორე საუკუნის გნოსტიკური ტექსტი, რომელიც შეცდომით მიაწერეს მოციქულ თომას; *ეპისტოლე ლაოდიკეელთა მიმართ*; და *პეტრეს აპოკალიფსი*, გნოსტიკური ტექსტი, რომლის გადმოცემითაც იესო იცინოდა ჯვარზე. ასეთი ტექსტები ეკლესიას არასოდეს უღიარებია. ვიდრე კართაგენის საბჭომ უარყო, ბევრად უფრო ზუსტია იმის თქმა, რომ ამ წიგნებს ეკლესიის *არცერთი* მონაკვეთი არასოდეს მიიჩნევდა საღვთო წერილად.

აპოკრიფული ტექსტები არ წარმოადგენს ჭეშმარიტების ნამდვილ წყაროს ქრისტიანი მორწმუნეებისათვის. ის, რისიც ჩვენ გვჯერა, დაფუძნებულია „რწმენაზე, რომელიც ერთხელ მიეცა წმინდანებს.”[422] ეს რწმენა არ შეცვლილა და არც შეიცვლება. ჩვენი რწმენა ემყარება ღვთის სიტყვის მყარ საფუძველს.

ახალი აღთქმის ტექსტის მთლიანობა

სკეპტიკოსების თავდასხმის მესამე არგუმენტია, რომ ახალი აღთქმის ტექსტი არასანდოა. ისინი ამტკიცებენ, რომ წმინდა წერილების გადაწერისას შეცდომები გაეპარათ. ეს კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ მაშინაც კი, თუ ორიგინალი ტექსტი იყო ღვთისგან შთაგონებული, ჩვენ ვერაფრით დავამტკიცებთ, რომ დღეს არსებული ბიბლია ზუსტია.

[421] იუდა 1:3-4
[422] იუდა 1:3

შეიძლება ვენდოთ თანამედროვე ბიბლიის ტექსტობრივ მთლიანობას? ამ კითხვაზე პასუხია "დიახ!" მართალია, ახალი აღთქმის წიგნები გადმოგვეცა ხელნაწერი სახით და მართალია, შეცდომები შეიძლება დაშვბულიყო მათი ხელით გადაწერისას. თუმცა, რადგან ეს იყო ღვთის მიერ შთაგონებული სიტყვა, გადამწერები დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ თავიანთ ამოცანას. სწავლულებმა თავიანთი სიცოცხლე მიუძღვნეს ახალი აღთქმის მაქსიმალურად ზუსტად გადაწერას.

5000-ზე მეტ ხელნაწერთან დაკავშირებით, რომლებიც შეიცავს ახალ აღთქმას მთლიან ან მის რომელიმე ნაწილს, ჩვენ გვაქვს უამრავი მტკიცებულება იმისა, რომ მათი დღევანდელი ტექსტი შეესაბამება ადრეულ ხელნაწერებს. არცერთი სხვა უძველესი ტექსტი არ არის იმდენი ხელნაწერით გამყარებული, როგორც ახალი აღთქმა.

ორი უძველესი ტექსტის შედარება	
ახალი აღთქმა	ჰომეროსის ილიადა
5000 მეტი ხელნაწერი	643 ხელნაწერი
შემორჩენილი ხელნაწერებიდან ყველაზე ადრეული, ორიგინალის დაწერიდან, 100 წელზე ნაკლებ დროში დაწერილია	ყველაზე ადრეული, შემორჩენილი ხელნაწერი, ორიგინალის დაწერიდან 500 წლის შემდეგ არის დაწერილი
1%-დან ½-ზე ნაკლები სიტყვის მიმართ არსებობს კითხვები [423]	**სიტყვების 5% გაურკვეველია**

რომელ ტექსტს ენდობით?

რას ნიშნავს ეს ჩვენთვის?

თუ დღევანდელი ბიბლია არ არის სანდო, არ გვაქვს მყარი საფუძველი ჩვენი რწმენისთვის. ამასთან, ჩვენ გვჯერა ახალი აღთქმის, როგორც ღვთის შთაგონებული სიტყვის, რომელიც უშეცდომოდ არის გადმოცემული.

კანონი ასახავს ადრეული ეკლესიის საყოველთაო შეთანხმებას, რომ ეს ოცდაშვიდი წიგნი ღვთის შთაგონებული სიტყვაა. სხვა აპოკრიფულმა წიგნებმა ვერ გაიარეს კანონიკურობის გამოცდა და უნდა უარყოფილ იქნენ მართლმადიდებელი (ორთოდოქსი) ქრისტიანების მიერ. და ბოლოს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ტექსტი ემთხვევა ორიგინალს.

[423] არცერთ ამ სიტყვას არ აქვს გავლენა მოძღვრების საკითხებზე ან ისტორიულ ფაქტზე. ხელნაწერთა შორის განსხვავებები ჩანს მუხლებში, როგორიცაა ლუკა 10: 1; ზოგი ხელნაწერი მიუთითებს სამოცდაათი მუშაკის შესახებ, ზოგი კი სამოცდათორმეტი მუშაკის შესახებ. არ არსებობს კითხვები სიზუსტესთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება სახარების არსს ან ქრისტიანულ მოძღვრებას.

ახალი აღთქმის სწავლებისას, ამას თავდაჯერებულად ვაკეთებთ. ჩვენ ვქადაგებთ და ვასწავლით დარწმუნებით, რომ "მთელი წერილი ღვთივსულიერია და სასარგებლოა სასწავლებლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად და დასარიგებლად სიმართლეში."[424]

ჯონ ვესლი შეცდომებზე საღვთო წერილში

„არადა, თუ შეცდომებია ბიბლიაში, შეიძლება ათასიც იყოს. თუ ამ წიგნში ერთი სიცრუეც კი არის, ის არ მომდინარეობს ჭეშმარიტების ღმერთისგან.

ვესლის დღიური,
ივლისი 24, 1776.

გაკვეთილის დავალება

წარმოაჩინეთ თქვენ მიერ ამ გაკვეთილის აღქმა ტესტის გავლით. ტესტი მოიცავს საზეპირო მუხლს საღვთო წერილიდან (იუდა 1: 3-4).

გავიღრმავოთ ცოდნა

ახალი აღთქმის სანდოობის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის, იხილეთ შემდეგი რესურსები.

<u>ბეჭდური წყაროები</u>

ფ. ბრიუსი. *ახალი აღთქმის დოკუმენტები: სანდოა ისინი?* InterVarsity, 1988.

ჯოშ მაკდაუელი. *ახალი მტკიცებულება, რომელიც მოითხოვს დასკვნას.* Thomas Nelson, 1999.

<u>ელექტრონული (ინტერნეტ) წყაროები</u>

ჯოშ მაკდაუელი. *ბიბლია: ფაქტი, ფანტასტიკა ან სიცრუე. ონლაინ ვიდეო სერიები.*
http://www.josh.org/video-2/bible-fact-fiction-or-fallacy/

ეიმი ორრევინგი. ხელნაწერების სანდოობა. ონლაინ ვიდეო რავი ზაქარიას მსახურებისგან.
http://www.youtube.com/watch?v=dLI7W4bnVpA

[424] 2 ტიმთ. 3:16.

გაკვეთილი 13 ტესტის საკითხები

1. რას ნიშნავს სიტყვა „კანონი“ ("კანონიკა") ახალ აღთქმასთან მიმართებაში?

2. დაასახელეთ ახალი აღთქმის კანონიკის ფორმირების ორი მიზეზი.

3. ჩამოთვალეთ სამი სტანდარტი, რომლებიც გამოიყენება ახალი აღთქმის კანონიკის დადგენისას.

4. განსაზღვრეთ რას ნიშნავს აპოკრიფები.

5. დაასახელეთ ადრეული ქრისტიანობის ორი მწერალი, რომლებიც უპირისპირდებოდნენ მწვალებლობებს.

6. რა პრობლემას ეხება ახალ აღთქმასთან დაკავშირებული ტერმინი "ტექსტური მთლიანობა"?

7. შეადარეთ ახალი აღთქმის ხელნაწერი მტკიცებულებები ჰომეროსის *ილიადის* ხელნაწერ მტკიცებულებებს.

პასუხები 1 გაკვეთილის ტესტის საკითხებზე

1. ჩამოთვალეთ პალესტინის სამი გეოგრაფიული რეგიონი, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გადაადგილებისას.

სანაპირო დაბლობი ცენტრალური მაღალმთიანეთ იორდანეს ხეობა

2. რა მნიშვნელობა აქვს სამარიას იესოს მსახურებისთვის?

ის მდებარეობს იუდეასა და გალილეას შორის. ებრაელების უმეტესობა მას თავს არიდებდა. იესო იქ წავიდა, რათა ემსახურა ჭასთან მყოფი ქალისთვის.

3. აღწერეთ ჰეროდე დიდისა და ებრაელების ურთიერთობა.

ჰეროდე პატივს სცემდა ებრაელებს. მან აღადგინა ტაძარი და იცავდა მათ კვების კანონებს. თუმცა, ის ასევე ძალიან შურიანი იყო და დახოცა ბეთლემის ჩვილები, რათა მეტოქე მეფე გაენადგურებინა.

4. ჰეროდეს რომელი ვაჟი მონაწილეობდა იესოს წამებასა და ჯვარცმაში?

გალილეის მმართველი ჰეროდე ანტიპა

5. ჩამოთვალეთ ბერძნული ენის სამი დადებითი წვლილი ადრეულ ეკლესიაში.

საერთო ენა სახარების გავრცელებისთვის
ზუსტი ენა თეოლოგიური ცნებების გადმოსაცემად
სეპტუაგინტა, ძველი აღთქმის თარგმანი ბერძნულად

6. განმარტეთ, რას ნიშნავს *pax Romana (პაქს რომანა).*

რომაული მშვიდობა, რომელიც რომის იმპერიაში შედარებით უსაფრთხო მოგზაურობის საშუალებას იძლეოდა.

7. ჩამოთვალეთ ოთხი ფუნქცია, რომელსაც სინაგოგა ასრულებდა ებრაულ თემში.

ღვთისმსახურების ადგილი ბავშვების განათლების ცენტრი
რელიგიური და სამოქალაქო სასამართლო სოციალური საქმიანობის ცენტრი

8. რა სწავლებები ჰქონდათ ფარისევლებს და ქრისტიანებს საერთო?

აღდგომა, ანგელოზები, ლოცვა მესიის მოლოდინი და ძველი აღთქმის პატივისცემა.

9. რას გმობდა იესო ფარისევლებთან დაკავშირებით?

მათ საქმეებს და არა მათ სარწმუნოებას.

10. რა ძირითადი განსხვავება იყო ფარისევლებსა და სადუკეველებს შორის?

სადუკეველებმა უარყვეს წინასწარმეტყველური წიგნები. მათ უარყვეს ორთოდოქსი ებრაელების (იუდეველების) სწავლება ანგელოზების, სულების და აღდგომის შესახებ.

პასუხები 2 გაკვეთილის ტესტის საკითხებზე

1. რატომ ეწოდება პირველ სამ სახარებას სინოპტიკური სახარებები?

ისინი გვაწვდიან ერთი და იგივე მოვლენების სამი ხედვას.

2. მოიყვანეთ სამი მტკიცებულება, რომ მათე ებრაელი აუდიტორიისთვის იყო განკუთვნილი.

ნებისმიერი სამი: ის არ ხსნის ებრაულ წეს-ჩვეულებებს
ძველი აღთქმის ხშირი ციტირება
ყურადღება იესოს მიერ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველების აღსრულებაზე
ფრაზის „ცათა სასუფეველის“ გამოყენება „ღმერთის სასუფევლის“ ნაცვლად.“

3. ჩამოთვალეთ სამი ძირითადი თემა მათეს სახარებაში.

იესო მეფეა იესო ძველი აღთქმის აღსრულება
იესოს ქადაგებები

4. ჩამოთვალეთ სამი ძირითადი თემა მარკოზის სახარებაში.

იესო -მსახური იესო ღვთის ძე მესიანური საიდუმლო

5. ჩამოთვალეთ და განმარტეთ სამი აუდიტორია, რომლებიც დაკავშირებულია მესიანურ საიდუმლოსთან მარკოზის სახარებაში.

დემონები: იესოს არ სურდა მათთან ასოცირება
ვინც განკურნა: იესოს სურდა თავიდან აეცილებინა ზეწოლა ბრბოსგან, რომელიც ეძებდა განკურნებას
მოწაფეები: მათ ჯერ არ ესმოდათ მისი, როგორც მესიის, როლი

6. რა ვიცით თეოფილეს შესახებ? ლუკას შესახებ?

თეოფილე რომაელი მოხელე იყო; სავარაუდოდ ახალმოქცეული
ლუკა იყო წარმართი ექიმი, რომელიც პავლესთან ერთად მოგზაურობდა

7. რას გვასწავლის ქალკედონის რწმენის სიმბოლო იესოს ბუნების შესახებ?

ის ნამდვილად ღმერთი და ჭეშმარიტად ადამიანია

8. ჩამოთვალეთ ოთხი მთავარი თემა ლუკას სახარებაში.

იესო როგორც ძე კაცისა იესო, როგორც ქვეყიერების მხსნელი
ლოცვის მნიშვნელობა სულიწმინდის მნიშვნელობა

9. ჩამოთვალეთ დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანებისთვის იესოს მსახურების სამი მაგალითი ლუკას სახარებიდან.

ნებისმიერი სამი: მწყემსები ქალები იესოს მსახურებაში ზაქე
სამარიტელები ავაზაკი ჯვარზე

10. ჩამოთვალეთ სულიწმიდის მოქმედების სამი მაგალითი იესოს მიწიერი ცხოვრების განმავლობაში.

ნებისმიერი სამი: იოანე ნათლისმცემელი, ელისაბედი, და ზაქარია
სიმეონი
იეოს გამოცდა
იესოს ჩასახვა
იესოს ნათლობა
იესოს მსახურება გალილეაში

პასუხები 3 გაკვეთილის ტესტის საკითხებზე

1. რატომ არის განსაკუთრებული მნიშვნელობის პოლიკარპეს მოწმობა იოანეს ავტორობის შესახებ?

   პოლიკარპე იოანეს მოწაფე იყო.

2. რა იყო იოანეს მიზანი მისი სახარების დაწერისას?

   “რათა ირწმუნოთ, რომ იესო არის ქრისტე, ძე ღმერთისა, და რათა მორწმუნეებს სიცოცხლე გქონდეთ მის სახელში.”

3. როგორ იკითხება ეს მიზანი იოანეს სახარებაში შეტანილ მასალაში?

   ის შეიცავს შვიდ „ნიშანს“ (სასწაულს) იმის საჩვენებლად, რომ იესო არის ქრისტე.
   მან მოიყვანა იესოს მოწმობები თავის ღვთაებრიობაზე.

4. რას გვიჩვენებს იოანეს პროლოგი იესოს გენეალოგიის შესახებ??

   ეს არის "ღვთიური გენეალოგია", რომელიც გვაჩვენებს იესოს, როგორც ღმერთის მარადიულ სიტყვას.

5. ჩამოთვალეთ შვიდი „ნიშანი“ იოანეს სახარებიდან.

წყლის ღვინოდ გადაქცევა კანაში
კაპერნაუმში მოხელეს ვაჟის
განკურნებაპარალიზებულის განკურნება ბეთ-
ხაზდაში
5000-ს გამოკვება
წყალზე სიარული
ბრმადშობილის განკურნება
ლაზარეს აღდგინება მკვდრეთით

6. მოიყვანეთ სამი მაგალითი, სადაც იესო ამოწმებს მის ღვთაებრიობაზე.

იესო ამოწმებს ნიკოდემოსთან

იესო ამოწმებს სამარიტელ ქალთან

იესო ამოწმებს კაცის განკურნების შემდეგ ბეთ-ხაზდაში

იესო ამოწმებს 5000-ის დაპურების შემდეგ

იესო ამოწმებს კარვების დღესასწაულზე

იესო ამოწმებს: “სანამ აბრაჰამი იქნებოდა, მე ვარ”

7. როგორ მოიქცნენ ებრაელი ლიდერები იესოს მტკიცებაზე, რომ ის ღმერთი იყო?

ისინი ცდილობდნენ მის მოკვლას.

8. რომელ სამ საკითხზე ლოცულობდა იესო "მღვდელმთავრის ლოცვაში"?

საკუთარ თავზე: რათა ის განდიდებულიყო მამაში

მოწაფეებისთვის: მათ დაცვასა და განწმენდისთვის

ყველა მორწმუნესთვის: რომ მათი ერთიანობა მოწმობა ყოფილიყო ქვეყნიერებისთვის

პასუხები 4 გაკვეთილის ტესტის საკითხებზე

1. რატომ იყო ეფესო მნიშვნელოვანი პავლეს ევანგელიზაციის სტრატეგიისთვის?
   ეს იყო რომის აზიის პროვინციის დედაქალაქი.

2. რატომ იყო რომი მნიშვნელოვანი პავლეს ევანგელიზაციის სტრატეგიისთვი?
   ეს იყო რომის იმპერიის ცენტრალური ქალაქი.

3. რომის რომელი იმპერატორები უკავშირდებიან ადრეული ეკლესიის დევნას?
   ნერონი და დომიციანე

4. რატომ არის საქმეების დაწერის თარიღი სავარაუდოდ 50-იანი წლების ბოლო, ან 60-იანი წლების დასაწყისი?
   საქმეების ბოლოს პავლე შინაპატიმრობაში იმყოფება. მას ჯერ არ ემუქრება გარდაუვალი წამება.

5. ჩამოთვალეთ მთავარი გზავნილის კერიგმის სამი ასპექტი, რომელსაც მოციქულები ქადაგებდნენ.
   იესო ქრისტეს უფლობა
   სახარების ისტორიული ჭეშმარიტება
   ხსნა მადლით რწმენის მეშვეობით

6. ვინ იყო პირველი ქრისტიანი წამებული (მოწამე)?
   სტეფანე

7. რა როლი ეკისრებოდა დევნას ადრეული ეკლესიის მახარებლურ საქმიანობაში?
   ამან ქრისტიანებს იერუსალიმის გარეთ უბიძგა.

8. რომელი იყო პირველი მულტიკულტურული და მისიონერების წარმგზავნი ეკლესია პირველ საუკუნეში??
   ანტიოქია

9. ჩამოთვალეთ ოთხი მოთხოვნა, რომლებიც იერუსალიმის საბჭომ წარუდგინა წარმართობიდან მოქცეულებს.
   კერპებისთვის შეწირულ ხორცისგან
   დამხრჩვალის ხორცისგან
   სისხლიან ხორცისგან
   სექსუალური უზნეობისგა

10. რა დადებითი შედეგები მოყვა პავლესა და ბარნაბას შორის განხეთქილებას?

სილა გახდა დაფასებული მუშაკი ეკლესიაში
პავლეს და ბარნაბას ძალისხმევა გაორმაგდა მათი ცალცალკე მუშაობით

პასუხები 5 გაკვეთილის ტესტის საკითხებზე

1. ჩამოთვალეთ სამი მიზანი რომაელებისთვის.

   გადაუდებელი საკითხების მიზანი: ურთიერთობა იუდეველ და წარმართ ქრისტიანებს შორის

   პირადი მოტივაცია: პავლეს მახარებლური კამპანიის მხარდაჭერა ესპანეთში

   საბოლოო მიზანი: სწავლება, როგორ უნდა გამოვასწოროთ ჩვენი დამოკიდებულება ღმერთთან

2. ჩამოთვალეთ ოთხი ჭეშმარიტება სახარების შესახებ, რომლის აღმოჩენაც შეიძლება რომაელების წერილის შესავალში.

   ის ნაწინასწარმეტყველებია ძველ აღთქმაში

   ის ასწავლის, რომ იესო ნამდვილად იყო მესია და ღვთის ძე

   ის არის ხსნის ძალა ყველასთვის, ვისაც სწამს

   ის უცხადებს ღვთის სიმართლეს ყველას, ვისაც სწამს

3. ჩამოთვალეთ სამი ჯგუფი, რომლებიც დაგმობილია რომაელების 1-3 თავებში.

   ურჯულოები, კერძოდ წარმართები მორალისტები ებრაელები

4. რომაელების 6 თავში, რას პასუხობს პავლე კითხვას, თუ შეგვიძლია გავნაგრძოთ ცოდვაში ცხოვრება, რათა მადლი გამრავლდეს?

   როდესაც ჩვენ მოვინათლეთ ქრისტეში, ცოდვებს მოვუკვდით. ცოდვაში ცხოვრება აღარ შეგვიძლია.

5. რომაელების 7:7-25-ს რომელი სამი განმარტება არსებობს?

   პავლე აღწერს ნორმალურ ქრისტიანულ ცხოვრებას

   პავლე აღწერს განუწმენდელ მორწმუნეს

   პავლე აღწერს გამოღვიძებულ ცოდვილს

6. პავლე ისრაელის ურწმუნოების პრობლემას სამი ჭეშმარიტებით პასუხობს. ჩამოთვალეთ ეს ჭეშმარიტებები..

   ღმერთის დანაპირები *მხოლოდ* მორწმუნეებისთვისაა.

   ისრაელი უარყოფილი იქნა მისი ურწმუნოების გამო.

   ისრაელის უარყოფა დროებითია და არა სამუდამო.

7. რომაელთა 12-15 თავებიდან ჩამოთვალეთ ღვთის სიმართლით ცხოვრების სამი გზა.

   ნებისმიერი სამი:

   გამოვიყენებთ ჩვენს სულიერ ნიჭებს, რათა ვემსახუროთ სხვებს

   მოვექცევით სხვებს ისე, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანობის ნიშნები ვაჩვენოთ

   დავემორჩილებით მმართველობას და ხელისუფლებას

   აღვასრულებთ რჯულს სიყვარულის მეშვეობით

დავიცავთ თავისუფლების პრინციპს იმით, რომ არ განვსჯით ჩვენს ძმას
დავიცავთ სიყვარულის პრინციპს იმით, რომ არ გამოვიყენებთ ჩვენს თავისუფლებას სუსტი ძმის დასაბრკოლებლად
მივყვებით ქრისტეს მაგალითს

პასუხები 6 გაკვეთილის ტესტის საკითხებზე

1. რატომ იყო კორინთო პავლეს ევანგელიზაციის სტრატეგიისთვის მნიშვნელოვანი ქალაქი?
   მისმა მდებარეობამ მთელი იმპერიის მეზღვაურები მიიზიდა.

2. ვინ მუშაობდა პავლესთან ერთად კორინთოში ეკლესიის დაფუძნებაზე?
   აკვილა და პრისკილა

3. კორინთოში არსებულმა რომელმა პრობლემებმა განაპირობა 1 კორინთელთა წერილი?
   დაყოფა ეკლესიაში; ღია ცოდვასთან შემგუებლობა; პავლეს ძალაუფლებასთან დაპირისპირება

4. 1 კორინთელთა წერილში რომელი ფრაზით შემოყავს თითოეული კითხვა პავლეს, რომელსაც შემდგომში თვითონ პასუხობს?
   "რაც შეეხება..."

5. ჩამოთვალეთ სამი თემა რომელსაც პავლე ეხება 2 კორინთელთა წერილში.
   პავლეს მოციქულობის დაცვა
   პავლეს სამართლიანობის (პატიოსნების) დაცვა
   პავლეს მესამე ვიზიტის გეგმები

6. რა იყო პავლეს მიზანი გალატელთა წერილის დაწერისას?
   იუდაიზერების ცრუ სახარებიდან სიყვარულის რჯულისკენ მოწოდება.

7. რა იყო იუდაიზერების ცრუ სწავლება?
   "ჩვენ დახსნილნი ვართ რწმენით პლუს რჯულით"

8. რაში მდგომარეობს გალატელთა წერილში შეთავაზებული არჩევანი?
   თავისუფლება ქრისტეში თუ ხორცის მონობა

9. განმარტეთ „ლეგალიზმი" (რელიგიურობა).
   ადამიანი, რომელიც ემორჩილება ღმერთის რჯულს ხსნის მოსაპოვებლად.

10. ლეგალიზმის საწინააღმდეგო არგუმენტში პავლემ აღნიშნა ოთხი რამ. რა არის ეს?
    პავლეს გამოცდილება.
    გალატელების გამოცდილება.
    აბრაამის გამოცდილება.
    თავად რჯული.

პასუხები 7 გაკვეთილის ტესტის საკითხებზე

1. როდის და საიდან დაიწერა ციხის ეპისტოლეები?
   60-იანი წლების დასაწყისში რომში

2. რატომ არ შეიცავს ეფესელების წერილი პირად მოკითხვებს?
   რადგან ეს იყო ცირკულარული წერილი, რომელიც კოლოსელთათვის უნდა გადაეცათ.

3. დაასახელეთ ეფესელთა წერილის ორი დიდი ნაწილი.
   დოქტრინა: რა გააკეთა ღმერთმა ეკლესიისთვის
   გამოყენება: რას აკეთებს ღმერთი ეკლესიაში

4. ეფესელთა წერილის 1 თავიდან ჩამოთვალეთ სამების თითოეული პირის როლი ჩვენს ხსნაში.
   მამის როლი: ჩვენი არჩევა
   ძის როლი: ჩვენი გამოსყიდვა
   სულიწმიდის როლი: ჩვენი დაცვა

5. ეფესელთა მე -3 თავის თანახმად, რა არის „სახარების საიდუმლო“?
   ეკლესიის, როგორც ერთი სხეულის შექმნა, რომელიც შედგება ებრაელისა და წარმართებისგან

6. დაასახელეთ ორი საფრთხე, რომელიც ემუქრებოდა ფილიპელთა ეკლესიას.
   გარე საფრთხე: იუდაიზერების თავდასხმები
   შიდა საფრთხე: დაყოფანი

7. ფილიპელთა მე-2 თავში რას ნიშნავს - ქრისტემ „თავი დაიმდაბლა“?
   ის გახდა კაცი. მას არ დაუთმია თავისი ღვთაებრიობა (ღმერთობა).

8. რომელმა სამმა გავლენამ განაპირობა კოლასელთა ერესი?
   ორთოდოქსული ებრაული სწავლება
   ებრაული მისტიციზმი
   წარმართული რიტუალები

9. განსაზღვრეთ სინკრეტიზმი.
   ერთზე მეტი რელიგიის შერწყმა

10. ჩამოთვალეთ სამი გზა, რომლითაც ციხის ეპისტოლეებები მიმართავს დღევანდელ ეკლესიას.
   სწავლება (დოქტრინა) უნდა იყოს გამოყენებული ყოველდღიურ ცხოვრებაში
   სულიერი ომი რეალურია, მაგრამ ქრისტემ უკვე მოგვიპოვა საბოლოო დამარჯვება
   შერიგების სახარებით უნდა ვიცხოვროთ რეალურ სამყაროში

პასუხები 8 გაკვეთილის ტესტის საკითხებზე

1. აღწერეთ გარემო, რომლის დროსაც დააფუძნეს ეკლესია თესალონიკში.

ინტენსიური წინააღმდეგობისას ებრაელთა მხრიდან

2. ჩამოთვალეთ სამი რამ, რითიც ამხნევებს პავლე თესალონიკის ეკლესიას წინააღმდეგობის პირობებში.

დარწმუნებულობა პავლეს ლოცვებში (მათთვის)

პავლეს ტანჯვის მაგალითის შეხსენება

მადლიერება მათი ერთგულებისთვის

3. რას ეუბნება პავლე თესალონიკელებს ქრისტეს დაბრუნების დროისა და წინაპირობის შესახებ?

"საჭირო არ არის რაიმე მოგწეროთ" ამ საკითხთან დაკავშირებით

4. პავლე ამ ქრისტიანებს კონკრეტულ გამხნევებას უგზავნის განწმენდის შესახებ. რას ეუბნება მათ?

ღმერთი, რომელიც სიწმინდისკენ მოუწოდებს, განწმენდს მათ.

5. თუ 1 თესალონიკელთა ძირითადი გზავნილია "ქრისტე დაბრუნდება", რა არის მეორე თესალონიკელთა ძირითადი აზრი?

ქრისტე ჯერ არ დაბრუნებულა.

6. თუ მივყვებით პავლეს მაგალითს, რაზე გავამახვილებთ ყურადღებას მეორედ მოსვლის შესახებ ქადაგებისას?

როგორ ვიცხოვროთ დღეს მეორედ მოსვლისთვის მომზადების პროცესში.

პასუხები 9 გაკვეთილის ტესტის საკითხებზე

1. რა არის პასტორალური წერილების სავარაუდო თარიღი?

ისინი დაიწერა დაახლოებით ახ. წ. 64 და 67წწ.-ში.

2. ჩამოაყალიბეთ ერთი ხერხი, რომლითაც 2 ტიმოთესა და ტიტეს შინაარსი წარმოაჩენს პავლეს, როგორც მათ ავტორს.

ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

-პირადი მონაცემები თანამშრომლების შესახებ

-სამომავლო გეგმები

-მინიშნებები პავლეს მოსალოდნელ სიკვდილზე.

3. რა მიზანს ემსახურებოდა პავლეს მიერ 1 ტიმოთეს წერილის დაწერა?

მისცეს მითითებები და გაამხნევოს ტიმოთე.

4. რა მხრივ აღმოჩნდა პავლეს დამოწმება გამამხნევებელი ტიმოთესთვის, როდესაც ცრუ მასწავლებლების პრობლემას წააწყდა?

პავლე სახარების მოწინააღმდეგე იყო და შეწყალებულ იქნა. ეს გვიჩვენებს ქრისტეს ძალას, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ცხოვრება.

5. დაასახელეთ და განსაზღვრეთ ადრეული ეკლესიის ორი (თანამდებობა) ფუნქცია-მოვალეობა.

ეპისკოპოსები ასწავლიდნენ და ქადაგებდნენ. ისინი ზრუნავდნენ სამწყსოზე, განსაკუთრებით სულიერ საჭიროებებზე.

დიაკვნებს ევალებოდათ ფიზიკური მომსახურების სფეროები.

6. როგორი იყო ტიტეს ურთიერთობა პავლესთან?

ტიტე იყო წარმართი, რომელიც, სავარაუდოდ, პავლეს მსახურების დროს მოექცა და გახდა მისი ერთ-ერთი თანაშემწე.

7. რა იყო პავლეს მიერ ტიტესათვის ეპისტოლეს მიწერის მიზანი?

ტიტეს დახმარება და წინამძღოლობა ადგილობრივი ეკლესიის მშენებლობაში.

8. კეთილი საქმეების რომელ ორ მოტივაციას აძლევს პავლე ტიტეს?

“რათა არ იგმობოდეს ღვთის სიტყვა.”

“რათა ყოველნაირად შეამკონ ჩვენი მაცხოვარი ღვთის მოძღვრება.”

9. როგორ შეესაბამება მარკოზ-იოანეს გამოცდილება პავლეს მიერ ერთგულების სწავლებას 2 ტიმოთეს წერილში?

მარკოზ იოანემ ერთხელ დატოვა პავლეს მისიონერული გუნდი და შინ დაბრუნდა. თუმცა, 15 წლის შემდეგ მან დაამტკიცა თავისი ერთგულება და მიძღვნა.

10. ჩამოთვალეთ ოთხი საშუალება, რომლითაც პასტორული წერილები მიმართავენ დღევანდელ ეკლესიას.

ჭეშმარიტი დოქტრინის მნიშვნელობა

ეკლესიის ლიდერების თვისებები

კეთილი საქმეების მნიშვნელობა, როგორც სახარების დემონსტრირების საშუალება

მუდმივი ერთგულების მოწოდება

პასუხები 10 გაკვეთილის ტესტის საკითხებზე

1. რატომ უწოდებენ ებრაელებიდან - იუდას ჩათვლით წიგნებს "ზოგად ეპისტოლეებს"?
ისინი არ მიმართავენ კონკრეტულ, სპეციფიკურ აუდიტორიას (მსმენელებს), ან მათ მიმართ არიან, ვისზეც ძალიან ცოტა რამ გვსმენია.

2. დაასახელეთ ორი არგუმენტი, პავლეს ებრაელთა წერილის ავტორობის სასარგებლოდ.
ნებისმიერი ორი:
ქრისტეს პიროვნებასა და საქმეების ხაზგასმა
ავტორის ასოცირება ტიმოთესთან.
ბოლო თავში დაწერილი კურთხევა

3. დაასახელეთ ორი არგუმენტი, პავლეს ებრაელთა წერილის ავტორობის საწინააღმდეგოდ.
არცერთხელ არ არის გამოყენებული ფრაზა "ქრისტე იესო"
ის არ შეიცავს მოკითხვებს, როგორც პავლეს სხვა წერილებში გვხვდება

4. დაასახლეთ ორი ასპექტი, რომლებიც წარმოაჩენს, რომ ებრაელთა წერილი დიდ პატივისცემას გამოხატავს ძველი აღთქმის მიმართ.
ებრაელთა მე-11თავის გმირები, ძველი აღთქმის პერსონაჟები არიან.
ცოდნა, რომელსაც ებრაელების წერილი გვაძლევს, ემყარება ძველი აღთქმის ტექსტებს

5. რითი არის ახალი აღთქმა უკეთესი ძველ აღთქმაზე?
ახალი აღთქმა არის დანაპირების შესრულება, რომელიც მოგვეცა ძველ აღთქმაში.

6. რა განსხვავებაა უარყოფასა და განდგომას შორის?
უარყოფა (უკან დახევა) შეიძლება გამოიწვიოს ცოდვამ ან რწმენის უკმარისობამ; მაშინ როდესაც განდგომილება ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტების უარყოფას გულისხმობს.

7. როდის ირწმუნა იესოს ძმამ, იაკობმა, იესო, როგორც მესია?
იესოს აღდგომის შემდეგ

8. მოკითხვიდან გამომდინარე, ვინ არის იაკობის სავარაუდო აუდიტორია (ადრესატი)?
ებრაელი ქრისტიანები, რომლებიც იერუსალიმისა და იუდეის გარეთ ცხოვრობენ

9. ერთ აბზაცში ასახეთ ურთიერთკავშირი ორ მუსლს შორის: იაკობის 2:24 (კაცი მართლდება საქმეებით და არა მხოლოდ რწმენით) და რომაელების 3:28 (კაცი მართლდება რწმენით რჯულის საქმეების გარეშე)
იაკობი მიმართავს ხალხს, ვინც რწმენას აღიქვამს, მხოლოდ როგორც გონებრივ თანხმობას ჭეშმარიტებაზე.

რომაელები მიმართავს ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ ხსნა საქმეებით მოიპოვონ, რჯულის დაცვით.

იაკობი გვაჩვენებს, რომ ჭეშმარიტი რწმენის შედეგი შეცვლილი ცხოვრებაა.

10. განსაზღვრეთ ანტინომიზმი.

ცრუ სწავლება იმის შესახებ, რომ ქრისტიანები არ არიან ვალდებულნი დაემორჩილონ ეთიკურ ან ზნეობრივ კანონს

პასუხები 11 გაკვეთილის ტესტის საკითხებზე

1. რა მნიშვნელობა აქვს "ბაბილონს" პეტრეს მისალმებაში?
   ის გულისხმობს რომს, როგორც ღვთის ხალხის მტერს

2. რა არის ძირითადი საშიშროება, რომლის წინაშეც დგას ეკლესია 1 პეტრეში?
   დევნა

3. რა არის ძირითადი საშიშროება, რომელიც ეკლესიას ემუქრება 2 პეტრეში?
   ცრუ სწავლება

4. რა არის 2 იოანეს წერილში ნახსენები ფრაზის ”რჩეული ქალბატონი და მისი შვილები” ორი შესაძლო განმარტება?
   ქალბატონი, რომელმაც ეკლესიას თავის სახლში შეკრების უფლება მისცა
   ადგილობრივი ეკლესია და მისი წევრები

5. რომელი ორი ჭეშმარიტებაა მნიშვნელოვანი 1 იოანეს სწავლებაში ცოდვის შესახებ?
   ღმერთი გვანიჭებს ძალას გამარჯვებული ცხოვრებისთვის
   ღმერთი პატიების მადლს ანიჭებს მათ, ვინც დაეცა და შემდეგ მოინანია

6. 1 იოანეს თანახმად, რომელი სამი თვისებაა თვალსაჩინო ღვთის ნებისმიერ შვილში?
   მორჩილება ჭეშმარიტებისადმი
   არავითარი განზრახ ცოდვა
   სიყვარული სხვა ქრისტიანების მიმართ

7. რა იყო 3 იოანეს ძირითადი მიზანი?
   ქრისტიანული სტუმართმოყვარეობის სწავლება

8. რა კავშირი იყო იუდას და იესოს შორის?
   ნახევარძმა

პასუხები 12 გაკვეთილის ტესტის საკითხებზე

1. რას ნიშნავდა ფრაზა "Caesar is *Dominus et deus noster"* პირველ საუკუნეში?
   კეისარი არის ჩვენი უფალი და ღმერთი.

2. სად მდებარეობს კუნძული პატმოსი?
   პატარა კუნძული ეგეოსის ზღვაში.

3. რომელია გამოცხადების დაწერის სავარაუდო თარიღი?
   დომიციანეს მეფობის ბოლოს (ახ. წ. 81-96)

4. ჩამოთვალეთ სამი საშუალება, რომლითაც იოანე ცხადყოფს ჭეშმარიტებას, რომ იესო უფალია.
   მიმართვა შვიდი ეკლესიისადმი
   ღვთის ტახტის და ქრისტეს, როგორც ტრიუმფატორი კრავის ხილვა
   ზეცის პერსპექტივიდან დანახული ისტორია

5. ჩამოთვალეთ აპოკალიფსური ლიტერატურის ორი მახასიათებელი.
   სიმბოლოების გამოყენება
   ხილვების გამოყენება

6. მოკლედ აღწერეთ ოთხივე მოსაზრება გამოცხადების შესახებ.
   პრეტერისტული ხედვა: გამოცხადებაში მოვლენები მოვლენები რომის იმპერიაში ხდება
   ისტორიული ხედვა: გამოცხადებაში მოვლენები არის ეკლესიის ისტორიის სიმბოლური ხედვა
   იდეალისტური ხედვა: გამოცხადებაში მოვლენებiis მხოლოდ სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის სიმბოლო
   ფუტურისტული ხედვა: გამ. 4-22 არის მომავალი

7. ჩამოთვალეთ მომავლის ოთხი ფუტურისტული ხედვა.
   კლასიკური პრემილენიალიზმი
   დისპენსაციური პრემილენიალიზმი
   პოსტმილენიალიზმი
   ამილენიალიზმი

8. ჩამოთვალეთ სამი ძირითადი თემა გამოცხადების წიგნში.
   იესო უფალია
   ღმერთი ყოველივეს აკონტროლებს
   ღვთის ხალხის გამარჯვება

პასუხები 13 გაკვეთილის ტესტის საკითხებზე

1. რას ნიშნავს სიტყვა „კანონი“ ("კანონიკა") ახალ აღთქმასთან მიმართებაში?

   წესი ან სტანდარტი იმის დასადგენად, რომელი ნაწერებია ღვთის შთაგონებული სიტყვა.

2. დაასახელეთ ახალი აღთქმის კანონიკის ფორმირების ორი მიზეზი.

   ცრუ სწავლება
   დევნა

3. ჩამოთვალეთ სამი სტანდარტი, რომლებიც გამოიყენება ახალი აღთქმის კანონიკის დადგენისას.

   ავტორი უნდა იყოს მოციქული ან მოციქულთან მჭიდროდ დაკავშირებული პირი.
   გზავნილი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ძველი აღთქმისთან. მთავარი აზრი უნდა შეესაბამებოდეს იესო ქრისტეს სახარებას. წიგნი სულიერად უნდა აშენებდეს.
   წიგნი უნდა მიიღოს (აღიაროს) მთელმა ეკლესიამ.

4. განსაზღვრეთ რას ნიშნავს აპოკრიფები.

   წიგნები, რომლებიც წმინდა ქრისტიანულ წერილებად ითვლებოდა, მაგრამ ადრეულმა ეკლესიამ უარყო.

5. დაასახელეთ ადრეული ქრისტიანობის ორი მწერალი, რომლებიც უპირისპირდებოდნენ მწვალებლობებს.

   ტერტულიანე
   ირინეუსი

6. რა პრობლემას ეხება ახალ აღთქმასთან დაკავშირებული ტერმინი "ტექსტური მთლიანობა"?

   ჩვენს მიერ მიღებული ტექსტი შეესაბამება თუ არა ორიგინალ ხელნაწერებს

7. შეადარეთ ახალი აღთქმის ხელნაწერი მტკიცებულებები ჰომეროსის *ილიადის* ხელნაწერ მტკიცებულებებს.

   ახალი აღთქმის 5000 – ზე მეტი ხელნაწერი, ილიაიდას 643 ხელნაწერთან შედარებით.
   ახალი აღთქმის ხელნაწერები თარიღდება დაწერიდან 100 წელზე ნაკლები პერიოდით, ხოლო ილიადას ადრეული ხელნაწერები დაწერიდან 500 წლის შემდგომი პერიოდით

შეფერდს გლობალ ქლასრუმ კურსების აღწერა

<u>დოქტრინალური საფუძვლების კურსები</u>

ქრისტიანული მრწამსი

ეს არის სისტემატიზებული თეოლოგიის კურსი, რომელშიც აღწერილია ქრისტიანული მოძღვრებები ბიბლიის, ღმერთის, ადამიანის, ცოდვის, ქრისტეს, ხსნის, სულიწმინდის, ეკლესიისა და უკანასკნელ მოვლენების შესახებ.

რომაელები

ეს კურსი ასწავლის ხსნის თეოლოგიას და მისიებს, როგორც განმარტებულია რომაელთა წიგნში, განიხილავს რამდენიმე საკითხს, რომლებიც სადავო იყო ეკლესიაში.

ესქატოლოგია

ეს კურსი ასწავლის დანიელისა და გამოცხადების ბიბლიურ წიგნებს, წინასწარმეტყველური წერილების სხვა მონაკვეთებთან ერთად და ხაზს უსვამს ისეთ მნიშვნელოვან მოძღვრებებს, როგორიცაა ქრისტეს დაბრუნება, უკანასკნელი სამსჯავრო

წმიდა ცხოვრების დოქტრინა და პრაქტიკა

ამ კურსში მოცემულია წმინდა ცხოვრების ბიბლიური აღწერა, რომელსაც ღმერთი ელის და ძლასაც აძლევს ქრისტიანს.

ეკლესიის დოქტრინა და პრაქტიკა

ეს კურსი განმარტავს ღმერთის ჩანაფიქრსა და გეგმას ეკლესიისა და ბიბლიური თემების შესახებ, როგორიცაა ეკლესიის წევრობა, ნათლობა, ზიარება, მეათედი და სულიერი ლიდერობა.

<u>ბიბლიის შესასწავლი კურსები</u>

ძველი აღთქმის გამოკვლევა

ეს კურსი ასწავლის ძველი აღთქმის 39 წიგნის არსებით შინაარსს და სწავლებებს.

ახალი აღთქმის გამოკვლევა

ეს კურსი ასწავლის ახალი აღთქმის 27 წიგნის არსებით შინაარსსა და სწავლებებს.

ბიბლიური განმარტებების პრინციპები

ეს კურსი ასწავლის ბიბლიის სწორად განმარტების პრინციპებსა და მეთოდებს, რათა ამან განსაზღვროს ჩვენი ცხოვრება და ღმერთთან ურთიერთობა.

<u>მახარებლობისა (ევანგელიზაციის) და მოწაფეობის კურსები</u>

აპოლოგეტიკის შესავალი

ეს კურსი ასწავლის ქრისტიანული მსოფლმხედველობის სამეცნიერო, ისტორიულ და ფილოსოფიურ საფუძვლებს და აჩვენებს, თუ რამდენად შეესაბამება ქრისტიანული სარწმუნოება გონიერებას და რეალობას.

მსოფლიო რელიგიები და კულტები (ცრუ რელიგიები)

ეს კურსი უზრუნველყოფს სახარებისეულად მორწმუნეს მოძღრებების სწორი გაგებით და სათანადო პასუხებით თვრამეტი რელიგიური ჯგუფისათვის.

ბიბლიური ევანგელიზმი და მოწაფეობა

ამ კურსში მოცემულია ბიბლიური პრინციპები, რომლით ხელმძღვანელობაც შესაძლებელია მახარბელობის (ანუ ევანგელიზაციის) მეთოდებში. ის აღწერს მახარებლობის ფორმებს და გთავაზობთ გაკვეთილებს, რომლებიც უნდა გამოიყენოთ ახალმოქცეულთა მომოწაფებისთვის.

სულიერი ფორმირება

ამ კურსში სტუდენტები სწავლობენ: როგორ იქონიონ იესოს ზრახვანი, ღმერთთან ისეთივე კავშირი და ერთობა, როგორც იესოს აქვს მამასთან; თავის დამდაბლებას იესოს მსგავსად; იესოს სულიერი და პირადი დისციპლინების დაცვას, რათა იესოს მსგავსად გაუძლონ ტანჯვას და ჩაერთონ იესოს მიერ ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ ერთობაში (ეკლესიაში).

პრაქტიკული ქრისტიანული ცხოვრება

ამ კურსში ხდება ბიბლიური პრინციპების მისადაგება ფულის, ურთიერთობების, გარემოს, მთავრობასთან ურთიერთობის, ადამიანის უფლებებისა და პრაქტიკული ცხოვრების სხვა სფეროების გამოყენებასთან. 206

ქრისტიანული ლიდერობის კურსები

ლიდერობა მსახურებაში

ეს კურსი ხაზს უსვამს ქრისტიანულ ხასიათს, ხოლო ლიდერებს ასწავლის ორგანიზაციებს გაძღოლას, ფასეულობების აღმოჩენის, მიზნის რეალიზების, ხედვის გაზიარების, ამოცანების დასახვის, სტრატეგიის დაგეგმვის, მოქმედების და მიღწევების განცდის საშუალებით.

იესოს ცხოვრება და მსახურება

ეს კურსი შეისწავლის იესოს ცხოვრებას, როგორც ნიმუშს 21–ე საუკუნის მსახურებისა და ხელმძღვანელობისთვის.

და ღვთის მარადიული სამეფო.

კომუნიკაციის პრინციპები

ეს კურსი ასწავლის ურთიერთობების თეოლოგიას, ეფექტური მეტყველების მეთოდებს და ბიბლიური ქადაგების მომზადების და წარდგენის მეთოდებს.

ქრისტიანული თაყვანისმცემლობის შესავალი

ამ კურსში განმარტებულია, თუ როგორ მოქმედებს თაყვანისცემა მორწმუნის ცხოვრების ყველა ასპექტზე და მოცემულია პრინციპები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოთ ინდივიდუალური და კრებულში ერთობლივი თაყვანისცემის დროს.

ეკლესიის ისტორიის კურსები

ეკლესიის ისტორია I

ეს კურსში აღწერს, თუ როგორ შეასრულა ეკლესიამ თავისი მისია და დაიცვა ძირითადი დოქტრინა ადრეული ეკლესიის დროიდან რეფორმაციამდე.

ეკლესიის ისტორია II

ამ კურსში აღწერილია, თუ როგორ იზრდებოდა ეკლესია და როგორ ხვდებოდა სირთულეები რეფორმაციის დროიდან დღემდე.